1977

სუნთქვა

1977 6

რედაქტორის მაგიერ ნანა დარჩია

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი.

სეკნჯე

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია

6 (21)

ნოემბერი
დეკემბერი

1977

შინაარსი

პროზა

იური იანოვსკი. მხედრები. რომანი. უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა. მხატვარი დეა ჯაბუა 5

მიცუკო ტაკახასი. ჟამი პეპლებისა. მოთხრობა. თარგმნა თამაზ ჩიქვანაიამ 78

რედიარდ კიპლინგი. წყალდიდოგის ჟამს. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ედიშერ გიორგაძემ 119

ანდრე მორუა. მოთხრობები. ფრანგულიდან თარგმნეს ლამარა მხეიძემ და ნინო ხმალაძემ 133

ვასილ გიკოვი. ალპიური გალადა. მოთხრობა. დასასრული. თარგმნა იროდიონ ქავჟარაძემ 147

დოროთი პარკერი. როგორც იქნა. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ნანა ბუხრაძემ 192

პოეზია

ადამ მიცკევიჩი. გალადები. თარგმნა თედო ბექიშვილმა 107

ედგარ ალან პო. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა ფილიპე ბერიძემ 126

ედუარდ გაგრიცკი. ლექსები. თარგმნა მამუკა წიკლაურმა 130

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ჟან-ჟაკ რუსო. ჟიული ანუ ახალი ელოიზა. დასაწყისი. თარგმნა ნიკა აგიაშვილმა 199

კრიტიკა. პუბლიცისტიკა

რედაქტორი და თარგმანი

ჯარჯი ფხოველი. ხელისგულისოდენა მოთხრობები 210

უცხოური იუმორი

როჟე ბუსინო. უფროსის ცხვირი. თარგმნა მილიცა ჯაფარიძემ 235

გარეკანზე: **უშანგ და ალსარ კოზაევები.** საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება

ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს

იური იანოვსკი

მხედრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

უკრაინულიდან თარგმნა **ჯაბა ასათიანმა**

ორმაგი ალყა

ეხუოდნენ ხმლები, ცხენები უმხედრებოდ მიმოჰქროდნენ და პოლოვცელებს ერთმანეთი ველარ ეცნოთ, ცით კი მზე აცხუნებდა და მეომართა ყიჟინა ბაზრობის ხორხოზს ჰგავდა, ისეთი კორიანტელი იდგა, თითქოს ნახირს გაევლოს, მაგრამ აგერ, ყველა ტრამალში გაიფანტა და გამარჯვება ოვერკოს დარჩა. შავი შლიკი[1] მხრებზე სცემდა. „მიდით, ძმებო, ჩეხეთ თეთრი ძვალი!“ მტვერი ჯდებოდა. ანდრის რაზმიდან ზოგი გაიქცა, ვინც ხელები გაიწვდინა — მკლავები დაასხიპეს, ვინც მტვრიანი, გახვითქული პირისახე ცად აღაპყრო — თავი ხმლით გაუჩეხეს. მიწას დაცემული მიწას ჭამდა, ახრჩობდა სიკვდილის ჟამის ნაღველი და იმასაც, რითაც მოხვდებოდათ, იმით სცემდნენ და ზედ ცხენით გადადიოდნენ.

კომპანიევკასთან თვალუწვდენელ ტრამალში შეეტაკნენ რაზმები. ზეისწრაფოდა ცის ლაჟვარდოვანი კოშკები. ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის რაზმს ანდრი პოლოვეცი მეთაურობდა, ხოლო დიდი ატამანის სიმონ პეტლურას კაზაკებს — ოვერკო პოლოვეცი. ტრამალის მეკობრენი ფლანგებიდან შეიბნენ და, როგორც მორევმა, ისე დაატრიალა ისინი ტრამალის მახრჩობელა ქარიშხალმა. უჩვეულო ტემბრის აგვისტო იდგა.

„აქეთ მოიყვა!“ მოჰყავდათ ახოვანი ტრამალელები და წაჭრილი თავები საზამთროებივით ცვიოდა (იმ ადგილას მართლაც საზამთროს ბალჩა იყო და ცხენები საზამთროებთან ჩერდებოდნენ), გააფთრებით ყვიროდა ზოგი, მაგრამ თითქოს სიზმარშიაო, ყელიდან ხმა არ ამოსდიოდა, ზოგიც გადაჭრილ თელასავით ძირს ეცემოდა, ეყვლიფებოდა ტანი და ფოთოლი სცვიოდა. „ნათლიმამ, ფონი ეძიე!“

შხუოდნენ ხმლები, ტკაცუნობდა ძვალი, სწორედ ამ დროს ოვერკოს ანდრი

[1] შ ლ ი კ ი — მაუდის მრგვალი ქუდი, რომელსაც ძირს ჩამოშვებული ძაღარა აქვს.

მიუყვანეს. „ჰო-ჰო! აფიცრობა გაირტყი, ძმაო?!“ ანდრის წარბი არ შეუხრია, დაკოდილი ხელი უბეში შეიყო და ფრენჩი გაისისხლიანა. „მე ვარ, წყეულო მაზეპა!“ — „რაო, გიშველეს შენმა გენერლებმა?“

ისედაც ახოვანი ანდრი კიდევ უფრო მაღალი ჩანდა. ოვერკო ისე ეთამაშებოდა შლიკს, როგორც ქალიშვილი შავ ნაწნავს. ძმები ტანადები იყვნენ, მხარბეჭიანი, ნაცრისფერთვალა, ცხვირი მტაცებელი ფრინველის ნისკარტს მიუგავდათ. „გინდა სიცოცხლე? — ჰკითხა ოვერკომ, — ჩვენს დოფინივკას ტალღა ელამუნება, მამაჩვენი მუსი პოლოვეცი ზღვას ჭოგრიტით გასცქერის, სკომბერი ხომ არ დაიძრაო, გახსოვს, თურქეთის ომიდან ჭოგრიტი რომ ჩამოუტანე?“

ანდრიმ ფრენჩი შეიხსნა და, თითქოს ტკივილის დასაყუჩებლად ვიღაცას უხმობსო, დაკოდილი ხელი შემართა, რათა ჭრილობიდან სისხლი შეჩერებოდა. „აი, ცირკი!“ — შესძახეს ოვერკოს ბიჭებმა, შორიახლოს ტკივილისაგან შეჭირვებული ცხენი აჭიხვინდა, თან ერთ ადგილზე ტრიალებდა. სულის შემხუთავმა ხვატმა გათანგა ტრამალი, თვალსაწიერზე კი შუადღის ცის ლაჟვარდოვანი კოშკები აღმართულიყო.

„პეტლურელო მძორო, — უთხრა ძმას ანდრიმ, — დედა-რუსეთს გალიციელებზე ჰყიდი! ჩვენ იმათ კარპატებში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევებით, არ გვსურს ავსტრიული ულელი!“ ოვერკოს გაეცინა, კაზაკებს თვალი ჩაუკრა, მერე ის ყმაწვილი შეაჩერა, ანდრიზე ხმლით რომ გაიწია, გულდაწყვეტილმა ჭაბუკმა ხმლის წვერით საზამთროსლა დაუწყო ჩიჩქნა. სიცხე სულ უფრო და უფრო აჭერდა, ანდრის ისევ მაღლა ეჭირა ხელი, სისხლი სახელოში ჩასდიოდა. ღვიძლი ძმის, ოვერკოს წინაშე იდგა და ყველაფრისთვის მზად იყო. „რა გახსენდება ახლა? — ჩაეძია გამარჯვებული, — ოდესა თუ ოჩაკოვი?“ — „რა მახსენდება? მახსენდება მამაჩვენი პოლოვეცი და მისი ნათქვამი...“ ძმამ სიტყვა გააწყვეტინა, სამხრეთ-დასავლეთით გაიხედა. „მაისტრომ[1] წამოუბერა, — თქვა ოვერკომ, — წვიმა არ მოიყოლოს...“ — „და მამაჩვენის ნათქვამი: იმ მოდგმას გადაშენება არ უწერია, ვისი შვილებიც სიამტკბილობით ცხოვრობენო“.

„ცირკია, ცირკი! — ახორხოცდნენ კაზაკები, — სისხლმა ისე იჩქეფა, გეგონება, ხარი დამეკლას, მაგას მე დავკარი, ეგეც შენ, დაგიდგა ალსასრული, მე ჩემი ვქენი, მაგრამ ჩვენი პოლოვეცი რაღას ეტყვის, კარგად ვიცი, რასაც: თავს რომ წაგაცლიან, მერე რამდენიც გინდა, იმდენი იხტუნეო!“ — „ცირკია? — იკითხა ოვერკომ, — ჩვენი მოდგმა ძლიერია, მრავალრიცხოვანი, ჩვენ ორის გარდა, ჯილაგში კიდევ სამია გვარის გამგრძელებელი, მოდგმა — ფუძეა, მაგრამ უპირველესია სახელმწიფო, ხოლო როცა სახელმწიფოზე ხელს აღმართავ, მაშინ ვაი შენს მოდგმას, მაშინ ძმა ძმას აღარ ინდობს, ეს ასეა!“

„აი, ცირკი!“ — შესძახეს კაზაკებმა, ანდრი კი მზეზე გაფენილ ტილოსავით გათეთრდა, ცხენი თუ კაცი სიცხეს გაეთანგა, სამხრეთ-დასავლეთიდან კი სადაცაა მაისტრო წამოუბერავდა. „მოდგმავ, ჩემო მოდგმავ, მომიტევე, რომ ანდერძი ვერ აღვასრულე, მოდგმა გადაშენდება, სახელმწიფო გაძლებს. უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

„გწყევლი ამ ჩემი რუსული გულით, დედა-რუსეთის სახელით, ვარშავიდან იაპონიამდე და თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე რომ გაშლილა. გწყევლი ძმის სახელითა და მოდგმის დასტურით, გწყევლი და მძულხარ ჩემი ალსასრულის ჟამს...“ — „დაჰკარით, კაზაკებო!“ — იყვირა ოვერკომ, შეტორტმანდა ანდრი და

[1] მ ა ი ს ტ რ ო — სამხრეთ-დასავლეთის ქარი.

აღრიალდნენ გამარჯვებულნი, სამხრეთ-დასავლეთიდან მაისტრომ დაჰქროლა, უძრავად იდგა ტრამალის ზეცის ლაჟვარდოვანი კოშკები.

მოხუცი პოლოვეცი კი ზღვის სანაპიროზე დააბიჯებს, ზღვას ჭოგრიტით გასცქერის, ტალღას ან ქარს ელის, წყალზე ტივტივებს ეძებს, ბერიკაცს ვაჟიშვილი ანდრი გაახსენდა. „კარგი ჭოგრიტი ჩამომიტანა ანდრიმ“. თვალწინ დაუდგა რწმენის, მეფისა და სამშობლოსთვის მებრძოლი, რუსეთის არმიის ზევადიანი სამსახურის პოდპრაპორშჩიკი, სარი-ყამიშისა და ერზრუმის გმირი ანდრი პოლოვეცი. ზღვით კი შალანდა მოიწევდა, საჩინო იყო ნიჩბების შეწყობილი მოძრაობა, ტალღიდან — ტალღაზე, ტალღიდან — ტალღაზე. დასავლეთით, მახლობელი ოდესის ცაზე ერთი ღრუბელი ეკიდა, მოხუცი პოლოვეცისა და ალბათ იმ სანთიანი მებადურის გარდა, ნაპირისაკენ რომ მოისწრაფოდა, ვერავინ იტყოდა, იმ ღრუბელში ჭექა-ქუხილი დანავარდობს, ელვა იმალება. შალანდა ხელისგულივით მოჩანდა. პოლოვეცი მიწაზე გაწვა და ისე უთვალთვალებდა. შალანდაში ხუთნი ისხდნენ. უკვე მკაფიოდ ჩანდა — „მერცხალი“ იყო. კიჩოზე ვიღაც თავშიშველი იჯდა. სამი ნიშანი მიუდგა. მერე ჰკითხავენ: „მწვანე სკომბერი გაქვთ?“ — „ღამე არ გყოფნით?“ პოლოვეცმა შარვლის ტოტები აიკარწახა, წყალში შევიდა, შალანდა ცხვირით ზღვისკენ მიატრიალა, ჩაეჭიდა კიჩოს და თავისკენ მოსწია. შიგმსხდომნი ნაპირზე გადმოხტნენ, დათქმული დიალოგის შემდეგ კი ნავიდან მძიმე საპალნეები გადმოტვირთეს. პოლოვეცს პანასის კონტრაბანდული საქმეები გაახსენდა. „დინამიტია?“ — „დინამიტზე ძლიერი!“ — გაიცინეს სტუმრებმა, შალანდა ნაპირზე გამოათრიეს. ივანის ამხანაგმა იცნო ბერიკაცი, გაუღიმა: „თევზაობ, გვარდიელო, შენი ივანი კი თეთრებს ებრძვის?“ — „აბა, სადაური გვარდიელი ვარ მეთევზე კაცი“. — „ჩუბენკო, აუხსენი, რომ ახლა მაგას უნდა თუ არა, მაინც წითელგვარდიელია“. ივანის ამხანაგმა ბერიკაცს ხელი გამოსდო: „დენიკინელები გავაბრიყვეთ, ფრანგებს პირში ჩალა გამოვავლეთ, სტამბაც აქა გვაქვს და შრიფტიც, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ და ისე მძლავრად დაჰკრა ხელი ხელზე, რომ მთელი ნაპირი აგუგუნდა. ოდესის ცაზე ღრუბელს ფრთები უთრთოდა, ქარი ამოვარდა, ზღვა ჩაშავდა, პოლოვეცმა ქვებზე ტალღების ჩხრიალს მიაყურა. „გრგვინავს, რვაბალიანი ღელვაა მოსალოდნელი, სადღაც შორეულ მთებს მაისტრო მოსწყდა“.

„სადღაც მაისტრო მოსწყდა“, — თქვა ოვერკო პოლოვეცმა და ცის ლაჟვარდოვანი კოშკებით მოზღუდულ ტრამალს თვალი მოავლო. კაზაკებმა დაჩეხილი მტრის ჯიბეებს დაუარეს, ბრძოლის ველზე ყვითელ-ცისფერი დროშა ეგდო, ძალას იკრებდა სამხრეთ-დასავლეთის ქარი.

შორიდან ტიბეირივით დატრიალდა ქარაშოტი, ბზრიალ-ბზრიალით აიტოტა, მზის გულზე ყვავილივით გადაიშალა, გზა გადაიარა მტვრის გრეხილმა სვეტმა, მზე დააბნელა, საზამთროს ბაღჩა გადაირბინა, ბრძოლის ველი გადაიგუგუნა და ჰაერში ააფრიალა ძონძები, ქუდები, ეცემოდა ხალხი, აქეთ-იქით აწყდებოდნენ ცხენები და გრიგალი ცხენ-კაცის გვამთა გორას ზედ გადაემსხვრა, ღვარად წამოვიდა მახრჩობელა მტვერი, ქარმა უფრო შორს წაიღო და თითქოს ღრუბელთაგან გადმომსკდარი ალმაცერი წვიმა ყოფილიყოს, ისე გადააფრქვია ტრამალს.

კაზაკები ცხვირს აცემინებდნენ და ტანისამოსს იბერტყავდნენ, ჭიხვინებდნენ ცხენები, ანაზდად ტყიდან მხედრები გამოცვივდნენ, შავ დროშას მოაფრიალებდნენ, გაიშალნენ და ფორნები წინ გაატარეს. „იარაღი შემართეთ! ამხედ-

რდით! ტყვიამფრქვევები! მახნოელები!“ — ფორნებმა კი ფლანგებიდან იწყეს შემოვლა, ცხენთა ოთხეულები მანძილს ნთქავდნენ, ფორნები დემონთა ეტლებივით ხტოდა მიწაზე, ტყვიამფრქვევები კაკანებდა.

ნისლივით დამდგარ მტვერში ელავდა ლულებიდან გამოვარდნილი ცეცხლი, მკერდს აპობდა ხვატი, ტალღა-ტალღა ჰქროდა მხურვალე მაისტრო. მხედრებმა ერთხელაც აიქროლ-ჩამოიქროლეს, „ვიმარჯვებთ“, „გამაგრდით“. „დიდება“, ვიღაცამ რიხიანად დაუსტვინა, სადღაც გადაიგრუხუნა. „შეეშვი!“ — გაისმა პანას პოლოვეცის ბრძანება, უცებ ჩაჩუმდა ტყვიამფრქვევები, უცებ შეწყდა სროლა, მაისტროს თანაბარ გაჰქონდა მტვერი. ოვერკოს კაზაკთა შავ შლიკებზე ცხენები გადადიოდნენ, ლაპლაპებდა შემართული ხმლები, ბრძოლა ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც დაიწყო.

თავგაჩეხილი ოვერკო პოლოვეცი ფორნის თვალთან მიწაზე იჯდა, საკუთარ ფეხებს დასცქეროდა, ნახმლევზე ხელისგული მიეფარებინა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ჭრილობის ზღურბლს ჯერ არ გადასულიყო მისი დაუდეგარი სიცოცხლე. სწორედ მაშინ მიუახლოვდა რევოლვერშემართული პანას პოლოვეცი და ოვერკოს დააცქერდა.

„ხომ შევხვდით, ძმაო, — პანასმა თავი გააქნია, თითქმის მხრებამდე მოშვებული თმა შეერხა, — ანდრიც იქ წევს, სწორედ რომ კარგი ოინი ჰქენი, მე კი ტყეში ვიცდიდი, როდის მორჩებოდნენ ძმები ბრძოლას, მორჩნენ კიდეც — ერთი მკვდარია, მეორე — სულს ღაფავს, რაო, უკრაინა მოგინდა?“

ოვერკოს თავი არ აუღია. დენთის ბოლით გამურულმა თოთხმეტი წლის საშკო პოლოვეცმა ცხენი მოაჭენა. „მოდი, მაგას მე მოვუთავებ ხელს!“ — „ბრიყვო, ეს ხომ ოვერკოა“. საშკო გაფითრდა, ცხენიდან ჩამოხტა, ძმასთან მივიდა, ნიკაპში ხელი ამოსდო და თავი აუწია. „ოვერკო, ვაი ჩემს თავს“,— უთხრა საშკომ მოხუცი პოლოვჩიხას ხმაზე. ოვერკომ ძმას პირისახეში სისხლი შეაფურთხა და ამოიოხრა.

„მახნოელო ავაზაკო, — ჩაილაპარაკა ოვერკომ, საკუთარ ფეხებს დასცქეროდა, — დედა-უკრაინას სისხლის ცრემლი სდის, შენ კი ტრამალ-ტრამალ დაყაჩაღობ“. ბრგე პანასი მუხასავით იდგა და ხარხარებდა. საშკო პირისახიდან ძმის სისხლს იწმენდდა, თან იარაღს იმარჯვებდა.

„ბატკო ნესტორ მახნოს სახელით, — ხარხარებდა პანასი, — შენს წინააღმდეგ სასამართლოსა და ძიებას ვნიშნავ. ღვიძლი ძმის ანდრის მკვლელობისათვის — ზღვაში დახრჩობა მოგესაჯა, წესრიგის დედაბოძის ანარქიის კუთვნილ ტერიტორიაზე უკრაინული სახელმწიფოს დახმარებისათვის — თავის მოკვეთა“. ოვერკომ კიდევ ერთი პეშვი სისხლი გადმოაფურთხა, სამხრეთ-დასავლეთით ავისმაუწყებლად იზრდებოდა ღრუბელი, მაისტრო ნელ-ნელა საწინაღო ქარად— გრეგოდ[1] იქცა. გრეგო ყოველის მხრიდან ერეკებოდა ღრუბლებს, ცხვრის ფარასავით ერთად აქუჩებდა, ისმოდა დაგუდული გრუხუნი, მზე აცხუნებდა. „წყალი დამალევინეთ“, — ითხოვა ოვერკომ.

ზედ ცხვირწინ მომდგარ ძმის ფეხებს თვალი მოავლო, ბრაზი ამოუდუღდა, მაგრამ თავი შეიკავა და ესღა უთხრა: „გახსოვს მამაჩვენის დარიგება: იმ მოდგმას გადაშენება არ უწერია, ვისი შვილებიც სიამტკბილობით ცხოვრობენო“. წვიმის მაცნე ქუხილმა გადაიგრუხუნა. პანას პოლოვეცი ჩაფიქრდა: „ჩვენი მოდ-

[1] გ რ ე გ ო — ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი.

დაჰყავდა კაფეებში, რესტორნებში, თეატრებში, ასეირნებდა ეტლით და ფულიც უცებ შემოელია. ამიტომ ამხანაგისგან ისესხა ფული. როცა წერილი მიიღო, გულმა უსიამო რეჩხი უყო, მაგრამ წერილში ორი ათასი ფრანკი იდო და ამან გაამხნევა. მან ვალები გაისტუმრა, ხოლო საყვარელს საჩუქარი უყიდა.

მანეს „ტაძარი“ კი ვიღაც კოლექციონერმა შეიძინა და კარგა ხნის მერე თავისი სურათები ლუვრს გადასცა.

სტუდენტი ახლა ცნობილი მწერალია. მოხუცდა, მაგრამ გული კვლავ ახალგაზრდული მგზნებარებით აქვს სავსე. ბუნების ლამაზი სურათი ან მშვენიერი ქალი ახლაც ძველებურად აღელვებს ხოლმე. სახლიდან გამოსვლისას ხშირად ხვდება ქუჩაში ერთ ხანშიშესულ ქალს, მეზობელ სახლში რომ ცხოვრობს. ეს ქალი მისი ძველი საყვარელია. სიმსუქნისაგან სულ შეცვლია სახე, ოდესღაც ლამაზ თვალებქვეშ პარკებივით ჰკიდია შეშუპებული უპეები, ზედა ტუჩი ნაცრისფერ ღინღლს დაუფარავს. ძლივს დადის, ისე დაუძლურებია ფეხები. მწერალი ესალმება, მაგრამ არ უჩერდება, ბოროტ ადამიანად მიაჩნია და საშინლად არ სიამოვნებს იმაზე ფიქრი, ოდესღაც რომ ეს ქალი უყვარდა.

ზოგჯერ მწერალი ლუვრში შედის, ადის იმ დარბაზში, სადაც „ტაძარია“ გამოფენილი, დგას დიდხანს, უცქერის სურათს და ოხრავს.

□

ელაპარაკო?“ შავგვრემანი, სუსტი აგებულების ჯარისკაცი გვერდით დაუდგა,— „აბა, რა ენაზე უნდა ელაპარაკო?“ — „მწვანე სკომბერი“, — მოესმა პოლოვეცს. „ღამე არ გყოფნით?“ — ბევრი აღარ უფიქრია, პაროლითვე მიუგო მეთევზემ, სიხარულისგან გული ყმაწვილივით აუჩქროლდა, ბერიკაცი ჯარისკაცს გადაეხვია. ოდესაზე უამური წვიმის ფარდა ეშვებოდა, ზღვაც ჩაშავებულიყო.

„უნდა დავმარხო, — თქვა პანას პოლოვეცმა და ცხენი ოვერკოს ცხედართან შეაჩერა, — დიდი ჯიუტი ვინმე იყო ეს მაწანწალა“. თქორავდა, ორი ფორანი გვერდიგვერდ დადგეს, ფორნებს შორის საბანი გადაჭიმეს, პოლოვეცმა სასანგრო ნიჩაბს ხელი დაავლო და თვითონ შეუდგა ორი ძმისთვის თავშესაფრის გათხრას. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ბრგე და ჩაფსკვნილი კაცი იყო ეს მეოთხე პოლოვეცი, ერთ დროს სავაჭრო ფლოტის მეზღვაური და კონტრაბანდისტი.

ფორანზე მდგარ ტყვიამფრქვევთან მოკუნტულიყო საშკო, წვიმას ვერც კი გრძნობდა, ეჩვენებოდა, თითქოს დედა უჩეჩავდა ქოჩორს, ირგვლივ მხოლოდ ზღვის ნაპირი და ზღვა იყო, შეგეძლო გულმშვიდად გებანავა, ტყვიის შიში არა გქონოდა, პალოებზეც ბადეები შრებოდა. ისე მიუწვდომელი იყო ახლა მებადურის ცხოვრება, ზღვაც ისე სანატრელად სურნელობდა! ნეტა რა უნდოდა, რამ წამოიყვანა, პანასსაც არ ებრალება, მაგრამ უკან ვისაც უნდა, ის გაბრუნდეს, საშკო კი ფეხს არ მოიცვლის — ასეთია პოლოვცელთა დაწყევლილი ჯიში!

პანასი ქშინავდა, ორმოდან მიწას ყრიდა, ნიჩაბს ისე ატრიალებდა, როგორც მავანი ჩანგალს. „მე მგონი, კმარა! ნურავინ იტყვის, მოდგმას პატივი არა სცალ!“

დაასაფლავეს. წვიმა იალქნებს შლიდა, ტრამალს დროდადრო ქარი ჩამოუქროლებდა, მოწყალე წვიმა მიწას ალბობდა. პანას პოლოვეცს წვიმის წვეთები წურწურით ჩამოსდიოდა პირისახეზე, საქმეში ჩაუხედავი კაცი იფიქრებდა, ახლად ამოვსებულ საფლავს დასტირისო. მთელ რაზმს ღვარად სდიოდა წვიმის ცრემლი, საშინელი სანახავია ასე მწარედ ატირებული მებრძოლთა დიდი რაზმი. წვიმა კი არ ცხრებოდა.

და სწორედ მაშინ წვიმის მიღმა მირაჟი აღჩნდა: შორით ფრიალებდა ინტერნაციონალური პოლკის ცხენოსანთა რაზმის წითელი დროშა. რაზმს ივან პოლოვეცი მოუძღოდა. გაისმა პირველი გასროლის ხმა, პანასი უკვე ფორანზე იჯდა, ტყვიამფრქვევს ატრიალებდა, საშკო ძმას ტყვიებს აწვდიდა. ფორნები გაიქც-გამოიქცა, მხედრები გაიფანტნენ, „იარაღი დაჰყარეთ! წითლები! წითლები!“ მაგრამ გასაქცევი არსაით იყო. ივან პოლოვეცი მახნოელებს პირდაპირ მომქროლავი მხედრებისაკენ ერეკებოდა, ტყვიის წვიმაში ერეკებოდა, ან უნდა დახოცილიყვნენ, ანდა ტყვედ ჩაბარებოდნენ, და ატირდა უძლური სიბრაზისაგან პანასი. ვიღაცის ცხენს მოახტა, ცხენი წაექცა, ახლა ფორნიდან გამოხსნა, ამხედრდა, „ბიჭებო, მომყევით, მახნოელები ფარ-ხმალს არ ყრიან!“, ივანის ფლანგის გარღვევა სცადა, ნახევარი ხალხი დაღუპა, წვიმა კი ასხამდა და ასხამდა, ცხენებს ფეხი უცურდებოდათ, ივან პოლოვეცმა გაორკეცებული ძალით შემოუტია და მახნოელები დანებდნენ.

ხოლო წვიმამ ჯერ უზღვავი წვეთი გადმობერტყა, მერე ღრუბლები წინ წასწია, ანაორთქლი შეისრუტა, ახლა ღრუბლებს ხელახლა აწყობდა, გაჰქონდა ფარატინა, გაცრეცილი ღრუბლები, ჩამუქებულებს, საავდროებს კი იტოვებდა, როგორც საიმედო დასაყრდენსა და ძალას.

პანას პოლოვეცი ღვიძლი ძმის ივანისა და მისი კომისრის გერტის წინაშე

იდგა საღსალამათი, იდგა ერთიანად ტალახში ამოსვრილი, მკერდგაღეღილი, თავშიშველი, გრძელი თმა კისერზე ეყარა, მაღალი და ჩაფსკვნილი პანასი იდგა ტანხმელი ივან პოლოვეცის წინ.

„აი, პანასე, ბედმა სად შეგვახვედრა", — უთხრა ძმას ივანმა და გერტს რაღაც გადაულაპარაკა. ტყვეები ერთად შეჰყარეს. ყოველის მხრიდან მოდიოდნენ გამარჯვებულები — თავს იყრიდნენ ინტერნაციონალური პოლკის რაზმელები. ღრუბლებიდან მზემ გამოიხედა, ტრამალი გადაბრწყინდა, ღრუბლებს კვალდაკვალ ასდევდა ტრამალის ცის ლაჟვარდოვანი კოშკები.

პანასი ხმას არ იღებდა, იდგა და შორეთს გასცქეროდა. საშკოც მივიდა, პანასის გვერდით მიწაზე დაჯდა, ფერდაკარგული პირისახე წარამარა უტოკავდა, „საშკოც აქ ყოფილა", — მოიღუშა ივანი, პანასმა კი ანაზდად იყვირა: „შე ნაბიჭვარო, ბალლინჯოვ, ავგულო, ლენინისა და კომუნის ლაქიავ, ვის ემსახურები, შე კომისრის დინგიანო?!

„შენ მერე მოგელაპარაკები, — უთხრა ივანმა. — მე კი ვემსახურები რევოლუციას, ინტერნაციონალიზმს!" — გერტს ისევ რაღაც გადაულაპარაკა და უსიტყვოდ მიუახლოვდა ტყვეებს, ყურადღებით შეათვალიერა, თვითეულს ისე დაკვირდა, როგორც წუნმდებელი ჩააკვირდება ხოლმე მანქანის დეტალს. ერთიორჯერ აუარ-ჩაუარა მახნოელებს და დაიწყო:

„ბიჭებო, — თქვა ივანმა, — აი, ბოლო მოეღო მოღალატესა და ბანდიტ მახნოსთან თქვენს სამსახურს. გელაპარაკებათ თქვენი პოლოვცელის ძმა, ჩვენ ორივენი მეთევზეები ვართ, მამა-პაპაც მეთევზე გვყავს, ერთი სიტყვით, მეთევზეთა მოდგმისანი ვართ. ჩემი სიტყვა უბრალო გახლავთ, დაულაგებელი, მაგრამ სათქმელს ისედაც მიმიხვდებით, რადგან ტრამალებში ახლა ორი სიმართლე ედავება ერთმანეთს: მდიდართა სიმართლე და სიმართლე ღარიბებისა. მეფის სისხლიან გენერალ დენიკინთან ბრძოლაში უკან დავიხიეთ, გზას კიევისკენ მივიკვლევთ, მაგრამ მტერს მაინც მუსრს ვავლებთ, არ ვინდობთ. ალბათ თქვენც გირევიათ მოტყუებული ღარიბები, ჩვენ გიხმობთ, რადგან საწუხარი ერთი გვაქვს, მაშ, მოდით, ღარიბთა სიმართლისათვის ბრძოლაში მხარში ამოგვიდექით, ღარიბები და მშრომელები შემოგვიერთდებიან და ყველა, ვით ერთი, საბოლოო გამარჯვებისთვის აღვსდგებით, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებასა და წითელ არმიას!"

გერტმა ბრძანება გასცა. ტყვეთა მცირე ნაწილი ხელმარცხნივ გადგა, დანარჩენები ჯგუფად დაიძრნენ, ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ, ყველა იმათ მისჩერებოდა, ხმას არავინ იღებდა. ბრბო იქაურობას სულ უფრო და უფრო შორდებოდა, ზოგი უკვე მიცუხცუხებდა, ერთი წინ გავარდა, იმას მეორეც მიჰყვა, მესამეც, მთელი ბრბო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცხვრის ფარასავით უკან მოუხედავად გარბოდა, სიკვდილს გაურბოდა. მაშინ ივან პოლოვეცმა ბრძანა, ტყვიამფრქვევები მოემარჯვებინათ და როცა ტყვიამფრქვევები ჩაჩუმდა, დავალებაც შესრულებული იყო.

პანასი შეწყალებას არ ელოდა, თვალწინ დაუხოცეს სათითაოდ შერჩეული თანამებრძოლები, დანარჩენები უკვე უცხონი იყვნენ. პანასს ბავშვობა მოაგონდა, შალანდაზე გატარებული ბავშვობის წლები, ღამეული თევზაობა, დედის ტანისამოსის სურნელი, ზღვის უსაზღვრო სივრცე. „ალბათ ახლოა სიკვდილი", — გაიფიქრა და ივანს იმ სიტყვებით მიმართა, ოვერკოსგან რომ მოისმინა: „ივან,

აქ უკვე ორნი დაიღუპნენ, იმ მოდგმას გადაშენება არ უწერია, ვისი შვილებიც სიამტკბილობით ცხოვრობენო“.

„ჩვენი მოდგმა გამრჯე და შრომისმოყვარეა, თუმცა ეს ყველაზე არ ითქმის, გვყვანან მრავალჭირგამოვლილი, შეგნებული, პროლეტარული საქმის ხალხი, და არიან ბოროტმოქმედები და შეუგნებლები, მტრები და მტრის ლაქიები. შენც კარგად ხედავ, რომ მოდგმა ირღვევა, კლასი დგას, მთელი მსოფლიოც ჩვენი მომხრეა, კარლ მარქსიც“.

„წყეულიმც იყავ, — იყვირა გაშმაგებულმა პანასმა, — გწყევლი ჩემი აღსასრულის ჟამს!“ ფრენჩიდან პატარა ბრაუნინგი იძრო და ტყვია პირში იხალა, ერთხანს უძრავად იდგა, შეტორტმანდა, დაბარბაცდა, ხმელი ფოთოლივით მოიწრიხა და ძირს დაენარცხა, ლაფი აქეთ-იქით გაიბნა.

„მეც მესროლე, — უთხრა ივანს ჯიუტმა საშკომ, — მესროლე, ნაბიჭვარო“. — „ეშმაკის ნაშიერო“, — ჩაიბურტყუნა ივანმა და საშკოს ქოჩორში სწვდა, მახნოელთა ყაიდაზე რომ მოუჩანდა ქუდიდან და როგორც ბალახს, ისე დაუწყო გლეჯა, გერტს გაეცინა.

1919 წლის აგვისტოს ერთ დღეს, კომპანიევკასთან ტრამალში პაპანაქება იდგა, მერე დაჰქროლა მეთევზეთა მაისტრომ, ფეხი აიდგა მტვრის მაღალმა, მოქნილმა სვეტებმა, გრეგომ კოკისპირული წვიმა მოიყოლა, ამ დროს სისხლიანი ბრძოლები მიმდინარეობდა და ივან პოლოვეცმა სამი ღვიძლი ძმა დაკარგა. „მოდგმით ერთნი, — თქვა გერტმა, — რწმენით კი სხვადასხვანი“.

ბავშვობა

პერეკოპის ვაკე, ეს ტეხასი უკრაინისა, დნეპრს გაღმა, კახოვკის სამხრეთით იწყება. სამხრეთ-დასავლეთით მდინარეს ქვიშიანი ზოლი გასდევს, მელიტოპოლშჩინამდე გაწოლილა უზადო ტრამალი. სამხრეთით შავი ზღვა და დჟარილგაჩის ყურეა, ხმელეთის ვიწროზზე კი ყირიმის ძველთაძველი კარიბჭე — ქალაქი პერეკოპი. უსაზღვროა შანდაკი სივრცე, შიშველ ვაკეზე ვერსად ნახავთ მდინარეს, არც ხე ჩანს სადმე, იშვიათად გადაეყრება კაცი შორი-შორ გაფანტულ სოფლებსა და ხუტორებს. ცაზე ვეება, მცხუნვარე მზე მიგორავს და სადღაც დედამიწის მიღმა ჩადის, თითქოს ზღვაში ჩაეშვაო. ცის ტატნობი ლურჯი კი არ არის, როგორც დნეპრისა — სპარსული აბრეშუმივით ნაზი ფირუზისფერია უკიდეგანო ტრამალს ჩამომზირალი ყირიმის ზეცა.

ეს უდაბური ტრამალი მრავალჯერ ქცეულა ბრძოლის ასპარეზად, თუმცა პერეკოპის ვაკე ყოველ გაზაფხულზე მაინც საამოდ ყვავილობდა და ზაფხულის მზე ხრუკავდა, შემოდგომის წვიმა ასველებდა და ზამთრობით ყინვა თოშავდა. აქაურობაც მაშინ ავი და წყეული ქარბუქების საბურთაოდ იქცეოდა. სოფლებში კი ტრამალელები მრავლდებოდნენ. ისიც აქ დაიბადა, ამ ტეხასში, პერეკოპამდე ხუთი საათის სავალზე. იმასაც მზე რუჯავდა და ქარი სწვავდა. და კიდევ, ღარიბი დედ-მამის შვილს სულ შიოდა. მისი ბავშვობის პირველი მოგონებაც ტრამალი იყო.

ვინც ტრამალი არ იცის, იგი ვერ მიხვდება, როგორ ცხოვრობს ხალხი მოშიშვლებულ, ცარიელ ვაკეზე, მაგრამ ბიჭუნა დანილკო, უმცროს დაიას გადიად რომ ედგა, მიატოვებდა პატარას და სახლიდან გაპარულს ზღაპრულ ხალიჩასა-

ვით გადაეშლებოდა ტრამალი, სადაც საამოდ სურნელობდა ბალახი, ყვავილები, მზეც კი ცვილის სურნელს აფრქვევდა (აბა, მზეს ხელი გაუწვდინეთ და ცოტა ხნის შემდეგ დაყნოსეთ!). ტრამალში რა აღარ ხაროობს ყელის ჩასაკოკლოზინებელი, დანილკო ჯერ იმათ ჩამოუვლიდა, მერე კი მამისაკენ გაუტევდა, მებატონეთა ცხვარს რომ მწყემსავდა ლაშქარივით აურაცხელს. მამა მისცემდა პურის ქერქს, ერთ პაწია თავ ხახვსა და მარილს.

ტრამალში ათასგვარი ბალახბულახი ხაროობს, ოღონდ უნდა იცოდე, რა იჭმევა და რა არა, თორემ მტრისას ლენცოფა ან ყვავისხმალა. აი, ნაირ-ნაირი თეთრყვავილა, ფამფარა, რძიანა (ის კი არა, ნასვენ მიწაზე რომ ხაროობს), ბუჭ-ბუჭა — ეს ყველაფერი იაფი რამ სასუსნავი არ გეგონოთ, გულუხვი ტრამალის ძღვენია.

ტრამალს ხომ საითაც თვალი გაგექცევა, იქით შეგიძლია გაუყვე, გინდა მიწაზე გაწექი და დედამიწას გულზე ყური დაადე — შენ ოღონდ ყურის დაგდება შეიძელ: ხმაურობს და გუგუნებს, ხოლო თუ პირალმა წევხარ და უძირო ზეცას შესცქერ, როცა ლურჯ სივრცეში თეთრი ღრუბლები მიცურავს, მოგეჩვენება, მიწას მომწყდარხარ და ცად ეშურები, ღრუბლებს მკლავებით მიაპობ, სულ მაღლა და მაღლა მიფრინავ, მერე კი, მიწას დაბრუნებული, უეცრად აღმოაჩენ თურმე ტრამალში რამდენი მეგობარი გყოლია.

აი, ცაში აჭრილი ტოროლა თავის მდედრს რომ უმღერს, ქარს აყოლილი არწივი ჰაერში გარინდულა, ნება-ნება არხევს ფრთებს, საკბილოს დაეძებს. მიწისმზომელივით დააბოტებს ყარყატი, ხახვის ფოჩივით მწვანე ხვლიკმა მინდორი გადაირბინა, ზუზუნებენ გარეული ფუტკრები, ნექტარს აგროვებენ, წრიპინებს თრია, კალიები თავიანთ ვიოლინოებს ისე აჭრიკინებენ, როგორც სოფლის მეწაღე ქორწილში.

ნეტავ საით ჩადის მზე, უკიდეგანო ტრამალით ქვეყნის დასასრულისკენ რომ გიტყუებს უფსკრულში გადასახედად, სადაც ალბათ უკვე დახვავებულა ჩამქრალი მზეები. ნეტავ რარიგ ყრია უფსკრულში მნათობები — ცხავებივით, ტაფებივით თუ ყვითელ შაურიანებივით?

პატარა მეცხვარე (რა გაიწვრთნება, შეუძლია რიგიანი მწყემსი დადგეს და ბოლოს მამა მეცხვარე შესცვალოს) შინ ბინდისას დაბრუნდა, დიდი პაპა შემოეგება და უამბო, როგორ ჯავრობდა დედა და როგორ ტიროდა ბედის ანაბარა დაგდებული ჩვილი. ახლა ალბათ დედა გცემს, მაგრამ ნუ გეშინია, წამო, ერთად ვივახშმოთ, ჩემთან ხელს არ გახლებს, მერე თუ მაგრა ივახშმებ, აღარც გეტკინება, ასე რომ, რაც შეგიძლია მაგრა გამოძეხი და არ შეშინდეო. დანილკომ და დიდმა პაპა დანილომ ერთად გასწიეს შინისკენ და ეზოში შევიდნენ. ბალღივით არისო ამ ხნის ბერიკაცი, ამბობდნენ მათი შემხედვარენი.

სახლთან კი სირნო[1] იდგა, დიდებული ვახშამი ელოდათ: მჟავე ბურახი და ქერის ლავაშები.

მერე ფარდულში შესული დანილკო, სადაც დიდ პაპას ეძინა, თვალზე უნებურად მომდგარ ცრემლს იწმენდდა. მწარე ხელი აქვს დედაჩემს, სხვას აქამდე გულზე მოეშვებოდაო. „გეტკინა? — ჰკითხა დიდმა პაპა დანილომ, — ყურადღებას ნუ მიაქცევ, ოჯახს ხომ ეგ ინახავს და დიდი ჯაფა ადგას, გვაჭმევს და გვასმევს, მაშ, ნუ გვეწყინება, ხანდახან თუ წამოგვარტყა კიდეც. მამაშენი კი

[1] ს ი რ ნ ო — პატარა, მრგვალი მაგიდა, რომლის გარშემო მიწაზე სხდებიან.

უქნარაა და ლოთი, ცხვრიდან ისევ გამოაგდებენ, მერე სამიკიტნოში დაიღამებს და გაითენებს, ამაყი ბიჭია და ქედს არავის მოუხრის, ხალხს კი ქედის მოდრეკა და პატივისცემა უნდა, სხვანაირად თავს ვერ გაიტან. არადა აგერ, ჩემსავით ცარიელ-ტარიელი დარჩები". დიდ პაპასთან ჩახუტებულ დანილკოს უკვე ჩასძინებოდა, ეძინა იმ ფიქრთაგან თავისუფალს, წლებს რომ მოაქვს, ისე ეძინა, თითქოს მთელი დღის შრიალით დაღლილი ბალახი ყოფილიყოს.

და მისი ბავშვობის ყველა გაზაფხული ერთ დიდ მოგონებად ქცეულიყო. დანილკოს დიდი პაპა გაზაფხულის მესაიდუმლედ, ტრამალის ზნე-ჩვეულებათა მეუფედ ესახებოდა. წლითი-წლობით სულ უფრო და უფრო ლამაზი და ღონიერი გაზაფხული დგებოდა, გაზაფხულის მახარობელი ზაზუნა იყო, წმინდა იავდოხას დღეს მზეს დაასწრებდა ამოსვლას და სტვენდა.

დიდი პაპა გუმანით გრძნობდა, იმ დღეს ქარი საიდან დაუბერავდა, თუ დნეპრის მხრიდან — თევზაობა იღბლიანი იქნებოდა, თუ ტრამალის მხრიდან — ფუტკრებს კარგი დღე დაუდგებოდათ, თუ ქვენა ქარი დაჰქროლებდა — უხვი მოსავალი იყო მოსალოდნელი, ხოლო პირველ მერცხალს თვალს რომ მოჰკრავდი, ერთი მუჭა მიწა უნდა გესროლა — „აჰა, მერცხალო, ბუდე გაიკეთეო!", მერცხლები თბილ ქვეყნებში კი არ მიფრინავდნენ, არამედ ზღვის, მდინარისა და ჭის ფსკერებზე იბუდებდნენ და იქ იზამთრებდნენ.

შემდეგ ცისფერი ფურისულა ამოიწვერებოდა. დიდი პაპა საჩქაროდ მოაწყვეტინებდა, ფეხი დაადგიო, ეტყოდა. უნდა გაგეთელა ფურისულა და თან მიგეყოლებინა: „გთელავ, გთელავ, ფურისულავ, დღესაც გთელავ, ხვალაც, ღმერთმა მომცეს გაისადაც საამისო ძალა". მაგრამ ვინც ვერ მოასწრებდა, ის გაისად ფურისულას ველარ იხილავდა... ჰოდა, ფურისულა დანილკოს ჯადოსნურ სამყურად წარმოედგინა. ყოველი გამოჯანსაღებული ავადმყოფის დანახვაზე იტყოდა ხოლმე: „ო, ახლა კი მოესწრება ფურისულასაო".

ახლა გაზაფხულის პირველი ჭექა-ქუხილი. მას შემდეგ დედამიწა კიდით კიდემდე ლხვებოდა, გოგონები ჭისკენ გარბოდნენ, ჭის წყლით პირს იბანდნენ და წითელი ქამრით იმშრალებდნენ, იქნებ მეტად გავლამაზდეთო. ჭაბუკები კი სახლებს ებღაუჭებოდნენ, აწევას ცდილობდნენ, იქნებ ძალ-ღონე მოგვემატოსო. და მხოლოდ პირველი ჭექა-ქუხილის შემდეგ დასხდებოდნენ ხოლმე ეზოში, სუფთა ჰაერზე სავახშმოდ. ო, გაზაფხულის პირველი ჭექა-ქუხილი.

ორმოცი წმინდანის დღეს, დღე ღამეს რომ გაუტოლდებოდა, სკოლაში მასწავლებლისთვის ორმოცი ბლითი უნდა წაგეღო. მთელი სოფელი აცხობდა პურის ფქვილის ტოროლებს — ნისკარტიც ჰქონდათ და ფრთებიც. სკოლაში ბავშვები ამ ტოროლებით პირს იტკბარუნებდნენ, დანილკოს კი ქერისა გამოუცხვეს, დედა ტიროდა, რადგან ერთი მუჭა პურის ფქვილიც კი არ აღმოაჩნდა. დანილკოს დედის წუხილის არა გაეგებოდა რა და სკოლაში ყველას სიამაყით უჩვენებდა თავის კოხტა ფრთოსანს, შეჰხაროდა, ბუდეც გაუმართა, მერედა რა ლამაზი ფრთები ჰქონდა. ჰოი, დედა რომ ტოროლას გამოაცხობს — იმისთანა ტყუილია, სწორედ რომ ნამდვილსა ჰგავს! მუცელშიც ბალახის ღერი ჰქონდა ჩატანებული და ის ღერი თაფლივით ტკბილი იყო, შეძლებული ოჯახის შვილები დანილკოს ქერის ტოროლაში ქალაქურ ბლითს უცვლიდნენ, ნურას უკაცრავად, განა ქალაქში ასეთი ტოროლასთვის ვინმეს თვალი მოუკრავს?

დანილკომ ტოროლა მერხზე დაისვა და რვეულში გაკვეთილს რომ წერდა, მაშინაც კი თვალს ვერ სწყვეტდა საყვარელ ფრთოსანს, სამელნის გვერდით სულ-

დგმულივით რომ დასკუპულიყო და ალმაცერად უცქერდა ბიჭუნას ჯახირს. ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ დანილკომ ტოროლა ხუთ ცალ პურის ფქვილისაგან გამომცხვარ ჩიტში გაცვალა და შინ უბით წაიღო: პურის ფქვილის ტოროლას დედაც იგემებს, პაპა დანილოც, ლოთი მამაც, თავად დანილკოც მიირთმევს, ერთსაც დაია უსტია დალოლნის, ჯერ ხომ კბილები არ ამოსვლია!

წმინდა ოლექსა ტფილის დღეს მეზობელი სარდაფიდან მზეზე გამოიყვანდა ხოლმე ფუტკარს, და აბა, სიხარულით როგორ არ გადარეულიყვნენ მწერები. სკიდან ჯერ ერთი ფუტკარი ამოძვრებოდა, გათბებოდა მზეზე და ფრენას დაიწყებდა, იმის ცქერაში აგიჭრელდებოდა კიდეც თვალები. მალე სკას გუნდგუნდად დაფრენდნენ ფუტკრები. მეზობელი კი საკმეველს აკმევდა, ჯვართთაყვანისცემის კვირაც კარზე იყო მომდგარი, როცა მარხვა აღდგომის წინ შუაზე ტყდება და ძველი ხალხის თქმით, ტკაცანიც კი ისმის.

ცივა, პური არა აქვთ, კვერებისა და მჟავე ჭარხლის იმედზე არიან, დედამ ბიჭუნა კუთხეში დააყენა და ლოცულობს: ლოცვებს ხმამაღლა წარმოთქვამს, რათა დანილკომ გაიმეოროს, ის კი სულ იმის მოლოდინშია, როდის გაიტკაცუნებს ჯვართთაყვანისცემის კვირა და მარხვა შუაზე გადატყდება. ტკაცანი კი არადა არ ისმის, ლოცვაც დამთავრდა, მაშინ დანილკო თავად იწყებს ჭეშმარიტი შთაგონებით ლოცვას — იმ უსაყვარლესი ლოცვის წარმოთქმას, დიდმა პაპამ რომ ასწავლა: „ღმერთო, მომეც კარტოფილი, კისელი და კეთილგონიერება“.

ბზობას დიდი პაპა ცისკრის ლოცვიდან ადრიანად ბრუნდებოდა და დანილკოს ღუმელიდან ნაკურთხი ბზით ჩამოაგდებდა: „დასცხე, ბზაო, სულ ცრემლები ადინე! მე კი არ გცემ, ბზა გირტყამს, ერთ კვირაში აღდგომაა: იყავ ბზასავით ძლიერი, წყალივით ჯანსაღი, მიწასავით მდიდარი!“ მერე ნაკურთხ ბზას ხატს უკან შემოსდებდნენ, ბზის ნახარში ხომ უებარი წამალია ჩამომდნარი ბავშვის მოსახედად. როცა ბავშვს სნეულება ხელს დარევდა, დედა იმ ბზას მოხარშავდა, ნახარშს ვარცლში ჩაასხამდა და მთვარის ავსებისას აბანავებდა პატარა უსტიას, თან სიტყვას აყოლებდა: „მთვარეო ადამ, შენი სახელია აბრამი, ან ამ ძვლებს შეასხი ხორცი, ან მიიბარე ძვალტყავად ქცეული ადამიანი!“

დიდი პაპა დანილო შუა ეზოში მთვარის შუქზე დადგებოდა და იცინოდა: „ძროხა დაგიკლა, ქალო!“

საღამოობით გოგონები წრედ ან მწკრივად დასხდებოდნენ და გაზაფხულის სიმღერას მღეროდნენ, ჭაბუკები კი ხმას არ იღებდნენ, რადგან გაზაფხულის ქება-დიდება გოგონების საქმე იყო: „გაზაფხულდა, გაზაფხულდა, კაზაკ გოგოს შეეცვალა იერი, წვეთავს წყალი, წვეთავს წყალი, და გოგონას წინ შორი გზა მიელის...“ მღეროდნენ გოგონები — შრომისას, მოცალეობისას, მებატონის მინდვრებში ოფლის ღვრისას თუ საკუთარ მწირ მიწებზე ჯახირისას, მშივრები თუ მაძღრები, გახრეკილი ზამთრის შემდეგ — მღეროდნენ გოგონები და გაზაფხულს ხოტბას ასხამდნენ. ჭაბუკები კი გარს ეხვეოდნენ, ასეთია ტრამალის ადათი — სადაც არ უნდა იყვნენ, ყველგან იმღერონ და საეჭვოა, რომ დუნიაზე ვინმემ ტრამალელებივით სიმღერა იცოდეს.

ასე სიმღერასა და კატორღულ შრომაში მიიწურება მარტი და დადგება აპრილის თვე, როცა ყველაფერი აყვავებას იწყებს: არყის ხე და თეთრყვავილა, ოქროსფერი ადონისი და ფაფუკი, მოვერცხლისფრო-იასამნისფერი სიზმარა. გახურებულ ტრამალში დამდგარ ნატბორებს ჰგავს ოცნებაში ჩაძირული ალუბლის ბაღები. ჟუჟუნა წვიმა მტვერს ააყენებს და აორთქლდება. მოთხუპნული, მშიერი

ბავშვები წვიმაში დარბიან: „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა... დანამა, დანამა...“

დანილკო პატარა უსტიას უნანავებს და არ შეუძლია წვიმაში გავარდნა. ხოლო როცა უსტია მოკვდება, მასაც დიდი ადამიანივით მერხზე დაასვენებენ, დიდი პაპა დავითნს წაიკითხავს, თითქოს უსტია იმ ტყავის წიგნიდან მართლაც რამეს გაიგებდეს, მერე დედა უსტიას სულის სახსენებლად კარტოფილისა და ლობიოს გემრიელ ღვეზელებს გამოაცხობს, თუმცა უსტია პატარა და მავნე ვინმეა, მაინც ადამიანია და მისი სული მოუხსენებლად სახლიდან არ გაფრინდება.

მერედა რა საამური სურნელი დასტრიალებს ტახტზე დასვენებულ მიცვალებულს, ფანჯარაში მზე ხელებს იწვდის, დიდი პაპა დავითნს კითხულობს, სანთელს ისე დაფუთფუთებს ალი, თითქოს ფუტკარი დასტრიალებდეს ყვავილს, ცხედრისა და ფიჭვის ბურბუშელის სუნი დგას, შეგიძლია კუთხეში იჯდე და დიდხანს უცქირო ტახტზე დასვენებულ გაყვითლებულ უცხო კაცს, გეგონება, ხატიდან ღმერთი გადმოსულაო, მიცვალებულს კი თავს დაჰფრენს სხეულს განრიდებული სული, შენ თვალი უნდა გეჭიროს კუთხეში მდგარ თაფლით სავსე ჭიქაზე, საიდანაც სული თაფლს სვამს, თაფლი იკლებს, სული კი არადა არ ჩანს, ნეტა იმ ძიას სული ტოროლას ჰგავდა თუ მერცხალს, იქნებ ფარვანას, ანდა სულაც მკბენარა ბზიკს.

ლობიოს ღვეზელი ძალიან გემრიელი და ფუმფულა იყო, დანილკო მადიანად ილუკმებოდა, კარგად იცოდა, ღვეზელები მიცვალებულის სულის სახსენებლად გამოეცხოთ, მკვდარი ძიას ცოლი კი იმდენად ბრიყვი დედაკაცი იყო, რომ აღარც ახსოვდა, დანილკოს რამდენი ღვეზელი უწილადა, თუნდაც მეათე აგეღო, არაფერს გეტყოდა, მეზობლებთან იდგა და მოსთქვამდა. რა სიხარული იყო, როცა ვინმე გარდაიცვლებოდა — იქ საქმე დანილკოდ არ მოხდებოდა: დიდ პაპას დავითნის წასაკითხად ეძახდნენ, ბადიშიშვილი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად მიდიოდა, ასე ირჩენდნენ თავს. გარეთ გაზაფხული იდგა და თბილი წვიმა მტვერს აყენებდა. აღდგომისწინა მარხვაც უკვე კაკალივით მოგორავდა.

ახლა ვნების კვირას აღარ იკითხავთ, როცა სახლებს ათეთრებდნენ და ეზოკარს ასუფთავებდნენ. დანილკოს დედა, მართალია, ღარიბი ოჯახის დიასახლისი იყო, ეზოში ერთი თხაც არ ება, მაგრამ იმ ეზოს კიდეც დაგვიდა, მიალაგ-მოალაგებდა, სახლსაც წინწკლებითა და ვარდებით მოხატავდა, ღუმელსაც მთელ დღეს შეალევდა და ათასფრად ააყვავილებდა. სოფელში მასავით არავის ემარჯვებოდა ღუმელის მოხატვა.

რიგორიხას ნიჭის ამბავი სოფელში ყველამ იცოდა, ვინღა არ ეძახდა, ისიც გულს არავის სწყვეტდა, მეზობლებს ღუმელებს უხატავდა ლურჯი თუ წითელი საღებავით, შავით თუ მრეშით, ყვითლით თუ მწვანით, როგორც განსვენებულ დედამისს ესწავლებინა, თან შორეულ ქალაქ ზოლოტონოშის მახლობელ მშობლიურ სანახებს იხსენებდა, იმ არემარეს, საიდანაც წამოეყვანათ. აი, ამგვარ საქმიანობაში გაილეოდა ხოლმე ვნების კვირა და დადგებოდა აღდგომა. დანილკოს აღდგომა დღე დედის ცრემლებს აგონებდა, რადგან მამა სულ სხვებთან იჯდა და ვინც კი დაუძახებდა, ყველასთან სვამდა.

მწყემს რიგორს ყველა მასპინძლობდა, რიგორიც აგინებდა მდიდრებს, ვისთანაც სვამდა, ათას რამეს ჰყვებოდა მღვდლებზე, თან ყვიროდა და ფუჭად ჩავლილ სიცოცხლეს სწყევლიდა. რიგორს უსმენდნენ, სიტყვას არ აწყვეტინებდნენ,

კარგად იცოდნენ, სადაცაა სიმღერას შემოსძახებდა, იმ სიმღერის მერე კი კაცს აღარაფერი ეწადა.

დანილკო მამას მოძებნიდა ხოლმე და შინ წაიყვანდა, გზაში იმ სიტყვებით ლანძღავდა, დედისგან რომ ესწავლა, რიგორი კი ცდილობდა, არ ებარბაცა და მთელი გზა ტიროდა. ზოგ-ზოგები აბრაზებდნენ დანილკოს, ასეთი და ისეთიაო მამაშენი, ხოლო დანილკო მამას ვინმე მეზობლის ჭიშკარზე მიაყუდებდა, მყის წამოეწეოდა ბიჭებს და დაუნდობელ მუშტი-კრივს გააჩაღებდა, მარტოკა ებრძოდა რამდენიმე ბიჭს და უკან გასისხლიანებული, ხალათჩამოხეული, მაგრამ გამარჯვებული ბრუნდებოდა, მტრისთვის არ ეპატიებინა ლოთი მამის უპატივცემულობა, თან სრული გამარჯვების აღსანიშნავად დამარცხებულთათვის საღდგომო საჩუქრები წაერთმია.

შინ სუფრას უსხდნენ დედა და დიდი პაპა, მაგიდაზე ღარიბული სახსნილო საჭმელი ელაგა, წარბშეკრული დედა დიდის ამბით მიაწოდებდა მამას ნაკურთხ პასქას, ხოლო ლოთი, როგორც ოჯახის უფროსს შეჰფერის, პასქას ჯერ ჯვარედინად გადასერავდა, მერე დაჭრიდა პატარ-პატარა ნაჭრებად და ყველას ურიგებდა. დედას გაქვავებულ ღაწვებზე ცრემლი სდიოდა და ნამცხვარს ეწვეთებოდა. ოჯახის ღირსების დასაცავად გადახდილი ბრძოლის შემდეგ დანილკო მაგიდასთან შეუდრეკელი მებრძოლივით იჯდა. დიდი პაპა დანილო გაბანჯგვლულ წარბებს ქვემოდან თვალებს აკვესებდა. აღდგომა დღე დავიდარაბის მეტი არა იყო რა, რადგან იმდენი ხიფათი, რაც დანილკოს გაზაფხულის ამ დიდებულ დღესასწაულზე გადახდა, სხვა ბიჭისთვის მთელი წელი იკმარებდა. დანილკო მდიდრების ცინგლიან ბიჭებს ართმევდა პასქასა და წითელ კვერცხებს, სხვების საქანელებზე ქანაობდა, თაგვებს ნაკურთხი პასქის ნამცეცებით აპურებდა, თან თვალი ეჭირა, ამ ცოდვის ჩამდენი თაგვები ღამურებად თუ გადაიქცევიანო.

გაზაფხულის ნათელ დღეებთან შედარებით, აღდგომა სულ არა ჰგავდა ნამდვილ დღესასწაულს, აღდგომის ორშაბათი სჯობდა, როცა მთელი სოფელი განსვენებული ნათესავების სულის მოსახსენებლად სასაფლაოზე გადიოდა. ყოველ საფლავთან, ქრისტე აღსდგაო, იტყოდნენ, მერე საფლავებთან ჩამოსხდებოდნენ და მიცვალებულებს იხსენებდნენ. ხელიდან ხელში გადადიოდა სირჩა, დიდით — პატარამდე. „დაე, განისვენონ და ჩვენ იქ მოგველოდნენ“, — „მსუბუქი ყოფილიყოს მათთვის მიწა“, ხოლო მამა რიგორი საშინელ სამსჯავროზე სიმღერას რომ წამოიწყებდა, ყოველის მხრიდან მოდიოდა ხალხი, მოჩლახუნდებოდნენ მათხოვრებიც — „განიკითხეთ, დედი, განიკითხეთ ღვთის გლახა“. დედაც დამწუხრებული იჯდა დიდედას საფლავთან. „გვიახლოვდება საშინელი სამსჯავრო“, — მღეროდა მამა რიგორი.

დიდი პაპა დანილო სირჩას ცლიდა და ხახვს აყოლებდა, „რა წუთს საშინელი სამსჯავროს წინაშე წარვდგებით — სიკვდილიც მოგვაკითხავს, და თუ რამ გვაბადია — ყველაფრის დატოვება მოგვიწევს“. დანილკოს ბავშვობის ყველა გაზაფხული ერთმანეთს ერთვოდა, მისი სიცოცხლე ტავრიის უკიდეგანო ტრამალში მიედინებოდა, დედამიწის უსაზღვროება სამუდამოდ ჩაურჩა ცნობიერებაში, როგორც თავად ბავშვობა და მაისის თვე, როცა გიორგობა გასულს ამოიწვერება სამკურნალო და სათივე ბალახი.

მაშინ მინდვრებს აკურთხებდნენ, ოქრომკედიან ანაფორებით მოსილი მღვდლები საცეცხლურებს აქნევდნენ, დანილკო მგალობელი იყო, „მაისში თუ სამჯერ კარგა იწვიმა, სამი წლის სარჩო პურს მოიმკის გლეხი“. აკურთხებდნენ

ქ. მარტვილის სახ. სულ. სსრ
სახელმწიფო რ. ბიბლიოთეკა

წყაროებსა და ჭებს, ბალახსა და წყალს, თვალი ეჭირათ, როდის დაიძახებდა გუგული — ღმერთმა ნუ ჰქნას, გაუფოთლავ ხეზე მჯდარიყო, იმ წელს მოსავალს ველარ მოიწევდნენ, გიორგის ცვარს ბოთლებში აგროვებდნენ თვალის სამკურნალოდ, ამ დღეს მწყემსები და მეცხვარეები წმინდა გიორგის გულის მოსაგებად მარხულობდნენ, მგელი ხომ გიორგის წმინდა ძაღლად ითვლებოდა, თუ გიორგი წყალობას მოიღებდა, ნადირი საქონელს აღარ გაეკარებოდა, აღარც მაისი იყო შორი და ძალუმად ჰყვაოდა კვრინჩხი.

აი, დანილკო და დიდი პაპა დანილო სოფელს გასცდნენ და სამხრეთისაკენ დაადგნენ ტრამალს, მათ წინაშე გადაიხსნა ცისფერი სივრცე, სამხრეთის თვალსაწიერზე, შორეული ზღვის ზევით გამოიშალა გრუზა ღრუბლები, თითქოს დედამიწის კიდეზე აყვავებული ალუბლის ბაღი აღჩენილიყოს.

მიაბიჯებდა დიდი პაპა და მოწაფე ბიჭუნაზე ჰაიდამაკურ სიმღერას მღეროდა: „აგერ მოდის პოლონელი მოწაფე, ღორის ტყავის აცვია ნიფხავ-პერანგი“. დანილკო ზეცას ასცქეროდა, თვალს არ უჯერებდა, ცაზე ისე სწრაფად იზრდებოდა ალუბლის თეთრი ხეები, აქეთა მხარეს გადმოხრილიყო კიდეც აქანებული ალუბლები, მაღლა ნიავქარი ჰქროდა და აყვავებულ ალუბლებს რძისფრად აფეთქებულ რტოებს უმტვრევდა.

ამ თვალშეუდგამ სამყაროში დანთქმული, ღრმად მოხუცებული დიდი პაპის გვერდით მიმავალი დანილკო თვალებს ხუჭავდა, დიდი პაპა გზადაგზა ძველებურ სიმღერებს ღიღინებდა, თან ბადიშიშვილს ზღაპრებსა და ზღაპრისთავებს უამბობდა, უხსნიდა, რომელ ბალახს რა ერქვა და რომელ ყვავილს რა სიკეთე მოჰქონდა.

მთელი ცხოვრება უნდა იარო და იარო — მაშინ გაიგებ სიცოცხლის ფასს, სიკვდილი როდი მოგინდება, მთელი ჩვენი მოდგმა ფეხით მოსიარულეა, ჩვენს წინაპრებსაც ჰყვარებიათ ფეხით სიარული, ჰოდა, დანილკოც ალბათ იქამდე ივლის, სანამ ფეხები არ დასძვრება. ჩვენი ჯილაგი შეუპოვარი და დაუდეგარია, ოდითგან კაზაკობდნენ და მიწას ხნავდნენ, მდინარე პსლოსთან დასახლებულან, ამ ადგილისთვის ტურბაი[1] შეურქმევიათ, სოფელსაც გამუდმებული შფოთით, განგაშითა და ამბოხებით უცხოვრია. მართლაც ნამდვილი ტურბაები იყვნენ ჩვენი წინაპრები, ბატონმა კი ყმობა მოუნდომა. დედოფალ ეკატერინას ზაპოროჟიელ კაზაკთა ბანაკიდან საყვარელი ჰყოლოდა, ვინმე გრიცკო ნეჩესა, სწორედ მას გაუხმაურებია ბატონის განზრახვა. ტურბაებსაც თავიანთი კაზაკური უფლებების დადგენა უცდიათ, მაგრამ ბატონს დაბადების მოწმომები ეკლესიიდან მოუპარავს და დაუწვავს. ასე რომ, სასამართლომ ვერაფერი გადაწყვიტა. მაშინ დაუხოცავთ ბატონები, მოსამართლეებიც უცემიათ, მერე ხუთი წელი იგერიებდნენ მტერს. ერთხელაც მეფის ჯარს ალყა შემოურტყამს და ეგონათ, აღსასრულიც დაგვიდგაო. როგორც ყველა ზაპოროჟიელი, გრიცკო ნეჩესაც ჯადოსანი იყო, როგორღაც ალყას გააღწია, თანამოძმეებიც გაიყვანა და ორი მიმართულებით გაგზავნა: დნესტრისაკენ და პერეკოპისაკენ. ჩვენც ტურბაების მოდგმისა ვართ, ყმებად არასოდეს ვყოფილვართ, დე, ნურც დანილკო იქნება.

„მოწაფე აიძულეს „მამაო ჩვენო“ წაეკითხა, თვითონ კი ვეგერის ცეკვით ფერდები ჩაიქციეს“, სწორედ დღეს გაზაფხულის წმინდა მიკოლამ წყალი უნდა აკურთხოს, ნახე, ზღვაზე როგორ გაივლის და წყალს სასხურებლით აკურთხებს,

---

[1] ტ უ რ ბ ა ● — შფოთისთავი.

რომ ხალხს ბანაობის ალო დაუდგეს. მთელი დღე სასხურებლით ივლის და წყალს აკურთხებს. ამ დროს თუ ვინმე იხრჩობა, მყის ამოიყვანს, მოაბრუნებს და სამიკიტნოში შეიყვანს. „უფალო ღმერთო, განმარიდე სივრცეს დამცროობილსა და მაწიე უკიდეგანოს“, — ასე იწყებოდა გაუთავებელი ჰაიდამაკური სიმღერა.

მთელი დღე ასე იარეს და სულ მებატონის მიწაზე მიაბიჯებდნენ, „ბატონს იმდენი მიწა აქვს, რამდენიც მრისხანებაო“, გამოჩნდა ზღვა, მეთევზეებთან წაიხემსეს, „ჩვენს მეთევზურ პურზე უკეთესს ვერსად ნახავთ, თქვენ კი, წიწიბუ-

რას მთესავებო, თესეთ წიწიბურა, ამ ბერიკაცმა ალბათ საიქიოც მოიარა, შეხე, რა გამხმარი და ზანგელაა, ბერიკაცო, აბა, თითო სირჩა გადავკრათ, დღეს ზღვაზე თავად მიკოლა დააბიჯებს, ჩვენ კი აგერ ნაპირზე ვყრივართ".

დიდი პაპა დანილო სირჩას ცლიდა, მზე აუჩქარებლად ჩადიოდა, ზღვაზე დატვირთული ორანძა ნავი მიცურავდა, გეზი დასავლეთისკენ ეჭირა — ჯარილგაჩის ისარას, ტენდერის კუნძულის, კინბურნსკის ისარასა და ოჩაკოვის გავლით მიემართებოდა ზბურივკისკენ, გოლოი პრისტანისკენ, კარდაშინისკენ, ან ოლეშკისკენ, ანდა სულაც ხერსონისკენ, ბრიტანისკენ, კახოვკისკენ.

დიდი პაპა დანილო მეთევზეებს ათასნაირ თქმულებებს უამბობდა და ძველებურ სუფრულ სიმღერებს უმღეროდა, მეთევზეები პირდაღებულები უსმენდნენ, „ასეთ ბერიკაცს კომბლიანი ეშმაკიც ვერაფერს დააკლებსო". დანილკოც გაკვირვებული იყო, ასე მოლხენილი დიდი პაპა არასოდეს ენახა, ჯერ კიდევ რამდენი ძალა ედგა გაძვალტყავებულ სხეულში. ზღვაზე და ზღვის სანაპიროზე ბინდი წვებოდა, ტლაშუნობდა ტალღები, სურნელობდა უკიდეგანო, ბინდდაფენილი ტრამალი.

მეთევზეები ზღვაში შორს მიცურავდნენ, დიდი პაპა კი ნაპირთან ბანაობდა, დანილკოც იქვე ჭყუმპალაობდა, მლაშე წყალში ყურყუმელაობდა, ბოლოს გაითოშა და რომ გამთბარიყო, დიდხანს ირბინა და იცეკვა. დიდმა პაპამ მიწაში მყუდრო ორმო ამოთხარა და დანილკო ჩააწვინა, თავად შორიახლო იდგა და უსასრულო ვარსკვლავეთს გასცქეროდა, სიბნელეს ჩაშტერებოდა, თითქოს ლურჯ სივრცეს გაეტაცა და ვერც ცქერით გამძღარიყო და ვერც ფიქრით ეჯერებინა გული, დანილკოს კი ტკბილად ჩასძინებოდა, ძილში დროდადრო ლეკვივით წამოიწკმუტუნებდა.

გვიან დილამდე ეძინა დანილკოს, თვალი რომ გაახილა, დიდი პაპა ისევ ისე იდგა, როგორც გუშინ საღამოს დატოვა. სანაპირო ცარიელი იყო, მეთევზეები ზღვაში გასულიყვნენ. „წამო, შვილო, — უთხრა დიდმა პაპამ, — დღეს სიმონ ზილოტას დღეა და სამკურნალო ბალახებს კრეფენ, წამო, უზმოზე მოვძებნოთ დედაფესვი, რომ შენ კიდევ დიდხანს ტკეპნო ეს ცოდვილი მიწა, მე კი წარვსდგე, სადაც ჯერ არს".

ეს სიტყვები საზეიმოდ და არაამქვეყნიურად გაისმა. ზღვა უკან მოიტოვეს და ტრამალს მიჰყვნენ, ღარტაფში ჯერაც მსუბუქი ორთქლი ასდიოდა ბალახს, ცაში ტრამალის დიდი ფრინველი დანავარდობდა, ჩქამი არ ისმოდა, ნიავიც არსად იყო, მზე აცხუნებდა და მგზავრებს თენთავდა. დანილკოს მთელი ბლუჯა ყვავილები, ფესვაკები და ბალახები მიჰქონდა, დედაფესვი ტკბილი პურივით სურნელობდა. „დანილკო, აი, ესეც ტრამალის ბალბა", — უთხრა დიდმა პაპამ და ყვავილისთვის დაიხარა. ანაზდად მუხლი მოეკვეთა, ხელები გაშალა, თითქოს მიწას უნდა შემოჰხვიოსო, დაეცა, თითქოს საიდუმლო რამ ჩაესმაო, ბალახში ჩაიკარგა თეთრი წვერი, ამღვრეული მზერა მიაპყრო დანილკოს, „დიდხანს იყავი, შვილო", — უთხრა და გათავდა დიდი პაპა.

მაშინ მიმოიხედა დანილკომ და პირველად იგრძნო სიმარტოვე, ანაზდად თითქოს ქარმა წაიღოო, ადგილიდან მოსწყდა და უმისამართოდ გავარდა ტრამალის მცხუნვარე მზისქვეშეთში, ხოლო მანძილი დიდ პაპასა და ბადიშიშვილს შორის სულ უფრო და უფრო გაიზარდა და გაიზარდა, თითქოს ბუნებას ახლაღა მოეწადინებინა თაობათა შორის წონასწორობის აღდგენა.

შალანდა ზღვაში

ტრამონტანი[1] ნაპირიდან ჰქროდა, იანვარი თუ თებერვალი იდგა, ზღვა ასეულ მეტრზე გაიყინა, წყალზე ტალღები დანავარდობდა, თვალსაწიერზე თეთრი ფაფარი აშლოდა ჩაქუფრულ ზვირთებს, ნაპირისაკენ ქარის საპირისპიროდ მოგორავდა და ტრამონტანი თეთრ ქუდებს სტაცებდა. ქარიშხალმა ნაპირთან ყინული დაამტვრია. ეს ყველაფერი იმას მოასწავებდა, რომ მალე ნამდვილი გრიგალი ამოვარდებოდა, ნაპირზე კი ქანდაკივით იდგა მოხუცი პოლოვჩიხა და კაბა უფრიალებდა, ქალი ტანადი იყო და მკაცრი, სწორედ ისეთი, სიმღერაში რომ იტყვიან.

გალმა ოდესა მოჩანდა, იქ დაჰქროდა ტრამონტანი და ცადაზიდული ქალაქი იმ ორანძა ნავის ჩონჩხს ჰგავდა, იალქნები რომ ჩამოეხსნათ და ძრავას. ან ორთქლის მანქანას უდგამდნენ. ოდესას კიდევ ერთი ზღვისპირული ზამთარი უნდა გადაეტანა, არც ერთი მხრის ქარი გვერდს არ უვლიდა ქალაქს. დროდადრო ზღვიდან ნესტიანი, სქელი, ყომრალი ნისლი მოიწევდა. ახლაც მოულოდნელად დაიძრა ნისლი და ოდესას გადაეფარა. პოლოვჩიხა უძრავად იდგა, იქვე ნაპირზე, შალანდებთან მეთევზეები ჯახირობდნენ, ზღვას ყინულის ხორგები გამოჰქონდა, სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა, ფართო, სწორ ნაკადად მოქშუოდა ტრამონტანი. ზღვისპირეთის ზამთარი, ზამთრის ნისლი იდგა. შუა ზღვაში, ნისლის ფარდის მიღმა უკვე გრგვინავდა გრიგალი და ღონიერ, უზარმაზარ ზვირთებს მოაგორებდა. აკიაფდა ოდესის შუქურა, აწრიალდა წითელი და მწვანე ზოლები, წითელი და მწვანე სხივები.

პოლოვჩიხამ ზღვაში გააცილა ქმარი და ახლა იმის შალანდას მოელოდა. მკერდს ტრამონტანი ეხლებოდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა, წყალს კი სუსხი და გრუხუნი მოჰქონდა, ზღვამ მუსი ჩაითრია და ხარბად დაიღმუვლა. ქალს ზღვისა არ ეშინოდა, ტანადი და მკაცრი, მდუმარედ იდგა ნაპირზე და თავი ჩაუქრობელი შუქურა ეგონა.

„ვაი, ზღვაში გახვედი, მუსიეჩკო, — უსიტყვოდ მოსთქვამდა ქალი, — და შენი კვალი მლაშე წყალმა გადარეცხა. ნეტა მცოდნოდა, ხელისგულებით გავაპობდი წყალს, შენს კვალს მივაკვლევდი და ნაპირისკენ გამოვიხმობდი. დაჰქროლე, ქარო-ტრამონტანო, ზღვად გაიტანე ავდარი და გაჰფანტე ნისლი. მე კი აქ ვიდგები მარტოდმარტო ქვეყნის აღსასრულამდე, და თუნდაც ხედ ვიქცე, ზღვისკენ გავიწვდი ტოტებს და ფოთოლს ავაშრიალებ“.

როდის-როდის გამოჩნდა ზღვაში შალანდა, ტალღებს შორის ძლივს მოჩანდა, წყლის ბორცვებს უკან დიდი ხნით მიიმალებოდა, წამით გამოიხედავდა და ისევ სადღაც ჩაეშვებოდა, თითქოს უფსკრულმა ჩაიტანაო. შალანდა გრიგალს ებრძოდა, ნაპირამდე კი ტალღების ჩხრიალი თუ აღწევდა, შემზარავი სანახავი იყო წყლის მთათა შორის ადამიანივით გარჩენილი ეული შალანდა. ზღვა აბურთავებდა, ტალღიდან ტალღაზე აგდებდა, ზვირთებს აპობდა, ცეცხლივით მწველი იყო ყინულოვანი შხეფები, სველი ტანსაცმელი სხეულს ეკვროდა, მაგრამ არ ნებდებოდა მეთევზე, მუსი და უცხო კაცი ნაპირისაკენ მოიწევდნენ.

მოხუცი პოლოვჩიხა შალანდას თვალს არ აშორებდა, გულით იქ იყო, ნაპირ-

[1] ტ რ ა მ ო ნ ტ ა ნ ი — ჩრდილოეთის ქარი.

ზე მუსის არტელის მეთევზეები ბჭობდნენ, სოფლიდან ბავშვები მორბოდნენ, ნაპირზე ხალხი მოზღვავდა, ტრამალელი მოხუცი პოლოვჩიხა მოშორებით იდგა და წარბშეუხრელად უცქერდა ქმრის ბრძოლას, ზღვაზე ნისლი იდგა, საშინლად ციოდა.

„მოდიან, — თქვა ვიღაცამ, — აბა, ასეთ გრიგალში როგორ უნდა მიეშველო?“ ახალგაზრდა მეთევზეებმა შალანდებს მიაშურეს, უფროსებმა გზა გადაუღობეს: „ნუ სულელობთ, ბიჭებო, შალანდებს დაღუპავთ, თქვენც კიბორჩხალები შეგჭამენ. ჩვენი არტელი ღარიბია, არტელის უფროსი მუსი პოლოვეცი თუ გადარჩა, შალანდების დაღუპვისთვის თავებს წაგვაცლის“.

პოლოვჩიხამ დაინახა, როგორ გადაუტყდათ ნიჩაბი, შალანდა დატრიალდა, ყველას თვალწინ ერთ ადგილზე, ორგზის დატრიალდა, მერე ერთი ტალღა მიენარცხა, მეორემ კი უბიძგა, მაღლა შეისროლა და ამოაყირავა, ნავი ჩაიძირა. მაშინ მეთევზეები შალანდებს მისცვივდნენ და არტელის სიამაყე „მერცხალი“ ზღვისკენ გაათრიეს, შიგ ოთხი გოლიათი ჩაჯდა, უმალ ნიჩბები ააღირეს, რომ უზარმაზარ, თმაგაჩეჩილ ტალღას თავს გადავლებოდნენ. „მერცხალი“ დაფერდდა, ყინულის ხორგები დაეტაკა, წყალმა იხუვლა და ნავი ამოავსო, მეთევზეები ზღვაში გადაცვივდნენ, ახლა ნავის გადასარჩენად დატრიალდნენ. ტალღა ხელფეხს უბორკავდა, ერთად აქუჩებდა მეთევზეებს, ყინული თავებს უსერავდა, ბოლოს „მერცხალს“ ჩაეჭიდნენ, ნაპირიდან მარყუჟიანი თოკის ბოლო გადაუგდეს, იმათ ნავს ჩააბეს და ნაპირზე გაათრიეს.

მუსის გადმოპირქვავებულ შალანდას ტალღები დააქროლებდა, მეთევზეებმა ქუდები მოიხადეს. სწორედ ამ დროს ზღვაში ადამიანი გამოჩნდა. ყინულიან წყალში ვიღაც მოცურავდა, ნაპირისაკენ მოცურავდა, მაგრამ ტალღა უკანვე ზღვაში, ზღვაურ ნისლში აბრუნებდა...

წინ გავიდა გოლიათი მეთევზე, ხელში თოკის შუალო ეჭირა, ერთი ჭიქა სპირტი გადაჰკრა და წყალში შეტოპა, მაშინვე გალურჯდა, ნაპირზე მყოფნი კი იმ თოკის ბოლოს ათავისუფლებდნენ და გოლიათი ზღვაში გარჩენილი ადამიანისაკენ მიცურავდა, გზას ყინულის ხორგები უხერგავდა, ბოლო-ბოლო ყინულებს თავი დაალწია, უკან თოკი მისთრევდა, ადამიანი განწირული იყო, ზურგზე იწვა და ტალღები აბურთავებდა, გოლიათი მეთევზე კი მიცურავდა და მიცურავდა.

ადამიანი ცოცხალი აღმოჩნდა, სიცივეს მხოლოდ გრძნობა წაერთმია, გონს რა მოეგო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნაპირისაკენ გამოცურა. ისინი ტალღებში შეხვდნენ. დიდხანს იწვალეს, სანამ ერთმანეთს ხელს ჩასჭიდებდნენ, მუდამ ტალღა აშორებდათ, ბოლოს ბედმა გაუღიმათ, მაშინ კი თოკი ძარღვივით დაიჭიმა, ათობით ხელი ჩაეჭიდა, ათობით ხელმა ერთად მოსწია. ზღვაში მყოფნი ნაპირისაკენ მოისწრაფოდნენ, ყინულებში გზას მოიკვლევდნენ და წყალს ყლაპავდნენ. ნაპირზე გამოსულმა ფეხშიშველა უცხო კაცმა ფეხზე დადგომა ვეღარ შეიძლო. პოლოვჩიხამ იცნო ჩუბენკო. მთლად გათოშილიყო, მხოლოდ გული იყო ცხელი და ცოცხალი. ხელი შეაშველეს. „ამხანაგებო, — ძლივძლიობით წარმოთქვა ჩუბენკომ, — მე ვტირი რევოლუციის გმირს, საფრანგეთის მცურავი ციხიდან ჩემს დამხსნელს“. ზღვას ყველანი განერიდნენ, მოხუცი პოლოვჩიხა კი ნაპირზე დარჩა, ისე ტანადი და მკაცრი, სწორედ ისეთი, სიმღერაში რომ იტყვიან.

ზღვაში გადმოპირქვავებული შალანდა მოჩანდა. დაიხრჩო მუსი პოლოვეცი, ცოტა როდი იცხოვრა, მაგრამ პოლოვჩიხას ქმრისგან ცუდი არაფერი მოაგონდება. მუსი ნამდვილი შავზღველი მებადური იყო. მუდამ ასე ხდება, ახალგაზრდა გამოაღწევს, მოხუცი კი იღუპება. დოფინივკიდან ბიჭმა მოირბინა: „დიდედა, აღარ გვეყოლება პაპა მუსი, იმ ძიამ თქვა, პაპა მუსიმ ორჯერ ჩაყვინთა და მერე დაიკარგაო, ძიას პაპა მუსის კვალდაკვალ ჩაუყვინთავს და თავი ნავზე მიურტყამს, აღარ გვეყოლება პაპა მუსი“.

ნაპირი დაცარიელდა, მეთევზეები წავიდნენ, არავის გაჰკვირვებია, რომ მოხუცი პოლოვჩიხა ადგილიდან არ დაძრულა. ქალი ქმარს პანაშვიდს უხდიდა, იდგა ვით ქანდაკება და ტრამონტანი ეხლებოდა, გრიგალი არ ცხრებოდა, ყინულები ერთმანეთზე იმსხვრეოდა, ნაპირისკენ ნისლი მოიწევდა, ხან წითლად და ხანაც მწვანედ ციმციმებდა ოდესის შუქურა.

პოლოვჩიხას ოჩაკოვში გატარებული ქალიშვილობა მოაგონდა, გასათხოვარი რომ შეიქნა, ტრამბაკების[1] მფლობელებს ურიგებდნენ, შალანდების, კარაპების, ძრავიანი ნავებისა და ორჩხომელების პატრონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ! ქალი სახელგანთქმულ მეთევზეთა მოდგმისა იყო, ტრამალის სანაქებო მკვიდრთა შთამომავალი, მაგრამ ცოლად დოფინიველ მეთევზეს, შეუხედავ ჭაბუკ მუსი პოლოვეცს გაჰყვა. ტანმორჩილი მუსი მთელი თავით დაბალი იყო ქალზე, მაგრამ ასეთია სიყვარული, ასე შეჰყრის ხოლმე ბუნება დედალ-მამალს. პოლოვჩიხამ ბრძოლა დაიწყო სიცოცხლისათვის, თევზისათვის, მხარში ამოუდგა მუსის და ერთმანეთს მიაყოლეს ბიჭები. შვილები ზღვის პირას იზრდებოდნენ და მხარბეჭიან ვაჟკაცებს მალე ევიწროვათ თავიანთი პატარა სახლი, პოლოვჩიხას კი ეს სახლი მუჭაში ეჭირა — ოჯახს სათავეში დედა ედგა, ედგა, როგორც სალი კლდე ქარტეხილში.

შვილები გაიზარდნენ და დაიქსაქსნენ. ანდრი ბიძამისს სიდორს დაემგვანა, მასავით ლოხი და ღმერთმა იცის, რა დადგა, პანასს კი დედასთან კონტრაბანდული თავსაფრები, საყურეები, აბრეშუმი და კონიაკი ჩამოჰქონდა, პოლოვჩიხა ყველაფერს სკივრში აწყობდა და მერე დარდით აღარ იყო. პანასზე მძიმე მშობიარობა ჰქონდა, ამიტომაც გამორჩევით უყვარდა. ღამე ნაპირზე გასულ პოლოვჩიხას სულ ეჩვენებოდა, რომ პანასის ნავის ნიჩბების თქაფანი ესმოდა და მდევართაგან უნდა ეხსნა. ოვერკო კი არტისტია, „პროსვიტისას“ ბერძნებთან თამაშობდა და ჩვენებურად ნაბეჭდ წიგნებს კითხულობდა. ბიძამისის ხარჯზე სემინარიაში სწავლობდა, ვერაფერი შვილი მებადური იყო, მაგრამ ისიც ეცოდებოდა, რა ხანია, მისი არაფერი იცოდა, პანასისაც არაფერი იცოდა, ანდრი ალბათ მოჰკლეს, სიზმარში ნახა, ვითომ ჯვარს იწერდა.

მხოლოდ ივანი მუშაობს ქარხანაში და რევოლუციას ახდენს. მუსიც თოფებს მალავს (თუმცა ოდესაში ფრანგები დგანან, იმათში ჩვენიანებიც არიან), ერთხელ პროკლამაციების წასაღებად მოვიდნენ და მუსის გული გაუხეთქეს.

გადმოპირქვავებული შალანდა ტალღებზე ირწეოდა, გრიგალი დაუღლელად მძვინვარებდა. პოლოვჩიხას მოეჩვენა, შალანდა მოახლოებულიყო. ნაპირთან ტალღა მოაყენებს, მაშინ უნდა გამოვიტანო და გადავარჩინო, არტელიც მადლობელი დამრჩება — უშალანდოდ რა თევზს დაიჭერ. ნავი ნაპირისკენ მოიწევდა დაჟინებით, თანდათანობით, წუთი წუთზე.

---

[1] ტ რ ა მ ბ ა კ ი — პატარა ხომალდი.

პოლოვჩიხა შალანდას უცდიდა, რომ არტელის ქონება გადაერჩინა. ქალი წყალს მიადგა, ტალღა მუხლებზე გადაევლო, შალანდა სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა, უკვე ისმოდა ნავზე ყინულების ხათქახუთქი, უკვე მოჩანდა გაფსული ძირი, წყლიდან ხერხემლის ძვალი ამოშვერილიყო. შავ, თითქმის ბრტყელ ძირზე ტალღები გადადიოდა, პოლოვჩიხას გული გაეყინა, შალანდას უკან რაღაც მოსთრევდა, წყალს დაბერილი ძონძები მოჰქონდა.

უცქერდა ქალი და არ უნდოდა რამე დაენახა, ზღვა მორჩილების ნიშნად ქედს უხრიდა, ზღვას ალბათ მისთვის ნაპირისაკენ მოჰქონდა მუსი პოლოველის გვამი. ახლა ეყოლებოდა დასატირებელი, მეთევზეთა სასაფლაოზე დასამარხი, სადაც მხოლოდ ქალები და ბავშვები იწვნენ, კაცებს იქ დასაფლავება ოცნებად ჰქონდათ და სამუდამო სავანეს ზღვის სიღრმეში, ტალღათა მწვანე აფრებქვეშ პოულობდნენ.

უცქერდა პოლოვჩიხა და არ უნდოდა დაენახა, სურდა ეყვირა, დაეძახა თავისი მუსისთვის, ტალღები ფეხებში სცემდა, ყინულები ნაკუთალებს უკაწრავდა. შალანდა ხელის გაწვდენაზე იყო, ნაპირისაკენ ცხვირით მოდიოდა, ფურთუნი ქვებს აჩხრიალებდა. პოლოვჩიხამ იფიქრა, ჯერ ნავი გამოეტანა, მერე კი ქმარი დაეტირა, ცხადად ხედავდა მღვრიე წყალში მუსის ტანს, გული ეწურებოდა, შალანდის სიმძიმეს ვერც გრძნობდა, ამ დროს ძახილი შემოესმა. ქალმა შეჰყვირა, — ქმრის ხმა იყო, ძალზე დაღლილი და ძალზე ახლობელი.

„ჩვენი არტელი ღარიბია, — თქვა პოლოველმა. — შალანდის ზღვაში მიტოვება არ ივარგებდა. მე არტელის ხელმძღვანელი ვარ, ჰოდა, ნავის გადარჩენაც ჩემი საქმე იყო, ჩუბენკომ კი ალბათ მშვიდობით მოაღწია, მაგარი და შეუპოვარი ბიჭია, უჩემოდ არ მოდიოდა, სანამ გადმოპირქვავებულ ნავქვეშ არ დავემალე, ის კი მეძახდა და წარამარა ყვინთავდა“.

მოხუცი პოლოველი თავთხელში დადგა, ხელში ჩექმა ეჭირა, მერე ჩექმა ნაპირზე ისროლა და შალანდას მიუბრუნდა, პოლოვჩიხა ეხმარებოდა. მძვინვარე ტრამონტანი სულში ატანდა, ნაპირი უკაცრიელი იყო, ზღვას იერიში იერიშზე მოჰქონდა. შორეულ გადანისლულ ნაპირზე ძველი ორანძა ნავის ჩონჩხივით მოჩანდა ცადაზიდული ოდესა.

პოლოველთა წყვილმა შინისაკენ გასწია. მიაბიჯებდნენ ნაზად გადახვეულები, პირისახეში ტრამონტანი სცემდათ, უკან ზღვა ბობოქრობდა. მტკიცე ნაბიჯით, შეწყობილად მიდიოდნენ პოლოველები, ისე, როგორც ევლოთ მთელი ცხოვრება.

შვედის ათასეული

ხერსონი — ჩამოსახლებული ბერძნების, მოხელეებისა და მეთევზეების ქალაქი. გავარვარებულ ქუჩებში ძალუმად და სულისშემხუთავად ჰყვაოდა ცაცხვი, მზე სამხრეთულად, ივლისურად, ახლებურის ძალით აცხუნებდა ამ მხურვალე ცხრაას ცხრამეტ წელს. ჰყვაოდა ცაცხვი და გასაოცარ სურნელს აფრქვევდა, ქუჩებში მწყობრად მიაბიჯებდა ოლეშკის პარტიზანული რაზმი, სულ რაღაც ორ ასეულ ფეხშიშველ კაცს რომ ითვლიდა — შვედის ათასეული.

მეომრებს ახალგაზრდა კომისარი ამხანაგი დანილო ჩაბანი მიუძღოდა. ცაცხვი ისე მძაფრად, ისეთი მადლით ჰყვაოდა, რომ ქალაქი სულისშემხუთავ

ბურში დაცურავდა. ოლეშკელთა კვალდაკვალ მწყობრი ნაბიჯით ვლიდა კიდევ მეზღვაურთა რაზმი — შავ ხიფთანებში, ფორმის შარვლებსა და ჩექმებში გამოწყობილ მეზღვაურებს კეფასთან უსაჩიხოების ბაფთები უფრიალებდათ. ოლეშკელთა წინ გარნიზონის ორკესტრი მთელი ძალ-ღონით სცემდა დაფდაფებს, კაპელმაისტერი ჯოხს იქნევდა და წამდაუწუმ ცხვირზე პენსნეს ისწორებდა. ეს მთელ ქალაქში სახელგანთქმული კორნეტისტი, თავისი ბედი შვედის ათასეულს რომ დაუკავშირა, ადგილობრივ ჩაიკოვსკებსა და რიმსკი-კორსაკოვებს გულებს უთრთოლებდა — გავა ხანი და გმირი გახდება.

ჰყვაოდა ცაცხვი და ყოველი ხიდან, თითქოს მოჩუხჩუხე წყარო ყოფილიყოს, ისე დასდიოდა ხერსონს ცაცხვის დამათრობელი, ცხარე სურნელი. ორკესტრის წინ თავად ფეხშიშველი ათასეულის მეთაური, ოლეშკელი მეზღვაური, ამხანაგი შვედი მიაბიჯებდა. დეზები უწკარუნებდა და გრძელ, კავალერისტის მონიკელებულ ხმალს ქვაფენილზე რაკუნი გაჰქონდა. როგორც ყველა მეზღვაური, ამხანაგი შვედიც ოცნებობდა კავალერიაზე და სამხედრო საქმის ამ მომხიბლავ სახეობას თანდათან ეთვისებოდა.

ჰოი, ათას ცხრაას ცხრამეტო წელო, დამარცხებათა და გამარჯვებათა წელიწადო, ისტორიული ომებისა და სისხლიანი ბრძოლების წელიწადო, კრიზისულო და გაუტეხელო, შეუპოვარო და სათუთო, მთავარო და გადამწყვეტო, ძილგამკრთალო წელიწადო! ლუგანსკის დაცვისა და ცარიცინზე ვაჟკაცური ლაშქრობის წელიწადო, ფრანგებთან, ბერძნებთან და გერმანელებთან ნიკოლაევოსა და ოდესის მისადგომებთან ბრძოლების წელიწადო, ამხანაგ კოვტუხის ტამანის არმიის გმირული, სახელოვანი უკანდახევის წელიწადო, გრიგორიევისა და მახნოს ღალატის წელიწადო, სტალინის, ფრუნზეს, ვოროშილოვის, ბუდიონის, ჩაპაევის, შჩორსის წელიწადო. — ხერსონშიც ცხრამეტი წლის ივლისის პაპანაქება იდგა, ქალაქი ცაცხვის სურნელს წაელეკა, დნეპრს გაღმა თეთრები იყვნენ: ხარკოვი, ეკატერინოსლავი, ცარიცინი თეთრების არმიებს დაეპყროთ, ხერსონი მტრის ზღვაში გარჩენილ ნახევარკუნძულს ჰგავდა, დენიკინის ჯარიც გამალებით მიიწევდა მოსკოვისაკენ. კასტორნასთან ჯერ არ გაერღვიათ ფრონტის ხაზი ამხანაგ ვოროშილოვსა და ბუდიონის, ჭაბუკ ვიტალი პრიმაკს ჯერ არ დაეძრა წითელ კაზაკთა დივიზიები, ჯერ ივლისი იყო და ხერსონული ხვატი იდგა. ილანდებოდა დიადი ბრძოლების შორეთი, გიჟმაჟობდა სურნელოვანი, ხერსონული ცაცხვების თავგანწირული დღესასწაული, ჰოი, შეუპოვარო და სათუთო წელიწადო!

შთაგონებული კაპელმაისტერი ჯოხს მედიდურად იქნევდა, თითქოს ყველა რევოლუციურ ორკესტრს დირიჟორობდა, თითქოს ცაცხვის ხეთა სურნელებას დირიჟორობდა, მუსიკოსებიც თავიანთ სპილენძის საფრთხობელებში მორჩილად უბერავდნენ. ამხანაგი დანილო მიუძღოდა ოლეშკელ ფეხშიშველ მეზღვაურებს, რომელთაგან ნელ-ნელა და თანდათან ყალიბდებოდა სამხედრო ერთეული. ამ დღისთვის ყველას საგანგებოდ დაურიგეს მწვანე შარვლები და ძველი არმიის სამხედრო ხალათები, წელზე ვაზნებასხმული ყვითელი ქამრები ერტყათ, მწყობრად, მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა ათასეული.

წინადღეს ამხანაგი შვედი დიდხანს ირჩევდა აღლუმის გეზს და ბრძანა, ათასეულისთვის მოედანზე მისასვლელი გზა ცეცხლეკალასაგან, ნარშავისაგან, ყორღანისაგან, შუშის ნატეხებისაგან გაეწმინდათ, რომ მებრძოლებს შიშველი ფეხისგულები არ დაშაშროდათ და ძველი ბოლშევიკ-პოლიტკატორღელის წინ

მწყობრი ნაბიჯით ვაჟკაცურად გაევლოთ. წითელი გვარდიის ოლეშკის ათასეულს სურდა ეჩვენებინა — მარტო თეთრებთან ბრძოლა კი არა, გვარდიის აღლუმზე ისე გავლაც შეეძლო, რომ ვიღაც-ვიღაცეებისთვის თვალიც დაეყენებინა.

და აი, გამოჩნდა ხერსონის გარნიზონი ამხანაგ შვედის მეთაურობით, გეზი მოედნისაკენ ეჭირა, სადაც ტრიბუნაზე უკვე შეკრებილიყო მთელი რევკომი, სტუმარიც იქ გახლდათ, ცხოვრების ნახევარი ბორკილდადებული ერთი საპყრობილედან მეორე საპყრობილეში ეთრიათ. ბევრჯერ ცდილა გაქცევას, ცდა ხან კეთილად დამთავრებულა, ხანაც მარცხით. თვითმპყრობელობის ჩექმებით ფილტვები ჰქონდა მოგდებული, კონდახის ცემით თირკმელი ჩალეწილი, ყურები პრისტავთა მუშტებით დაყრუებული, კაზემატების წყვდიადს მხედველობა გაეფუჭებინა, კატორღული კაი ცხოვრებისაგან რევმატიზმს დაეხრა ძვლები.

სტუმარი ტრიბუნაზე იდგა, მზე აცხუნებდა, მოედანზე ცაცხვების სურნელი იფრქვეოდა. დნეპრს გალმა, შორით მოჩანდა ლელიანი და ოლეშკი, ფშანებსა და კონკოს ზევით ლერწამი და ტირიფი მწვანობდა, მოედანზე გამოჩნდა ამხანაგი შვედი, გარნიზონის ორკესტრი, წითელი ხავერდის დროშა, ამხანაგ დანილოს მეთაურობით ოლეშკის პარტიზანთა ფეხშიშველი რაზმი, ბრძოლებში სახელოვანი, მაგრამ სააღლუმო საქმეში გაუწვრთნელი.

მოედანს ხალხი მიაწყდა, რევოლუციის დამცველებს ათვალიერებდნენ, ორკესტრი ელვარებდა და გრიალებდა, ბზინავდა და გუგუნებდა. ლურჯი, მცხუნვარე ზეცა სულ მაღლა და მაღლა იწევდა, უფრო და უფრო ცისფერი და გამჭვირვალე ხდებოდა.

პოლიტკატორღელი სიტყვას ამბობდა, ხერსონის გარნიზონს რევოლუციისათვის საბრძოლველად მოუწოდებდა. ოლეშკიდან ხერსონს თეთრებმა ექვსდიუმიანი ქვემეხები დაუშინეს. ხალხი სახლებისკენ გაიქცა, რომ საქონელი ყუმბარებისაგან გადაერჩინა. აღლუმი თავისი წესით მიდიოდა, შვედმა გზიდან შეუმჩნევლად გადააგდო ბოთლის წვეტიანი ნატეხი, ოლეშკელი პარტიზანები არას იმჩნევდნენ, კვლავინდებურად მწყობრად ვლიდნენ, ნიკოლაევოდან ჩამოსული მეზღვაურები კი ანაზდად გაიქცნენ, თუმცა გაქცევა არავის უბრძანებია, მოედნის შორიახლო ღმუილით გასკდა ყუმბარა, მეზღვაურები მიწაზე გაწვნენ, ზოგი გაიქცა.

კაპელმაისტერი არ დაბნეულა, პოლკა-კოკეტს აგუგუნებდა და საქმეში გართულ ორკესტრს შიში გადაავიწყდა. „სმენა, არწივებო, გვარდიელებო!“ — დასჭექა შვედმა და როგორც იცოდა ხოლმე, ისე მიესალმა ხმლით. თაკარა დღე გაფიცხებული ცაცხვის სურნელს გაეჯერებინა. „გვარდიას ვაშა!“ — შესძახა პოლიტკატორღელმა, თვალებს წკურავდა და დნეპრულ საუცხოო ჰაერს ისუნთქავდა, ყუმბარების აფეთქების ხმა თავისუფლებისა და სიცოცხლის სადიდებლად ეჩვენებოდა.

ოლეშკელები მიაბიჯებდნენ, არად აგდებდნენ ეკალუკალსა და ქვემეხთა გრიალს, სამზარეულოს ტკბილ ოხშივარზე, თეთრი ოფიცრების შევროს ჩექმებზე, ამხანაგ შვედის ხმალსა და სხვა საბრძოლო აღჭურვილობაზე ოცნებობდნენ.

დაბომბვა გაგრძელდა. ყუმბარები ცვიოდა ქუჩებში, ბაღებში, ანგრევდა სახლებს, მეზღვაურთა რაზმმა გუდა-ნაბადი აიკრა და გოვარდოვსკის ქუჩით სადგურისკენ მოჰკურცხლა. სადგურზე მიტინგი გამართეს და ორთქლმავალი

მოითხოვეს, რომ შინისაკენ მოესვათ. თუმცა ნიკოლაეველ მაწანწალებს მეზღვაურები არც ეთქმოდათ, ქვემეხებით ბრძოლას მიუჩვეველნი, მეზღვაურულ ფორმას დახარბებულიყვნენ.

ისინი არც გაუჟლეტიათ და არც იარაღი აუყრიათ, ფრონტული წესის თანახმად არც მტრის ზურგში გაურეკავთ მცველთა თანხლებით, რადგან ზურგი, სიმართლე რომ ითქვას, არც არსებობდა. ჩაამწკრივეს ყაზარმის ეზოში და დაიწყეს ჯახირი, მიაკვლიეს მეამბოხეებსაც — ბოლშევიკები კი უნდოდათ, კომუნისტები და კომისრები — ნურას უკაცრავად. აღმოაჩინეს ამ მასკარადული რაზმის მოთავეები — თეთრი ოფიცრები და ავაზაკთა დაქირავებული თავკაცები, ყოველგვარი ბნელი საქმის ოსტატები, მეზღვაურთა ეს რაზმი პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში გიღალატებდა. ირგვლივ ცაცხვის სურნელი ტრიალებდა, უჩვეულოდ მძაფრი დღე იყო, ოლეშკიდან თეთრების ათასეულები ხერსონისაკენ სროლას ხან შეწყვეტდნენ, ხან ისევ განაახლებდნენ, თეთრებს კი გარნიზონის ერთადერთი ექვსდიუმიანი პასუხობდა.

ამხანაგი დანილო ქვემეხთან იდგა, ოლეშკს ჭოგრიტით გასცქეროდა, იქ დაბომბილი სახლები იწვოდა, ბავშვებატატებული დედები ქუჩებში გარბოდნენ, დაჭრილი დედები, გასისხლიანებული ბავშვები... დანილო ხედავდა ცადაპყრობილ პაწაწა ხელებს, ციდან კი დაუნდობელი ჭურვები ცვიოდა, ბევრ ისეთ რამეს ხედავდა, რაც არც ერთ ჭოგრიტში არ ჩანდა.

„ამხანაგო კომისარო, ჩვენსავე სახლებს ვანგრევთ, — გაუღიმა ფერმკრთალმა მექვემეხემ, — სამასი ყუმბარა“.

ამხანაგმა დანილომ დნეპრს მიაშურა, სადაც ღამის ექსპედიციას ამზადებდნენ. ყველა კატარღასა და შალანდას, ბოსტნეულს რომ ეზიდებოდა ოლეშკიდან, კარდაშინიდან და გოლოი პრისტანიდანაც კი, შვედი თავად სინჯავდა, საუკეთესოებს ირჩევდა და ქირაობდა, თან აუცილებელ კონსპირაციას იცავდა.

საღამოხანს სროლა მიწყდა, მობრუნდა საკრეისერო სამსახურის პატარა გემები „გამარჯვების ქუხილი“ და „ავრორა“ — ყოფილი ბუქსირები „პაპა კრილოვი“ და „კატია“. ხომალდებს მამაცი ეკიპაჟი ჰყავდა, ტყვიამფრქვევები ჰქონდა და კიდეების გაყოლებაზეც სილით გატენილი ტომრები ეწყო, კაპიტნები ნამდვილი ზღვის მგლები იყვნენ, თუმცა შეუგნებელმა მოსახლეებმა გომბეშოს მჟლეტავები შეარქვეს.

ივლისურად გულუხვი და ნათელი საღამო იდგა, ივნისის ბარაქიანმა წვიმებმა, თუმცა ხორბალს ბევრი არა არგო რა, სამაგიეროდ ბალახი და შამბნარი მოამძლავრა, მიშხუოდა მეცხრამეტე წელიწადის მიწისქვეშა წყლები. დნეპრზე დიდებული საღამოები ჩამოდგებოდა — იისფერი საღამოები. კუპრივით შავი საღამოები, სურნელობდა წყალი, ხოლო წყალზე მთრთოლვარე ღამეული ბალახების, ტირიფებისა და კვამლის ანარეკლი ეფინა.

ეს საღამოები ამხანაგ დანილოს ბავშვობასა და სიჭაბუკეს აგონებდა, იღვიძებდა ტკივილი, სიკვდილის შიში მძლავრობდა, დაუწერელი წიგნებისთვის სიტყვებს გონებაში იბეჭდავდა.

კაპიტნებმა შვედს თავისი მეკობრეების იმდღევანდელი საგმირო საქმეები მოახსენეს, ნიკოლაევოს ცრუმეზღვაურთა რამდენიმე რაზმელი კატარღაზე დასვეს და „დუხონინის შტაბში“ წაიყვანეს. უბრალოდ რომ ითქვას,— წაიყვანეს „კოცზე“, მათთვის, როგორც ტრიბუნალის განაჩენი იუწყებოდა, ხერსონს იქით,

სადმე დნეპრის უდაბურ ნაპირზე წესი უნდა აეგოთ. ქალაქიდან ცაცხვთა ღამეული სურნელი აღწევდა, გადარეული, ცხარე, შემზარავი სურნელი.

ოლეშკსა და გოლოი პრისტანს შორის — კარდაშინის ლიმანი და კარდაშინი იყო, იქ, დნეპრგაღმელ მებადრიჯნეთა ცნობების თანახმად, თეთრებს მხოლოდ მცირე საგუშაგო ედგათ. ღამით შეეძლოთ კარდაშინის აღება. მერე ოლეშკზე იერიში ფლანგებიდან მიეტანათ და გათენებამდე კიდეც მიადგებოდნენ, შემდეგ კი — შეგვეწია მეთევზეთა მფარველო მიკოლა! უკვე კარგა გვარიანად ჩამობნელებულიყო, როცა ნაპირს ოცდაათი შალანდა მოსცილდა, წინას — თავად მეთაური შვედი ახლდა, ხოლო ბოლოს — კომისარი დანილო.

დნეპრი გადაჭრეს და ფშანიანს გაუყვნენ, ლელიანში კოღო დააცხრათ. პარტიზანები გახეხეშებულ კისრებზე, პირისახესა და შიშველ ფეხებზე დახვეულ კოღოს უსიტყვოდ ზედ ისრესდნენ. ამხანაგი შვედი ქიმზე იჯდა და გუსარული ხმალი მუხლებს შუა მოექცია. შუაღამე ახლოვდებოდა, კოღომაც იკლო. ბოცმანის ხელმძღვანელობით შალანდებმა გაიარეს ფშანიანი, ჭანჭრობები, კონსკიე ვოდი. ყიყინებდნენ ბაყაყები, სულთქმა ჭირდა, შრიალებდა ლერწამი, დგაფუნობდა თევზი.

ჰოი, მეოცე საუკუნის მეცხრამეტე წელიწადო და სამხრეთ ხერსონის ივლისის თვეო, უკუნო ღამეებო, აღმოუჩენელო მიწებო, ფეხშიშველა კოლუმბებო! თქვენზე რამდენი წიგნია ჯერ დაუწერელი, რა ცეცხლი ანთია რევოლუციის მიწაზე, რა სიმფონიები და ქოროები ჟღერენ მრისხანე ჰაერში, აკადემიათა დარბაზებში ჯერ არ გამოუფენიათ ტილოები დაჩაგრული და აღმსდგარი კლასის დიდ ადამიანთა განუმეორებელ წელიწადზე, ბრძოლის მიწაზე!

ამხანაგი დანილო სადესანტო ფლოტის არიერგარდში მიცურავდა, არმიის შტაბის ბრძანებას ასრულებდა: — „ღრმა დაზვერვა მოეხდინა“. გეზი კარდაშინისაკენ ეჭირათ, წყვდიადში ფლოტი დაიქსაქსა, ამხანაგ შვედის ათასეულელები ღამეულ ზღვაში უკომპასოდ და ულოციოდ ცურვას ბავშვობიდანვე იყვნენ მიჩვეულები.

შემდეგ რამდენი ღამე თეთრად გაუთენებია, რამდენს ცდილა, ქაღალდზე გადაეტანა გარდასულ დღეთა სახება, დუმფარებს მიღმა თევზის ლანდივით რომ ეკარგებოდა. ივლისის ამ ღამეზე, სიჭაბუკის მშვენიერ ღამეებზე ფიქრობდა დანილო და ხელებს უწვდიდა. ამასობაში შალანდამ ლელიანს ჩაუარა და კარდაშინის ლიმანში გაცურა.

ანაზდად უფსკრულის კარი მოირღვა. მუქი ლურჯი ცის ტატნობზე დამსხდარიყო გუნდი და გუნდი ვარსკვლავებისა, ირმის ნახტომი, ვერცხლის მტვერივით მიმობნეული წვრილი ვარსკვლავები, სხვა მთიებნიც, შუქურებივით მოციმციმე, მომწვანონი და წითლად მოელვარენი. შორს, თვალშეუდგამ სიმაღლეზე კაშკაშებდა პლეადები, დიდი დათვის თანავარსკვლავედი და ქალწული.

ლიმანს შალანდა მარტოდმარტო მიუყვებოდა, წყნარად ტლაშუნობდა ნიჩბები. უკან მოიხედეს — ღამეულ სიბნელეში შვედის ათასეული უკვალოდ გამქრალიყო. შალანდა მარტო დარჩა.

„ჩვენებს ჩამოვრჩით, — ჩაიდუდღუნა ცხვირჩაჭყლეტილმა მეშალანდემ, — შენ კი, გაიძვერა მებადრიჯნევ, ნაღველას ჩაგიქცევთ, საზღვაო წესი რომ სამუდამოდ დაგამახსოვრდეს, ახლა იმათ სად ეშმაკში იპოვი, კადეტებს ჩავუვარდებით ხელში“. ლელიანიდან მშვიდი ხმა მოისმა: „ჰეი, ყმაწვილო, მარჯვნივ აიღე,

აი, იმ ტირიფისაკენ, იქ ფშანს იპოვი და გზას დაადგები“, — „მოხუცო, ჩვენები აქ არ ყოფილან?“

„შვედმა გაღმა გაცურა, — გამოეპასუხა წყვდიადი, — ოღონდ ყუმბარები არ ისროლოთ, თევზს დამიფრთხობთ, მერე რა შავ ქვას დავიჭერ, კარდაშინთან კი კადეტები ცოტანი არიან, ოლეშკთან გიცდიან“. — „აბა, დავიძრათ“, — ბრძანა დანილომ.

მეთევზის ჩუმი ხმა წყვდიადში გაიქნა, ერთხანს იხეტიალეს, ფშანი იპოვეს, მეშალანდეს ვიღაცამ ნეკნებში ისეთი სდრუზა, რომ იმან კბილებიც კი ააკაწკაწა. მებრძოლები ნიჩბებს დააწვნენ, ცოტაც და შალანდა ნაპირს მიადგა, ბნელ-უკუნში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

კარდაშინის ნაპირზე გადასხდნენ, აჩეხილი კადეტი იპოვეს და მიხვდნენ, რომ აქ უკვე დამთავრებულიყო ნადიმი, სტუმრები, ეტყობა, ხელის დასაბანად წასულიყვნენ, ყველაფერი სროლისა და ხმაურის გარეშე მომხდარიყო. ბოლოს და ბოლოს ცოცხალ კაცს გადაეყარნენ, რომელმაც კინაღამ სროლა აუტეხა. ის კაცი წითელი საგუშაგოს უფროსი აღმოჩნდა.

ამხანაგმა შვედმა ათასეული ზუსტად წესდების მიხედვით განალაგა და ოლეშკისაკენ წარუძღვა, ორ საათში კიდეც მიატანს, საგუშაგოს კი თვალი უნდა ეჭიროს და გოლოი პრისტანიდან მტერი თუ აქეთ დაიძრება, მოიგერიოსო, აუწყა საგუშაგოს უფროსმა.

„მაშ, შვედს ველარ დავეწევით?“ საგუშაგოს უფროსი შეშინებული და დაბნეული იყო: „მე და შვედმა ნაპირზე გადმოსვლა და მტრის მოგუდვა ვერც მოვასწარით, რომ ჩვენი შალანდები ლელიანში მიიმალა, ახლა როგორ მოვიქცე?“ დანილომ აუხსნა, როგორ მოქცეულიყო, მერე თავის მებრძოლებიანად ისევ ჩაჯდა შალანდაში და ბნელ-წყვდიადში, განთიადის წინ რომ ჩამოდგება ხოლმე, ოლეშკს მიაშურა.

ისევ აწუვლდა, აზუზუნდა კოლო, სადესანტო ფლოტის არიერგარდს სმენას უხშობდა, თავს აბეზრებდა, გულს ულევდა, ტანჯავდა და კბენდა. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ სადაცაა ირიჟრაჟებდა. ცა გაიცრიცა, თვალს მიეფარა ვარსკვლავები, ნიავმა გაიფაჩუნა, წყალზე დილის ორთქლი აირწა, ერთბაშად განაცრისფერდა ღამე, ყველაფერი მქრქალი და საზარელი გახდა.

ნაპირიდან ძლიერი სროლის ხმა მოისმა, შაშხანიდან გამომსხლტარი ნაპერწკალიც დაინახეს, გამოძახილმა წყალი და ლელიანი გადაიგრიალა. სროლა გაგრძელდა, ერთი მებრძოლი დაიჭრა, ამხანაგმა დანილომ ბრძანა, არ ეპასუხათ და ნიჩბები მთელი ძალ-ღონით მოესვათ, ნიჩბებს კონდახებიც მიაშველეს, ზუოდა ტყვიები, ისე რომ სვლა არ შეუნელებიათ, ფშანში გადაუხვიეს და სული მოითქვეს. პირისახეზე მომსკდარი ხვითქი მოიწმინდეს, წყურვილი მოიკლეს და შეუმჩნევლად თავს დაათენდათ კიდეც, ცისკარი ამოსულიყო.

ვარდისფერთითება, ცისფერთვალა განთიადი თვალსაწიერიდან თვალსაწიერს მიაწყდა, ტირიფის ხეთა კენწეროებს წაეკიდა. ლელიანში და ხერსონის ცაზე უხმოდ, უსაგნოდ, უსიმღეროდ დგებოდა ივლისის დილა, ზეციდან წყაროსავით იღვრებოდა ნათელი.

განთიადის ნისლი გუნდ-გუნდად დაეხეტებოდა კამკამა წყალზე. ანაზდად, თითქოს ვისიმე ბრძანებით, შორს აკაკანდა შაშხანები და ტყვიამფრქვევები, იგრიალა ქვემეხმა. „შვედმა იერიში მიიტანა“, — თქვა დანილომ, წინასწარ შეპირებულმა წამიერმა სიჩუმემ მიახვედრა.

საჭირო აღარ იყო მენიჩბეების აჩქარება, წყალზე გრიგალივით სროლა ატყდა, სროლის ხმას ოთხივ მხრიდან იმეორებდა გამოძახილი და აასკეცებდა. „ნიკოლაევის მეზღვაურთა რაზმი ნაპირზე გადავიდა“, — თქვა დანილომ, შიში გაუცნაურდა, მაგრამ როგორც მამაც კაცს შეჰფერის, არ იმჩნევდა.

სკდებოდა ხელყუმბარები, ყოველის მხრიდან ყვირილი და გოდება ისმოდა, ამხანაგ დანილოს შალანდამ ბრძოლაში ჩასაბმელად კონსკიე ვოდს მიაშურა და ათივე შაშხანამაც ერთად იქუხა.

საჭესთან მეთაური იჯდა, შალანდას მართავდა, ნიკოლაევის ცრუმეზღვაურთა ესკადრა მხოლოდ რამდენიმე შალანდას და კატარღას ითვლიდა, დანარჩენები ოლეშკამდე არც მისულან და დესანტი სადღაც მშვიდობიან ნაპირზე გადასხეს, რომ ყანაში გამოეძინათ და ნიკოლაევოსკენ გზას ფეხით დასდგომოდნენ. ნიკოლაეველთა რაზმის რამდენიმე შალანდამ საბრძოლო ბრძანება მაინც შეასრულა და ბრძოლის ადგილზე გამოცხადდა. ისინი უდაბურ ნაპირზე უნდა გადამსხდარიყვნენ და, როცა შვედი ოლეშკზე იერიშს მიიტანდა, სახმელეთო ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ.

იმათ კი საზღვაო ბრძოლის გამოცდა მოეპრიანათ, ახალ მეთაურს ყური არ უგდეს და სროლა ატეხეს. ჰოდა, საზღვაო ბრძოლა გამოვიდა, მაგრამ აბუქირის, ტრაფალგარის, ცუსიმისა და იუტლანდის ბრძოლებისაგან განსხვავებული, რადგან აქ ერთი მოწინააღმდეგე წყალში იდგა, მეორეს კი ხმელეთი ეჭირა.

ეს ბრძოლაც, როგორც სხვა ღირსეული საზღვაო ბრძოლები, უცებ დაიწყო და, სამწუხაროდ, ასევე უცებ დამთავრდა. ნიკოლაეველებს ტყვიის წვიმაში მანევრირების არა გაეგებოდათ და მეზღვაურული უსაჩიხოებით მასკარადზე მყოფ მოაგარაკეებს უფრო ჰგავდნენ.

ნაპირიდან ოქროსსამხრეებიანი ოფიცრები ესკადრას შაშხანებით ტყვიას ტყვიაზე უშენდნენ, საზღვაო ბრძოლების ძველი ტერმინოლოგიის მიხედვით ასე მოხდა: მოიერიშე ფლოტის კორვეტმა დაკარგა ფოკი და გროტი, გემბანზე პანიკა ატყდა, ხომალდს ფერდი მტრის ყუმბარამ შეუნგრია, კაპიტანმა თავს უშველა, წყალში გადაეშვა. აფრაგაშლილი ფრეგატი თავისივე ორანძა ხომალდს შეასკდა, ხუთი ანძა აფრებიანად ძირში გადაჭრილივით ჩამოიქცა, სწრაფმავალი კლიპერი ბრძოლას გაერიდა, ლელიანში მიიმალა, მხოლოდ პატარა ბრიგანტინა, სადაც ადმირალი და შტაბი იმყოფებოდა, მამაცურად იგერიებდა მოძალებულ მტერს.

ამხანაგ დანილოს შალანდა, ამაოდ რომ ცდილობდა ესკადრის დაშოშმინებას, ნაპირისკენ ჯიქურ წავიდა, ყველა შაშხანა ჰქუხდა. ქალაქიდან უთავბოლო სროლა ისმოდა — არავინ იცოდა, რა ბედი ეწიათ ამხანაგ შვედის პარტიზანებს, თეთრი არამზადები ბოლოს ხომ არ უღებდნენ. შალანდა ნაპირისკენ მიჰქროდა, სწორედ ყველაზე გადამწყვეტ ჟამს, ოფიცრები ქალაქისკენ მიიქცნენ. განთიადმა აღმოსავლეთით ცის პირი წითლად შეღება, სიზმრისეული სიმსუბუქე დაეუფლათ.

შალანდა ოლეშკს ნაპირ-ნაპირ მიუყვებოდა, რომ თეთრებს არ გადაჰყროდნენ და ხიფათში არ ჩავარდნილიყვნენ. უნდა გაერკვიათ, სად მტერი იყო, სად მოყვარე და ვინ ვის უღებდა ბოლოს. ოლეშკს გარს რომ უვლიდნენ — თავისუფალი მეზღვაურების, მეთევზეების, ბადრიჯნით და გარგარით მოვაჭრეებისა და მთელი ხროვა გადამდგარი გენერლების ქალაქს, სიცოცხლის უკანასკნელ წლებ-

ში აქაური სიიაფით თავი რომ გაჰქონდათ — ამხანაგ შვედის ორ პარტიზანს მოჰკრეს თვალი.

პარტიზანები მიწაზე ისხდნენ და შიშველ ფეხებზე კოხტა ჩექმებს ირგებდნენ, შორიახლოს ორი მკვდარი ოფიცერი იწვა და უცხო ჯიშის ნაპატივები ძაღლი ეგდო. ამხანაგ კომისარს პარტიზანები შვედისკენ წარუძღვნენ, თან გზადაგზა უამბეს, ვარშავის მისადგომებთან რომ ახსოვდათ, სწორედ ისეთი იერიში ყოფილა, ქვიშნარებით და ტრამალ-ტრამალ ევლოთ, წყებად ევლოთ და ფეხ-

ქვეშ საცქერლად არავის ეცალა, თანაც ბნელოდა, რა დასამალია, დაქანცულიყვნენ და ფეხები დაჩხვლეტოდათ. ასე ფეხებდაშაშრულები წასულიყვნენ იერიშზე.

„იმათ ბატარეას შეუმჩნევლად მივადექით, ამხანაგმა შვედმა ხმალი იშიშვლა, ჩვენც დავჭექეთ და დავცხეთ, ქვემეხი გვესროლეს, ტყვიამფრქვევის მომარჯვება ვერც მოასწრეს. კაპიტანმა მაშინვე ტყვია იკრა, ინგლისური ჩექმები ეცვა, კადეტები ერთხანს ისროდნენ და მოუსვეს. ორნი ჩვენთვის მოვიხელთეთ, რა დასამალია, წყლისკენ მივრეკეთ, გვესროდნენ და ვესროდით, იხტიბარს არ იტეხდნენ ოხრები, თან ძაღლიც ჰყავდათ. ერთხანს ისევ ვესროდით ერთმანეთს, სანამ არ გავაგორეთ, მერე ჩექმების გასაძრობად მივედით, ძაღლმა ახლო არ მიგვიშვა, კინაღამ ყელში გვწვდა, მაგარი ვინმე იყო, კვდებოდა, თან კი ხიშტს კბილებით ღრღნიდა, ამხანაგო კომისარო, ჩვენს ოლეშკში რა სურნელოვანი დილაა...“

კუთხიდან რაღაც გამოგორდა, ოქრომკედით ნაქარგი ულაპლაპებდა, სადღესასწაულო სამოსელში გამოწყობილი მღვდელი მოჰყავდათ, იფიქრებდით, მოულოდნელობისგან საკმევლის სუნიც კი დადგა. ორ დარბაისელ მეზღვაურს მოჰყავდა ჟანდარმერიის ბებერი გენერალი, სისხლიანი ცხოვრების უკანასკნელ წლებს ოლეშკის კურთხეული ბუნების წიაღში რომ ატარებდა.

გენერალს კამერჰერის მუნდირი ეცვა, მუნდირს გულისპირიც ოქრომკედით ჰქონდა დაქარგული და ზურგიც, საყელო მთლად ოქროსფრად უბზინავდა, შარვალიც წითელი ლამპასებით გაწყობილი ეცვა, თავზე სხვა გენერლის ქუდი ეხურა, ისიც ოქროსფერი და საუცხოო თეთრი ფრთების კონით დამშვენებული. მკერდი, მუცელი და ზურგი ათასნაირი ორდენებით, ბაფთებითა და ვარსკვლავებით ჰქონდა დახუნძლული, მეზღვაურებს ყველა ოლეშკელი გენერლის ორდენი მისთვის მიებნიათ.

თვალჭყეტია, ღიპიანი გენერალი შედგა, ასთმა ახრჩობდა. „ალმატებულებავ, ფეხი გადაადგი“,— უთხრა დარბაისელმა მეზღვაურმა, დანილოს მომავალი რომანის მეზღვაურმა. „საით მიგყავთ?“ — „სამუდამო ღუზაზე დასასახლებლად“,— მიუგო მეზღვაურმა და გენერალს მუხლით წაუბიძგა.

ჰოი, შურისმგებელთა და სისხლის გადამხდელთა ცხრაას ცხრამეტო წელო, რევოლუციის საბუღალტრო წიგნში ანგარიშსწორებისა და ჩანაწერების ღირსეულო წელიწადო, ასთმით, განავლითა და შიშით დარუმბებულ ჟანდარმერიის ცოცხალ გენერალთა შორეულო წელიწადო! მიუკვლეველი სახეებისა და ტრაგიკული მეტაფორების, სიყვარულისა და სიკვდილის წელიწადო, აჯანყებულთა გულების ფანცქალის, იოლი მსხვერპლის, ჭრილობათა სიტკბოსი და კლასობრივი გრძნობების სიმძაფრის წელიწადო, ჰოი, სასურველო და დიადო წელიწადო!

„ჰოი, ადამიანის მარად უკვდავო გულო!“— თქვა შინისაკენ მიმავალმა კომისარმა დანილომ. ანაზდად შვედი დაინახა, შვედი შუაგულ ეზოში თავის ზორბა, ლოყებლაჟღაჟა ცოლს ეხვეოდა. ეზო ყვავილებში იყო ჩაფლული, რა აღარ ხარობდა: გადაფურჩქნული, სურნელოვანი ვარდები, ყვითელი, ნაზი ხავერდულები, გულყვითელები, საამური მიხაკები, ათასფერი ძაღლყურძენები და მზესუმზირები.

ამხანაგმა შვედმა შეხვედრის სცენა წამით შეწყვიტა და ცოლის მხარსზემოდან უთხრა: „დანილო, სახლი მოიძიე, მალევე უნდა გავბრუნდეთ, კადეტები ჩქარა გონს მოვლენ და სახუმროდ აღარ გვექნება საქმე, ამბობენ, შენი სახლიც დანგრეულა, ყუმბარას ვერ გაურჩევია, სად თავისიანი იყო და სად კადეტი“.

დანილომ სახლს მიაშურა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა, თვალებში დაურჩა შვედის გრძელი, თეთრი ხმალი და აყვავებული ეზო. უკანდახევის უკანასკნელ წუთამდე იგი არავის შეუწუხებია, თუმცა საღამოხანის ამ დრომდე ოლეშკში ბევრი რამ მოხდა.

შვედის რაზმმა ბურჟუაზია დააფრთხო და ამ „კეთილ“ ადამიანთაგან ზოგ ვინმეს ანგარიში გაუსწორა, ხერსონისაკენ გაგზავნა ამუნიცია: ორი ქვემეხი, რამდენიმე ცხენი, წყვილი გაქუცული აქლემი.

ოლეშკის ნაპირზე გადმოსხდნენ ლელიანს შეფარებული განადგურებული ესკადრის ნარჩენები. დილის საზღვაო ბრძოლის მსხვერპლნი ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილები და ტალახში ამოსვრილები იყვნენ, ტირიფნარში, ლაქაშებში და ღრანტეებში ქუდები და შარვლები დაჰკარგოდათ, ფეხები ისლზე დასეროდათ და ძირკვებზე გადატყავებოდათ. ფეხშიშველები ოლეშკისაკენ მიიქცნენ მტრის საძებრად, რომ შემოსილიყვნენ და ქალაქის მშიშარა მოსახლეებთან დანაყრებულიყვნენ.

ეს ცრუმეზღვაურები შვედმა შეიპყრო და აქლემებთან ერთად კარჭაპით ხერსონის გზას გაუყენა. ქარიანი და მშრალი დღე იდგა, მშობლიური ქალაქიდან უკანდახევის მღელვარე დღე, შინ ან გამარჯვებულნი უნდა დაბრუნებულიყვნენ, ანდა ბრძოლის გზებზე დაღუპულიყვნენ.

თეთრების თავდასხმის განუწყვეტელ მოლოდინში დღე მიიწურა, გამჭვირვალე ღრუბლები ქარს ცის სივრცეში მიმოეფანტა. ამხანაგ შვედის რაზმს გულთბილად აცილებდნენ, ნამტირალევი თვალები ჰქონდათ ცოლებს, ტუჩები კი შესიებული. საუბრობდნენ ხმადაბლა, აკი კაცებს შორ გზაზე აცილებდნენ. ნაპირს შალანდა შალანდაზე ტოვებდა. ერთ-ერთ შალანდაზე თავის დიდებულ ხმალს დაუდევრად დაყრდნობილი შვედი იდგა.

ამ დროს მიუახლოვდა ამხანაგი დანილო, მკერდზე თოთო ბავშვი აეტატებინა, მეტი აღარავინ ჰყავდა ქვეყანაზე. ბალღი იმ დარბაისელმა მეზღვაურმა ჩაიბარა, წელან გენერალს რომ მოაჩქარებდა. მეზღვაურს მკაცრი პირისახე ბავშვურმა ღიმილმა გაუცისკროვნა, ბალღს ჭუჭყიანი თითი შეუღიტინა. „ობოლია“, — თქვა მეზღვაურმა.

აი, უკანასკნელი ნავიც გასცდა ჩაიკას და გეზი კონსკიე ვოდისაკენ აიღო.

შუაგულ დინებაში, ფსკერზე დაეყუდებინათ ჩინ-მედლებით დახუნძლული ჟანდარმერიის გენერალი, ფეხებზე დამოკლებული მძიმე ღუზა მოებათ, ასთმით, განავლითა და შიშით დარუმბებული მკვდარი გენერალი კამკამა წყალში ირხეოდა და ხელებს აქნევდა, და ზოგი მებრძოლი, მაღლით რომ გადაუვლიდა, ზედ აშარდავდა იმის დაწყევლილ ელვარებას.

წერილი მარადისოგაში

იმხანად ჰეტმანისა და გერმანელების წინააღმდეგ ბოლშევიკური აჯანყება მზადდებოდა. ვიღაცამ ხმა გაიტანა, აჯანყება იფეთქებს, პსლოს გადაივლის, ცენტრი საროჩინცა იქნება და გადიაჩამდე მთელ ოლქს მოედებაო. სოფელს თავს ადგა სამებისწინა მტრედისფრად ანთებული უკიდეგანო ზეცა. ტყიდან ფორნებით ეზიდებოდნენ ნეკერჩხალს, თხილს, მუხის ტოტებს, ძეძვს, მწვანე ბა-

ლახს, სახლებს სასამებოდ რთავდნენ. ეზოებში დამჭკნარი ბალახის სურნელი ტრიალებდა, ისედაც ლამაზი სოფელი კიდევ უფრო დამშვენდა, ამწვანდა, მოიკაზმა, თეთრად ქათქათებდა სახლები, სუფთა, მყუდრო ეზოებს ღობეები წაფერდებოდა, ზეციდან კი ციური სილურჯე იღვრებოდა და იღვრებოდა.

ველზე, ხეებქვეშ, წყალანკარა პსლო ნებივრობდა, იმ არემარეში გერმანიის კაიზერის ჯარის რაზმი დაძრწოდა და ყოველ ბუჩქს გულდაგულ ჩხრეკდა. ჰეტმანელთა რაზმი ქვიშნარს მოსდებოდა. ძებნას ვიურტემბერგის პოლკის კაპიტანი ხელმძღვანელობდა, კაპიტანს გვერდით ხტუნვა-ხტუნვით თავისი დობერმანი მოსდევდა, ხეს არ გაუშვებდა, რომ არ შეეყეფა. ტირიფის ძირში ჟუპანზე ჰეტმანელთა ასისთავი წამოწოლილიყო, გულმოდგინე ძებნის შემდეგ ქარს იღებდა. ასისთავის ცხვირწინ სამი ბიჭი მდინარეში გასაჟღენთად ჩადებულ ეკალმუხას ეძებდა, ბიჭები ხან ჩაყვინთავდნენ წყალში, ხან ისევ ზედაპირზე ამოცურდებოდნენ.

ძილისმომგვრელი იყო პსლოს ნაპირზე გამეფებული მოწყენილობა. ორივე რაზმის ჯარისკაცები ყოველ კუნჭულს ისევ გულდაგულ ჩხრეკდნენ. ასისთავთან საზიდარი გაჩერდა, შიგ ორი კაცი იჯდა. „პან ატამან, — უთხრეს კაცებმა, — თქვენ აქაურები არა ხართ და ფოსტალიონს თავის დღეში ვერ იპოვით. აგერ, ეს ბიჭები ეკალმუხას ეძებენ, ეკალმუხას სამების წინადღეს კი არა, შემოდგომაზე ეძებენ, ეს ბიჭები ხომ თქვენ გითვალთვალებენ, პან ატამან, ჩვენ აქაურები ვართ, მის უგანათლებულესობას პან ჰეტმანს მხარს ვუჭერთ და გვინდა, რომ დაგეხმაროთ. ჩვენ უკეთ ვიცით, სად ეძებოთ ის არამზადა ფოსტალიონი, ოღონდ საიდუმლოდ დარჩეს, თორემ სოფლის გლახაკები აღარ გვაცოცხლებენ, მეორე ღამესვე ამოგვბუგავენ“.

კაცებმა ასისთავს ნოღიანში ლაქაშით და ლერწმით მოშამბული ტბების არსებობა აუწყეს, ის ტბები ხუთი თითივით ვიცითო, ბევრჯერ ხოლიხითაც გვითევზავიაო, რევოლუციასაც თავის დროზე იქ დავემალეთო, დაღამების მოლოდინში ფოსტალიონიც იმ ტბებს შეაფარებდა თავს, რომ მერე ტრამალით საროჩინცში გაძვრესო. „ტბაში წევხარ, კბილებით ლერწამი გიჭირავს და სუნთქავ, ვიდრე მდევარი ჩაგივლიდეს, წყალს ტყვიას დაუშენდეს, ტბაში ხელყუმბარებს ჩაყრიდეს, რომ წყლის ზედაპირზე ამოგატივტივოს. ყურის ბარაბანი გისკდება, მაგრამ ყველა როდი ამოტივტივდება გაბრუებული თევზივით, ზოგი ფსკერზევე ჩაკვდება. ზოგი შეიძლება გადარჩეს კიდეც, თუკი ყუმბარა შორს დაეცემა, და მაინც ეს ყველაზე საიმედო ხერხია ჩვენს ტბებში დამალულთა საძებრად“, — უთხრეს ასისთავს კაცებმა.

ძიება უმალ აეწყო, ტბებს გულდასმით ათვალიერებდნენ, ხელყუმბარებს ყრიდნენ, ბიჭებმა პსლოში ჯახირს თავი ანებეს და იმ კაცების სახლ-კარის მოსაძებნად გასწიეს, რომ ცეცხლს მიეცათ. კაცები შინ სწორედ მაშინ მიბრუნდნენ, როცა მათი კარ-მიდამო წითლად ბურბურებდა, თითქოს სასამებოდ ალისფერი ფოთლებით მორთულიყო, და მალევე ჩაიწვა. კაცებს თმა შეეტრუსათ, ის კი არა, ლამის თავიანთ სარჩო-საბადებელთან ერთად არ ამოიწვნენ. გერმანელები და ჰეტმანელები ტბებში თანმიმდევრულად ყრიდნენ ხელყუმბარებს და ლერწმის ყოველ საეჭვო ბუჩქს ტყვიას უშენდნენ, მაგრამ ფოსტალიონი არსად ჩანდა. ანაზდად მინდორზე პატარა ტბას გადააწყდნენ.

ტბა ღრმა არ იყო, გარშემო ნორჩი ლერწამი ხარობდა, კაპიტნის დობერმანი წყალში შევარდა და კაპიტანმა ბრძანა, ხელყუმბარები აღარ ჩაეყარათ...

იქაც ვერავინ იპოვეს და გზა განაგრძეს. უცებ დობერმანმა გააფთრებული ყეფა აუტეხა ნაპირთან რაღაც მორს, დუმფარასა და ლემნაში რომ ეგდო.

კაპიტანმა მორის გასასინჯად ხალხი გაგზავნა, ის მორი გონდაკარგული ფოსტალიონი აღმოჩნდა, შიშველი ხელ-ფეხი, პირისახე — აურაცხელი წურბელისაგან შავად მოჰქცეოდა. როცა ფოსტალიონს ტანთ გახადეს, სხეულზე ადგილი ვერ უპოვეს საღი — გროვა-გროვად მოჰკიდებოდა წურბელა.

კაპიტანმა ჯარისკაცები იხმო, ჯარისკაცებმა ჩანთები გახსნეს და რაც მარილი ჰქონდათ, ფოსტალიონს დააყარეს. მარილწყალმა წურბელები დაყარა. ფოსტალიონს რომი დააძალეს, ნელ-ნელა გონს მოვიდა, ერთადერთ საღ თვალში სიცოცხლემ და სიძულვილმა გამოიხედა. „მაინც მიპოვეს", — თქვა ფოსტალიონმა გულგრილად.

ფოსტალიონს კაპიტნის სადილი და ერთი ჭიქა რიგიანი რომი მიუტანეს. იატაკი სურნელოვანი მწვანე ბალახით იყო მოფენილი, კუთხეებში ტოტები დაეკიდათ, კედლები ყვავილებით მოერთოთ. სანამ ფოსტალიონი სადილობდა, სიჩუმე იდგა, იგრძნო, ძარღვებში ძალა ეღვრებოდა, ძილი თავს ართმევდა. მშვენიერი სიზმრები ეზმანა, თითქოს აურაცხელ წერილს დაატარებდა და ვერა და ვერ დაერიგებინა. ამასობაში დღე საღამოსკენ მიიქცა, დათქმული დრო ახლოვდება, სურვილი უსრულდება, ისევ დაატარებს და დაატარებს წერილებს, დრო მიდის, წერილებს მაინც არაფერი აკლდება, და ვიდრე უკანასკნელ წერილსაც არ მიიტანს, ფოსტალიონს ვერავითარი ძალა ვერ შეეხება.

კაპიტანმა სიზმრები გაუფანტა, მშვიდი და გულითადი საუბარი წამოიწყო (ლაპარაკობდა მომხიბლავ ზაფხულსა და სამშობლოს ვარსკვლავებზე — კაცისთვის ერთადერთ სალოცავზე, წყალანკარა პსლოს მშვენიერ მიდამოებში გატარებულ ფოსტალიონის ცხოვრებაზე), კაპიტანი ენამზეობდა, რათა ძირისძირობამდე შეეძრა ამ ადამიანის სული, თარჯიმანი უთარგმნიდა, ფოსტალიონი კი იჯდა გულგრილად და ნებისყოფას იკრებდა, მეხსიერებიდან თანდათან აძევებდა იმ ცნობებს, რომელთა შეტყობაც კაპიტანს ეწადა.

ფოსტალიონმა დაივიწყა, რომ ბოლშევიკების არალეგალური კომიტეტის წევრი იყო და იმ თათბირს დაესწრო, სადაც აჯანყება ამ ღამისთვის დანიშნეს, ისიც დაივიწყა, თუ სად ჩაფლა თოფები და ტყვიამფრქვევი. იარაღის ადგილსამყოფელის დავიწყება, ან მეხსიერების ისეთ შორეულ კუნჭულში გადანახვა, რომ იქამდე ვერავითარ ფიზიკურ ტკივილს ვერ შეეღწია, ყველაზე ძნელი იყო. მეხსიერების იმ კუნჭულში დაივანებდა იარაღზე ფიქრი და, როგორც შორეული ბავშვობის მოგონება, გაათბობდა, გააცისკროვნებდა ფოსტალიონის მარტოობასა და სიკვდილისწინა უკანასკნელ ტკივილს.

კაპიტანი ისევ ელაპარაკებოდა, ფოსტალიონი კი ახლა სახელის დავიწყებას ცდილობდა, მხოლოდ იმაზეღა ფიქრობდა — როგორმე დაღამებამდე გაეძლო და აჯანყებულთათვის იარაღი გადაეცა. კაპიტანი კი იმ შორეულ, მშვენიერ ქვეყნებზე ესაუბრებოდა, სადაც ჰეტმანელთა მთავრობის ფულით იცხოვრებდა, იმოგზაურებდა, ოღონდაც ეთქვა, იარაღი სად გადამალა, აჯანყება როდისთვის იყო დანიშნული, აჯანყების ხელმძღვანელთა მისამართები ეკარნახა.

ფოსტალიონი მაგიდასთან იჯდა, ანაზდად გულში დაუძლეველი სურვილი ალეძრა, აქვე მომკვდარიყო და აღარაფერზე ეფიქრა, ძლიერ მოუნდა, დანა დაერტყა მკერდში, საფლავში ვალმოხდილი ჩაწოლილიყო. კაპიტანს ხმაში თანდათან სიმკაცრე ერეოდა. ფოსტალიონს ჰეტმანელთა ასისთავი მიუახლოვდა, ერ-

თადერთ თვალში მრისხანედ ჩახედა, ზიზღით სავსე და შეუპოვარი, მრუმე უფსკრული დახვდა, და თითქოს ასისთავს ელექტროდენმა დაუარაო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფოსტალიონს მუშტი საფეთქელში სთხლიშა.

კაპიტანი სასადილოდ მეორე ოთახში გავიდა, ასისთავი ფოსტალიონთან დარჩა. როცა კაპიტანი შემობრუნდა, ფოსტალიონი სოხანეზე ეგდო, პირში ბალახს იტენიდა, რომ არ ეკვნესა და შეწყალება არ ეთხოვა. გაასპიტებული ასისთავი ფანჯარაში იყურებოდა. „ჩვენთან უფრო ადამიანურად ეპყრობიან“, — გაულიმა ფოსტალიონმა კაპიტანს.

ფოსტალიონს არა ჰქონდა სიკვდილის უფლება, გასისხლიანებული სხეული როგორმე უნდა ეხსნა და დაღამებამდე მიეტანა სული, სიკვდილის გარდა, ყველაფრისათვის გაეძლო. ცოდო იყო მარტო კაცი ბრძოლაში, თანაც უსათუოდ ცოცხალი უნდა გადარჩენილიყო. ამხანაგები რომ გვერდით ჰყოლოდა, მთელი ეს წამება სიცილად არ ეყოფოდა, ჯალათებს სახეში შეაფურთხებდა, შეუდრეკელი მებრძოლის სახელოვან სიკვდილს მოიახლოვებდა, ახლა კი მოვალე იყო, დარჩენილი სიცოცხლე ისე წარემართა, თითქოს შავ ტალღებში ჩავარდნილი შუშის ნავი ყოფილიყოს. რევოლუციის საქმე ფოსტალიონის ერთი ბეწო სიცოცხლეზეც იყო დამოკიდებული. იმდენად სძულდა კონტრრევოლუცია, ამ სიძულვილისთვის თავიც არ მენანებაო, გაიფიქრა ფოსტალიონმა, და ძარღვებში დაჩაგრული კლასის სისხლი აუთქრიალდა. ო, უდიდესი ღირსება გახლავთ საკუთარ სიცოცხლეზე ამაღლება!

ფოსტალიონი მიწაში ჩაფლული იარაღის საჩვენებლად წარუძღვა. მიაბიჯებდა მიყუჩებულ სოფელში და მზის სითბოს გრძნობდა, რბილ მიწაზე ადგამდა შიშველ ფეხებს და ეჩვენებოდა, თითქოს ზღაპრულ ტრამალში მარტოდმარტო მიდიოდა, ისე მიდიოდა, ვითომც საკუთარი სიცოცხლის აჩრდილი ყოფილიყოს, მაგრამ გამბედაობა და სიმტკიცე ძალას მატებდა. ხედავდა ხალხს და იცოდა, ვინ თანაუგრძნობდა და ვის სძულდა, ფოსტალიონი ამ ორ სამყაროთა შორის ნაპრალზე მიაბიჯებდა, დარწმუნებული იყო, ეს ორი სამყარო არც მისი სიკვდილის შემდეგ შეერთდებოდა.

აი, სოფლის ბოლოს ქვიშის გროვამდე მიაღწია და შედგა. შუადღე გადასულიყო, სიჩუმისა და ხვატისაგან დედამიწას ჟრუანტელი უვლიდა. გერმანელებმა ქვიშის თხრა დაიწყეს და ერთი საათი უქმად დაკარგეს. ფოსტალიონი კი იდგა და გასცქეროდა შორეულ ჰორიზონტებს, მდინარე პსლოსა და მდინარის გაღმა ნაპირს, რამდენჯერმე ოფოფმა დაიძახა, ჰაერში ჭვავის სურნელი ტრიალებდა.

ფოსტალიონი ქვიშაზე წააქციეს, მხრებსა და ფეხებზე დაასხდნენ გაცეცხლებული, გაბრიყვებული გერმანელები, მეოცე ზუმბის შემდეგ ფოსტალიონმა გრძნობა დაკარგა, გონს რომ მოვიდა, მზე უკვე თვალსაწიერთან ეკიდა, ასისთავი რევოლვერის ბუდეს ხსნიდა. გერმანელები კი ყასიდად შეტრიალებულიყვნენ. მაშინ ფოსტალიონმა შეჰყვირა და აღიარა, რომ იარაღი სხვა ადგილას ჰქონდა გადამალული, გაჩვენებთო, აღუთქვა. „ჩემს მოკვლას ყოველთვის მოასწრებთ, სულ ერთია, მაინც ვერსად წაგივალთ“.

ისევ დაადგნენ სოფლის მიყუჩებულ შუკებს, ადამიანის ძალას აღემატებოდა ქედუხრელი ფოსტალიონის ცქერა, ვისაც არ სურდა სიცოცხლე მტრისთვის წერილივით ჩაებარებინა. სადღესასწაულო ფოთლოვანს ამოფარებული კაცები ერთმანეთს უცნაური სიტყვებით ეხმიანებოდნენ, დაღამებასა და დახმარებას

ელოდებოდნენ. ფოსტალიონს სოფელში ღარიბთა ვარამივით დაათრევდნენ, გზა-დაგზა სცემდნენ, ჩექმებით ასახიჩრებდნენ, კარაპანში კადონზე ჰკიდებდნენ, სანთლით სხეულს უწვავდნენ და სიმართლის თქმას აიძულებდნენ. ფოსტალიონი კი აქეთ-იქით დაატარებდათ, — ქვიშას ცრემლი სწვავდა, — და ხან აქ, ხან იქ უთითებდა, ვერსად ვერაფერს პოულობდნენ. უფრო სასტიკად უჯიჯგნიდნენ სხეულს, სოფელში მწუხარება ისადგურებდა, სასოწარკვეთილებასა და მრისხანებაში იზრდებოდა, გულს შურისგების ცეცხლად ედებოდა, პსლოს გაღმა ღამის საძოვარზე გარეკეს ნახირი, სოფელში ღამე ჩამოდიოდა, მწუხრი დარეკეს.

ფოსტალიონს სიარულის თავი აღარ ჰქონდა, მოძრაობა უჭირდა, ასე ეგონა, ჩირაღდანი იყო და ერთიანად იწვოდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა, ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა, ტკივილი ერთ ხმამაღალ კვნესად გაიწელა. ეს იყო ძახილი ყველა ნერვისა, ყველა უჯრედისა, უკვნესოდა დამსხვრეული სახსრები, მხოლოდ უდრეკი ნებისყოფა არ კვდებოდა, მეომარივით არც ერთი ნაბიჯით უკან არ იხევდა, მარაგს თავს უყრიდა, ძალ-ღონეს იზოგავდა.

ფოსტალიონს უკანასკნელად დაუჯერეს და პსლოს გადაღმა ქვიშნარისკენ გაიგდეს. ვიურტემბერგელთა რაზმს ფოსტალიონი შუაში ჩაეყენებინა, ჰეტმანელები ცხენდაცხენ მისდევდნენ, წელში მოხრილი ვასილიხა კოჭლობ-კოჭლობით მიჰყვებოდა შვილს (დედა ჯიუტი შვილის დასაყოლიებლად საღამოხანს მოეყვანათ). კაპიტანმა უკანასკნელი სიტყვა თქვა, დედასაც დავხვრეტ და შვილსაცაო. ფოსტალიონი დედას ესაუბრა, თითქოს მიცვალებულს ეთხოვებაო, მშობელმა შუბლზე აკოცა და დანაღვლიანდა, ცრემლგამშრალ თვალებს იწმენდდა. „როგორც გიჯობდეს, ისე მოიქეცი, — უთხრა შვილს, — რაც მითხრეს, მეც ის გაგიმეორე". დედა უკან მისდევდა ფოსტალიონს მდინარის გაღმა, ქვიშნარისაკენ, შვილი ეხუმრებოდა კიდეც, თუმცა იცოდა, მალე ყველაფერი დამთავრდებოდა. ვარსკვლავიანი და ბნელი ღამე იყო, უჩვეულოდ მდუმარე, ტიალი ღამე.

ქვიშნარს მიაღწიეს, თხრა დაიწყეს, ირგვლივ გერმანელები ჩასაფრდნენ, ფოსტალიონი საზიდარზე ისვენებდა, წყვდიადს აყურადებდა, სადღაც ვიღაცამ იყვირა, ნიჩაბი რკინას მოხვდა. „შეჩერდით, — წარმოთქვა ფოსტალიონმა, — განა ვერ ხედავთ ჩემი სულისთვის მომავალ მოციქულებს?" ანაზდად შორს, წყვდიადში აურაცხელი სინათლე აღჩნდა. შუქი სანთლების ალს ჰგავდა, თითქოს კაცზე ბევრად მაღალ ტალღებს ასობით სანთელი მოჰქონდა. სანთლები ციმციმებდა, რიტმულად ირხეოდა, სამი მხრიდან მოიწევდა, ჩამიჩუმი არ ისმოდა, გერმანელებმა სროლა ატეხეს, სანთლები მოლივლივებდა.

„აი, ვინ წაიღებს იარაღს, — იყვირა ფოსტალიონმა, — ახლა დამხვრიტეთ, რომ არ ვეწამო, ფეხზე დადგება სოფლები და ღარიბთა კომიტეტები, მშვიდობით, სიცოცხლევ, ამ ბნელი ღამით გემშვიდობები!" ასისთავი მივიდა ფოსტალიონთან, მწოლარეს დაახალა ტყვია, და ეს წერილი მარადისობაში წაიღო რევოლუციის რიგითმა მებრძოლმა. პსლოს გაღმა სოფლებში ზარები დაარისხეს და მათი ხმა რამდენიმე ვერსზე ისმოდა, პსლოს გაღმა სოფლებში დიდი კოცონები დაანთეს და ცეცხლის ალი რამდენიმე ვერსზე ჩანდა, წყვდიადიდან აჯანყებულები გამოცვივდნენ და გერმანელებს ეკვეთნენ, იარაღისაკენ გზას იკაფავდნენ, სიბნელეში სანთლები მოცურავდა, გაყუჩებულ ჰაერში ბობოქრობდა ხმები, მძვინვარებდა ცეცხლი, აჯანყება, იერიში და შემართება, აჯანყება!

იმ განმარტოებულად მდგარ საზიდართან, ფოსტალიონი რომ ესვენა, ჩუბენკო მივიდა. შორიახლოს ხარები იცოხნებოდნენ. ხარის რქებზე მიკრული ანთებული სანთლები კაშკაშა ალით იწვოდა ღამის დიდებულ მყუდროებაში. ფოსტალიონთან ვასილიხა მოკუნტულიყო, ცხედარს თვალს არ აშორებდა. ჩუბენკომ ქუდი მოიხადა და ვასილიხას ხელზე აკოცა.

. . . . .

წერილი მარადისობაში სიცოცხლესთან ერთად შთაინთქა, ვით შუქი დიდიხნის წინათ დაშრეტილი ეული ვარსკვლავისა.

პოლკის მეთაური ჩუბენკო

ჩუბენკო ცხენზე იჯდა, დაღლილი ცხენი ფორხილობდა, ალალბედზე მიეხეტებოდა ჩუბენკოს რაზმი, ყოველის მხრიდან ფიჭვის ხეები შემოსჯაროდნენ და შრიალებდნენ, თანაბარ ფანტავდნენ ნამძინარევ ჩურჩულს, გემსართავებივით ჭრიალებდნენ და იალქნებივით გუგუნებდნენ. ტყის ქართა ფლოტი უსაზღვროებას მიელტვოდა, ცის თოვლიან უდაბნოებში ტლაშუნობდნენ ლურჯი ტბები, ყინული ყინულს აწყდებოდა, მთა მთას, — ქარი ბრძოლად გამოსულიყო და ქაოსს ქმნიდა.

ჩუბენკო თვლემდა და სადავე ხელიდან უსხლტებოდა, ცხენი ფორხილობდა, ტყის დიდებული შემოდგომა თავს დასდგომოდა რაზმს, ბლომად იყვნენ დაჭრილები, მეომრებს შეხვეული ხელები წინ გაწვდილი თეთრი ფიალებივით მიჰქონდათ. ზოგ მებრძოლს მკერდზე მიედო ხელი, ზოგს მუცელზე, მძიმედ დაჭრილები საკაცეებით მიჰყავდათ, ვაზნებით დატვირთული, დაჭრილი და დაუძლურებული მებრძოლებით შეხორხლილი ორთვალები ყურძნის მტევნებს ჰგავდა. რაზმს პირქუში და წვერმოშვებული გოლიათები მიუძღოდნენ, იარაღში ჩამჯდარი მეომრები ნაბიჯს მტკიცედ ადგამდნენ.

ჩუბენკოს რაზმი ნელ-ნელა მიიწევდა ტყეში. მეომრებს თვალწინ ედგათ შორეული და ნანატრი დონბასი, მებრძმედეები და ზეინკლები, მემარტენეები და მინამბერები, მგლინავები და მემაღაროელები, შავი მუშები — ყველანი უკან მიჰყვებოდნენ თავიანთ ჩუბენკოს, წითელი პოლკის მეთაურს, შეუპოვარსა და ჯიუტს, თავისნათქვამასა და დაუდეგარს.

ჩუბენკო მხოლოდ მსუბუქად დაჭრეს, პოლკის კომისარი კი პოლონელებმა ვისლასთან ბრძოლაში მოჰკლეს და ასო-ასო აქნილი ბრძოლის ველზე აკრიფეს. კომისარი პატივით დაასაფლავეს. პოლკი ვარშავისაკენ ისწრაფოდა, პოლონელებს უბოდიშოდ, დონბასურად ებრძოდა, ზეინკლები ზარბაზნებს აქუხებდნენ, მემაღაროელები ხმლებს აელვარებდნენ, ეროსმცემლები ჭურვებს ისროდნენ, მეაირენი შაშხანებს აჭექებდნენ, ვისაც როგორ შეეძლო და ვისაც რით უყვარდა. ამ პოლკის მიერ დაკავებული უბანი ყველა იერიშს უძლებდა, პოლკმა თითქმის ყველაზე ბოლოს დაიხია. რაზმს ჩუბენკო მიუძღოდა, წითელ არმიასთან კავშირი გაწყვეტილი იყო, მებრძოლებს ელანდებოდათ დონბასი, მტვრიანი და მშობლიური, ათას ცხრაას ოცი წლის ადრიანი შემოდგომა იდგა.

„მოიცა, — იყვირა წითურმა ფერშალმა და ჩუბენკოს წამოეწია. ფერშალი უბელო ცხენზე იჯდა, ქამარზე ჯარის მწერლის ძველისძველი სამელნესავით დაჰკონწიალებდა იოდიანი ბოთლი, — პირდაპირ გეტყვი, ამხანაგო მეთაურო, ორი დღის წუთისოფელი დაგვრჩენია, ყველანი დავსახიჩრდით და დავძაბუნდით, დაჭრილები საკაცეებზე ლპებიან, მთელი ტყე ჩირქის სუნით ყარს, მოდი, სადმე სოფელში გავჩერდეთ და დაჭრილები დავტოვოთ, ჩვენ გზა განვაგრძოთ. ჩუბენკო, შავი დღე დაგვიდგა, პოლონელები მოგვდევენ და გვეძებენ, ჩვენ კი დაჭრილები ხელ-ფეხს გვიბორკავენ. და კიდევ, საიდუმლოდ გეტყვი, რამდენიმე კაცს ტიფიც გამოაჩნდა“.

მაგრამ ჩუბენკომ ფერშალს ხელი აუქნია და გაფიცხებული ტუჩები გაილოკა: „წამდაუწუმ პირი მიშრება, ნეტა რას უნდა ნიშნავდეს, თავი მარტენივით მიგუგუნებს, ფერშალო, შენ ქერქში დადექ, მეომრებს დომბასის ნახვა სურთ,

დონბასურ ბალახზე ენატრებათ წამოწოლა. ჰოდა, მეც დივიზიასთან შესაერთებლად მიმყავს, აქედან ხუთას კილომეტრზე ბოლავს ჩვენი დონბასი, შინ მიგველის, ჩვენც დავბრუნდებით, მაღაროებსა და ქარხნებში ყიჟინას დავცემთ, პოლკიც ძალ-ღონით აღივსება, ფერშალო, ხალხს ეგრე ბედის ანაბარა ვერ დავყრით, ტიფიანები კი რაზმისაგან განაცალკევე".

ჩუბენკომ მოიხადა ბოხოხი და თავზე ხელები შემოიჭირა, თავი უხურდა, ტყაპუჭქვეშ გული აჩქარებით უცემდა. ფერშალმა ჩუბენკოს ხელი მოჰკიდა, ერთხანს უსიტყვოდ იარეს. „ჩუბენკო, შენც ტიფი გაქვს, მეთაურად სხვა დააყენე და დაწექი, ეგეც შენ, ხომ აიტკივე აუტკივარი თავი!"

ჩუბენკომ ფერშალს გადახედა, ფერშალი გაჩუმდა, ფიჭვის ხეები გემსართავებივით ჭრიალებდა. „მიბრძანებია კრინტი არ დასძრა, მე ცხენიდან არ ჩამოვალ, შენ კი ჩემს ნაგანს ვერსად გაექცევი".

წითურ ფერშალს სიბრაზისაგან ცეცხლისფერი დაედო, ქამარზე ჩამოკონწიალებული იოდიანი ბოთლი აიგლიჯა, გზას დაანარცხა და ლანძღვა-გინების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ ცოტას დარჩა, არ გაიგუდა. ჩუბენკოს ფერშლისკენ არც გაუხედავს, მიდიოდა და თან რუკას ჩასცქეროდა. ბილიკი ფიჭვნარში დაიკარგა, შემოდგომა იდგა და ტყეში ჩამოცვენილი ფოთოლი ლპებოდა.

გარშემო უსიერი ტყე აღმართულიყო, ცას შესდგომოდა ხეები, ირხეოდა და გემსართავებივით ჭრიალებდა. რაზმი საშემოდგომოდ მორთულ, დაბურულ ტყეში მიიწევდა, ცაზე ტრაგედიული წარმოდგენები იმართებოდა, მთებიდან მყინვარები მობობღავდა და მთელ კონტინენტებს ფარავდა, ზღვებზე აისბერგები დაცურავდა, ცაზე მატერიკები იყოფოდა და ოკეანისაკენ მიემართებოდა.

მილიონიანი წლების კატასტროფები ხდებოდა, რაზმი კი მიდიოდა და მიდიოდა, მიდიოდა და მიდიოდა — ტყეს ბოლო არ უჩანდა, დაჭრილები უმწეოდ კვნესოდნენ, სიკვდილს ნატრობდნენ, მძიმე იყო კაცთა სატანჯველი, ფეხები უსივდებოდათ, ხელები ერთმეოდათ, გაბმული, გამოუფხიზლებელი ძილის გარდა არაფერი უნდოდათ. შორს ბუნდოვნად ჩანდა მიზანი, იოლზე იოლი იყო დონბასური დიდების დაღუპვა, ცხვრის ფარად გადაქცევა და ტყეში გაფანტვა, წითელ არამიასთან შეერთებაზე სამუდამოდ ხელის აღება. მხოლოდ იარაღში ჩამჯდარი ავანგარდი იყო კაჟივით.

ჩუბენკო რუკას ჩასცქეროდა და რაზმს მიუძღოდა.

თითქოს დონბასელი პარტიზანები ზღვის ფსკერზე მიიკვლევდნენ გზას, თითქოს ფიჭვებსა და ღრუბლებს ზღვის ლურჯი წყალი ზედ გადასდიოდა, მზის გულზე კი ნავები ირწეოდა. რაზმს ისღა დარჩენოდა, ნაპირზე გასულიყო და უკან, ზღვისკენ მიეხედა. ნაპირზე დახვდებოდათ აკვამლებული დონბასი, დონბასური ქარხნები, ბრძმედები, შუშის ქარხნები და პატარა მწვანე მინდორი მთელი თავისი მომხიბლაობით. იქ ლაღად სუნთქავს კაცი, თითქოს მთის ძირში დონბასი დგას და მთელ მთაგრეხილს დონბასური შრომის გრიალი აზანზარებსო.

ჩუბენკო რუკას დასცქეროდა, სადაცაა უნდა გამოჩენილიყო ტყის მცველის ქოხი, სხვანაირად გზას ვერ გაიგნებდნენ. ჩუბენკოს ახლა ისე მოუნდა იმ ქოხის დანახვა, რომ მოეჩვენა კიდეც და ცხენი ააჩქარა.

ყვითელ ხეებში კედელი თეთრად ქათქათებდა, კედელზე სარკმელი ელავდა, საკვამურიდან კვამლი ამოდიოდა და მაღლა-მაღლა მიირწეოდა, ქოხი ხან თვალს მიეფარებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა. მაგრამ მოჩვენება მალე გაჰქრა, ქოხად თეთრი არყის ხეების კორომი ეგულისხმა. ხეებს მიღმა ტბა ყოფილიყო, მიყრუ-

ებული და მრუმე, ტბაში ათასი წელია ცვიოდა ფიჭვის წიწვი და წყალი ისე ჩაშავებულიყო, მხოლოდ ზღაპარში რომ თქმულა, ან ვინმეს ქიმიურ ქარხანაში უნახავს.

ტბასთან შედგა მთელი რაზმი, ზოგი ჭრილობებს იბანდა, ზოგი წყურვილს იკლავდა, წყალს მიმდგარი ცხენები ხმადაბლა ფრუტუნებდნენ, საუკუნოვანი ფიჭვები კენწეროებს არხევდა. „წინ, — შესძახა ჩუბენკომ, — წინ, დონბასის რესპუბლიკავ!“ — და უნაგირზე ისე გადაქანდა, გეგონება, ხუმრობსო. ჩუბენკომ იგრძნო, ტიფს უკვე ხელი დაერია, სუნთქვა უჭირდა, თავში ჩაქუჩები უკაკუნებდა. „პროლეტარებო, მომყევით!“ — შესძახა ჩუბენკომ, თან ავადმყოფობას ეურჩებოდა. არავინ განძრეულა, მეთაური მიხვდა, ამბოხება დაიწყო.

„მიტინგი, მიტინგი, — იყვირეს პარტიზანებმა. — აქ სად წამოგვიყვანე, ჩუბენკო?“

სიტყვას ამბობდნენ ძველი მჭედლები, წყლულებსა და ჭრილობებზე ითითებდნენ, სიტყვას ამბობდნენ მებრძმედეები, იარაღს მიწაზე ყრიდნენ. „გვეყო წანწალი, პოლონელ პანებს სული მიჰყიდა, ასე ტყე-ტყე ხომ პილსუდსკისაც მიგვგვრის, გზა აებნა მეფოლადეს, ტიფი აქვს, უნდა გავკოჭოთ, ფერშალი გაგვიძღვეს“. იარაღში ჩამჯდარი ავანგარდი დუმდა.

ცაში მილიონიანი წლების კატასტროფები ხდებოდა, შავ ტბას ტყე გემსართავივით დასჭრიალებდა, ცხენზე მჯდარი ჩუბენკო ხმას არ იღებდა, გულში სისხლი უდუღდა, თვალებზე ბლონდი გადაჰფარებოდა, ბლონდი ხელისგულით ჩამოიცილა და შემდგომ სიჩუმეც ჩამოვარდა, რადგან ყველა მიხვდა, ჩუბენკო რაღაცის თქმას აპირებდა. ხოლო ჩუბენკო ბაგეს ტყუილუბრალოდ არ გახსნის, ისედაც ჯიუტი და ბოხხმიანი, ახლა აყვირდება დონბასზე, ამოცანებზე, რევოლუციაზე, ყველას თვალებში ჩახედავს, თანაც ისე, თითქოს თვითეულს საკუთარ სულში ჩაეხედოს. ჩუბენკო ფოლადსაც გამოადნობს, თავისასაც გაიტანს, მაგრამ შენც ქანცს გაგაცლის, რადგან თავისნათქვამა და ჯიუტია, ასეთ კაცს დედა ალბათ მდუღარეში აბანავებდა, მამა კი ჭინჭრით წვრთნიდა.

ჩუბენკო დუმდა, ყველას თვალებში ჩასცქეროდა, უცებ სადავე ხელიდან გაუგდო, ცხენიდან ჩამოხტა, „უნდა დავიძრათ“, — თქვა საქმიანად და გზას ფეხით დაადგა. ცხენიც აედევნა, ფიჭვის ხეები ჭრიალებდა, მეთაურს რაზმიც უხმოდ მიჰყვა, ზოგი ცხენზე იჯდა, ზოგი ორთვალაზე, ზოგიც ქვეითად მიდიოდა.

ხოლო როცა საბოლოოდ გაირკვა, ვინ რა გზა ირჩია, როცა ცხადი გახდა, რომ მებრძოლთა მოძრაობას ვეღარაფერი შეაჩერებდა, როცა დაჭრილებმა ჭრილობები შეიხვიეს და ავანგარდს კვალში ლასლასით მიჰყვნენ, სწორედ მაშინ აღალიდან სროლა გაისმა. ყველას თვალწინ დაბარბაცდა ჩუბენკო და რაზმს მიუტრიალდა, იდგა მშვიდად, წარბიც არ შეუხრია, ასე იფიქრებდი, რაზმსა და წუთისოფელს თვალებით ეთხოვებაო, სადაცაა თავისი დონბასელების თვალწინ დროშასავით უხმოდ დაეცემა, დაეცემა და ვეღარაფერი წამოაყენებსო, მერე ვეღარც გამოაბრუნებდი ნაწრთობ მეფოლადეს.

ჩუბენკო კი იდგა და იდგა, ხმას არ იღებდა, არც ინძრეოდა, მის თვალებში თავდაყირა დგებოდა ფიჭვები, ნისლიან წრეებს მიღმა მარტენის თავისი საამქრო დაინახა, შემომჭრელი ოსტატები პნევმატური თოფებით გულდაგულ ჭრიდნენ დეტალებს. ჩუბენკო იდგა და იდგა, რაზმს კი ეგონა, მეთაური მთლიანად რკინისა იყო და ყველა განსაცდელს გადაიტანდა. მაშინ იმას, ვინც ისროლა, რამდენიმე ხელი სწვდა. უმალ თვალი ამოუგდეს და პირი დაუსახიჩ-

რეს, ჩუბენკომდე სულ ხელის კვრით გააგდეს, ყველა ცნობდა წითურ ფერშალს, ვერაგ მაწანწალას, მუშტი აღარავის ენანებოდა.

ფერშალი მწკრივებს შორის გამოგორდა და ჩუბენკოს წინ დაეცა, მერე ოთხზე დადგა, თითქოს მზეს უნდა შეჰყმუვლოსო, ბოლოს წამოდგა, გასისხლიანებულ თვალბუდეზე ხელი აეფარებინა, ტკივილისაგან ბღაოდა. ჩუბენკომ აუჩქარებლად გახსნა რევოლვერის ბუდე, იარაღი ამოიღო და ისე, რომ არც დაუმიზნებია, ფერშალს სული გააფრთხობინა, მერე შეჯდა ცხენზე და გზა გაგრძო, რაზმს გაუძღვა, ტიფი ბოლოს უღებდა, ტკივილი რომ დახსნოდა, თავში ხელს იცემდა.

დასავლეთით მზე ტყეს გაუსწორდა და უფრო დაბლა ჩაგორდა, ტყეში ალმაცერი სხივები გადაიხლართა, ათრთოლდა და ტოტებთან ერთად დაირწა, ხეებს შემოეხვია და გზაზე ისე გადაიჭიმა, თითქოს ზღაპრული კრეტსაბმელი. ან ჯადოსნური მდინარე ყოფილიყოს. ამ სხივთა მორევში მოჰყვა ჩუბენკო და შარავანდმოსილი მეთაურის ელვარებამ რაზმს თვალი მოსჭრა. მეთაურს დონბასელებიც იმავ გზით მიჰყვნენ, ერთმანეთი ველარ ეცნოთ, შნო და ძალა შემატებოდათ, გაახალგაზრდავებულებს ჭრილობები გადავიწყებოდათ. ორთვალა, რომელშიც ტიფიანები იწვნენ, შეყოვნდა მზეში და ავადმყოფებმა ბოდვა იწყეს: ერთს — მარტენი ეკერა პირზე, მეორეს — შუშის ქარხანა.

ჩუბენკო ტყის სიბნელეში გაუჩინარდა, წამით ცხენის კისერს გაეკრა, მერე უკან გადაქანდა, შეუპოვრად იგერიებდა მოძალებულ ავადმყოფობას, გონებას რომ უბნელებდა. ჩუბენკო მელარეებს უყვიროდა და მეყალიბეებს ლანძღავდა, ოსტატს ღუმელთან ეძახდა, მეკაზმეებს თათხავდა, ინჟინერთან ერთად თამბაქოს აბოლებდა. ინჟინერი საფრანგეთის კონტრდაზვერვის გამომძიებელი ხდებოდა, ოდესური თბილი ქარი ყურში უზუოდა, ზღვის ტალღათა ღმუილისაგან თავი უგუგუნებდა, ნაპირზე ტყის მცველის ქოხი იდგა. ჩუბენკო მიდიოდა იმ ქოხისაკენ და ველარ მიელწია, წინ ერთიმეორის მიყოლებით ეღობებოდა ხეები, იმედს უქრობდა. ტყის მცველის ქოხის გარეშე კი მარტენიდან გამონადნობს ვერ გამოუშვებდნენ. ჩუბენკო წამით გამოერკვა და მიხ[illegible], ტიფი აღარ ეხუმრებოდა, სნეულებას უნდა მორეოდა და რაზმს დონბასისაკენ გაძღოლოდა.

ჩუბენკო თავში ხელს იცემდა, ცდილობდა არ დაეკვნესა. ამ დროს მიუახლოვდა ადიუტანტი და დაბანაკება შესთავაზა. ამასობაში მზე ჩავიდა, დასავლეთით შინდისფერი და ვარდისფერი ღრუბლები კრთოდა, დაისი უამინდობას მოასწავებდა. ტყეს მცხრალი მთვარე წამოადგა, ჯერ უძალო მთვარე ბჟუტავდა, მერე და მერე გაყვითლდა, ძალა მოიკრიბა და უკვე ჩამომდგარი ღამე, შეძლებისამებრ გაანათა, ჩუბენკოს რაზმიც ღამის გასათევად გაჩერდა.

მაღალი ტყის შუაგულში ბანაკად დადგნენ დონბასის პოლკის ნარჩენები. მცხრალი მთვარის შუქზე პოლკი თავის ჩვეულ და მარტივ საქმეებს შეუდგა: ირგვლივ წესისამებრ გუშაგები დააყენეს, მეტყვიამფრქვევეებმა ტყვიამფრქვევები გაწმინდეს, მსროლელებმა — შაშხანები, დაჭრილებს ექიმმა ჭრილობებზე იოდი წაუსვა, ტიფით გარდაცვლილი შორიახლოს დაასვენეს მიწაზე, რადგან სიკვდილს კიდევ ორი დაჭრილი მეომარი ებრძოდა, სულთმობრძავებს თანამებრძოლები ეთხოვებოდნენ, ჰპირდებოდნენ, რომ დანაბარებს დონბასამდე მიიტანდნენ, ქარხანაში იტყოდნენ და ცოლ-შვილს გადასცემდნენ.

ვაჟკაცურად კვდებოდნენ დაჭრილები. იმის მიხედვით, თუ როგორ შეხვდა კაცი სიკვდილს, შეგიძლია თქვა, როგორ იცხოვრა. დაჭრილები წუთისოფელს

ლირსეულად გამოესალმნენ, სიბრალული არ გამოუწვევიათ, მეგობრებს პატივისცემა აღუძრეს და უფრო მძლავრად გაუღვივეს გამარჯვების წყურვილი. გარდაცვლილ მეომრებს თვალებში საუკუნოდ ჩაურჩათ ღამეული ტყისა და მცხრალი, იმქვეყნიური მთვარის სახება. ცოცხლებმა მკვდრები დამარხეს და ჩაფიქრებულები საფლავებთან დადგნენ. ფიჭვები გემსართავებივით ჭრიალებდა. განსვენებული კომისრის მოადგილემ სიტყვა წარმოთქვა, ყველანი უხმოდ უსმენდნენ, არც მუსიკა დაუკრავთ და არც შაშხანები დაუქუხებიათ. ანაზდად ხმადაბლა წამოიწყეს მემაღაროელების ძველებური სიმღერა „ტანჯვა", დაქანცული მეომრები საოცარი ძალისხმევით დამღეროდნენ მეგობრებს. ჩუბენკო ცხენიდან არ ჩამოსულა, ებრძოდა ტიფს და ეშინოდა, მიწაზე წონასწორობა არ დაეკარგა. თითქოს სიზმარშიაო, სიმღერას ისე თავისუნებურად აჰყვა. სიმღერა რომ დაამთავრეს, კომისრის მოადგილემ სიტყვა განაგრძო.

„მეცნიერული სოციალიზმი, — თქვა კომისრის მოადგილემ, — აგრეთვე მშვიდობა ქოხებს და ომი სასახლეებს ასეთ დოქტრინას ითხოვს, რომ მტრებს დაუნდობლად ვურტყათ, ჩვენი ამხანაგები საფლავში გადაბრუნდებიან, თუ ეს სიტყვები დაგვავიწყდება. პეტლურელთა არმიამ პოლონელ პანებთან და მარშალ პილსუდსკისთან დაამყარა კავშირი, სურს ხელში ჩაიგდოს უკრაინა და ჩვენი უძლეველი დონბასი, ბურჟუებისა და სოფლის ბობოლების ეს არმია ყვითელ-კისფერ დროშებს აფრიალებს და კონტრრევოლუციას აჩაღებს, დღეს ჩვენი ამხანაგები მიწას მივაბარეთ, ჩვენ ვიცით, ვინ მოუსწრაფა მათ სიცოცხლე — ერთი პეტლურელთა ხმალმა განგმირა, მეორე — პოლონურმა ტყვიამ, სოციალიზმი კი მოითხოვს..."

ჩუბენკო უკვე ტყე-ტყე მიდიოდა, საგუშაგოს გასცდა, გუშაგებს ფხიზლად ყოფნა უბრძანა. დასაზვერად მიდიოდა მეთაური, იმედოვნებდა, ტყის მცველის ქოხს ან ისეთ ადგილს იპოვიდა, რის შემწეობითაც რუკაზე გზის გაგნება არ გაუჭირდებოდა. ცხენი ფრთხილად მიჰყვებოდა ბილიკს, ყურები დაეცქვიტა, გრძნობდა, რაოდენ პასუხსაგები იყო ეს მგზავრობა, ხოლო ჩაშავებული ხეები, შავი ჩრდილები ცხენის წარმოსახვაში პირველყოფილ სახეებს იწვევდა. ცხენი ცდილობდა ხმადაბლა დაეჭიხვინა, მოგონებები გაეფანტა. სამ კილომეტრზე გადაჭიმულიყო ხშირი და გაუვალი ტყე, მერე მთვარის შუქზე მკაფიოდ გამოჩნდა ფართო განაკაფი, ეტყობოდა, სადაცაა ტყე უნდა გათავებულიყო.

ხელმარჯვნივ დაბლობი ადგილი დაუხვდა, ეტყობა, დაბლობს რომ ჩაჰყოლოდა, მდინარესთან მიიყვანდა, განაკაფს მიღმა დაიწყო ნორჩი ტყე, თავიდან პატარ-პატარა კორომები გამოჩნდა, ეს ტყის პირი იყო, იმათ მალე ჩირგვები და ჯაგები მოჰყვა, მერე და მერე კი — ვაკეზე აქა-იქ გაბნეული ხეები, ხოლო მინდვრებიდან ნოტიო ჩალისა და სველი მიწის სურნელი აღწევდა.

ანაზდად ჩუბენკოს ცხენი შედგა, ჩუბენკომ ანგარიშმიუცემლად დეზი ჰკრა, ცხენის მოუსვენრობა მხედარსაც გადაედო. განაკაფის იქით გზა ისევ შედიოდა ტყეში და ცხენს იქით წასვლა არამც და არამც არ უნდოდა, მაგრამ პატრონმა ააჩქარა, ჰოდა, ცხენ-კაცმა ხის ძირში შეაბიჯა.

ჩუბენკოს ნაგანი ჩაებღუჯა, ტყისა და ადამიანის სუნი ტრიალებდა, ის-ის იყო გამობრუნება დააპირა, რომ ამ დროს მაჯლაჯუნასავით თავს დააკხრა რაღაც ბანჯგვლიანი. მანამ გონებას დაკარგავდა, ამქვეყნად თუ რამ სნეულება არსებობდა, ყველა ერთად დასწყევლა და ცხენს ფაფარში ჩააფრინდა, იმედოვნებდა, ბედაური რაზმამდე მიიყვანდა.

„ძვირფასო ამხანაგო ჩუბენკო...“ მაგიდაზე ნავთის ლამპა იდგა, იქვე იდო საბუთების დასტა და ჩუბენკოს პლანშეტი. მუხის სქელ კოჭს გადაეკვეთა ჭერი, კოჭზე სანთლის ჭვარტლით დიდი ხუთშაბათისა თუ ნათლისღების ჯვარი გამოეყვანათ. ღუმელზე ვიღაც იწვა და ახველებდა ყრუდ და ხმელად. ჩუბენკო მერხზე წამოიწია, ჩამოჯდა, ტარაბუა ესხმოდა, გასკდომაზე ჰქონდა თავი, მაგრამ გონება უკვე მოეკრიბა. იქ მყოფნი უსიტყვოდ შეათვალიერა, ხელები მუხლებს ჩამოაყრდნო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოიჭირა. თავს იმშვიდებდა, იცხრობდა სისხლს და მტრის ხელით სიკვდილისთვის ემზადებოდა. ჩუბენკოს ნაგანიც მაგიდაზე იდო, კაცები სულ სამნი იყვნენ, ღუმელთან ქალი ფუსფუსებდა.

ძველებური სილამაზისა იყო სახლი, მერხებითა და სკივრით გაწყობილი, თაროები მოხატულ თეფშებს ვერ იტევდა. ვიღაც ღუმელზე მწოლს ისეთი ხველა აუტყდა, სულს ღაფავსო, იფიქრებდი; დიდი, ჩამქრალი თვალები მოჩანდა მწუხრში.

„ძვირფასო ამხანაგო ჩუბენკო, — გაიმეორა ჩასხმულმა, მხარბეჭიანმა ჯირკუტანამ და თვალისმომჭრელად ქათქათა კბილები დაკრიჭა, — წითელი პარტიზანების სახელით მოგესალმები ჩვენს მიწაზე. ჩვენ კი ვმარჩიელობდით, ნეტა რა თევზი მოჰყვაო ბადეს, რას ვიფიქრებდით, დონბასის პოლკის მეთაური თუ აღმოჩნდებოდა, თანაც მარტოდმარტო, შენი დონბასელი პარტიზანების პოლკი სადღაა?“

მერხზე მჯდარი ჩუბენკო დუმდა, სნებამორეული ტანი უკანკალებდა, ახლა გულისყური უნდა დაეძაბა, ძალ-ღონე მოეკრიბა, ყური დაეგდო, აეწონ-დაეწონა და გადაეწყვიტა. მაშინ მეორე ალაპარაკდა — ბავშვური პირი[illegible]ე ჰქონდა, უთუოდ მასწავლებელი, ან სემინარიელი უნდა ყოფილიყო: „გვერწმუნე, ამხანაგო ჩუბენკო, ასე არამც და არამც არ შეგაშინებდით, რომ გვცოდნოდა, ჩვენიანი მოდიოდა და არა ვინმე წყეული პოლონელი, ან პეტლურელთა მზვერავი. ჩვენ მათთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გვაქვს, ამხანაგო ჩუბენკო“. მესამემ, მდუმარე მასპინძელმა მოულოდნელად კეთილად გაუღიმა, და ღიმილი უსიცოცხლოსავით დაეკიდა ტუჩებზე.

„გვითხარი, შენს პოლკს რა უჭირს და რა აკლია, ჩვენ დაგეხმარებით, ავადმყოფებს გადაგიმალავთ, ეგებ ტანსაცმელი გჭირდებათ, ან საქონელი, იქნებ, უწინარეს ყოვლისა, საჭმელ-სასმელით მოგამარაგოთ. მერე კი თქვენს მორეულ დონბასისკენაც დაიძრებით, შესაძლოა ჩვენი პარტიზანებიც შემოგიერთდნენ, რომ ერთად ვიბრძოლოთ რევოლუციის გამარჯვებისთვის“.

ჩუბენკომ ნელ-ნელა აკრიფა მაგიდიდან თავისი საბუთები და პლანშეტი, რევოლვერი ბუდეში ჩაიდო, თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც შეემჩნიოს, რომ ვაზნების მჭიდე დაცლილი იყო.

„აჰა, შენც მზადა ხარ, ჩუბენკო, — თეთრკბილამ მაგიდისქვეშიდან ბოთლი ამოიღო, — ვიდრე გზას დაადგებოდე, ეგებ გადაგეკრა ერთი — როგორც გენებოს. ჩვენი რაზმი სახლებში წავიდ-წამოვიდა, ლაშქრობიდან გუშინ დავბრუნდით და სულს ვითქვამთ, პოლონელი კი ბევრი ავჩეხეთ. ხვალ დილით სოფელში სტუმრად გვეწვიეთ, საძოვარზე დაგელოდებით და ღირსეულად გიმასპინძლებთ, იქ გამოჩნდება, რა უფრო გჭირდებათ, საჭმელ-სასმელი, ორთვალა თუ სხვა რამ უფრო აუცილებელი“.

ღუმელზე მწოლს ახლა ისეთი ხველა აუტყდა, ფილტვები ჩასწყდაო, იფიქრებდი.

ჩუბენკომ თანამოსაუბრეთა თავებს მაღლა აიხედა. „ეს ჩვენი ხეიბარია, ომში ჯარისკაცად იყო, აგერ, ახლახანს დაბრუნდა, ღმერთმა უწყის, საიდან — კავკასიიდან თუ ციმბირიდან, შინ მაინც მოკვდება, მაგის სიცოცხლე რალა სიცოცხლეა“.

ნაჯარისკაცარი ჩამოვიდა ღუმელიდან და კარისკენ წაჩანჩალდა, თან ხელი მკერდზე მიედო. ეს იყო იმპერიალისტური ომის უსუსური ნაბოლარა, ცოცხალი სამხილი და წარსულის მსხვერპლი, ჩუბენკოს რატომღაც გული გაეწურა. მილიონობით ასეთი ხეიბარი და ათასობით ასეთი სოფელი გაიხსენა, ჯერ კიდევ დიდხანს უნდა იბრძოლო, ძნელია წინსვლა, ძალ-ღონე არ უნდა დაიშურო.

ნაჯარისკაცარმა კარს იქით სისხლი გადააფურთხა და უკანვე მიაშურა ღუმელს, თან ჩუბენკოს შეხედა, პირდაპირ თვალებში შეაცქერდა, თითქოს ამ ღრმა, სევდიან გამოხედვას ჟამთა სიშორიდან მოეღწიოს, და ჩუბენკოს მოეჩვენა, რომ ეს გამოხედვა გისოსებში გამომწყვდეული კაცისას ჰგავდა.

ნაჯარისკაცარი ღუმელზე აძვრა, მკერდით აგურებს გაეკრა და გაყუჩდა.

„აბა, ამხანაგო ჩუბენკო, ჩვენს სიტყვას რით უპასუხებ, იქნებ თქვენს დონბასში ჩვენებური არ ეყურებათ? ჩვენ ხომ გულწრფელად გთავაზობთ პარტიზანულ დახმარებას, პასუხად ერთი სიტყვა მაინც გვითხარი“.

ჩუბენკო წამოდგა, გაიარ-გამოიარა, რა დარწმუნდა, სიარული შემიძლიაო, ძალიან გაიხარა. ფანჯარაში ხალხს და ცხენებს მოჰკრა თვალი, ანაზდად თავშეხვეული პარტიზანი შემოვარდა: „ხალხი მოგვეცით, გვძლევენ!“ პარტიზანს თეთრკბილა მიეჭრა, ხელი სტაცა და ორივენი ეზოში გავარდნენ. „პოლონელმა გაუჩეხა თავი, — უთხრა ჩუბენკოს ბავშვური პირისახის პატრონმა, — საწყალი, შემოვარდება ხოლმე და ბოდავს“.

თეთრკბილა ოთახში შემობრუნდა. „პოლონელმა გაუჩეხა თავი“, — გაიმეორა ბავშვური პირისახის პატრონმა, ჩუბენკოს კი არც უკითხავს, ავადმყოფი რად ჰგავსო შიკრიკს. „ეს რა სოფელია? — ბოლოს და ბოლოს ხმა ამოიღო ჩუბენკომ. „კამიანი ბრიდი, ამხანაგო ჩუბენკო, ჩვენ კი — კამიანიბრიდელი პარტიზანები ვართ“.

ჩუბენკო ისევ დადუმდა, ჭრიჭინას წყნარი მოძახილი ნანასავით გაისმოდა, მესამე, მდუმარე პარტიზანი იღიმებოდა, მაგრამ ტუჩებზე უსიცოცხლო ღიმილი ეკიდა. „კეთილი, თანამემამულენო, — თქვა მერე ჩუბენკომ, — ხვალ დღისით სტუმრად გეწვევით და მაშინ მოვისაუბროთ და ვითათბიროთ, ხალხი საკმარი მყავს და მტერზე სალაშქროდ ვამზადებ, მეომრებს ბრძოლა სწყუროდათ, ვაზნები ბლომად გვაქვს. დონბასის პოლკმა იცის, რისთვის იბრძვის, პოლკი — რევოლუციის იმედია და პროლეტარიატის დასაყრდენი. მშვენიერი მიწაწყლის მკვიდრნი ხართ, თანამემამულენო, უკიდეგანო ტყეების პატრონები თავადაც ალალნი და მიმნდობნი ყოფილხართ, ერთი სიტყვით, ხვალ სოფელთან დაგველოდეთ — მემაღაროელებსა და მელითონეებს, დონბასის მხარის მშვენებას“.

ღუმელზე მწოლი ნაჯარისკაცარი ხველას ვერ იკავებდა, ჩუბენკო ერთხელ კიდევ წააწყდა იმის მეტისმეტად შეშფოთებულ თვალებს. ამის შემდეგ ჩუბენკო სახლიდან გავიდა, პარტიზანებიც მიჰყვნენ, ეზოში ორი ცხენი იდგა, ერთი ჩუბენკოსი იყო, სხვა არავინ ჩანდა. ჩუბენკო ცხენზე შეჯდა, მეორე ცხენს მდუმარე პარტიზანი მოახტა. სოფელი უსიტყვოდ განვლეს და განაკაფს მიატანეს. „ის

ნაჯარისკაცარი მალე მოკვდება“, — თქვა ჩუბენკომ. „ბედნიერად“, — მიუგო პარტიზანმა და უცებ ცხენი დააოთხა.

ტყის მდუმარება გაიპო და ჩუბენკომ სიჩუმეში შეაბიჯა. ტყე გემსართავი-ვით ჭრიალებდა, მთვარე ჩასულიყო, სადაცაა ირიჟრაჟებდა. ანაზდად ჩუბენკოს დაღლილმა ცხენმა ხმამაღლა დაიჭიხვინა. თითქოს გამოქვაბულში დაგორებულიყოს მისი ჭიხვინი, ისე დაბრუნდა უკან ძლივს გასაგონი გამოძახილი. ჩუბენკო სიჩუმეში ისე მიაბიჯებდა, თითქოს ქალაქზე გადადიოდა, სიჩუმის შენობები თვალშეუდგამ სიმაღლეზე აღმართულიყო. ეგონა, რაც გზაში იყო, უკვე ერთი საათიც გასულიყო და ბარე ათიც, სინამდვილეში მხოლოდ რამდენიმე წუთს გაევლო. ცხენმა ხელმეორედ დაიჭიხვინა. „შესდექი!“ — ეს უკვე დონბასელები იყვნენ. ჩუბენკომ პაროლი თქვა და გზა განაგრძო. „ჩუბენკო, ჩუბენკო!“ — გაიხარეს თანამებრძოლებმა, გამოჩნდნენ ადიუტანტი და კომისრის მოადგილე, ორივეს რევოლვერები ქამრებში გაეჩარათ. ჩუბენკოს თანაშემწეც მოვიდა: „აღარც გვეგონა, ცოცხალს თუ გნახავდით, აგერ, ეს გამოგყვა და დაგინახა, როგორც შეგიპყრეს, მაგრამ შველა ვერ შესძლო და უკანვე მოვარდა. ის იყო, ასეული დავრაზმეთ და შენს კვალს მოვყევით, რომ ოთხივ მხრიდან თავს დაგვესხნენ, ზოგი მოგვიკლეს, ზოგიც დაგვიჭრეს, თუმცა არც ისე ადვილი გამოდგა ჩვენი ხელში ჩაგდება. ხიშტები ვაძგერეთ, ვაზნები ხომ ისედაც ცოტა გვაქვს, ესეც რომ არა, ტყე და ღამე ხელს არ გვიმართავდა, მთვარის შუქზე იმდენს რას მოახვედრებ, და არც კი ვიცით, ვინ იყვნენ, ტანსაცმელი კი ჯარისკაცური ეცვათ, გამოსარჩევი სხვა ვერაფერი დავინახეთ“.

გარშემოეხვივნენ ჩუბენკოს შაშხანებშემართული მეომრები. ამასობაში კიდეც ინათა, დადგა საშინლად უფერული, შემზარავად ნაცრისფერი ჟამი, როცა ღამეული მდუმარების შემდეგ დღე ისახება. რუხმა ჩრდილებმა ელფერი იცვალა, ცისა და ვარდის ფერები გამოერია, ტყეში ფრთოსნები აჭიკჭიკდნენ, აჟივჟივდნენ, აჟღურტულდნენ, ნათლის დაბადების ეს იდუმალი წუთები ჩუბენკომ მეომრებთან საუბარში გაატარა, ხეთა კენწეროებზე ქარი ფრთებს შლიდა.

ჩუბენკომ მებრძოლებს მომავალი ბრძოლის არსი განუმარტა, რომ ყოველ მეომარს სცოდნოდა თავისი ადგილი, შეგნებულად და თავდადებით ეომა. ერთადერთი გზა ჰქონდა დონბასის პოლკს — კამიანი ბრიდზე გადავლით აღმოსავლეთისაკენ წასულიყო. რუკას თუ დავუჯერებდით, სოფელს მდინარე ჩაუდიოდა, გარეშემო ჭაობები და ულრანი ტყეები ერტყა, ასე რომ სოფელს გვერდს ვერ აუვლიდნენ, უნდა დაძრულიყვნენ კამიანი ბრიდისაკენ და შეხვედროდნენ პარტიზანებს, შეხვედრა კი ისეთი იქნებოდა, როგორიც ეკადრებოდათ.

მზის ამოსვლამდე პოლკი კამიანიბრიდელ პარტიზანებთან ღირსეულად შეხვედრისათვის ემზადებოდა. ბოლოს დაიძრა, ტყე-ტყე მიდიოდნენ მდუმარე და დაძაბული მეომრები, მუხის ხეებს შორის მიაბიჯებდნენ და მუხის ფოთლებს თელავდნენ, მიაბიჯებდნენ ნეკერჩხლის ხეთა შორის და ნეკერჩხლის ფოთლებს მითელავდნენ. ფოთლოვანი ტყე ფიჭვებს აევსო, ჩუბენკო რაზმს წინ უძღოდა, გულს აზიდებდა და თავს სუსტად გრძნობდა, რული ერეოდა. ეს იმას მოწმობდა, რომ მაგარი ნერვების პატრონი გახლდათ.

აგერ, ნაცნობი განაკაფიც, პოლკი საიერიშოდ გაიშალა და დათქმულ ადგილამდე ისე მივიდა, რომ არავინ შეხვედრია. პოლკი ოლეს ხშირ ჩირგვებში დადგა, ამას იქით მინდორი და სოფლის განაპირა სახლები მოჩანდა.

და ჩუბენკო პოლკის მშვენება — პირველი მეწინავე ასეულით დაწინაურდა, წინ გავიდა შაშხანიანი ქვეითი, ქარი წითელ დროშას აფრიალებდა, ზოგმა მეომარმა პერანგი გაიღეღა, მკერდზე ამოსვირინგებული ხუთქიმიანი ვარსკვლავი გამოაჩინა. ეს სასიკვდილოდ განწირულთა ასეული გახლდათ, მტერს ტყვედ რომ არ ნებდებოდნენ, სოფლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, შარაზე კაცის ჭაჭანება არ იყო, ასეული მწყობრად იდგა, როგორც სამწყობრო ნაწილს მართებდა.

გავიდა ნახევარი საათი, არავინ გამოჩენილა. ოლედან ცხენი მოაჭენა ჩუბენკოს თანაშემწემ: „ყველაფერი რიგზეა, რაზმი მდინარისაკენ დაეშვა, კავშირის აღდგენას ვცდილობთ“, — თანაშემწემ უკანვე გაჰქუსლა.

ჩუბენკო და მისი ასეული პირით სოფლისაკენ განლაგდნენ. შორიდან ასეულზე მეტნი ჩანდნენ. წყნარი დილა იყო, სოფლის შარაზე ძეხორციელი არ ჭაჭანებდა, ანაზდად შარა გამოცოცხლდა, ხალხით გაივსო, თითქოს ნიალვარი მომსკდარიყოს, ეზოებიდან ისე გამოცვივდა ხალხი.

ბაირაღებივით ფრიალებდა წითელი დროშები, მოაბიჯებდნენ მარტოკა ქალები და გოგონები, კაცები ცოტანი იყვნენ, წინ ორ ჭოკზე დამაგრებული უზარმაზარი წითელი დროშა მოჰქონდათ. საზეიმო პროცესია სოფელს რა გამოსცდა, გან-გან გაიშალა, დიაცთა ფართო, მჭიდრო წყებად წამოვიდა. ჩუბენკომ გაიხედა ჭოგრიტში და ფლანგზე გადაინაცვლა. ქალებს სოფლიდან კვალდაკვალ გამოჰყვა პარტიზანთა ჯგუფი — ორმოცდაათნი იქნებოდნენ, ცდილობდნენ ფეხშეწყობილად ევლოთ, რომ რეგულარული ჯარისთვის თავი მოეწონებინათ.

ჩუბენკომ ერთხელაც გულდასმით გაიხედა ჭოგრიტში, საზეიმო პროცესია წითელი დროშების ფრიალ-ფრიალით ახლოვდებოდა. დაძაბულ და ყურადღებაგამახვილებულ ჩუბენკოს მეომრებს თითქოს არც მოსწონდათ ეს ზარზეიმი, საქმიანად, ხელის ცეცებით ხსნიდნენ ფალასკებს.

საზეიმო პროცესია დაახლოვდა, ჩუბენკომ ბრძანება გასცა, დონბასელები გაიშალნენ და ჩასაფრდნენ. „ცეცხლი!“ — ჩვეული ხმით დასჭექა ჩუბენკომ. თანმიმდევრულად აკაკანდა ტყვიამფრქვევები, საზეიმო პროცესიას ცხრილავდა, მსროლელები დაუცადებლად აჩხაკუნებდნენ საკეტებს, ცარიელ მასრებს ყრიდნენ, წითელი დროშები ძირს დაცვივდა, ქალებმა ხმლები იშიშვლეს და პირისპირ შესაბმელად წამოვიდნენ, ზედ გადაალაჯეს დახოცილ და დაჭრილ მებრძოლებს.

„ეგ ოინი ჩვენი მოგონილია“, — ჩაილაპარაკა ჩუბენკომ, შაშხანას რიგითი ჯარისკაცივით ისროდა. — „დიდება! დიდება! კომუნისტებო, დაგვნებდით!“

საზეიმო პროცესია უცებ საბრძოლო ერთეულად იქცა და იერიშზე ისეთი გააფთრებითა და შეუპოვრობით გადმოვიდა, რომ ვისაც გნებავთ, იმას წაახდენდა, მაგრამ დონბასელებს წარბიც არ შეუხრიათ, არც ტყვიამფრქვევების კაკანი შემწყდარა.

შენიღბული მტერი ვეღარ იყო ერთსულოვანი, ხმალს ამაოდ იქნევდა წინმდგარი დედაკაცი, ჩუბენკომ იმ ქალში გუშინდელი მდუმარე მასპინძელი შეიცნო. „დაჰკა კომუნას! დაჰკა კომუნას!“ დონბასელებისათვის ეს პირველი შემთხვევა როდი იყო, მათ გაუძლეს იმ ფსიქოლოგიურ წუთებს, როცა ჩვეულებისამებრ დამხვდური ვერ უმკლავდებოდა ხოლმე შეუპოვარ იერიშს, ახლა მასკარადს ისე მშვიდად ცხრილავდნენ, თითქოს ფოლადის საფარში მსხდარიყვნენ. ხალხის ტალღა შედრკა, ბრძოლის ველზე გვამები დატოვა და თავზარდაცემული უკუიქცა.

ჩუბენკომ სროლა შეაჩერა, ზოგავდა ვაზნებს და ტყვიამრფქვევებს გაცივებას აცლიდა, რადგან ამ დროს ახალი საფრთხე გაჩნდა: განაპირა სახლებიდან მხედრები გამოცვივდნენ და საიერიშოდ გაიშალნენ. ეს რაზმი იმ დროს ელოდა, როცა ჩუბენკოელები შენიღბული ქვეითი ჯარის იერიშს ვერ გაუძლებდნენ და უკუიქცეოდნენ, მაშინ კი ყველას ამოხოცავდნენ. ახლა მხედრები უაზროდ, დონბასელებზე ჯავრის ამოსაყრელად გამოცვივდნენ. მეჩხერ წყებად განლაგებულმა ასეულმა ხიშტები შემართა, არც მომქროლავ ცხენთა თქარათქურს შეუშინდა და არც ხმლების შხუილს. პეტლურელთა ყვითელ-ცისფერ დროშიან კაცში ჩუბენკომ ბავშვური პირისახის გუშინდელი თანამოსაუბრე შეიცნო.

მხედრებმა დონბასელებში ხმლების შხუილ-შხუილით აიქროლ-ჩაიქროლეს და მათი ადგილიდან აყრა ვერ შესძლეს, დონბასელებმა ტყვიები დაადევნეს, მხედრებს ცხენებიდან ყრიდნენ. ამ დროს პეტლურელთა ქვეითი ჯარი საიერიშოდ ემზადებოდა, მეთაურებთან ჯგუფდებოდა. ჩუბენკოს ოლედან ვაზნები მოუტანეს.

წნული ღობეებიდან პეტლურელებს სროლა აუტეხეს — თუმცა სროლა კანტიკუნტი იყო, მაგრამ ყოველი ტყვია მიზანს აღწევდა, პეტლურელები უკუიქცნენ, მსროლელებს მწყობრიდან გამოყვანა დაუწყეს. სულ უფრო და უფრო კანტიკუნტად ისმოდა სროლა, ღობეებს ცამეტი კაცი გამოსცდა და დონბასელებს მოაშურა. ძველი ფრონტელებივით მორბოდნენ, წელში მოხრილნი, იკლიბოკლოდ, კიდეც ისროდნენ, კიდეც მოხოხავდნენ, სამხედრო საქმის ოსტატები იყვნენ და უკანდახევისას არც ერთი კაცი არ დაუკარგავთ. ჩუბენკომ გაიხედა ჭოგრიტში და ბრძანა, გამოქცეულთათვის მხარი დაეჭირათ სროლით.

როგორც იქნა მოაღწიეს დონბასელებამდე. ჩუბენკომ მათში ჭლექიანი ნაჯარისკაცარი იცნო, თვალებში ფანატიკური ცეცხლი უელავდა, ნაჯარისკაცარი ჩუბენკოსკენ მორბოდა, პირზე ხელი აეფარებინა, გზაში დაეცა, პირიდან სისხლი თქრიალით წასკდა, პირისახე ცვიდ[illegible]სფრად მოექცა, სულს ძლივს ითქვამდა, სუნთქვა ყელში უხრიალებდა.

„უნდა გაუძლოთ, — ხმა ძლივს ამოიღო, — მაშველი ჯარისთვის ჯერ კიდევ წუხელ ვაფრინე კაცი, იქამდე ოცამდე ვერსია, ჩვენი პარტიზანების გარდა, შეიძლება რეგულარული წითელი ნაწილიც იყოს, იქ მთავარი გზაა, ამხანაგო ჩუბენკო, უნდა გაუძლოთ“. ჩუბენკოს კი სიბრალული და ბრაზი ახრჩობდა: „აქ სიკვდილისთვის მოხვედი, თუ უშენოდ დავიღუპებოდით, ადამიანო, შენ შენი წილი ბრძოლა უკვე გადაიხადე“.

ნაჯარისკაცარს საშინლად ფერმკრთალი პირისახე ჰქონდა: „ნუ იკადრებ ჩემს დამცირებას, მე აქ იატაკქვეშეთში ვმუშაობ, ასეთი სიკვდილი ყოველლამ მესიზმრებოდა“. — „იყუჩე და ჰაერი ყლაპე, — უთხრა ჩუბენკომ, — მე თვითონ გადავიყვან მდინარეზე დაჭრილებს და პოლკის ავლადიდებასაც გადავიტან, საღამოხანს მეც უკან მივყვები, მაშველი ჯარი არა მჭირდება“.

მაგრამ ნაჯარისკაცარს აღარ ეყურებოდა. სულთმობრძავი ფეხზე წამოდგა, თავისი სიცოცხლის ამ ბოლო წუთს წელში გაიმართა, თითქოს მემკვიდრეთა აღლუმს იღებსო. „ასეთი სიკვდილი ყოველლამ მესიზმრებოდა“, — თქვა ჩუმად და ტყვიით განგმირული ძირს დაენარცხა. ჩუბენკომ ბრძანა, ნაჯარისკაცარისთვის დროშა გადაეფარებინათ, თვითონ კი უსაშველო დაღლა იგრძნო. თავს კვლავ მარტენის საამქრომ დაჰგუგუნა, მზე მარტენის ჩასატვირთავ რამდენიმე

თვალისმომჭრელ სარკმლად იქცა, ხოლო დედამიწა ზეცად დაკიდებულ საქანელასავით აირწა.

„ცეცხლი! — ბრძანა ჩუბენკომ და მიწაზე გადაგორ-გადმოგორდა, — იერიშზე, დონბასის რესპუბლიკავ!“ სოფლის შუკებში მაშველი ჯარი მოჰქროდა, მტერი განგაშმა მოიცვა. დონბასელები იერიშზე გადავიდნენ და მაშველ ჯარს შეუერთდნენ. ჩუბენკო ამაოდ ცდილობდა ფეხზე დადგომას, წარამარა ძირს ეცემოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მასთან ივან პოლოვეცი მივიდა.

ჩუბენკო ფეხზე წამომდგარიყო, ქარით დარწეული ღერაკივით ქანაობდა: „გმადლობ, ძმაო, სადაც გინდა, იქ ჩამფალე“, — და ეს პოლკის მეთაურ ჩუბენკოს უკანასკნელი გმირული გაბრძოლება იყო.

არმიის გზა

სადღაც აპოსტოლოვოსთან, გენერალ ბაბიევის კავალერიასთან სახელგანთქმული ბრძოლის შემდეგ, ჩუბენკო თავისი ახალი და საუკეთესო მეტყვიამფრქვევის, მჭედელ მაქსიმის წითელ ფორანზე იჯდა. დონბასის პოლკმა მთელ არმიასთან ერთად თეთრებთან მრავალსაათიან ბრძოლას გაუძლო და ახლა დნეპრისაკენ მიქცეულ გაქნილ მტერს უკან სდევდა. ფორანზე ამაყად ისხდნენ ნატიფარი, გამხდარი, ძალღონეგამოცლილი ჩუბენკო და ულვაშა მაქსიმი, მათ ზურგს უკან მზე ჩადიოდა. ჩუბენკოს ხელში რკინისაგან გამოჭედილი ვარდი ეჭირა და შუასაუკუნეების ამქრის ოსტატის თვალით აფასებდა.

ეს რკინის ვარდი სრულყოფილების, შთაგონებისა და მოთმინების მწვერვალი, ნატიფი ჩაქუჩის არნახული შემოქმედება გახლდათ. ეს იყო სიხარული ლითონისა, რომელიც გაიშალა, გაიფურჩქნა და ნაზი სასიცოცხლო უჯრედების გაღვივება შეიცნო.

„მეთაურო, გამოგიტყდები, სათითაოდ, სულ ფურცელ-ფურცელ გამოვკვერე ჩაქუჩით, ლითონის ერთი ნაჭრისაგან გამოვიყვანე ეს ვარდი, ზედ არც რამე მიმიმატებია და არც მიმიდულებია, თითქოს რკინის მარცვლის ერთ ნაყოფად ამოიზარდაო ჩემს თვალწინ, თითქოს ლითონზე ნამყნობი ყოფილიყოს. მე ხომ მოდგმით მჭედელი და მესაჭურვლე ვარ, მთელი არმიის ტყვიამფრქვევებს მე ვაქიმობდი და წეროსი არ იყოს, ქვეყნიერება მაქვს შემოვლილი“.

ჩუბენკომ ერთ მწკრივად მომავალ პოლკს მიჰხედა. ბრძოლა შოლოხოვოსთან მოხდა, პოლონეთის ამბების შემდეგ რიგებშევსებულმა პოლკმა კვლავ დაიბრუნა დონბასური დიდება. ფორანზე ტყვიამფრქვევი იდგა, სრულყოფილი და მიზანსწრაფული, დამყოლი და ცქვიტი, გამოცდილი და საიმედო „მაქსიმი“.

„მეთაურო, არც კი დამიჯერებ, ვარდის გამოკვერა როგორი რთული საქმეა, დიდი სიფაქიზე უნდა, რომ ნაზი და ხავერდოვანი გამოვიდეს, რომ ღამის ცვარი დაეცეს ამ ჩემს შავსა და უჭკნობ ყვავილს. მიყვარს ლამაზი და ფაქიზი ნამუშევარი, მინდა მთელ დუნიაზე სახელგანთქმული ოსტატი ვიყო, მინდა ყველგან ბედნიერი და ლამაზი ცხოვრება სუფევდეს. აი, წითელ ფორანზე ვსხედვართ, წინათ კი სხვა ფორანი მქონდა — წითელი ვაშლებით, მწვანე ყვავილებით თუ მზესუმზირებით მორთული — სადაც რას მოვიხელთებდი.

მჭედლისთვის ყველა გზა ხსნილია, თანაც ცხრაას ხუთში ბოქაულს თუ სცემა და ჟანდარმს ესროლა, „მშრომელებო, წინ, წინ გასწით“, თუ მღეროდა და

წითელ დროშას აფრიალებდა, მაშინ იმის მოხეტიალე ცხოვრებას ადვილად წარმოიდგენს კაცი. ჰოდა, მეც დავადექი ცხოვრების გრძელ გზას.

ვარდს ყველა ვერ გამოკვერავს და მუდამ, როგორც კი თავისუფალ წუთს ვიშოვნიდი, მივუბრუნდებოდი ჩემს საქმეს. სამუდამო გადასახლების წინ სატუსაღოში სულ იმას ვკითხულობდი, ჩემს სასჯელს გასწვდებოდა თუ არა ეს საუკუნე. გადიოდა დღე და გადიოდა ღამე. დღეთა სათვალავი აღარა მქონდა, მივხვდი, რომ ჩემი სიცოცხლე ერთ დღეზე ხანმოკლე იყო, მთელი ჩემი ცხოვრება ერთ დღეში გავიხსენე და კიდევ მრავალი დღე დამრჩა სატუსაღოში სანაღვლოდ.

სწორედ მაშინ შევხვდი ერთ სიკვდილმისჯილ ახალგაზრდა კაცს, პრისტავი მოეკლა, უნდა ჩამოეხრჩოთ. „ეჰ, მჭედელო, მჭედელო, — მეტყოდა ისე, სულთმობრძავის უკანასკნელი ფიქრებით ატაცებული გეგონებოდა, — ვერა, ჩვენ ვარდებს ვერ გამოვკვერავთ. დილაცინცხალი ასაზრდოებს, რიჟრაჟის ცვარნამი არწყულებს ვარდს, ჩვენ კი, ჩვენ თხემით ტერფამდე სისხლში ვართ ამოსვრილები. ეჰ, მჭედელო, მჭედელო, შენ რომ ვარდის გამოკვერა შეგეძლოს! ეგ ხომ ჩვეულებრივი ყვავილი არ არის, ჩვენი რევოლუციის ვარდია და ნელა იზრდება“.

იგი ერთ ულიმლამო განთიადზე ჩამოახრჩეს, მთელი ციხე ფეხზე დადგა, ვყვიროდით, კარზე სკამებს ვაბრაგუნებდით, ტანსაცმელი შემოვიხიეთ და ჩავლეწეთ ფანჯრები. ახალგაზრდა მეოცნებე სიცოცხლეს გამოესალმა მრისხანე პროტესტის ნიშნად ატეხილ ხმაურში, ნეტავ ვიცოდე, მე რანაირი მუსიკა მომეყურება იმ უკანასკნელ სამანთან?

ჰოდა, სამუდამოდ დავიმახსოვრე ის ვარდი და გამოკვერვას შევუდექი. როცა ჩაქუჩს ავიღებდი, მეჩვენებოდა, ქვეყნიერების ყველა მჭედლებიც ჩაქუჩებს ჰკიდებდნენ ხელს, სცემდნენ და სცემდნენ ჩაქუჩებს, ვარდის გამოკვერაში მეხმარებოდნენ. თითქოს საფეთქლებში ნემსი მქონდა გაყრილი — იმ ჩემს ვარდს დღედაღამ ვგრძნობდი. როცა კაცი რამე ერთი აზრითაა შეპყრობილი, იმას ველარაფერი ავნებს: ვერც შიმშილი, ვერც სიცივე, ვერც სიკვდილი და ვერც ხვატი. ეტყობა ამან გადამარჩინა, ამდენი ქვეყანა მოვვლე და ყველგან რკინის ვარდს ვკვერავდი.

უდაბნოში გავასრულე დაწყებული საქმე. შუაღამისას ცივ ქვიშაზე გამომელვიძა, აღტაცებამ და მოუთმენლობამ გამომაღვიძა, სიზმრად უკვე გამომეკვერა ვარდი. ჯერ კიდევ ცხადად ვგრძნობდი მეწამულ ყვავილს, თითქოს ჯერაც ხელში მეჭირა, პირისახეზე მისი სითბო მელამუნებოდა. ჯერ ისევ ვთრთოდი, თუმცა თანდათან სიცხადე ეპატრონებოდა ჩემს გონებას, წამიც და ყოველი განქარდა, მხოლოდ ვარსკვლავიანი ცის ტატნობი დამციმციმებდა, თავს მადგა უცხო, სამხრეთის ზეცა. აი, მეთაურო, ჩვენს პირდაპირ, აღმოსავლეთით, მტრედისფერ სივრცეში ძლივს მოჩანს ალდებარანის წითელი ვარსკვლავი, იგი სულ მაღლა და მაღლა აიწევს, მალე მთელი თანავარსკვლავედი, რვა თვალსაჩინო მანათობელი აღჩნდება ჩამობნელებულ ზეცაზე — მახვილ კუთხედ, წეროების მარადიულ გუნდად.

მაშინ კი თავს სამხრეთის ჯვარი მადგა, ატაკამის უდაბნოში ვიწექი, პერუს რესპუბლიკის საზღვრისკენ მიმავალ გზაზე. ქალაქ არიქაში, ოკეანის ნაპირზე დავამთავრე ჩემი ვარდი, იქაური მჭედლის სამჭედლოში, ოკეანის ტალღათა ჩხრიალში. რაღაც უცნაურ სურნელს აფრქვევდა ვარდისფერ ყვავილებად აფეთქებული ბუჩქნარი. 1917 წელი იდგა.

მას აქეთ ცოტა გზა როდი გავიარე ამ ვარდთან ერთად, ვიდრე შოლოხოვოსთან, შენი დონბასელი პოლკის სადგომამდე მოვაღწევდი. ვნახე პერუ, ეკვადორი, კოლუმბია, ბედმა ევროპაშიც გადამისროლა, ფრანგული საკონცენტრაციო ბანაკებიც ვიწვნიე, იტალიური სატუსაღოებიც, ვიგემე ბერძნული და თურქული სტუმართმოყვარეობაც, ტყვეობასა და ციხეებზე არაფრით უკეთესი, ბოლოს სევასტოპოლში ამოვყავი თავი, იქიდან კი შინ გავწიე გულიაიპოლესაკენ. სწორედ რომ სულზე მივასწარი, გენერალ დენიკინის გაძევებაში მეც დავიდე წილი".

გზის აქეთ-იქით, ხან აქ და იქ(ავარდებოდა ხანძარი. აღმოსავლეთით, დნეპრს გაღმიდან ქვემეხთა გრიალი ისმოდა. კახოვკისაკენ დაგეზილი დონბასელთა პოლკი აღმოსავლეთით მიისწრაფოდა. ვარდს, ჩუბენკოს რომ ხელში ეჭირა, განთიადის ანარეკლი სცემდა. ვარდისფერი ნისლი ბურავდა შემოდგომამოძალებულ ტრამალს. ცივი ღამე იყო.

„მეთაურო, მაშინ შევხვდი ჩემს მეგობარ არტემს, შარშანწინ კრივოიროგ-დონეცკის რესპუბლიკის, მუშათა კლასის სახელმწიფოს მეთაურად იყო. არტემი ჯერ კიდევ ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში გავიცანი, სადაც ჩვენ შანხაიდან თითქმის ერთდროულად ჩამოვედით. ორივენი ბრისბენის ახლოს რკინიგზის გაყვანაზე ვმუშაობდით. შაბათობით სამუშაოს პირველ საათზე ვამთავრებდით, მერე თეთრეულს ვრეცხავდით, არტემიც საყვარელ სიმღერას ღიღინებდა: „ალტაის მაღალ მთებზე გორაკი არის ერთი, სამარე მოჩანს გორაკზე ყველასგან დავიწყებული". მერე ფარდულებწინ კოცონთან ჩამოვსხდებოდით, საჭმელი ყუთებზე გველაგა, ყუთებს ფეხებს ვაჭედებდით. ამ თვითნაკეთი მაგიდის ფეხები კი წყლით სავსე კონსერვის ქილებში გვედგა: ავსტრალიაში ჭიანჭველისაგან მოსვენება არ არის.

რაღაზე აღარ გვისაუბრია ცეცხლის პირას. ხანდახან მთელი კვირის შრომის მერე საბანაოდ და სათევზაოდ წავიდოდით. მდინარე პატარა იყო, ანკესს ხან კუ წამოეგებოდა, ხანაც ხლაკუნა, რატომღაც მდინარის წყალი ღამით სხიოდა, თავს დაგვნათოდა სამხრეთის ჯვარი, არტემი მიამბობდა, მე ვუსმენდი.

შემიყვარდა არტემი — ჩემი მასწავლებელი. როგორც მზესუმზირა მიიდრიკება ხოლმე მზისკენ, მეც თვალი ერთთავად არტემისკენ მეჭირა. შარშან დონბასში შევხვდით, ერთმანეთი მაშინვე ვიცანით: „გახსოვს, ირლანდიელებს ბაგირზე რომ ვძლიეთ?" — ბრძოლა ახალი დამთავრებული იყო, ცა სათოვლედ ემზადებოდა, გვამები არც კი გაციებულიყო, ორთქლი ასდიოდათ ყინვაში. „დადგა დრო, — მითხრა არტემმა,— უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებთ ჩვენი რევოლუციის გამარჯვებისთვის".

ჩუბენკომ საათს დახედა და ბრძანა, შეჩერებულიყვნენ. გზაზე რომელიღაც ცხენოსანთა ნაწილმა ჩაიქროლა. დონბასელებმა ცხენებს საკვები დაუყარეს. ცეცხლი არ დაუნთიათ, ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა. თოვლი არსად იდო და ყინვას მიწა დაეზრო. გათოშილი მეომრები ერთ ადგილზე ბუქნავდნენ. ირგვლივ, ხან სად და ხან სად, ერთიმეორის მიყოლებით ავარდებოდა ხანძარი, ხანძრების ცხოველ და მოძრავ შუქზე საზიდრების გრძელი აღალი ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ ჩაინთქმებოდა გაყინულ წყვდიადში.

ჩუბენკომ პოლკს ჩამოუარა, საათი საათს მისდევდა, უკუნი ღამე იწურებოდა. შორს, ხელმარჯვნივ, რაღაც ბურბურებდა, ცეცხლის ალი ანათებდა მოშიშვლებული ტრამალის უსასრულო სივრცეს. მჭედელმა და მისმა ორმა შეგირდმა ტრამალის ჭის წყლით ცხენები დაარწყულეს, შვრია დაუყარეს. შავწვერა სერბი-

ნი და მჭედლის მეორე შეგირდი — ჭორფლიანი, უწვერული ლიაშკო რაღაცაზე კამათობდნენ. „წინ, — შესძახა დაუდგრომელმა ჩუბენკომ, — წინ, დონბასის რესპუბლიკავ!“

„ჰოდა, — განაგრძო თხრობა მჭედელმა, როცა ფორანი დაიძრა, — არტემის ბრძანებით გულიაიპოლეში დავბრუნდი. მახნოსთან უნდა მემუშავა და ხალხი შემეკრიბა. ერთხელ, კიბის საფეხურზე რომ ვიჯექი, მახნო მომესალმა: „მაქსიმ, ჭკუით იყავი, გიცნობ, რა შვილიცა ხარო“, — მითხრა და მათრახის ქნევით ჩამიარა. გულიაიპოლეში მახნოს „ბატკოს შავი ასეულიც“ თან ახლდა თავისი კირუშათი.

ერთხელ მახნომ მოედანზე დიდძალი ხალხი შეჰყარა, სიტყვა წარმოთქვა. მოულოდნელად ჩვენც ჩავებით კამათში, რა ვიგრძენით, ხალხი მხარს დაგვიჭერდა. ეს გახლდათ მშვენიერი სამიტინგო ორთაბრძოლა. ყველა მიხვდა, რომ „ბატკო“ აგებდა. მაშინ მახნომ უსიტყვოდ მოისმინა ძარცვა-გლეჯის, კონტრიბუციის, ოქროთი ვატენილი კასრების, ტანჯვა-წამების, დახვრეტებისა და მკვლელობის ამბები.

როცა ჩვენმა ამხანაგმა საბრალდებო სიტყვა დაასრულა, მახნომ ბოროტად ჩაიქირქილა. მერე საგანგებოდ მისთვის აგებული ფიცარნაგიდან ჩამოვიდა, ხალხი უმალ ორად გაიპო, მახნომ ჩემს ამხანაგს ხელი სტაცა და ტრიბუნისკენ წაათრია. მიაპროწიალებდა ძორძოხი ტანის ჭაბუკს, წუთის წინ რომ ეკამათებოდა და ტანმორჩილი, დედაკაცური პირისახისა და მღვდელივით თმამოშვებული მახნო ძალზე სასაცილო სანახავი გახლდათ. ბრბო გაინაბა. ჩვენ ვიცდიდით — რას იტყოდა მახნო.

„ბატკო“ ტრიბუნაზე აძვრა, თავის ოპონენტს ხელს არ უშვებდა. ისინი ათასი კაცის პირისპირ იდგნენ. მაშინ მახნომ რევოლვერი იძრო და ჩვენს ამხანაგს დაახალა. ბრბომ ტრიბუნიდან უკან დაიხია. ჩვენ სროლა ავტეხეთ, მაგრამ მახნო ტრიბუნაზე აღარ იყო. მაშინ კი საჩქაროდ გავეცალეთ ბრბოს, რომელიც უცებ ჩვენდამი მტრულად განეწყო.

გულიაიპოლეში გავრბოდით და თან ვისროდით, ყოველის მხრიდან მოგვდევდნენ, ამხანაგ ლიაშკოს სახლს შევაფარეთ თავი. ფანჯრები ფიცხლად ამოვხერგეთ, ლიაშკოს მოხუცებული დედა მეზობლებში გავისტუმრეთ, ჩავხიდეთ კარი, რაც რამე შეიძლებოდა, ყველაფერი ზედ მივადგით, იარაღი და ვაზნები მოვიმარჯვეთ. „მოდით, მოდით, — იყვირა რომელიღაც ჩვენგანმა, — კანტორა მუშაობს!“ — სულ თერთმეტნი ვიყავით.

მე ტრაბახი არ მიყვარს, მაგრამ ჩვენმა კანტორამ მართლაც ბეჯითად იმუშავა. ბრძოლა დაღამებამდე გაგრძელდა, სროლა, მოგეცათ ლხენა, ვიცოდით, უკანდასახევი გზა კი არა გვქონდა. ხელყუმბარებს ვესროდით და ისინიც ხელყუმბარებით გვიმასპინძლდებოდნენ, ჩვენს ერთადერთ ტყვიამფრქვევს ვუშენდით და ისინიც ტყვიამფრქვევის ცეცხლს გვიბრუნებდნენ. რა აღარ იღონეს, რომ ლიაშკოს სახლი დაეწვათ, ცეცხლი კი მეზობლისას გაუჩინეს. გაზაფხულის მძაფრ ქარს ჩვენამდე მოჰქონდა შემოდგომის ნათესის სურნელი, ცხენთა ჭიხვინი, გუგულის ძახილი.

იწვოდა მეზობლის სახლი, ცეცხლის ალი ცას სწვდებოდა, ჩაქრობას ცდილობდნენ, ნაპერწკლები ფარდულსა და კალოსაკენ მიფრინავდა, ცეცხლი კიდევ ერთ ეზოს მოედო, ჩვენ კი სულის ამოთქმა არ გვაცალეს, შიშობდნენ, რომ არეულობით ვისარგებლებდით და ხელიდან დავუსხლტებოდით. ცოტანილა ვიყავით

ცოცხლები. თერთმეტი კაციდან ხუთნიღა ვისროდით, ისინიც საკუთარი თუ სხვისი ჭრილობების სისხლით მოსვრილები, ძალ-ღონე გამოლეულები და თვალ-აბმულები, ბათქაბუთქით გაყრუებულები.

ვგრძნობდით, ცოტაც და ბოლოს მოგვიღებდნენ, თვალწინ გვედგა ის ათასობით კაცი, ჩვენ რომ შეგვცვლიდნენ და ჩვენს საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ, ჩვენს ბრძოლას თავს დაადგამდნენ, ჩვენს ხსოვნას პატივს მიაგებდნენ. აღარ გვეძნელებოდა სიკვდილი, სიკვდილის შიში გულს არ გვიხეთქავდა, გონებას უაზროდ გატარებულ ცხოვრებაზე ფიქრი არ გვიტანჯავდა, ღირსეულად ვიცხოვრეთ და ვაქკაცურად ვკვდებოდით, — იმ წუთს თვალწინ დაგვიდგა რევოლუციისთვის თავდადებული ყველა მებრძოლი, ის კი არ ვიცოდით, ვიყავით თუ არა იმ დიდებულ სახელებთან ხსენების ღირსნი.

ქარმა ჩვენსკენ იბრუნა პირი, სახლიც აბრიალდა, მახნოელებმა სროლა შეწყვიტეს, ახლა იმას უცდიდნენ, როდის გავცვივდებოდით ეზოში — აღარც ჩვენ ვისროდით. სახლი კვამლით გაივსო, ცეცხლმა ბეჭები აგვიწვა, ჩამოწვა კოჭი. მაშინ სიმღერა წამოვიწყეთ, ვიდექით და მანამდე ვმღეროდით, სანამ გონება არ დავკარგეთ. ჩვენ არ ვყოფილვართ შეთანხმებულები, ერთ-ერთმა ჩვენგანმა წამოიწყო, მივხვდით, ეს სიმღერა — სიცოცხლის უკანასკნელი საჩუქარი იყო".

ლიაშკო და სერბინი, მონათხრობს ყურს რომ უგდებდნენ, მჭედელს მიუბრუნდნენ.

„ჩვენ ვმღეროდით „აღსდექ, კრულვითა დაღდასმულო", — თქვა სერბინმა.

ჩუბენკო იჯდა და ხელში რკინის ვარდი ეჭირა, თავს დასციმციმებდა ალდებარანი და სრული თანავარსკვლავედი — მარადისობის წეროთა გუნდი. მერე ჯიბიდან წიგნაკი ამოიღო, ერთხანს ხანძრების შუქზე ფურცლა და სიტყვასიტყვით ჩაიკითხა საკუთარი ხელით ჩაწერილი: „რევოლუცია ომია. ერთადერთი კანონიერი, კანონზომიერი, სამართლიანი და ჭეშმარიტად უდიდესი ომია ყველა იმ ომთაგან, რაც კაცობრიობის ისტორიას ახსოვს".

„აი, დიდებული სიტყვები, — თქვა ჩუბენკომ. — ამხანაგ ლენინის სიტყვებია".

„ძველი მეტალურგები ამბობენ, — განაგრძო ჩუბენკომ, — რა ფოლადი გამოგიდვნია და რა ერთი ცხოვრება გიცხოვრია — ძნელიც არის, საშინელიც და სულ ბოლომდე ვერას გაიადვილებ. ჩვენ ფოლადს კი არა, რევოლუციას ვადნობთ, თვითონ განსაჯეთ, როგორ უნდა გავახუროთ ღუმელი, როგორი ოსტატები უნდა ვიყოთ, რომ ნადნობი უმშვენიერეს ყალიბში ჩამოვასხათ, მხოლოდ მაშინ შეიქმნება ფოლადის სახელმწიფო, პროლეტარული ცხე-სიმაგრე. ჩვენ კი, რევოლუციის რიგით მებრძოლებს, მომავლის სიყვარული გვმართებს და მის სამსხვერპლოზე სიცოცხლის ზვარაკად მიტანა".

„სამნი გადაგვარჩინეს, — თქვა მჭედელმა, — მე, ლიაშკო და სერბინი. სწორედ მაშინ შევღებეთ ფორანი წითლად, რომ მახნოელებს ვეცვნეთ".

„ისინი ჩვენ საიქიოშიც გვიცნობენ, — კუშტად დასძინა სერბინმა, — იმ ძაღლებს ყრონტში ამოუვედით".

წითელი ფორანი დონბასელთა პოლკთან ერთად გზას დნეპრისკენ მიიკვლევდა. პოლკი არმიის ბრძანებას ასრულებდა. შორიდან ნესტმა მოატანა, ახლო იყო მიზანი. დილის ოთხ საათზე ფლატეებიან ნაპირთან შეჩერდნენ. ცივი ქარი უბერავდა. დნეპრს გადალმა, ვაკეზე კახოვკა ეგულებოდათ. დაბლა, მდინარის ნაპირს

მიუყვებოდნენ მეექვსე არმიის ნაწილები, მესანგრეები ხიდის აღდგენაზე მუშაობდნენ.

„გმადლობთ და კარგად იყავით“. ჩუბენკო ცხენს მოახტა, ბრძანება გასცა, შეჩერდესო ყველა, თვითონ წინ გავიდა და ჭოგრიტი მოიმარჯვა. დნეპრს გალმა კახოვკა ჩანდა. ოქტომბრის დღის ნისლიანი და მოღრუბლული გარიჟრაჟი იდგა. აღმოსავლეთით, ოდნავ განათებულ თვალსაწიერამდე გაწოლილიყო უსასრულო, რძისფერი ვაკე.

ეს გახლდათ წითელი არმიის სახელგანთქმული კახოვკის პლაცდარმი, გენერალ სლაშჩოვის კორპუსთან და გენერალ ბარაბოვიჩის ცხენოსნებთან აგვისტოს თვის შეუპოვარი ბრძოლების ადგილი. ეს იყო დნეპრის ვრცელ წყლებზე ერთი აუღებელი კუნძული ტავრიის ტრამალისა, მავთულხლართების რამდენიმე წყებით, სანგრებითა და საყრდენი პუნქტებით გამაგრებული. პლაცდარმი ციმბირის ლეგენდარულ დივიზიას ეჭირა. გენერალ ბარაბოვიჩის ცხენოსნების შეტევები მავთულხლართებისა და პლაცდარმის დამცველთა ვაჟკაცობის მსხვერპლი შეიქნა, გენერალ სლაშჩოვისა და ვიტკოვსკის კორპუსებმა ვერ გატეხეს კახოვკის ეს კერკეტი კაკალი.

ჩუბენკოს თვალწინ გაცოცხლდა პლაცდარმი, ნაცრისფერ, ღრუბლიან დილით გაჩაღდა ბრძოლა — შორეულ ვაკეზე რამდენიმე კუ ამოიჯავშნა, თვითეული მათგანი ქვემეხისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლს აფრქვევდა. „ტანკები“, — გაუელვა ჩუბენკოს. ტანკებს კიდევ ქვეითი ჯარი და ჯავშნოსნები მოსდევდა, აფეთქებისაგან მიწა ზანზარებდა, თითქოს ფოლადის გიგანტურ ფურცლებს ათასობით ტყვიამფრქვევი ცხრილავდა.

ამ მიწისძვრაში ინთქმებოდა მებრძოლთა ყიჟინა და უთავბოლო სროლის ხმა. ჩუბენკო ახლა იმათზე ფიქრობდა, ვინც სიკვდილის თავსხმაში სანგრებში იჯდა, გააფთრებული თეთრგვარდიელების პირისპირ, ვრანგელის ტანკების — მსოფლიო კაპიტალიზმის პირისპირ.

სანგრებში ისხდნენ კოლჩაკის მძლეველი კიბეროველი მემაღაროელები, ურალელი მუშები და ციმბირელი პარტიზანები.

„ესენი ტანკების პირისპირ ჯერ არა მდგარან, ასეთ იერიშს ვერ გაუძლებენ, — ხმამაღლა თქვა ჩუბენკომ, — ნეტავ მეც იქ მამყოფა და მათ გვერდით მომკლა“.

ცას ნათელი ემატებოდა, თეთრგვარდიელებმა ხელახლა შემოუტიეს პლაცდარმს. ჩუბენკო ხედავდა, როგორ მოიწევდა ტანკებითა და ჯავშნოსნებით დაცული სათადარიგო ჯარები. სანგრებიდან ჩასაფრებულები ამოვარდებოდნენ, ტანკებს ჯიქურ უტევდნენ, ეცემოდნენ, ისევ წინ მიიწევდნენ. „ასეთ ხალხს ვერ შეაშინებ“, — წაიჩურჩულა ჩუბენკომ და გული უზომო სიამაყითა და სინაზით აღევსო.

დღის შუქი თანდათან ძალას იკრებდა, და როცა გათენდა, თვითმფრინავებიც გამოჩნდნენ. ჩუბენკომ ჩვიდმეტი დათვალა. სამხრეთიდან მოფრინავდნენ, მერე საიერიშოდ გაიშალნენ და პლაცდარმს ყუმბარები დაუშინეს. საშინელი სანახავი იყო აფეთქებებისაგან ცადატყორცნილი მიწა. ჩუბენკოს სიბრაზისაგან ცახცახი აუვარდა — თავისი თვალით უყურებდა თანამებრძოლების დაღუპვას, ანაზდად რევოლვერი იძრო და გაისროლა, თვითონაც არ ესმოდა, რას ხჩადიოდა. „მომყევით! — იყვირა ჩუბენკომ, — მომყევით!“ — თითქოს ფრთებს შეისხამდა მისი რაზმი, გადაიფრენდა დნეპრს და მტერს ეკვეთებოდა.

დონბასის პოლკი ფონთან შეფერხდა. მეომრებმა ჩუბენკოს ტყაპუჭი მიუტანეს, „ნატიფარი და დასუსტებული ხარო“. მძიმე, რუხ ტალღებს მოაგორებდა დნეპრი, ფეხქვეშ ნავტიკის ხიდი ხან აიწევდა, ხანაც დაიწევდა, ჯარის ნაწილები პლაცდარმზე გადადიოდნენ. ბოლოს ჩუბენკოს რიგმაც მოაწია. უკვე კარგა მოდღეებულზე, ბრძანების თანახმად, იგი პოლკიანად მეორე ნაპირზე გადავიდა. ბრძოლა პლაცდარმზე ხან ჩაცხრებოდა და ისევ ვულკანისებური გზნებით იფეთქებდა, მაგრამ უკვე სხვა ადგილას.

ჩუბენკოს არ მოუწია ბრძოლაში ჩაბმა: პლაცდარმმა ყველა შეტევა მოიგერია, ხელთ იგდო თორმეტი ტანკი და ჯავშნოსანი, მუსრი გაავლო თეთრების კორპუსს. ეს ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ბრძოლის ველზე დარჩა ტანკები. ტანკებთან ეყარნენ შავგიმნასტურიანი ოფიცრები. ოფიცრებს სახელოებზე თეთრი თავისქალა, ძვლები და რაღაც სიტყვები ჰქონდათ ამოქარგული: „მეშინია მხოლოდ ღვთისა, ქვეყნად მეტი არავისა“, — ამოიკითხა ჩუბენკომ.

სისხლით მოსვრილი ტანკი „ფელდმარშალი სუვოროვი“ გვერდზე გადაწოლილიყო და ბოლავდა. იწვოდა „ატამანი ერმაკი“ და „უწმინდესი რუსეთისათვის“, გვერდიგვერდ იდგა „ფელდმარშალი კუტუზოვი“ და „გენერალი სკობელევი“, იმათ გარშემო კი წითელარმიელთა გვამები ეყარა, იმათი გვამები, ბრძოლაში რომ არ შედრკნენ და გაიმარჯვეს.

შემოდგომის ახალ ნათესზე, სანგრების შორიახლო, თეთრი ოფიცერი იჯდა, ყუმბარას მუხლებში მოეწყვიტა ფეხები. მისიანებს შეეხვიათ ჭრილობა, მაგრამ თავზარდაცემულებს მერე ფორნიდან გადმოეგდოთ. მუხლის ალაგას დოლბანდი სისხლით იყო გაჟღენთილი, ოფიცერი თვალდახუჭული იჯდა და ირწეოდა, ან გონდაკარგული იყო, ან მთვრალი. „ჩვენი მამაა — ვრცელი დონი, ჩვენი დედა — რუსეთია. გზა ხსნილი გვაქვს ყველგან, მშობლიურია მიწის ყველა მტკაველი“, — შემოესმა საიდანღაც.

ჩუბენკოს კიდევ ცხენოსანთა მცირერიცხოვანი რაზმი შეეჩეხა, დასამარხად მიჰქონდათ დაღუპული მეთაური.

ეს სულ განსხვავებული სიკვდილი იყო, სანატრელია მებრძოლისთვის ამგვარი აღსასრული. მებრძოლთა მწუხარებამ გული აუჩუყა ჩუბენკოს, თუმცა სიკვდილისთვის თვალში არაერთხელ ჩაუხედავს.

მეთაური კი საზიდარზე იწვა და ზეცას შესცქეროდა, თავი აქეთ-იქით უვარდებოდა, თითქოს ერთსა და იმავეს იმეორებსო: „როგორ დავნებდი, ამხანაგებო, სიკვდილს, როგორ?“ — ხუჭუჭა ქოჩორს ქარი უწეწავდა.

პერეკოპის ცაზე შემოდგომის ღრუბელთა წყება გადადიოდა. წეროების გუნდები მიფრინავდა და მიფრინავდა. მიწა ცივი იყო, ტრამალში ოქტომბერი იდგა. ბარონ ვრანგელის ორმოცდაათიათასიანმა არმიამ ბრძოლაში ჩააბა დროზდოველ, კორნილოველ, მარკოველ ოფიცერთა ბრიგადები, ყუბანელთა და დონელთა რაზმები, თავს უყრიდა ტანკებსა და ბომბმზიდავებს. ისინი სამხრეთის წითელფლოტელთა ხუთმა არმიამ ამოიღო ნიშანში. 1920 წლის შემოდგომა ტრამალებზე ხახადაბჩენილ მძიმე ქვემეხებს აგრიალებდა, ტრამალებს ათასობით ცხენის ფლოქვით თქერავდა, ტანკებისა და მოიერიშე თვითმფრინავების ძრავათა გუგუნით აყრუებდა, კვალში მიჰყვებოდა ორი ისტორიული ეპოქის არმიებს.

„რაც შეეხება ვატერლოოს, — თქვა ახალგაზრდა გენერალმა, — მე აქ ნაპოლეონ ბონაპარტეს ვერსად ვხედავ“. მერე გაიცინა ამ გუშინდელმა ყუბანელმა

იასაულმა, წითურმა და ჩოფურამ, უხეშმა და ფხუკიანმა. „აი, ეს არის ჩვენი ახალი გენერალიტეტი“, — გაიფიქრა მისმა თანამოსაუბრემ, ბუტგურად თმაშეკრეჭილმა ჭაღარა გენერალმა.

„სადაცაა ნამდვილი ვატერლოო დატრიალდება, — განაგრძო ახალგაზრდამ, — წითლებს დავამარცხებთ და მოვსპობთ“.

გენერლები შტაბში ისხდნენ, ახალგაზრდა კონიაკს წრუპავდა, მოხუცი — რძეს.

„მე კი გეტყვით, — მიუგო მოხუცმა გენერალმა და ჭიქა მაგიდაზე დადგა, — ვატერლოოსთან ბრძოლა არც ყოფილა.

„როგორ თუ არ ყოფილა? მაშ ისტორია ტყუის?

„პირველი ბრძოლა ლინის მისადგომებთან მოხდა, იქ ნაპოლეონმა ბლიუხერის პრუსიული ჯარი გაანადგურა, თავად ბლიუხერი, ძველი, პატიოსანი და შეუდრეკელი მებრძოლი, — თუმცა ამ გენერალს სამხედრო განათლება არ მიუღია — არეულობაში ცხენიდან გადმოვარდა, კარგა ხანს არც იცოდნენ მისი ასავალ-დასავალი. ბლიუხერს კი შტაბის უფროსად სახელგანთქმული გნეიზენაუ ჰყავდა, დიდი შარნგორსტას ამხანაგი, თუ თქვენთვის ეს სახელები რამეს ნიშნავს...“

ახალგაზრდას ხმა არ ამოუღია, დაბოლმილმა კონიაკი გადახუხა.

„და გნეიზენაუმ, ბრწყინვალე გონების კაცმა, სწორად იაზრა — საით უნდა დაეხია დამარცხებულ პრუსიულ ლაშქარს. ამ დროს კი ნაპოლეონი ველინგტონის ინგლისურ ჯართან ბრძოლაში გაება წმინდა ჟანის მთასთან. სძლია ველინგტონს და ის იყო, ერთიანად უნდა ამოეჟუჟა, რომ სულზე მიუსწრეს ერთხელ უკვე დამარცხებულმა გნეიზენაუმ და ბლიუხერმა და გამარჯვების ღმერთს მიეხმარნენ, რათა ნაპოლეონს გამარჯვება ხელიდან გამოსცლოდა. ვატერლოო კი სოფელს ჰქვია, სადაც 1815 წლის 18 ივლისს დაბანაკებული იყო ინგლისის ჯარი ველინგტონის მეთაურობით“.

შტაბში სიჩუმე ჩამოვარდა, სიჩუმეს ქვემეხების შორეული გრიალი, ცხენების ჭიხვინი და ქარის ღმუილი არღვევდა.

„საბრძოლო ოპერაციას, რომლის დროსაც მოწინააღმდეგე ლაშქარს გაანადგურებენ, კანი ჰქვია, — თქვა მოხუცმა გენერალმა, — თქვენთვის ეს არ უსწავლებიათ, თქვენო ბრწყინვალებავ?“

ყოჩაღი, გენერლის სამხრეებდამშვენებული ჩოფურა იასაული სიბრაზისგან აჭარხლდა. მოხუცს გადახედა და გაიფიქრა, ერთი ხელში რომ მომაგდებინა, ვაზის ლერწივით გადავამტვრევდიო. „ჩვენ ხომ დნეპრს გალმა ოპერაციაზე ვსაუბრობთ“, — ჩაიბურტყუნა.

„მაშასადამე, არც კანის ტრაგედიის ცოდნა გაწყენთ, — მშვიდად განაგრძო მოხუცმა, — იმ ტრაგედიისა, სახელგანთქმული გრაფი შლიფენიც რომ მოგვითხრობს. ჩვენს ერამდე ორას თექვსმეტ წელს კართაგენის გენიალურმა მხედართმთავარმა ჰანიბალმა კანის მისადგომებთან ორმოცდაათიათასიანი არმიით სძლია კონსულ ტერენციუს ვარონის რომაელთა სამოცდაათიათასიან ჯარს. კართაგენის ძლევამოსილმა მხედრებმა ჰაზდრუბალის მეთაურობით დაამარცხეს მარჯვენა ფლანგზე რომაელი ცხენოსნები, შემდეგ რომაელთა ზურგსაც შემოუარეს და ახლა მარცხენა ფლანგი გაანადგურეს. მაშინ ჰანიბალის უბრწყინვალესი ხერხის წყალობით რომაელები იძულებული გახდნენ ოთხივ მხრიდან მოძალებული მტე-

რი მოეგერიებინათ. ამ ბრძოლაში თითქმის ყველა რომაელი გაწყდა. აი, ასე გახდა კანი ცნობილი“.

„სწორედ კახოვკასაც ეგ დღე ელის, — თქვა ახალგაზრდამ, — რომაელებს კანი არგუნა ღმერთმა, წითლებს — კახოვკა“.

მოხუცმა გენერალმა თავი გააქნია. „დნეპრს გალმა ეს გაბედული ოპერაცია შეიძლება წარმატებითაც დამთავრდეს, მაგრამ გენერალ ბაბიევს დიდი სიფრთხილე მართებს, ათასი რამ არის მოსალოდნელი“, — გამოსცრა კბილებში.

ჩოფურა იასაულმა მხრები აიჩეჩა, გენერლის სამხრეები აექოჩრა, იცოდა, აქვე, კაცის ხმის მისაწვდენზე იდგა მისი თავზეხელაღებული ბიჭების ბრიგადა, რომელსაც საჭირო და გადამწყვეტ წამს მიახმარდა თავისიანებს და დამარცხებულ წითლებს მიუსევდა. „თქვენო ბრწყინვალებავ, ხომ არ გგონიათ, — მიმართა მოხუცებულს, — რომ ჩვენმა მესამე კორპუსმა და გენერალ ბაბიევის ცხენოსნებმა მხოლოდ იმიტომ გადალახეს დნეპრი, რომ სულ მალე უკან დაბრუნდნენ?“

მოხუცმა გენერალმა ბოლო ყლუპი რძე გადაყლაპა. მერე წამოდგა, კოჭლობით მივიდა კარამდე, შემდეგ ისევ გამობრუნდა, ძალზე აღიზიანებდა ამ ხეპრე იასაულის გამომწვევი კილო. „კარგი იქნება, თუ მობრუნდებიან“,— ჩაიბურტყუნა გენერალმა.

„წითელი ფრონტის მეთაურად ფრუნზე დანიშნეს, — განაგრძო მოხუცმა, — მე ძალიან არ მინდა, — გენერალი შედგა და ფანჯარაში გაიხედა, — მე ძალიან არ მინდა, რომ ცუდი ცნობა...“

ანაზდად ოთახში ოფიცერი შემოვარდა, არაფრით ჰგავდა კარგი ამბის მახარობელს. „მორჩა, გათავდა! — შეჰყვირა ოფიცერმა, — დნეპრს გალმა ოპერაცია ჩაფლავდა, კახოვკასთან ყველა ტანკი დავკარგეთ! ძაღლთა პირები!“ ოფიცერი მაგიდაზე დაეცა, პირიდან დუჟი გადმოუვიდა. გენერლის სამხრეებიანი ჩოფურა იასაული ეზოში გავარდა, მოისმა მისი უწმაწური გინება და აბდაუბდა ბრძანება.

პერეკოპის ვაკე დნეპრს გადაღმა იწყება. ესაა მოტიტვლებული, შავი უსასრულობა, არც ხე ჩანს სადმე, არც მდინარე. იშვიათად გადაეყრება კაცი შორიშორ გაფანტულ სოფლებსა და ხუტორებს, რომლებსაც ფალც-ფეინის თვალუწვდენელი სამფლობელოები გარს ისე აკრავს, როგორც ზღვა ფუტური კუნძულებს. შემოდგომის დღემოკლე მზე ღრუბლებიდან იშვიათად გადმოანათებს, ღრუბლები კი მინდორში დაყრილი ფოცხებივით გაბნეულა ცაზე.

მეცხვარე დანილო ცხენს გარდასული ბავშვობის მიწა-წყალზე მიაჩქარებს. დღეს უკვე ნაშდვილი მწყემსია, პაპა დანილოს ბადიშიმვილი, რიგორის ვაჟი. თავს ადგას შემოდგომა და ტრამალის მომწარო ჰაერს ისუნთქავს. ტოროლა არსად გაიქროლებს ცაზე და ბალახში ყარყატი არ გაფაჩუნდება, ხვლიკებსაც სოროებში სძინავთ. ჭრიჭინებიც გაყინულან, ბალახიც გაფშეკილა, აღარც მზე ჩანს, მხოლოდ ძალიან მაღლა, ღრუბლებქვეშ, დროდადრო გაიქროლებენ თბილი ქვეყნებისაკენ მიმავალი უკანასკნელი ფრთოსნები — შემოდგომაა.

დანილოს ამ ვაკეზე გარდაცვლილი დიდი პაპა დაუდგა თვალწინ. ცოცხლდება ბავშვობის მოგონებები, „გთელავ, გთელავ, ფურისულავ“, — ჩურჩულებს დანილო. დიდი პაპა ალერსიანი და ღრმად მოხუცებული ახსენდება, ბერიკაცის ხმა ჩაესმოდა თავისი სიყმაწვილის ყველაზე მძიმე წლებში. ნეტავ სად პოულობდა ძალასა და მხნეობას, სად იყო სათავე სიმღერისა — მშრომელთა მოდგმის სურვილთა გამოძახილისა.

დანილომ მიმოიხედა — ღარიბი ტრამალი მოათვალიერა, თითქოს პირველად შეემჩნიოს მისი უზადოება. იფიქრა კიდეც, ამას წიგნში ვიტყვიო. ტურბაების მოდგმა კიდევ იტყოდა თავის სიტყვას, კიდევ ჰყავდა კაცი დედამიწაზე.

დანილო დაწერს თავისი მოდგმის ისტორიას, იმ გრძელ, ასწლიან გზას აღწერს, რევოლუციამდე რომ მოიყვანა. დაე, დიდი პაპა სამარეში მშვიდად იწვეს — ბადიშიშვილს ახსოვს მისი სიტყვებიც და მამის სიღატაკეც, ყოველივე ახსოვს და დაწერს. ეს იქნება ვრცელი და უცრემლო წიგნი, რადგან არც დანილოს უტირია როდისმე, არც მამამისს, არც პაპას და არც დიდ პაპას, სიმწრის პურის მჭამელთ, მიწას ბატონებისა და მდიდრებისათვის რომ ამუშავებდნენ, შიშველი ხელებით იბრძოდნენ და არ იცოდნენ, რა გზით შეერთებოდნენ სხვა მათსავით ღარიბ-ღატაკებს.

ეს წიგნი ოთხ სიცოცხლეს მიეძღვნება, მეოთხე მისი ცხოვრება იქნება, ყოველი სიცოცხლე ბავშვობით დაიწყება, ოთხივეს ერთი და იგივე ტოროლა უმღერებს, ერთი და იგივე მოღალანე ბალახზე ივლის ოთხივე.

ჭაბუკი კომისარი თავისი ბავშვობის ტრამალს მიუყვებოდა, ამხანაგ შვედის პოლკში ბრუნდებოდა. პოლკი სადღაც ტრამალის შუაგულში იდგა არმიის სულ განაპირა ფლანგზე.

ჭაბუკმა კომისარმა შტაბში თავისი გაიტანა, ტანსაცმელი და ჩექმები იშოვა, ახლა რაზმიდან ხალხი უნდა გაეგზავნათ ჩამოსატანად. შტაბში წვრილად უამბო, დღედაღამ დამზრალ მიწაზე დგომით როგორ ითოშებოდნენ მეომრები — არც სითბო, არც ჭერი, ცივ ქარში ფეხებზე ძონძებდახვეულები მიაბიჯებდნენ. შვედმა ერთ პატარა, დანგრეულ ხუტორს მიაგნო, თავის რაზმელებს დასასვენებლად იქ აგზავნიდა ხოლმე. შვედს ცხენები ცოტა ჰყავდა, მაგრამ თავის რაზმს მაინც ცხენოსან ნაწილად, კავალერიის პოლკად თვლიდა. ზოგჯერ ვინმეს შეუძახებდა: „ქვეით ჯარში გადაგიყვანო!“ — და ეს ყველაზე მკაცრი შუქარა იყო.

შტაბში დანილო კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ პოლკს არარეგულარულად თვლიდნენ და ფრონტის საპასუხისმგებლო უბნებზე არ აგზავნიდნენ, შვედი კი ნაზად უყვარდათ. შტაბში იკითხებოდა შვედის გამოგზავნილი პატაკები, სადაც ამაყად იყო განცხადებული, რომ მისი პოლკი ას ოცდაორ ხმალს ითვლის და მზად არის ნებისმიერი ბრძანების შესასრულებლად. ძველი პუტილოველი — შტაბის უფროსი — ჩაიცინებდა, „პარტიზანობენო“, — იტყოდა მოწყალედ და ამავე დროს გულთბილად.

შვედს შტაბიდან ეკითხებოდნენ, ბრძოლის შემდეგ რას უშვებოდა ტყვედ ჩავარდნილ ვრანგელის მეომრებს, ხოლო შვედი უპასუხებდა, რომ „იდეალისთვის ბრძოლაში არ მყოლია და არც მეყოლება ტყვეებიო“. ერთადერთი კომისარი დანილო იყო, შვედი რომ ჰგუობდა. დანილოსაც განუწყვეტლივ უწევდა შვედის ხასიათის მოდრეკა, ცისმარე დღე მეთაურის წინააღმდეგობა უნდა გადაელახა და თავისი გაეტანა.

ათასგვარ ფანტასტიკურ გეგმას შეთხზავდა ხოლმე შვედი! ერთხელ, არც მეტი, არც ნაკლები, საზღვაო დესანტის გადასხმა ჩაიფიქრა. შვედს ეწადა, რაღა თქმა უნდა, წინასწარ არავინ გაეფრთხილებინა, თავისი პოლკი მეთევზეთა კატარღებსა და ორჩხომელებზე დაესვა, ზღვა გადაეცურათ და ღამით სევასტოპოლში გადამსხდარიყვნენ, შტაბს შეუმჩნევლად მიპარვოდნენ და ამოეჟუჟათ, თავად ვრანგელი, თუკი მოახერხებდნენ, ტყვედ შეეპყროთ. მერე თავი ყირიმის

მთებისთვის შეეფარებინათ და იქ ებრძოლათ, სანამ თავისიანები მივიდოდნენ. „თვით ლენინი შეიტყობს ამ ამბავს“, — ამბობდა ჩაფიქრებული შვედი.

მეორეჯერ ვრანგელის განადგურების მისეული გეგმა კინაღამ საბედისწეროდ დამთავრდა. კომისრის არყოფნაში დრო იხელთა („მე შენ ნაყალბევი გამოძახება გადმოგეცი, ვითომ შტაბში გეძახდნენ, — აუხსნა მერე შვედმა, — შემეცოდე, შენი თან წაყვანა არ მინდოდა“), თავის რაზმს ვრანგელის ოფიცერთა პოლკის ფორმა ჩააცვა და ფრონტს მიაშურა. მარჯვედ შეარჩია ადგილი და ის იყო, ჩანაფიქრის განხორციელებას უნდა შესდგომოდა, რომ ანაზდად თავს დაესხნენ წითელი მხედრები, რომლებიც ასეთი ფაქტის მომსწრენი გახდნენ: ვრანგელის ოფიცრებმა უბრძოლველად, ერთი ლანძღვა-გინებით დაყარეს იარაღი.

დანილო ტრამალს მიუყვებოდა და ერთი ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა, შტაბში შეიტყო, ამ მიდამოებში უცნობი რაზმი გამოჩნდაო. კომისარმა ცხენი ნებაზე მიუშვა და სიმღერა სცადა, მაგრამ ცოტა წაიმღერა და ისიც უგულოდ. ქარი ბურბურასა და ყარღანს მოაფრიალებდა. გზის პირას ცხენი ეგდო, დროდადრო თავს წამოსწევდა და ტრამალს უმწეოდ გადახედავდა. ნახევარ კილომეტრზე ვაზნების თვლებმომძვრალ საზიდარს გადააწყდა. უეცრად თვალში ეცა: ირგვლივ მიწას ცხენთა ნათქერალი აჩნდა.

დანილო კვალს მიჰყვა, უკვე სიმღერის გუნებაზე აღარ იყო. კვალს ხუტორისაკენ — შვედის სადგომისაკენ მიჰყავდა. აი, ხუტორიც გამოჩნდა. ხუტორს ყვავები დასტრიალებდნენ.

როცა ხუტორს მიატანა, პირველი, რაც დაინახა ახალგაზრდა კომისარმა, შვედი იყო, წითელი გალიფე ეცვა ფეხშიშველს. იგი ჭურვით გადამტვრეულ ხეზე ეკიდა. ირგვლივ ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. ეზოში ქაღალდები ეყარა. პარმაღთან თავგაჩეხილი ორი გუშაგი ეგდო. ნიავი ნაგავში იქექებოდა, ნაგავსა და ქაღალდს ერთმანეთში ურევდა. მზემ ღრუბლები გამოარღვია, რათა ისედაც მწუხარე სურათი უფრო ნათელი გაეხადა. და ამ სიჩუმისა და სიკვდილის სუფევაში სადღაც სხვენზე მამალმა იყივლა.

„ეჰეი, თუ არის აქ ვინმე?“ — იყვირა დანილომ, თუმცა საკუთარი ხმა არც გაუგონია. ჩამოქვეითდა, აღვირი მოაგდო, ცხენი ფეხდაფეხ აედევნა. „არის აქ ვინმე?“ — იძახდა დანილო და ასე ძახილ-ძახილით დაიარა მთელი ეზო, ყველა ფანჯარაში შეიხედა. არავინ გამოპასუხებია. აყირავებულ სამზარეულოსთან აჩეხილი მზარეული მოკრუნჩხულიყო, ეტყობა, სიკვდილმა რომ უწია, კარტოფილს ფცქვნიდა, ახლა რაღას დაამთავრებდა! ფარდულთან ერთმანეთზე ეყარნენ წითელარმიელები.

ფარდულს გარს რომ უვლიდა, დანილომ კინაღამ არ წააქცია ამ ეზოკარის ერთადერთი ცოცხალი არსება. წითელარმიელი ბიჭუნა ტყვიით დაცხრილულ კედელთან მიკუნტულიყო, თავი წარამარა უტოკავდა, რაღაცას ამბობდა და ამბობდა, უხმოდ, ჩქარა-ჩქარა. ცაში ყვავები დაყრანტალებდნენ.

ახალგაზრდა კომისარმა ბიჭს ჭრილობა შეუხვია, წყალი დაალევინა. შეიტყო, თურმე წითელი დროშის ფრიალით მოდიოდნენ თეთრები. შვედს უფიქრია, გადაცმული ჩვენიანები არიანო, ბრძოლა არც ყოფილა.

ასე დაიღუპნენ შვედი და პარტიზანები.

დანილომ ხმლებით დასახიჩრებულ ალუბლის ხეს შემოჰხვია ხელები და გამოუთქმელმა სიმწარემ სუნთქვა შეუკრა. ბავშვობის ყველა ტკივილი, მიუსაფ-

რობის დროინდელი ყველა წყენა, მოჯამაგირეობაში ნაწვნევი მუჯლუგუნები გაახსენდა და ცრემლები წამოსცვივდა. სიცოცხლეში პირველად ატირდა დანილო აი, აქ, თავისი ბავშვობის მიწა-წყალზე.

პერეკოპის ვაკე, ტავრიის ტრამალი, ყირიმის მისადგომებამდე უდიდესი ბრძოლების ასპარეზად იქცა. გაშლილ ვაკეზე შეტაკებული ორი ეპოქა ერთმანეთს საბოლოო ანგარიშს უსწორებდა. რევოლუციის ჯარები დიდი მხედართმთავრის მეთაურობით დაწინაურდნენ. ჩაცმულ-დახურულ, ჯავშნოსნების, ტანკებისა და ავიაციის პატრონ თეთრების რჩეულ გვარდიას ყველა ღონე უნდა ეხმარა, რომ ერთიანი დარტყმისთვის გაეძლო.

გეგმა ტავრიაში ვრანგელის არმიის ალყასა და განადგურებას ითვალისწინებდა, მტერი არაფრით არ უნდა გაეშვათ ყირიმისკენ. მოწინააღმდეგის უკუგდების შემდეგ მეექვსე არმია პერეკოპს მიადგა, ვრანგელს უკანდასახევი გზა მოუჭრა. ლეგენდარული პირველი ცხენოსანი არმია ვრანგელის მთავარ ძალთა განლაგების ღრმა ზურგში შეიჭრა და ყირიმისკენ გასასვლელი მეორე გზა — ჩონგარიც ჩაკეტა. მეორე, მეოთხე და მეცამეტე ცხენოსანი არმიები მთავარი დარტყმის ცალკეულ დეტალებს ანხორციელებდნენ, ვრანგელი ყირიმისაკენ გაიჭრა, კანის ტრაგედიას გაურბოდა.

„ვრანგელის განადგურების პირველი ეტაპი დამთავრდა. ფრონტის ყველა არმიის შეერთებული მოქმედებით, ყირიმის ყელის როგორც ჩრდილოეთით, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის ძირითადი ძალების ალყისა და განადგურების ამოცანა ბრწყინვალედ შესრულდა. მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა. ხელთ ვიგდეთ ოცი ათასამდე ტყვე, ასზე მეტი ქვემეხი, უამრავი ტყვიამფრქვევი, ასამდე ორთქლმავალი, ორი ათასი ვაგონი, თითქმის ყველა აღალი და ტყვია-წამლის უზარმაზარი მარაგი; ათი ათასობით ჭურვი და მილიონობით ვაზნა“.

მთავარსარდალი ფრონტის ჯარებისთვის დასაგზავნ ბრძანებას ათვალიერებდა. იგი მეოთხე არმიის შტაბში იჯდა, ტყავის კურტაკი და თეთრი თექურები ეცვა. გრძელი ულვაშები, მაღალი შუბლი, კრიალა, მშვიდი თვალები ჰქონდა.

იგი რევოლუციის ჭეშმარიტი მარშალი იყო. ხუთ არმიას მეთაურობდა, მარჯვე, გაბედული ბრძოლების წყალობით ერთ თვეში გასტეხა ვრანგელი და ახლა თავად მიაშურა მეწინავე პოზიციებს, რათა საბოლოო იერიშს გასძღოლოდა.

სამხედრო საქმის ჭეშმარიტ ხელოვნად რევოლუციამ გამოაწრთო და ჩამოაყალიბა. შტაბის პატარა ოთახში ყურადღებით უსმენდა ხოლმე სხვებს, თან ბოლთას სცემდა, ოდნავ შესამჩნევად კოჭლობდა. სასიამოვნო, უბრალო პირისახე, მშრომელი კაცის პირისახე მუდამ მშვიდი და ფიქრიანი ჰქონდა. თითქოს პასუხისმგებლობის ჯაჭვკურტაკით დაბორკილი, საკუთარ ფიქრებს ძირისძირობამდე ჩასდევდა. იგი პასუხისმგებელი იყო მთელი ფრონტის თვითეული წითელარმიელის სიცოცხლეზე, პარტიის წინაშე პასუხისმგებელი იყო მთლიანად ფრონტის ბედზე, პასუხისმგებელი იყო დედამიწის ახალი კაცობრიობის, იმ კაცობრიობის წინაშე, გადასახლებაში რომ ბევრი უოცნებია.

არმიის ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანი თვალწინ ედგა, ეს წვრილმანები კი ხშირად ვაზნებისა და მებრძოლების ნაკლებობაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. საკვები სადაცაა გაუთავდებოდათ, აღარც სათბობი ჰქონდათ, აღარც სასმელი წყალი, არც თბილი ტანსაცმელი, ყინვა კი ათ გრადუსს აღწევდა და ჭერის ნაცვლად თავს ცივი, უსხივო ზეცა ადგათ.

სარდალი ხედავდა, როგორ ამაგრებდნენ სანაპირო ბატარეებს, როგორ აწყობდნენ პოზიციებს, ყველა და ყველაფერი ხვალინდელი იერიშის მოლოდინით ცხოვრობდა. არმია ყოველგვარ ტექნიკას იყო მოკლებული, რადგან იერიში ისე სწრაფად წარმართულიყო, რომ ტექნიკა საბრძოლო ნაწილებს გზაში ჩამორჩენოდა. მებრძოლები გაუსაძლის ყინვაში თვითონ ასრულებდნენ ყველა საჭირო სამუშაოს. ფეხშიშველ, ნახევრადტიტველ მეომრებს სითბო და ცხელი

კერძი ენატრებოდათ, მაგრამ სიტყვა არავის დასცდენია. სარდალს არც უკვირდა: თავისი მებრძოლების გმირობა და ერთგულება კარგად ესმოდა. თავად სთხოვდა შეუძლებელს და მეომრებიც სასწაულებს ახდენდნენ.

თექურამ ფეხი გადაუხვია. ვაზნებით სავსე თუთიის ყუთზე ჩამოჯდა და თექურები გამოიცვალა. დასავლეთიდან ცივი, მარილიანი ქარი უბერავდა.

პერეკოპისა და ჩონგარის პოზიციათა მისადგომები ვაკეზე იყო, თავად პოზიციები რაც შეეძლოთ კარგად გაემაგრებინათ. ვრანგელელ და ფრანგ სამხედრო ინჟინრებს დაეპროექტებინათ და აეგოთ ბეტონისა და მიწის სიმაგრეების მთელი სისტემა. ამ პოზიციებზე ჯიქურ მისვლა არ ივარგებდა. პერეკოპის პოზიციებზე ჯერ კიდევ ძველი დროის თურქული სანგარი აღმართულიყო, მის ქვეშ თხრილიც გადიოდა. თუკი სანგრის სიმაღლესა და თხრილის სიღრმეს შევკრიბავდით, მივიღებდით ეკლიანი მავთულით შემოხლართულ, ბეტონის თხრილებით, ქვემეხებით, ყუმბარის სატყორცნებით, ტყვიამფრქვევებითა და მტრის ფლოტის ცეცხლით დაცულ ოცდაათი-ორმოცი მეტრის წინაღობას.

51-ე დივიზიის შტაბიდან სარდალმა პერეკოპს მიაშურა. საღამო ხანი იყო, ბინდისა და სქელი ნისლის გამო რამდენიმე ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა. არ წყდებოდა ქვემეხთა გრიალი. მოწინააღმდეგის მხრიდან წამითაც არ ცხრებოდა მობრიალე პროჟექტორთა შუქი, სივრცეს ქვემეხთა ცეცხლი აპობდა. 51-ე დივიზიის სათადარიგო პოლკები უკანასკნელი იერიშის სამზადისში იყვნენ. არა და არ გაიფანტა ნისლი, არტილერია ხელ-ფეხ შეკრული იყო, მებრძოლები მტრის პოზიციებს თითქმის ბრმად უტევდნენ.

მთავარსარდალი სივაშის ჩრდილოეთ ნაპირს მიუყვებოდა. გზის ახლო-მახლო მტრის ჭურვები სკდებოდა, გზის პირას თივის ზვინი აბრიალდა. ქვემეხთა გრიალში მთავარსარდალი სრულიად მშვიდად იყო. მისი არმიების სარდლებსა და დივიზიის უფროსებს ისეთი შემთხვევებიც ახსოვდათ, როცა იგი იერიშში რიგითი მებრძოლივით მონაწილეობდა.

52-ე დივიზიის უფროსი შტაბში არ იყო. მას ჯერ კიდევ წინა ღამეს პოლკებიანად გადაელახა სივაში, სწორედ წინა ღამიდან ლიტვის ნახევარკუნძულზე არ ცხრებოდა ბრძოლა. ამ ხნის მანძილზე მეომრებს პირში ლუკმა არ ჩაედოთ, არც სასმელი წყალი ჰქონდათ. ნახევარკუნძულიდან პერეკოპის პოზიციების ზურგში გასასვლელი დერეფანი არსებობდა, რომლის აღებასაც 51-ე დივიზია ამაოდ ცდილობდა. ნახევარკუნძულზე უნდა მოეკიდებინათ ფეხი და რა ფასადაც არ უნდა დასჯდომოდათ, პერეკოპის სანგარზე იერიში მიეტანათ.

გზაში ჩაი დალიეს. პროჟექტორების შუქზე ღამე განსაკუთრებით ბნელი იყო, იცინეს, იხუმრეს.

ღამის თორმეტი საათისთვის მთავარსარდალი 51-ე დივიზიის შტაბში მივიდა. ამ დივიზიის უფროსიც წინა ღამეს თავისი პოლკებიანად გადასულიყო ლიტვის ნახევარკუნძულზე და მას მერე იქ არ ცხრებოდა წარმოუდგენლად შეუპოვარი იერიში. თეთრებმა შეტევა გააორკეცეს, კონტრიერიშში ჩართეს საუკეთესო დროზდოველთა დივიზიაც თავისი ჯავშნოსანი მანქანებიანად. შტაბში მთავარსარდლის ჩამოსვლის ნახევარი საათის შემდეგ სივაშზე გამავალმა კავშირის ხაზმა ცნობა მოიტანა: წყალი მატულობდა, ფონებს წალეკვა არ ასცდებოდა, ორივე დივიზიის პოლკები შეიძლება მალე აღმოჩენილიყვნენ სივაშს გადაღმა, — ყველას და ყველაფერს მოწყვეტდნენ.

მთავარსარდალმა შექმნილ ვითარებაში ძლიერი ნებისყოფა და გაბედულება გამოამჟღავნა. მეფის რუსეთის კატორღამ და გადასახლებამ ჯანმრთელობა შეურყია, სამაგიეროდ გამარჯვების წყურვილი განუმტკიცა. მისი სამხედრო ნიჭი ბოლშევიკურ რწმენას უტოლდებოდა. მან იცოდა: გამარჯვება თავისით არ მოვა, იგი უნდა მოიპოვო.

მთავარსარდალმა დაუხანებლად შესასრულებელი ბრძანება გასცა: ჯიქურ იერიში მიეტანათ თურქეთის სანგარზე, ფონებზე თავდაცვითი სამუშაოების ჩასატარებლად ახლომახლო სოფლებში ხალხი შეეკრიბათ, ხოლო ცხენოსანი დივიზია და აჯანყებულთა რაზმები დაუყოვნებლივ მოხტომოდნენ ცხენებს და სივაში გადაელახათ.

დაახლოებით ღამის სამ საათზე მოვიდა ცხენოსანი დივიზია. მთავარსარდალმა დივიზიას ჩამოუარა, დაათვალიერა და მაშინვე ბრძოლის ველზე გაგზავნა. სივაშში წყალი თანდათან მატულობდა, ფონებს ანგრევდა, მაგრამ გადასვლა ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

ერთი საათის შემდეგ აჯანყებულებმაც მოატანეს. მათი მეთაური და შტაბის უფროსი მთავარსარდალთან გამოცხადდნენ. ისინი ისეთი სიფრთხილით შევიდნენ შტაბში, თითქოს იქ ხაფანგი რამ ელოდათ.

ვინ იცის, რა ფიქრი ამოძრავებდათ, როცა თავს იდეს ვრანგელის ფრონტზე ჩვენთვის დახმარების გაწევა. იქნებ ვაზნები სჭირდებოდათ, ან სულის მოსათქმელად დროის მოგება? ეგებ მახნო რაღაც მზაკვრულმა გეგმამ აიძულა წითელი არმიისთვის დასახმარებლად გამოეგზავნა თავისი პოლკები კარეტნიკოვის მეთაურობით? ფრონტის მთავარსარდალი ყოველივეს ჯერ კიდევ ხარკოვში ითვალისწინებდა.

მთავარსარდალმა კარეტნიკოვს მოთმინებით განუმარტა ყველა ის მიზეზი, რამაც სივაშის დაუყოვნებლივ გადალახვა უკარნახა. კარეტნიკოვი ჩაფიქრდა, თან ფრონტის ლეგენდარულ სარდალს თვალყურს ადევნებდა. ეს ის კაცი არ იყო, ვისთან შეხვედრასაც კარეტნიკოვი მოელოდა. აქ ვერც თავს მოისულელებდი და ვერც ყვირილით გახდებოდი რამეს. კარეტნიკოვი დუმდა. მისი შტაბის უფროსი რუკას ჩასცქეროდა. „მხედრობა ვერ გადავა“, — თქვა მან.

„ჩვენ, უკრაინელი აჯანყებული რევოლუციონერები, — დაიწყო კარეტნიკოვმა, — თქვენთან ერთად დავცხებთ ვრანგელს, მაგრამ ცხენოსანი ჯარი ზღვას ვერ გადალახავს“.

„ერთი საათის წინ, — მშვიდად მიუგო მთავარსარდალმა, — ცხენოსანმა დივიზიამ უკვე გადალახა სივაში, როგორც ვიცი, აჯანყებული რევოლუციონერები არ მოისურვებენ, რომ მოვალეობის შესრულებაში ვინმეს ჩამორჩნენ“.

მთავარსარდალი გარეგნულად მშვიდი და აუჩქარებელი ჩანდა. მახნოელებს მოუთმენლობას არ უმხელდა. საქმეც ისე წაიყვანა, რომ მახნოელებს დიდ პატივად უნდა მიეღოთ, თუკი სივაშის გადალახვისა და ბრძოლაში ჩაბმის ნებას დართავდა. მთავარსარდალმა იცოდა პარტიზანთა ახირებული ხასიათი და ძალას არ ატანდა, თუმცა ყოველი წუთი ახლა გასათვალისწინებელი და გასაფრთხილებელი იყო. კარეტნიკოვმა სალამი მისცა და შტაბიდან გავიდა.

მთავარსარდალს მოახსენეს, მახნოელებს უნაგირზე ჩალისა და ლერწმის მჭიდროდ შეკრული კონები აქვთო აკრული. მათ კარგად იცოდნენ სივაშზე გადასვლის ყველა პირობა და ხაფანგის შიშით მხოლოდ დროს იგებდნენ.

კარეტნიკოვი და შტაბის უფროსი რამდენჯერმე ხან მივიდნენ მთავარსარდალთან, ხანაც გამოემშვიდობნენ, ვითომ ბრძანების აღსრულებას ემზადებოდნენ. საქმე ჭიანურდებოდა. ამასობაში შესაძლოა წყალს ისე ემატა, რომ მაშველ ჯარს ლიტვის ნახევარკუნძულამდე ვეღარც მიეღწია. „თქვენს დახანებას, — თქვა ბოლოს მთავარსარდალმა, — სილაჩრე ჰქვია. იქნებ სჯობს უკან გაბრუნდეთ?“

ასეთმა პირდაპირობამ გააცეცა კარეტნიკოვი. ცალყბად ჩაიღიმა და უსიტყვოდ გაიძურწა. ცხენს მოახტა და მათრახი გადაუჭირა. რაზმმა სივაშს მიაშურა.

ამ დროს 51-ე დივიზიის შტაბიდან ცნობა მოვიდა: დივიზიის პოლკებს ლიტვის ნახევარკუნძულის შეწევნით ღამით იერიშით აეღოთ თურქეთის სანგარი და ახლა მტერს კვალში მისდევდნენ. ეს ჯერ კიდევ არ იყო საბოლოო გამარჯვება, რადგან ყირიმისკენ გზას იუშნის მტკიცე პოზიციები უღობავდათ, თუმცა პერეკოპის დაცემა ლიტვის ნახევარკუნძულზე მყოფ დივიზიებს არმიის საერთო შეტევაში ჩასაბმელად გზას უხსნიდა.

მთავარსარდალმა ოპერაციის შემდგომი განვითარების ბრძანებას ხელი მოაწერა და მხოლოდღა მაშინ მისცა თავს უფლება, რომ საშინლად დაღლილი გასაშლელ საწოლზე მიწოლილიყო. იწვა და თან მტკივან მუხლს იზელდა. ცხრა ნოემბრის დილის ექვსი საათი იყო.

მეკავშირეები ბრძანების ტექსტს გადასცემდნენ. ხელს აწერდა — „ფრუნზე“.

იუშნის მისადგომებთან ორ დღეს მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი, შეუპოვარი ბრძოლები. იუშნი დაეცა. იმავდროულად 30-ე დივიზიამ გმირული იერიშით, ხიშტით აიღო ჩონგარი. ფიცხლად, თავშეუკავებლად შეიჭრნენ ჯარები ყირიმში.

ინტერნაციონალური რაზმის მეთაურს ივან პოლოვეცს თავისი კომისარი გერტი წამოეწია. „შეხე, რა უცნაური ფორანია, — უთხრა გერტმა, — იმ მფრინავს მაგონებს, თავისი თვითმფრინავი წითლად რომ შეღება. ის რომ ცაზე გამოჩნდებოდა, ერთ რამედ ღირდა, მაგრამ მტერი ადვილად ცნობდა, თუმცა ზემოქმედებას მართლაც ახდენდა“.

„ეს ამბავი იმ იერიშს მაგონებს, ჩვენ რომ სივაშზე გვქონდა“, — შენიშნა პოლოვეცმა და შორიახლოს მიმავალ წითელ ფორანს თვალი გაადევნა. „აქ ისეთი სივიწროვეა, თავი ბაზარში გეგონება“, — თქვა პატარა საშკო პოლოვეცმა, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

უცნაურ ფორანზე ოთხნი იყვნენ. წინ — წვეროსანი და ერთიც უულვაშო კაცი იჯდა, ტყვიამფრქვევთან — გრძელულვაშა ძია და ფერმკრთალი ჭაბუკი წითელარმიელი. „რა მშვენიერი სურათია, — გაეცინა გერტს, — გამარჯვებულთა შემოსვლა ბარონ ვრანგელის უკანასკნელ ციხე-სიმაგრეში“.

ანაზდად ზურგს უკანიდან რაღაც ღრიანცელი მოესმათ. გააფთრებით მოაჭენებდნენ ცხენებს მხედრები, რახრახებდა ფორნები, ფრიალებდა ფორნებზე დაგებული ჭრელი ხალიჩები. ცხენები ბაფთებით მოეკაზმათ, ფორნებს თვლებამდე დასთრევდა ხალიჩები, მოძრაობა, ფუფუნება, კაცი თეატრში დაიგულებდა თავს.

„როგორ ჩქარობენ მახნოელები, — თქვა პოლოვეცმა, — სივაშზე ბატკნებივით იყვნენ“.

„ახლა ერთი ტყვიამრფქვევი, — მიუგო გერტმა, — საქურდლად მიიჩქარიან“.

მახნოელებმა შეამჩნიეს წითელი ფორანი, იცნეს. რაზმს მხედრების ერთი ჯგუფი გამოეყო და ჭენებ-ჭენებით მიაშურა ფორანს. გაიელვეს ხმლებმა, მხედრებშემოჯარული ფორანი წამით დაიკარგა. მერე მახნოელები მგლების ხროვასავით გაიფანტნენ და თავისიანებს გამოუდგნენ.

ყველაფერი ისე ელვისებურად დატრიალდა, რომ პოლოვეცი და გერტი მაშინლა ჩავარდნენ გულისხმაში, როცა ფორნიდან ორი კაცი გადმოვარდა და თავაშვებული ცხენები აწრიალდნენ.

ატყდა უწესრიგო სროლა, მაგრამ მახნოელები უკვე შორს იყვნენ. ფორანი გააჩერეს. საიდანღაც ჩუბენკო გამოჩნდა.

მჭედელ მაქსიმს გაჩეხილი თავი ტყვიამრფქვევზე ჩაეხარა, ხოლო ფორნის მეორე მხარეს იჯდა საღსალამათი დანილო და დაბნეულს ხელში რკინის ვარდი ეჭირა. მჭედელი ჯერაც მომაკვდავი ფრინველივით ფართხალებდა. ფორანს პოლოვეცი და გერტიც მიადგნენ. „შენიანია?“ — ჰკითხა პოლოვეცმა, ჩუბენკოს თვალებს რომ წააწყდა. ჩუბენკო შეტრიალდა. „ომი მთავრდება“, — უთხრა გერტმა. „ჩუბენკო, ფოლადი უნდა ადნო“, — გაუღიმა პოლოვეცმა.

„ალდებარანის ვარსკვლავი, — რატომღაც თქვა ჩუბენკომ, — მარადისობის წეროთა გუნდი“.

და დანილოს ვარდი გამოართვა.

დანილოს გონებაში აღებეჭდა სურათი: მზე, შემოდგომა, სიკვდილის სურნელება, ცხენის ოფლი, უსაზღვრო სივრცე, გამარჯვების სიხარული, მეფოლადე ჩუბენკო ყირიმის კარიბჭესთან დგას და ვარდი უჭირავს ხელში.

ადამენკო

მეორეც ის, რომ მე მარტენის ოსტატი კი არა, ერთი უბრალო მეფოლადე ვარ, ოსტატი კი ფრიდრიჰ ივანოვიჩია, მეტსაც გეტყვით, თავისი წონა ოქროა ეს კაცი, ასეთ ოსტატს მთელი წელი ვეძებდი, სწორედ რომ იშვიათად იბადებიან ასეთი ოსტატები. ძველგერმანელ მეფოლადეთა ნამოწაფარი გახლავთ. იქნებ თვით სიმენსის შეგირდიც იყო, სიმენსის ნახაზებით ააგო მარტენმა პირველი ღუმელი.

ჩემი ფრიდრიჰ ივანოვიჩი სათუთი ოსტატია, თავადაც ფაქიზი ადამიანი გახლავთ, ერთი განახათ, როგორ დასტრიალებს ღუმელს. ექიმი გეგონება, კაფანდარა, რკინისსათვალიანი ექიმი, რომელსაც ღუმელთან საერთო არაფერი აქვს — ერთი საავადმყოფოდან მეორესაკენ მიეჩქარება, ერთი სათუთი ოპერაციის შემდეგ მეორე ოპერაცია ელის. შედგა მარტენის ღუმელთან, ჩასატვირთი სარკმლებიდან ცხელმა ჰაერმა დაჰკრა, ათას ხუთას გრადუსს ეხუმრებით. მოხუცი ექიმი იმ სარკმლებთან შეჩერდა, რომელთა მიღმაც ტრიალებს ნამდვილი ჯოჯოხეთი. თითქოს უკვირს კიდეც, ასეთ პაპანაქებაში ადამიანები როგორ ძლებენო, თითქოს შეშინებულიც არის, რატომ დგასო ასეთი გრუხუნი. მოგრიალებენ დატვირთული ვაგონეტები, ჩასატვირთი მანქანა უკან ბრუნდება, ფეხქვეშ რკინის ბაქანი გუგუნებს, მუშას თვალებზე საგანგებო სათვალე აუფარებია, ღუმელში იჭვრიტება.

თითქოს ფრიდრიჰ ივანოვიჩს ეს ამბავი სულაც არ ეპრიანება, მაგრამ ასეთი მეფოლადე თქვენ ალბათ არც გინახავთ, მეც ჯერ ვერ შევეჩვიე, მე, მეფო-

ლადე ჩუბენკოსაც კი ხანდახან მეშინია მისი — ასეთი ოსტატები ხელისგულზე უნდა ვატაროთ, ხოლო მე გუშინდელი მეფოლადე როდი ვარ, ბევრი ოსტატი მინახავს და თავადაც რანაირსაც გნებავთ, ისეთ ფოლადს გამოვადნობ, ყველა ხარისხისას და ყველა მარკისას. ქრომ-ვოლფრამის მიზეზიანი და სწრაფმჭრელი ფოლადიც გამომიდვნია, მაგრამ ფრიდრიხ ივანოვიჩის გვერდით რომ ვდგევარ, მშურს მისი, თუმცა პარტიის წევრს ასეთი საქციელი არ შეეფერის.

ეს მინდოდა მეთქვა, ამხანაგებო, ჩვენს მიტინგზე, აი, აქ, მარტენის საამქროში, როცა თქვენ, მგონი, მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ფოლადის პირველი ნადნობი ნახეთ, თორემ დონბასში რომ პირველებმა გამოვადნეთ, ამას წყალი არ გაუვა. თქვენ ნახეთ, როგორ ჩამოვასხით ყალიბებში ფოლადი — ზომაზე ცხელი იყო და ადვილად მოედინებოდა, ჩვენი ფოლადი სწორედ ისეთი ხარისხისაა, როგორსაც დამკვეთი გვთხოვს. დამკვეთი კი ჩვენ ერთი გვყავს — რევოლუცია.

ფოლადი რკინის კონსტრუქციებისა და ხიდებისთვის, ათი მეასედი პროცენტი ნახშირბადი და არამც და არამც თხუთმეტ მეასედ პროცენტზე მეტი, სამიდან — ექვს მეათედ პროცენტამდე მარგანეცი, იქაც ცოტაოდენი გოგირდი და ფოსფორი, მოკლედ, ყველაფერი წესისამებრ ვახმარეთ. დამკვეთი ხიდებს ააგებს, ხიდები კი ძალიან გვჭირდება: ქალაქი უნდა დაუკავშირდეს სოფელს, მიწა ქარხანას, ერთმანეთს დაუკავშირდეს ყველა ეროვნება. მეფის ხელისუფლებას ხიდების ეშინოდა, ინტერვენტებმა ხიდები დაგვინგრიეს, მაგრამ ჩვენ ისევ ავაშენებთ, აგერ, ეს-ესაა ჩამოვასხით ფოლადის პირველი ნადნობი.

ფრიდრიხ ივანოვიჩი მეორე დნობისთვის ამზადებს ღუმელს, ამოწმებენ, ნაჯაო არსად იყოს ჩაშლილი, უნდა დადუღდეს, იქნებ სადმე ზღურბლი მიიწვა, ანდა წიდა დაგვრჩა, ღუმელი უნდა შეცხელდეს, კირქვა, თუჯი და ფოლადის ნაფხვენები მოიზიდოს, ერთი სიტყვით, ყველაფერი დროულად გაკეთდეს, რომ რამდენიმე საათის შემდეგ ყალიბებში ხელახლა ჩამოვასხათ ორმოცი ტონა საუკეთესო, რევოლუციური ფოლადი.

და ასე ცოტ-ცოტათი, ცვლიდან-ცვლამდე, დნობაზე დნობის მიყოლებით ავამუშავებთ რესპუბლიკაში მარტენის ყველა ღუმელს და მერე, ჰაი, გიდი, რესპუბლიკავ, ადნე და ადნე ყველა ხარისხის ფოლადი — საგუთნე და საიარაღო, სამანქანო და სალიანდაგო. ყველა მარტენი რომ აგუგუნდება, ახლა მარტენის სხვა საამქროებს ავაშენებთ. ამხანაგებო, ჩვენი ლენინი ავად არის, გვჭირდება მარტენები, ელექტროენერგია, ინდუსტრია გვჭირდება.

ახლა იმას გიამბობთ, თუ მუშათა კლასის ავანგარდში მდგარი, როგორ მოვესწარ ამ დღეს, როცა ფოლადი კაპიტალისტის კი არა, მუშის, მშრომელი კაცის ბრძოლით მოპოვებულ ციცხვში ჩავასხი. ამ ამბის მოყოლას ცოტა დრო დასჭირდება, მოგონებათა საღამოები მე არ მიყვარს, აი, აქ, საამქროში, თავშივე ვუთხრათ ერთმანეთს რამდენიმე თბილი სიტყვა, დაულაგებელი და გაუმართავი, მაგრამ კეთილი და ძარღვიანი, შემდეგ კი მთელი ძალ-ღონით შევუდგეთ შრომას, ისე, რომ დედამიწა აგუგუნდეს, და ვიშრომოთ ერთი, ორი, შესაძლოა ათი წელიც, სანამ წყვდიადს თავს არ დავაღწევდეთ და სხვებსაც არ გავიყვანდეთ. სიცოცხლით კი ერთხელ ვცოცხლობთ, ეშმაკმა დალახვროს, რა ტკბილი და რა მტკივნეულია სიცოცხლე!

ფოლადს სიყმაწვილიდან ვადნობ, მეგობრებო, ვადნობ და ვადნობ, შავი მუშაც ვყოფილვარ და გამომწველიც, მეღარეც და მეაირეც, ბოლოს მეფოლადეობას მივალწიე, მეპატრონე-კაპიტალისტებმა ოსტატობაც ალმითქვეს. ირგვლივ

ხეც არსად იყო, მხოლოდ ტრამალი, დაუსრულებელი ტრამალი და მაღაროები, ტბორებში ნახევარზე მეტი მაზუთი იდგა წყლის ნაცვლად. რაღა ბევრი გავაგრძელო, ყველამ კარგად იცით სამხრეთ უკრაინის ტრამალის დონბასური ბუნება.

მაშინ ოცდაათი წლისა გავხდი, ჯერ კიდევ არ იყო ომი, სამოქალაქო ომის დაწყებას ერთი წელი აკლდა. ათმა წელმა უკვე გაირბინა და პოლკოვნიკი ჩუბენკო კვლავ დაუბრუნდა ღუმელს ფოლადის გამოსადნობად. უკვე მოგახსენეთ, რომ მაშინ ოცდაათი წელი შემისრულდა და ოცდამეთერთმეტეში გადავდექი, ვადნობდი და ვადნობდი ფოლადს, ახლა ძალიანაც გული მწყდება, როცა ვიგონებ, რა საუცხოო ფოლადს ვუდნობდი კაპიტალისტს. ისიც გითხარით, ირგვლივ რომ ხეც არსად იყო, კვამლიანი და უკიდეგანოა ჩვენი დონბასი, მზე უმოწყალოდ აჭერდა, ჩასატვირთი სარკმლებით მომდინარე სიმხურვალე ტანში მედგა.

მაგარი და შარიანი ბიჭი ვიყავი, მიკვირდა — რა არის, რომ ერთი კაცის ცხოვრება რის ვაი-ვაგლახით მიედინება, მეორისა კი ბუმბულებში რწყილებს ანებივრებს-მეთქი? რევოლუციის საქმეს მაშინ არ მივსდევდი, მაგრამ არც მთლად უმეცარი ვიყავ, ვკითხულობდი ჩერნიშევსკის, „კომუნისტურ მანიფესტს“, ტოლსტოის, ცოდვა გამხელილი სჯობს, ბაკუნინსაც, „ნაროდნაია ვოლიასა“ და დეკაბრისტებზე დაწერილ ლიტერატურას, მიყვარდა შევჩენკო, გრიცკო ოსნოვიანენკოს „სიკეთე ჰქმენ, სიკეთითვე მოგეზღვებაო“, წავიკითხე „კოზირ-დივკა“, „მაწანწალა“, აკი გითხარით — სულ მთლად უმეცარი არ ვიყავი. მაისობებშიაც ვმონაწილეობდი, კაზაკებსაც ბევრჯერ დავძრომივარ, მათრახებიც მიწვნევია, ვკითხულობდი იატაკქვეშელთა პროკლამაციებს და სხვებსაც ვაკითხებდი, საპატიმროში კი არა ვმჯდარვარ, ეტყობა, არ ვიყავი ნამდვილი რევოლუციონერი, აბა, რა რევოლუციონერი ხარ, თუ ციხეში არა მჯდარხარ?

ასე გავიდა ჩემი ახალგაზრდობა, დედ-მამა ადრე დამეხოცა, მამას თუჯი გადაესხა, ორ დღეში გათავდა, დედა ქიმიურ ქარხანაში შრომამ დააჭლექა, ერთი სიტყვით, მეფოლადის ჭაპანს ობლობაში ვეწეოდი. კვირაობით მტრედებს დავდევდი, რა ჯურის მტრედი არა მყავდა. ერთხელაც ტბორთან — ამ ტბორს შემთხვევით კი არ ვახსენებ მეორედ — შევხვდი ამხანაგს და ვიგრძენი, როგორ ამიჩქროლა გული რევოლუციურმა შეგნებამ, როგორც მებრძმედეები იტყვიან, ნახშირბადის გამოყოფისას თუჯმა რომ იცის დუღილი, სწორედ ისე ავდუღდი, მთელ ტანზე წითელი ბუშტები დამასხდა, ისე გამიღვივდა შეგნება, რომ მზად ვიყავი, რა ექსპროპრიაცია გნებავთ, ის მეკისრა, მომეკლა ვინმე მინისტრი, ანდა სულაც მეფე ნიკოლკა პირსისხლიანი.

მეტყვით, ვინ გამხდარაო ასე რევოლუციონერი, მაგრამ, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ ტბორთან ჩემს მეუღლესა და ამხანაგს შევხვდი — ტანწერწეტა, შავტუხა ქალიშვილის სახით მოვლენილს. ქარხნის კანტორის მოხელის ქალიშვილი მამასთან გადმოესახლებინათ დონბასის მივარდნილ ადგილას, მანამდე კი ერთ წელიწადს საპატიმროში მჯდარა, ეჭვი მიუტანიათ, რომელიღაც ორგანიზაციის წევრიაო.

ფოლადის დნობა სათუთი საქმეა, მძიმე და იკლიკანტური, ფოლადი საჭირო ხარისხისა გამოდნა თუ არა, ამას ვერასგზით მიხვდები, ენას ვერ დააწებ და გემოს ვერ გაუსინჯავ, ვერც თითით შეეხები, არადა, შეიძლება მჟავეც იყოს და მყიფეც, ერთი დარტყმით დაიმსხვრეს და გაჭიმვისას გასკდეს.

ნახშირბადი ნორმაზე უნდა იყოს, მჟავე ფოლადი კი უნდა განიჟანგოს ფეროომარგანეცით, კაჟბადით, სულაც ალუმინით. გითხარით, ფოლადის დნობა სათუთი საქმეა-მეთქი, მაგრამ ქალიშვილებთან, გულახდილად გეტყვით, დიდოსტატი მეფოლადე და მეტალურგი თუ არა ხარ, გათავებულია საქმე.

თვალით უნდა ატყობდე, რამდენი გოგირდია ქალიშვილში, ქალიშვილიც უნდა განიჟანგოს, იქნებ საგანგებო მინარევების დამატებაა საჭირო, რომ ცხოვრების მდინარებამ ჟანგი არ მოჰკიდოს და ათასს გრადუსამდე გახურებისას ხენჯით არ დაიფაროს. ქალიშვილი თავად უნდა იყოს მაგნიტი, სხვა მაგნიტებისკენ კი არ მიიწევდეს. მერე გამოდნობილ ლითონს ყალიბებში რომ ჩავასხამთ, ისეთი სილამაზისა უნდა დადგეს, ისეთი სინაზის, ძალისა და ბრწყინვალებისა, როგორი ცოლიც შეჰფერის პროლეტარული კლასის ყოველ მეფოლადეს.

მიყვარს ასეთი ადამიანები, შეუპოვრები და დაწყევლილები, ბალახის ღერაკივით უმწეონი კი არ არიან, ცხოვრებას მაღალი კატეგორიებით უდგებიან. მომწონს ასეთი ხალხი, ამ ხალხით მიდგას სული, ჩემი დღე და მოსწრება მათ ვეძებდი და შევხვდი, ისინი უქრობელი, გამჭვირვალე ალით ენთნენ და გარშემო ყველას ავარვარებდნენ, რიგიანი მეაირე მათ ალს თვალყურს ადევნებს, იქ აირი უმჭვარტლოდ იწვის.

ასეთი ხალხის მუდამ მშურდა, ასეთები ცოტანი გვყავს, მეტი კია საჭირო, მყავდა მეუღლე და ამქვეყნად აღარ არის, გვყავდა ადამენკო და აღარა გვყავს. მუშტად იკვრება ჩვენი ხელები და მზად ვართ მთელი ქვეყნის გასაგონად ვიმღეროთ, ვიყვიროთ: გაჩნდით, მშვენიერო, შეუპოვარო ადამიანებო, ჩამწკრივდით, რომ იბრძოლოთ და გაიმარჯვოთ, იბრძოლოთ და აშენოთ სოციალიზმის ენით უთქმელი სილამაზე!

აი, ამას წინათ, კომუნალურ მეურნეობას რომ განვაგებდი (პარტიამ კი იქიდან აქეთ გადმომაგზავნა დირექტორად, ხელობით მე მეფოლადე ვარ, მოვძებნე ფრიდრიჰ ივანოვიჩი და აჰა, ვადნობთ ნელ-ნელა), ამას წინათ-მეთქი, გითხარით, ბრძანება გავეცი, კლდისგან ძეგლი გამოეკვეთათ. ერთი იტალიელი მყავდა — ნატიფი საქმის ოსტატი, ისეთი კეთილშობილება გამომიქანდაკა, უკეთესი არ იქნება, ის ქანდაკება თვითონ შეგიძლიათ ნახოთ რევოლუციის გმირთა საქალაქო სასაფლაოზე.

ადამენკოს ძეგლი მდინარის პირას დგას ახლა ყველასთვის ცნობილ მის საფლავზე, ქვის არწივი ნისკარტს სცემს ქვის ბორკილებს, ბიოგრაფია ოქროს ასოებითაა ამოკვეთილი. ირგვლივ დონბასის ტრამალი გაწოლილა, ცხელა და ერთი ზათქი და გრიალი დგას, აქვეა ნავთობით დალაქავებული ტბორიც, სწორედ ამ ტბორთან შევხვდი ჩემს საბედოს, ჰოდა, რამდენიმე წელი მშვიდად ვიცხოვრეთ.

ქალიშვილი შეგვეძინა, გადავიტანეთ იმპერიალისტური ომი, შევხვდით რევოლუციას, დონბასში გერმანელების შემოსვლასაც მოვესწარით, მაშინ გაფიცვა გამოვაცხადეთ, გავაჩერეთ ქარხნები, მე მემაღაროელთა რევოლუციური რაზმის შეგროვება დავიწყე. მერე რაზმი პოლკად იქცა, შემდეგ ბრიგადადაც კი. ახლა მოდით, ამ ფაქტზე შევჩერდეთ, უკან მივხედოთ, არც ისე შორეულ, დიდებულ წარსულს და ერთ უბრალო მეფოლადე ჩუბენკოს მოუსმინეთ.

რამდენი ქუჩაც იყო, პარტიაც თითქმის იმდენი არსებობდა. ცხოვრება კი... ათას ცხრაას თვრამეტი წლის ჩვენებური, დონბასური ცხოვრება... მაშინ ჩვენ

ახალი სახელმწიფოს ქვეშევრდომები გავხდით, მისი უგანათლებულესობა პან ჰეტმანის უკრაინელები.

დონბასის ბუნება პირქუშია, ჰეტმანის სახელმწიფო ძალას იკრებდა, უკვე მაშინ ვოცნებობდით დონბასის მხარის ქვანახშირის რესპუბლიკაზე. ჰეტმანი ფულს მანქანაზე ბეჭდავდა, ჩვენ კი გვშურდა. სწორედ ამ დროს დავუახლოვდი ერთ ლუგანსკელ ზეინკალს, დავლიეთ, პაპიროსი გავაბოლეთ, ჰოდა, პარტიზანული რაზმის ჩამოყალიბებაც ვითავე — „ძალაუფლება საბჭოებს“. მაშინ უფრო საშინელი შესახედავი გახლდით, ეს ოქროს კბილები ჯერ არა მქონდა, თავზე შავი ფაფახი მეხურა, აი ისეთი, ჩერქეზები რომ ატარებდნენ ძველი რეჟიმის დროს, მრისხანედ ვაბრიალებდი თვალებს, ხმაზეც მაგრად ვიყავ.

რაზმში ბოლშევიკებსაც ვიღებდი და უპარტიოებსაც, ოღონდ მემალაროელთა ძველი სისხლის, ანდა დამსახურებული მებრძმედეები ყოფილიყვნენ, შეურიგებელნი და შეუპოვარნი, აი, დუღილი რომ იციან და ნაპირებიდან არ გადმოდიან, ერთი პროცენტის მეტი ნახშირბადი რომ არ ურევიათ, ერთი სიტყვით, მტკიცე ფოლადის ხალხს. რაზმში ისეთ ხალხსაც ვიღებდი, ალუმინს რომ ჰგვანან — ლითონს აირს ვურევდი, რომ ფოლადი ციცხვში არ ადუღებულიყო. ხალხს ქარხნის ყველა საამქროდან ვარჩევდი, ვანკას ვანკას ვუმატებდი; რიხიანებს, შარიანებს, ქოჩრიანებს, ყოვლად დიდი დონბასის ქედუხრელ პროლეტარებს, გერმანელების წინააღმდეგ პარტიზანულ რაზმს ვაყალიბებდი. ოც კაცამდე შევკრიბე, მერე ყველა ბოლშევიკი გახდა, უმაღლესი ხარისხის პარტიულები დადგნენ, წაკითხული ჰქონდათ ლენინი და მარქსი, სოციალიზმზე ოცნებობდნენ, სხვა თეორიები კი არაფრად მიაჩნდათ.

როცა დადგენილების თანახმად ჩვენი პარტიული რიგების წმენდა იყო საჭირო, ჩვენ ჩვენი ნორმები დავაწესეთ, ჩვენი მინიმუმი; თუკი მტრის ტყვიამფრქვევს არ შეუშინდებოდი, ან ხუთ შაშხანიან კაცს მარტო ჯიქურ ეკვეთებოდი, ანდა ხელყუმბარით შტაბს დაარბევდი — ეს იმას მოწმობდა, რომ სრულყოფილი ბოლშევიკი ხარ, ღირსი პატივისცემისა, პროლეტარული მადლობისა და ყველა ბეჭდით დადასტურებული პარტბილეთისა.

არაერთი ცხარე ბრძოლა გადაგვხვდა, მაგრამ გერმანელებს დახმარება თუ დროზე მოუსწრებდათ, აქეთ-იქით გავიფანტებოდით. მთელი დონბასი მოვვლეთ, გავწევდით ხოლმე ჩრდილოეთისკენ, გადავიდოდით საბჭოთა საზღვარს, ცოტა იარაღს მივიღებდით, ცოტა რჩევა-დარიგებას, გულებს შეგნებული სიძულვილით ავივსებდით და პარტიზანების ჩვეულებისამებრ კვლავ ეშმაკის ბილიკებით ვუბრუნდებოდით მშობლიურ ადგილებს.

ახალ საქმემდე სამალავში ვისხედით. ერთხელაც, იატაკქვეშეთში მომუშავე სამეულისგან განკარგულება მივიღე — ტყვიით გავმასპინძლებოდი სამხედრო მატარებელს და გერმანელთათვის ოფოფები დამეფრთხო, თანაც იარაღი უნდა მეგდო ხელთ. ამ საქმეში, ამხანაგო ჩუბენკო, ატამანი ადამენკო დაგეხმარებათ თავისი ულარიბეს გლეხთა რაზმით, დისპოზიცია ასეთი და ასეთია, ტყვეებს ხელი არ ახლოთ, ოფიცრებს კი ნუ დაინდობთ, დავალების შესრულება გვაცნობეთო.

იმ დღის მოლოდინში ვიჯექი და ვფიქრობდი, ნეტავ როგორია-მეთქი ეს ადამენკო, ერთად ბრძოლა თუ გამოგვივა, ერთიც ვნახოთ და მისმა გლეხებმა პირი იბრუნონ. ყველაფერი რომ ავწონ-დავწონე და გავითვალისწინე, გადავწყვიტე, სამეულის განკარგულება მარტო შემესრულებინა, საათი ხუთიოდ ვერსით

წინ გადავწიე, საქმე ჩემი დონბასელების ასეულით შევასრულე და ბრძოლის შემდეგ გახურებული ბალახზე წამოვწექი, ვისვენებდი და თან ადამენკოს ვუცდიდი. ყველას კარგად მოგეხსენებათ, ბრძოლას ხუთიოდ წუთი სჭირდება, სამზადისს კი მთელი დღის წინ და უკან სირბილი, დავიღალე, სული ძლივს მედგა. ცაზე ღრუბლები ერთიმეორეს მისდევდა, ბუნება სურნელს აფრქვევდა, ცხენები ბალახს წიწკნიდნენ. მერეღა მივხვდი, რომ თურმე ფილტვების ანთება დამმართნოდა.

ადამენკოს ერთი წამითაც არ დაუგვიანია, თავისი ძმობილებიანად გამოშეცხადა. ცხენები მოვლილი ჰყავდა, ხალხი კი გაწვრთნილი. თავად მისი ფაშატი ოქროში დაფერილივით ელავდა, ნეტავ სად მალავდა ასეთ მზეთუნახავს? შევეკითხე და იცით, რა მიპასუხა, ცხენს ხაკისფრად ვღებავო. ყველამ ვიცინეთ, ჩვენმა სიცილმა არემარე შეძრა, წამოვდექი, რომ ერთი გულიანად გამეცინა, მაგრამ ვიგრძენი, ფერდში ჭვალი გამდგომოდა, ფილტვებს თითქოს ჭრაჭუნი გაჰქონდა ნეკნებქვეშ, ველარც სული მოვითქვი და ველარც გავიცინე.

ადამენკო ჩამოქვეითდა, ჭოკივით გრძელი იყო, ნეტავ ტანსაცმელი სად უშოვეს-მეთქი ამოდენა ოყლაყს. მომიახლოვდა, ჩემს ხველას ყური მიუგდო, ბალახზე დამაწვინა და დამზილა, მაგრამ რა დამზილა. არ ვიცი, ეს რა მასაჟი იყო, მაგრამ ჩემს ნეკნებს ასანთის ღერებივით კი გაუდიოდა ტკაცატკუცი, კინალამ არ გამგუდა, მერე კი გამომიცხადა, რომ მისი ხელობა მედიცინაა, არმიაში კი ვეტერინარ-ფერშლად მსახურობს.

მაშინვე შემიყვარდა ადამენკო, ნამდვილი გმირი პარტიზანი იყო, ჩემი მემაღაროელების მეთაურობაც მას მივანდე, თავად კი ფილტვების ანთებამ დამიგდო. ათასნაირ ფხვნილებსა და აბებს მასმევდნენ, მაგრამ არაფერი მშველოდა, სნეულებას მაგრად გაედგა ფესვი, თანაც ერთთავად ცხენი შეკაზმული უნდა მყოლოდა, რომ მტრის თვალს დროულად გავცლოდი. ადამენკომ თქვა, ამ ყოფას ყველა ვერ გაუძლებსო, და გადავწყვიტეთ, ძირფესვიანი მკურნალობა ჩამეტარებინა. მოვძებნეთ ერთი მიყრუებული სოფელი, სადაც გერმანელებს ხელი არ მიუწვდებოდათ, გახურებულ ღუმელზე დაგებულ თივაზე დამაწვინეს და ღუმელს მთელი კვირა ახურებდნენ, თივას კი წყალს ასხამდნენ.

ისე ცხელოდა, ოფლმა ისე გამხვითქა, იმდენი სისხლი ვანთხიე, რომ თავი უკეთ ვიგრძენი და სიკვდილი გადავიფიქრე, ადამენკოს კი ჩემი ნაგანი ვაჩუქე. დავიწყეთ ფიქრი ჩვენი რაზმების გაერთიანებაზე, ოღონდ ის არ ვიცოდი, პარტიული საქმეები როგორ მოგვეგვარებინა, რადგან ჩემი რაზმი სულ პარტიის წევრებისგან შედგებოდა, ადამენკოსი კი სანახევროდ.

მათ არ იცოდნენ, გარეგნულად რით განსხვავდებოდა პარტიის წევრი უპარტიოსაგან. ადამენკო გამომიტყდა, შუბლზე ვარსკვლავის ამოსვირინგება გადავწყვიტეთო, რომ ვინმეს ხუმრობა არა ჰგონებოდა ეს ნამდვილი ბრძოლა თავისუფლებისათვის, თანაც ამ ნიშნით შორიდანვე უნდა გამორჩეულიყვნენ. მერე გადაიფიქრეს და თვითეულმა შუბლის ნაცვლად ვარსკვლავი მკერდზე ამოისვირინგა. ეს ვარსკვლავი იყო მათი საკუთარი ნიმუშის პარტიული ბილეთი. დიდხანს ვიფიქრეთ, ჩვენს თვითნებობას პარტიული ორგანოები როგორ შეხედავდნენ, მერე ავდექით და დავადგინეთ — მკერდზე ამოსვირინგებული ვარსკვლავები დროებით ბილეთებად მიგვეჩნია, რადგან მათზე პარტიული გადასახადების აღნუსხვა არ მოხერხდებოდა, ბიჭები კი გადაგვეთვალა და ყველანი პარტიის სრულუფლებიან წევრებად ჩაგვერიცხა.

აბა წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: ჩუბენკო ღუმელზე წევს, წამდაუწუმ მხარს იცვლის და შავი სისხლის ლეკერტებს აფურთხებს. სველ თივას, ქვეშ რომ უგია, ცხელ აგურებზე შიშინი გაუდის, ბოლქვა-ბოლქვა ირევა ოხშივარი — სულთქმა ჭირს, დანაღვლიანებული ადამენკო მაგიდას უზის, სათითაოდ შემოდიან მისი რაზმელები, ყველას მკერდზე ვარსკვლავი ახატია, ყველანი სოციალიზმის ფანატიკოსები არიან, მათ შორის მოღალატეს ვერ ნახავ, რადგან მათ პარტიულ ბილეთს — მკერდზე ამოსვირინგებულ ვარსკვლავს ვერსად დამალავ, მოკვდები და სამარეშიც თან უნდა ჩაიტანო.

თავი რუმბივით მაქვს, ღუმელზე ვწევარ და ხარივით ვბღავი, ვებრძვი სიკვდილს, ბრმა ბუნებას მინდა სიცოცხლე გამოვტაცო. პატარა სარკმლიდან ჩანს შარა, ხეები, შორეული ტრამალი, მეჩვენება, უსასრულო გზას თითქოს ოხშივარი ასდის. მინდა საკუთარი თვალით ვნახო სოციალიზმი, სულ ცოტა, პირველ წლებს მაინც მოვესწრო, უფრო ხმამაღლა ვკვნესი და გულმკერდს ვიხოკავ.

ადამენკო პირაღმა მაწვენს და ხელით მაკავებს. კოშმარები მტანჯავს, სარკმლიდან ხალხს ვხედავ, ჯერ ისევ დღეა, მერე სარკმელი ჩამუქდება და გარეთ ღამე ისადგურებს, დღე-ღამის გვირაბში მიმაქროლებს პლანეტა, სახლიც ერთიანად ძაგძაგებს.

აი, საცხედრე საკაცით მივყავარ, სარკმლიდან ვხედავ, როგორ იწვის ხით ნაგები სოფლის ეკლესია, დამწვარ სამრეკლოს სწყდება ზარები, ერთი ზათქითა და გუგუნით ენარცხება მიწას დედო ზარი, მერე უფრო მომცრო ეცემა წკრიალით, ცვივა წვრილ-წვრილი ზარებიც.

გონზე მოსულს, ადამენკოს ხარხარი მესმის. თურმე ეს ხანძარი მისი ანტირელიგიური მოღვაწეობის ნაყოფია. კრებაზე მრევლი დაურწმუნებია, სახლებში გაზიდეთ ეკლესიის მთელი ქონება, ვაითუ გერმანელებმა ჩამოგართვან, ანდა რომელიმე ბანდა დაეცეს ეკლესიას და რაც წმინდა ოქროა, ხელი წამოუსვას, მერე დადექით და მღვდლის ჭიშკარზე ილოცეთო! ჰოდა, მთელი ავლადიდება სახლებში წაულ-წამოულიათ, ეკლესია სარწმუნოების ცირკად გადაუქცევიათ, ბაირაღებიც კი დაუტაციათ. მერე სოფელში დიდი ლაპარაკი ამტყდარა, ყველას სურდა დაენარჩუნებინა ოქროს თასი თუ ოქროს რამე ჭურჭელი. ერთი სიტყვით, საქმე იმით დამთავრებულა, რომ საერთო ცოდვის, მთელი სოფლის ცოდვის დასაფარად, ეკლესიისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ.

ადამენკო კი ხარხარებდა... და როგორც კი ცოტა მოვიკეთე, ადამენკოს შეთხზულ საქმეთა აღსრულებაშიც ჩავებით, თავში თითქოს ეშმაკი ეჯდა, თავზეხელაღებული და გესლიანი ეშმაკი უმაღლესი ხარისხისა.

აგერ, ვადნობ ფოლადს, ფიქრით კი სულ ადამენკოზე ვფიქრობ, ალბათ მეტყვით, ეს ამბები პარტიზანული ცხოვრების უმნიშვნელო ეპიზოდებიაო, მაგრამ ჩვენ ხომ გერმანელები გვეხვია, ჰეტმანელები, ჩვენი კლასის მტრები, და ჩვენ მათ მკერდით ვედექით, უკანასკნელ ვაზნამდე. ჩვენ ჩვენი სიცოცხლე დროშასავით ზეაზიდული მიგვქონდა, ძალზე ძნელი იყო ასეთ ბილიკზე სიარული, ცოტანიღა დავბრუნდით.

რა ხერხით აღარ გვიბრძოლია, ახლა კიდევ ერთი ბრძოლის ამბავს მოგიყვებით.

ტრამალის ერთ სოფელში ბაზრობა გამართეს, ოთხივ მხრიდან დაიძრა ხალხი, ტრამალის შარაგზებზე მტვერი ადგა, რახრახებდა ფორნები, რახრახი გაჰქონდა გერმანელ-კოლონიზატორთა ფურგონებს, ფოლადის მასრებს მიაწკარუ-

ნებდა ტრამალის მხარის ურმები. სხვადასხვა კილო, სხვადასხვა ხმა, ყოველი პატრონი ათას ხმაში სცნობდა საკუთარ ფორანს, სწორედ ისე, როგორც ჩვენ გამოვიცნობთ ხოლმე ჩვენ-ჩვენი ქარხნის საყვირის ხმას, როგორც მემანქანეები სცნობენ ათას საყვირთა შორის საკუთარი ორთქლმავლის საყვირს. მაგიდის ზედაპირივით სწორ ტავრიის უსაზღვრო სივრცეს ტრამალისებური სიჩუმე დაჰპატრონებოდა.

ათასგვარ ხმაზე წკარუნებდა ფორნის ღერძზე ჩამოკონწიალებული ფოლადის მასრები, ბაზრის ყოველი კუთხიდან პირუტყვთა ურთიერთ გაძახილი ისმოდა, ხმაურობდა ხალხი. ურმებს შორის გერმანელები დააბოტებდნენ, თარჯიმნებიც თან ახლდათ, ჰეტმანის უზალთუნებით საქონელს ყიდულობდნენ, იმ უზალთუნებით, მათი ჰეტმანი მანქანაზე რომ ჭრიდა. გერმანული ორკესტრი სამხედრო მარშებსა და სიმღერებს უკრავდა, საძოვარზე ჩაფხუტიანი და იარაღასხმული გერმანული ათასეულის მეომრები ვარჯიშობდნენ, ცხენზე ამხედრებულ მაიორს ღიპი აუდ-ჩაუდიოდა, შავი ზღვის ფერი იყო ზეცა.

თვალსაწიერზე დაგვიანებული ფურგონები გამოჩნდა, ოთხივ მხრიდან მოეშურებოდა, ფურგონებზე ზორბა დედაკაცები და გოგოები ისხდნენ, მზეზე ლაპლაპებდა მოლდავური წითელი თავსაფრები, ფურგონები ბაზარში დადგა, ქალებმა ფურგონებიდან ისკუპეს და თავსაფრები შეისწორეს. ვეება ადამენკოს ქვედაკაბა მოხდენილად ეცვა, დაქარგული პერანგიც ზედგამოჭრილივით მორგებოდა განიერ მხარბეჭზე. ამ ტანსაცმლის პატრონი სწორედ რომ ადამენკოს საფერო უნდა ყოფილიყო!

ქალების გუნდი ხალხში გაერია, ამ დედაკაცების შემხედვარე გლეხიკაცები სიცილით იჭაჭებოდნენ, ჩვენ კი სათანადო ადგილებში ტყვიამფრქვევები დავდგით, საუკეთესო მსროლელები ბაღებში გავანაწილეთ და ყოველის მხრიდან ისეთი ძალით დავცხეთ, რომ ცოტა ხანში გერმანელები დაგვნებდნენ კიდეც.

ცხარე ბრძოლა კი გვქონდა. ესენი ჰეტმანელები არ გეგონოთ, სროლის ხმაზე რომ ბევრჯერ დამფრთხალან. გერმანელები გვარიანად იბრძოდნენ, თავდაპირველად დაიბნენ, ქალებს როგორ გავექცეთო, ჩვენ კი მათ ტყვიამფრქვევებით ვჟლეტდით. სწორედ ეს გახლდათ პარტიზანული ტაქტიკა, დედაკაცურად გადაცმულები ახლოს მივსულიყავით, მერე მოულოდნელად თავს დავსხმოდით და გასაქანი არ მიგვეცა. ზოგიერთს ქვედაკაბა გასძვრა, ქალის ტანსაცმელში გამოწყობილმა ადამენკომ კი ისე იომა, რომ ერთი ყელსაბამიც არ ჩამოვარდნია, მარჯნის მძივის ერთი წვერიც არ გასწყვეტია, ყელსაბამად ასხმული დუკატებიდან ერთიც არ დაუკარგავს. არადა, მთელი ეს მორთულობა ადამენკოს საცოლისა იყო, თავის სადღესასწაულო ტანსაცმელში თავად გამოაწყო სარტფო, ოღონდ, ვინ იცის, ასე გამოწყობილს ბედი რას არგუნებდა — გამარჯვებას თუ სიკვდილს.

ახლა, ადამენკოსეული სტრატეგიის დასტურად, კიდევ ერთი ბრძოლის ამბავს მოგიყვებით. ეს ის დროა, როცა მე და ადამენკომ ჰეტმანელებს წითელი ტერორი გამოვუცხადეთ. იმხანად უკვე დაობლებულები ვიყავით, ჩვენი გულისთვის დაიღუპნენ ჩვენი ახლობლები — ადამენკოს საცოლე და ჩემი მეუღლე. ჩვენს შორის აღმოჩნდა ისეთი კაცი, რომელმაც ქალები ჰეტმანელებს ჩაუგდო ხელთ. რაზმიანად დონბასისაკენ გავქანდი. შიში და საფრთხე ვიღას ახსოვდა, საშველად მივიჩქაროდი. ტრამალში ღამით გრიგალი ამოვარდა, მთვარე ღრუ-

ბელ-ღრუბელ მიცურავდა, ჰაერს ელვა ხანჯლავდა, წვეთი რა იყო, წვეთიც კი არ ჩამოვარდნილა.

ცხენიდან ჩამოხტომა და გაფრენა მეწადა, მაგრამ მაინც დავიგვიანე. ჩემი მეუღლე ნავთობით დალაქავებულ ტბორთან დაეხვრიტათ, სახლი კი დაერბიათ. გოგონა ტრამალში გაქცეულიყო და, თითქოს ტრამალმა ჩაყლაპათ, ვერსად ვიპოვე. დავჯექი იატაკზე და გათენებამდე არ წამოვმდგარვარ, უკვე ვიცოდი, რომ ამას იქით აღარავის დავინდობდი, დავწყევლე ჰეტმანის უკრაინა, ცხენს მოვახტი და უნაგირიდან მანამდე აღარ ჩამოვედი, სანამ არ მოვსპეთ ის სახელმწიფო თავისი გერმანელი დამცველებიანად.

მოღალატე კი, ჩვენი ცოლების გამცემი, აშკარად გრძნობდა, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ უახლოვდებოდა გარდუვალი სიკვდილი. იგი სიკვდილს ისე ელოდა, როგორც ღვიძლსა და ნათესავს, და თუკი ქვეყნად რამ ტკივილი არსებობს, ყველა ერთად ვაგემეთ... ადამენკოს ჩაფიქრებული მეორე ბრძოლა მერე მოხდა, როცა მტერს გვარიანად დავცხეთ და სამაგიერო მივუზღეთ, ვალი გადავიხადეთ. რაც მაშინ სისხლი ვღვარეთ, მისი მცირე ნაწილიც კი იკმარებდა ჰეტმანისა და მთელი მისი მოდგმის ამოსახრჩობად.

იქნებ ვინმე თქვენგანი პარტიზნად ყოფილა ან წითელ გვარდიაში უმსახურია, ანდა საერთოდ ადგილზე ძალაუფლების მოპოვებაში დაუდევს წილი, იმისთვის, რა თქმა უნდა, ნაცნობია იმდროინდელი განწყობილება. ყველას გვეგონა, სწორედ ჩვენ ვიყავით რევოლუციის ცენტრი, მთელი მსოფლიო შემოგვცქეროდა და ზღაპრადაც რომ არა თქმულა, ისეთ საქმეს ელოდა ჩვენგან — საქვეყნო გმირობას, რევოლუციურ შემართებას. და ჩვენს მაგალითზე აღსდგებოდა მთელი პროლეტარიატი, ჩვენც არაფერს ვიშურებდით, ჩვენს თვალწინ ამოდიოდა სოციალიზმის წითელი პლანეტა, მისი პროექტორები დაგვნათოდა, მივდიოდით და ჩვენს მიზანს ფეხდაფეხ მივდევდით.

თითო შარვლისა და დახეული მაზარის მეტი. არც ერთს არაფერი გვებადა. სადაც ფეხს შევდგამდით — ყველგან საბჭოთა წყობილებას ვამყარებდით. ცოტანი ვიყავით, ვაზნებსაც ბევრჯერ უმტყუნია, დონბასის რესპუბლიკაც ახლადფეხადგმულ ბავშვს ჰგავდა.

მძიმე წლები გადავიტანეთ, ახლა მსიამოვნებს საუცხოო ფოლადის დნობა და ჩვენი მებრძოლების გახსენება, მაშინ კი პირის დასაბანი დროც არა გვქონდა. მე და ადამენკომ გადავწყვიტეთ, რომ დონბასის დაბლობის ერთ სოფელში ერთიანად ამოგვეჟუჟა ჰეტმანის სახელმწიფოს საყარაულო ასეული, თეთრგვარდიელთა სახელმწიფოს ჰეტმანთან ჩვენი გამოუტირებელი მწუხარების გამო ანგარიში გაგვესწორებინა, თეთრი ტერორისთვის საკადრისი პასუხი გაგვეცა და ასე შემდეგ.

დადგა ჟამი და მისი უგანათლებულესობა ჰეტმან სკოროპადსკის სახელობის ჰაიდამაკური პოლკის ასეულს დრო ვუხელთეთ. დიდხანს კვადაკვალ ვდიეთ, ჩვენს ფეხქვეშ ბალახიც კი არ აშრიალებულა, ცოტანი ვიყავით, პირისპირ შებმა ან ჩასაფრება არ ივარგებდა, დღე გზას ვადექით, ღამით ვარსკვლავებს შევცქეროდით და სიძულვილი გვახრჩობდა. ადამენკო მარჯვე შემთხვევას უცდიდა, რადგან ბრძოლის დასაწყებად ყველა წუთი არ გამოდგება.

განა ივარგებს ნებისმიერ დროს მარტენიდან ფოლადის გამოშვება, ციცხვიც თავის ადგილზე უნდა იდგეს, ყალიბებიც მზად უნდა გქონდეს, და, რაც მთავარია, დნობა დამთავრებული უნდა იყოს. ბრძოლაში ხალხის ჩაბმა — ძალზე პა-

სუხსაგები საქმეა. ხშირად, საბრძოლო განკარგულება რომ გამიცია, უცებ მიგრძვნია, როგორ წამკიდებია ცეცხლი და თავში ათასნაირი აზრი დამტრიალებია.

საწადელი ერთ მოლდავურ სოფელში ავისრულეთ, იქ სკოლის დიდი შენობა იდგა, ჰეტმანელებიც ღამის გასათევად გაჩერდნენ, ჩვენც ეს გვინდოდა. ღამით ვუჩვენეთ სეირი, ცოცხალი არავინ გაგვიშვია. ჯერ გუშაგები მოვხსენით, კარი გარედან დავჯორგეთ და ფანჯრებში შევყარეთ ჩალის ანთებული კონები. რაც შენობაში ხდებოდა, ეზოდან ვხედავდით და ჰეტმანელებს, როგორც კი იატაკიდან წამოცვივდებოდნენ, შაშხანებით პირჯვარს ვწერდით. აბა იატაკზე რა გაგაჩერებს, როცა თავზე ჩალის ანთებული კონები გაცვივა, არადა, ერთი რამდენიმე ხელყუმბარა რომ გვქონოდა, საქმე აღარ გაგვიჯანჯლდებოდა.

ასეთი იყო ადამენკოს ჩაფიქრებული მეორე ბრძოლა, უბრალო შეტაკებებს კი რა მოთვლის, ხოლო მესამე ბრძოლა მისთვის უკანასკნელიც გამოდგა, მაგრამ სანამ ის დღე გათენდებოდა, მთელი წელიწადი გავიდა. ამ დროს გერმანიაში რევოლუცია დაიწყო, ჩვენც გონს მოვეგეთ. მთელ ევროპაში რევოლუციური ქარტეხილები მძვინვარებდა, ადამენკო რაზმის მეთაურად დავტოვე, რაზმი წითელი არმიის შემადგენლობაში ჩაირიცხა, თავად კი იატაკქვეშეთში მომუშავე ამხანაგებმა მშვენიერ ქალაქ ოდესას მიმიწვიეს — უცხოელ დამპყრობლებთან და იმპერიალიზმის ზვიგენებთან საბრძოლველად.

ათას ცხრაას ცხრამეტი წელი იდგა, ნავსადგური სამხედრო ხომალდებს გადაეჭედა, ოდესა ზონებად დაეყოთ, ერთი ზონა უცხოეთისა გახლდათ, მეორე გრიშინ-ალმაზოვის თეთრგვარდიელებისა, სხვა პეტლურას ნაწილებს ეკუთვნოდა, პოლონური ლეგიონები ფრანგებს ბაძავდნენ. თეთრგვარდიელ ოფიცერთა ნაწილები პეტლურელებს ებრძოდნენ, ყოველ ზონას თავისი კონტრდაზვერვა ჰყავდა, ყველა ჯურის კონტრდაზვერვას კი ძილშიც ჩვენ ველანდებოდით. რევოლუციური და დაძაბული ცხოვრება გვქონდა. სიკვდილს თვალებში შევცქეროდით. გულიდან გადამივარდა, რომ ქალაქში კიდევ მიშკა იაპონჩიკის ბანდიტების არმია დათარეშობდა — რამდენიმე ათეული ათასი შეიარაღებული სალახანა. ხელს აძლევდათ და თავს რევოლუციონერებად ასაღებდნენ, ოდესის ქუჩებში თავაშვებულნი დაძრწოდნენ, პასუხს კი ჩვენ, ბოლშევიკებს გვთხოვდნენ და, რაც ქალაქში ხდებოდა, ყველაფერს გვაბრალებდნენ.

ჩვენს ძებნაში კონტრდაზვერვებს თავგზა აებნათ, ამ ჯახირში და დავიდარაბაში მიდიოდა ჩვენი პარტიული ცხოვრება მაშინდელ ოდესაში, მაგრამ საქმე არ მიგვიტოვებია, ჩამოვაყალიბეთ უცხოეთის კოლეგია, ერთ მეთევზესთან სტამბაც გავმართეთ, მეთევზის ვაჟი ივან პოლოვეცი ჩემი ამხანაგი იყო. საფრანგეთის სამხედრო გემებზეც შევაღწიეთ, კრეისერზე ამტყდარი ამბოხების ამბავს გაზეთებიდან შეიტყობდით, ერთი სიტყვით, საქმის ერთი ნაწილი გავაკეთეთ, მაგრამ ეს რა სატრაბახოა, ან რა თქვენი მოსასმენია. ბევრი იატაკქვეშელი ამხანაგი დაგვეღუპა, მე ბედმა გამიღიმა, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ მტერს საგანგებოდ თუ არ ვემალებოდი, ახირებულივით არც თვალში ვეჩხირებოდი. იატაკქვეშეთში მუშაობისას მთავარი დისციპლინა და გამძლეობა გახლავთ, იქ შენი სიცოცხლე მარტო შენ არ გეკუთვნის, ზუსტად იმდენი რისკის უფლება გაქვს, რამდენის ნებასაც კომიტეტი დაგრთავს.

ცოცხალი გადავრჩი და ისევ ჩემს რაზმს დავუბრუნდი, რადგან თვალსაწიერი ანაზდად ჩამუქდა და ჩვენს საბჭოთა მხარეს შავი ღრუბლები მოეჯარა, —

უფრო მარტივად რომ ითქვას — დენიკინის არმიები მოსკოვისკენ დაიძრა. წითელი არმიის ჩვენმა რაზმებმა ჩრდილოეთს მიაშურა, ბურჟუაზიის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, კინაღამ არ დაამტვრიეს ზარები — პარაკლისებს იხდიდნენ, ხელსაყრელი დრო დაუდგათ. ვიცოდით, არ დაგვინდობდნენ, გენერლები მთელ რუსეთს საპყრობილედ გადააქცევდნენ.

ფრონტზე მოვძებნე ჩემი ადამენკო, საოცარ პოლკს მეთაურობდა, მთელ პოლკში ორ ერთნაირად ჩაცმულ კაცს ვერ იპოვიდით. ჩვენი შეხვედრა ნაღვლიანი იყო, დიდხანს ვიფიქრეთ, როგორ გვემოქმედა, შემდეგ კი, სადაც საჭირო იყო, იქ ვიკითხეთ რჩევა, პოლკში ავიყვანეთ გამოსადეგი დონბასელი ხალხი და დენიკინელების ზურგისაკენ გავწიეთ, ჩვენს ძვირფას და კვამლიან დონბასს მივაშურეთ, მის ხეობებსა და ტრამალებს, სად აღარ ვიყავით!

ვინ იცის, რამდენი ქვანახშირი დავაკელით დენიკინის ორთქლმავლებს, ქარხნებს მანქანებისა და იარაღის შეკეთება არ დავანებეთ. მთელი დონბასი იყო ჩვენი მოქმედების ასპარეზი — თვითეული სოფელი გვარჩენდა, თვითეული ქარხანა გვიფარავდა, თვითეული მაღარო გვიცნობდა. გვათბობდა დონბასის მზე, არაერთი ბრძოლა გადავიტანეთ, რანაირ ხაფანგებს აღარ გვიგებდნენ, ყოველ ნაბიჯზე გვისაფრთებოდნენ, ბოლოს იძულებული შეიქნენ, ფრონტიდან დროზდოველ ოფიცერთა პოლკი გამოეხმოთ. აი, სწორედ მაშინ მოხდა ადამენკოს ჩაფიქრებული მესამე ბრძოლა.

ბევრია ისეთი ყმაწვილი, მაჭარივით სისხლი რომ უდუღს და ჩვენს სამოქალაქო ომზე წერა სწადია, სწორედ ეს ყმაწვილები გახლავთ, კალმებითა და ფანქრებით რომ აგვირისტებენ: აგერ, შიშველ-ტიტველნი მტრის შეიარაღებულ არმიებს მივერეკებით, ოფიცერთა პოლკები იარაღს ყრის და ბოდიშს გვიხდის მხოლოდ იმიტომ, რომ ასე ეპრიანება ზოგიერთ ცხვირმოუხოცელ მწერლუკას. ჩვენ კი, ვისაც ეს ჭირ-ვარამი გამოგვივლია, გული გვტკივა, ენაზე საგინებელი სიტყვა გვადგება, გვწყინს, აბა ასეთი მტრის დამარცხება რა ღირსების საქმეა, ბედნიერება ციდან ხომ არ ჩამოგვვარდნია, ჩვენ იგი ძნელად, დიდი გაჭირვებით მოვიპოვეთ, ოფიცერთა პოლკებიც თავგანწირვით გვებრძოდნენ, და მით უმეტესი პატივი და დიდება ჩვენს მეომრებს, რომ ასეთ შეუპოვარ მტერს ტოლს არ უდებდნენ, რომ ასეთი ძლიერი მტერი დაამარცხეს.

დროზდოველ ოფიცერთა პოლკი საბრძოლველად მზად იყო, ოცეულებს პოლკოვნიკები მეთაურობდნენ, კაპიტნები და პორუჩიკები რიგითი ჯარისკაცებივით იბრძოდნენ, ხოლო პოლკს სათავეში ედგა დონელი მედროშე, ერთი წლის შემდეგ იგი გენერალი გახდა. რახან ჩვენს წინააღმდეგ ეს პოლკი გამოგზავნეს, ეტყობა, კარგა გვარიანად გავაბრაზეთ. თუმცა გვეშინოდა ასეთი ძლიერი მტრის, მაგრამ ის კი გვსიამოვნებდა, რომ მტერმა ჩვენი ძალა აღიარა, ჩვენს წინააღმდეგ საუკეთესო ნაწილი გამოიყვანა.

მე და ადამენკო ორი ღამე მარილის მაღაროში ვისხედით, ვთათბირობდით, ვკამათობდით და ვანგარიშობდით. ადამენკო მახვილი გონების კაცი იყო, ბრძოლის გეგმა მთლიანად მან მოიფიქრა, მე მხოლოდ შესწორებები შემქონდა და პრაქტიკულ რელსებზე გადამყავდა. ამასობაში დროზდოველთა პოლკი ნიადაგის მოსინჯვას ცდილობდა, მათთან დაიარებოდნენ იქაური არამზადები, ყოველის მხრიდან ცნობებს აწვდიდნენ, დროზდოველებს ჩვენიანებიც მივუგზავნეთ, ვითომ გვაბეზღებდნენ, სინამდვილეში კი გზა-კვალს ურევდნენ.

იმათ შტაბში დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული, ერთი პირობა, მუშებთან ლაქუციც სცადეს, ეს ის ოფიცრები როდი იყვნენ, ზურგში რომ ლოთობდნენ, ქორვაჭრობდნენ და საკუთარ ფრონტს ზიანს აყენებდნენ. ეს პოლკი ანარქიზმის ფანატიკოსთაგან, კაპიტალიზმისა და ერთიანი რუსეთის გააფთრებულ დამცველთაგან შემდგარი მეომარი პოლკი გახლდათ. ქეიფობდნენ ჩუმად, ისე რომ მოსახლეობას არაფერი დაენახა და შეეტყო, მალულად და უხმაუროდ გვიკლავდნენ ამხანაგებს, თავს მამა აბრამის ბატკნებად ასაღებდნენ, თუმცა მგლები იყვნენ და საკუთარ ბნელ კლასს კარგადაც ემსახურებოდნენ. ამ დროზდოველ ოფიცერთა პოლკთან პირისპირ მოგვიხდა შებმა და გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ დიდად პასუხსაგები საქმე გვხვდა წილად.

კარგად იცნობთ დონბასის ტრამალებსა და ტრამალის ხრამებს, ალაგ-ალაგ მდინარე ლერწმითა და ისლით გაჟალტამებულ დაბალ ნაპირებში მიედინებოდა, აქეთ — მეტალურგიის გოლიათებია, ბოლავენ ბრძმედები და საკოკსავი ღუმელები, მაღაროებთან ტერიკონები აღმართულა, თითქოს მიწისქვეშ ადამიანთა განუზომელი შრომის სადიდებლად ძეგლები დაუდგამთო. ჰოდა, ამ სიმჭიდროვეში უნდა გვეპოვა შესაფერი ველი, სადაც მდინარეც მიედინებოდა და იქაურობაც ლერწმითა და სხვა მაღალი ბალახებით იქნებოდა მოშამბული. სწორედ ასეთ ადგილას ათასგვარი ფანდით უნდა შემოგვეტყუა დენიკინელები და იქ იმას გადაჰყროდნენ, რაც მოვუმზადეთ.

ეს უმაღლესი პარტიზანული ოსტატობა გახლდათ, რეგულარული ნაწილი ამ საქმეს ალბათ თავს ვერ გაართმევს. ჩვენი რაზმი ორ ნაწილად გავყავით, წინასწარ დათქმულ ადგილებისაკენ გავსწიეთ და ხმაური ავტეხეთ. დროზდოველებიც ორად გაიყვნენ და დაიწყო კიდეც პარტიზანული ტაქტიკით ჩაფიქრებული სამდღიანი ბრძოლა. მართალს ამბობს მეცნიერება, რომ ადვილია გეგმის მოხაზვა, მისი განხორციელება არისო ძნელი. იმასაც გვეუბნება, რომ ყელამდე მომდგარი ყინულივით ცივი მდინარის ქვაღორღიანი კალაპოტის გადალახვა ოდნავ თუ მოგაგონებთ იმ სიძნელეებს, გეგმის განხორციელებისას მეთაურის წინაშე რომ დგასო.

მე და ადამენკო ჩვენ-ჩვენს რაზმებს ვახლდით, დათქმული გვქონდა შეხვედრის დრო და ადგილი. სამი დღე ბრძოლით ვიხევდით უკან, თან თვალი გვეჭირა, ჩვენთვის საჭირო მიმართულებით დაგვეხია და არა იქით, საითაც მტერი გვაიძულებდა. ჩვენი გეგმა კარგა თავხედური იყო და სხვა შემთხვევაში განხორციელება არ ეწერა.

მე და ადამენკო ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით ერთმანეთს, დროზდოველები ორივეს ცალ-ცალკე მოგვდევდნენ, რაზმებში კი ხალხი თანდათან გვაკლდებოდა. მებრძოლებს განზრახ ვითხოვდით — ამის მიზეზს მერე შეიტყობთ. ჩქარა ზღაპრის მოყოლა შეიძლება, თორემ საქმე უცებ ვის გაუკეთებია. და აი, ერთ მშვენიერ საღამოს შევხვდით მე და ადამენკო და ჩვენი რაზმების თითზე ჩამოსათვლელი მეომრები. მართალია, ეს არ იყო შესახვედრად დათქმული ადგილი, მაგრამ ჩვენი ჩანაფიქრის განსახორციელებლად მაინც ივარგებდა. იქ ველიც იყო, მდინარეც, ლერწმიანიც. ალბათ უკვე მიხვდით, რომ დროზდოველები ორი მხრიდან გვიტევდნენ, ჩვენ კი სულ ერთი მუჭანი ვიყავით. რამდენიმე მოხალისე, ნაღდი სიკვდილი რომ ელოდათ, იქ დავტოვეთ, თავად ლერწმიანს შევერიეთ და მდევრებს დროულად დავუსხლტით, ორ კილომეტრში ჩვენი ბიჭები და უახლო-

ესი მაღაროებიდან დასახმარებლად გამოსული ხალხი ვიპოვეთ, დავსხედით და დავიწყეთ ლოდინი, რა მოხდებოდა.

დროზდოველთა ნაწილები ერთმანეთს უტევდნენ, თვითეულს კი ეგონა, ვითომ ჩვენს დიდ რაზმს გადააწყდა, ჩემი მეტყვიამფრქვევები — ერთდროულად ორივე ნაწილს ესროდნენ. ბინდდებოდა, დიდი ოროომტრიალი ატყდა, დროზდოველები კარგი მსროლელები იყვნენ, იცოცხლეთ, გაჟუჟეს ერთმანეთი. საღამოხანი იდგა, მზე მტვრის ფარდის მიღმა ჩაესვენა. სანამ დროზდოველები მიხვდნენ, რომ ერთმანეთს ებრძოდნენ, ჩვენ ფლანგიდან მივადექით და იმათ მწუხარებას მივეხმარეთ. მალე დაღამდა კიდეც და ადამენკოს ჩაფიქრებული მესამე ბრძოლაც დამთავრდა. თავად ადამენკოს ტყვია პირში მოხვდა, ენა გაუგლიჯა და კეფაში გავიდა. ადამენკო საავადმყოფოში ნაცნობ ექიმს მივუყვანე, თავად კი საავადმყოფოს გარს ვუვლიდი და გათენებას ველოდი, თან ხეებს მათრახით ფოთლებს ვაყრევინებდი.

დილით ადამენკოსთან შევიპარე, მარტოკა იყო ფერშლის ოთახში, ბოლთას მოუსვენრად სცემდა, იგი მომავალ დღეთა დევკაცად იყო დაბადებული. თავზე იმდენი ბანდი შემოეხვიათ, რომ მარტო ცხვირი და თვალები მოუჩანდა. კანკალმა ამიტანა — ისეთი ჩაწითლებული და შემზარავი თვალები ჰქონდა. საწოლზე იდო მისი საბრალო საცოლის პერანგი და ქვედაკაბა, იქვე ელაგა მარჯნის მძივები და ყელსაბამები. დამინახა და თითქოს თავისი გაგლეჯილი ენით რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხელი ჩაიქნია, რალაც ცრემლის მაგვარი აუკიაფდა თვალში. „ეგ არაფერი, კიდევ გაძლები ლაპარაკით, — ვუთხარი მე, — ხბოს ენას მოგაკერებთ“. — თქმით კი ვუთხარი, მაგრამ თავად თითქოს გულში დანა გამიყარესო, ძალიან ხუმრობა კი გამომივიდა.

ადამენკო კედელთან მივიდა და თითით საშინელი სიტყვების გამოყვანას მოჰყვა გარდუვალ სიკვდილზე — იმ ძუკნაზე, საწოლში დახრჩობას რომ უპირებდა, მაგრამ ლოგინში აღარ დაწვება, დე, ფეხზე მდგარს მოუხტეს. და კიდევ ათასგვარ ლანძღვა-გინებას უგზავნიდა სიკვდილს. პასუხად კედელზე მეც თითით დავუწერე და ხმამაღლა გავუმეორე ის სიტყვები. მაშინ რაც ვილაპარაკეთ — ახლა იმის გახსენება აღარა ღირს, მერე ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, მე ექიმთან სასაუბროდ გამოვედი, ხოლო უკან რომ ვბრუნდებოდი, ჩემი ნაგანის ხმა მომესმა. ადამენკო შუა ოთახში იდგა, მკერდიდან შადრევანივით მოსჩქეფდა სისხლი, თვალებში სიცარიელე ჩასდგომოდა, წამიც და იატაკზე დაენარცხა.

ახლა კი მიტინგი უჩემოდ განაგრძეთ, ფრიდრიჰ ივანოვიჩმა უკვე ერთიორჯერ შემოიხედა, მოვდივარ, ფრიდრიჰ ივანოვიჩ, მოვდივარ, და ეს იყოს პირველი და უკანასკნელი, რომ სამსახურში სიტყვა წარმოვთქვი. ხუთი წელია არსებობს ჩვენი სახელმწიფო, მოდით და ვადნოთ ყველა ხარისხის ფოლადი, გვიყვარდეს ჩვენი ლენინი, გაუმარჯოს სოციალიზმის გზაზე შეუპოვარ და განუხრელ სვლას, დიდება ჩვენს დონბასს და სამარადისო ხსოვნა დაღუპულ მეომრებს!

1932 — 1935
ხარკოვი

□

ზაურ დეისაძე

მაღალი ცა

მიცუკო ტაკახასი

ჟამი კეკლოვისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა **თამაზ ჩიქვანაიამ**

ბატონი ნაკამურას ცოლი უეცრად პეპელად გადაიქცა. ბოროტი ენები ამბობენ, უბრალოდ მიატოვა ქმარი და გაიქცაო. მაგრამ ბატონი ნაკამურა ამტკიცებს, გინდა თუ არა პეპელად გადაიქცაო, და მე მჯერა მისი.

დილა ბინდზე, გაიღვიძა თუ არა, ნაკამურამ შეამჩნია, რომ მის გვერდით საწოლი ცარიელი იყო; მხოლოდ ქალის ღამის პერანგი ეგდო ზედ. შეშფოთებულმა ცოლს მოუხმო და აი, მაშინ საშზარეულოდან პეპელა გამოფრინდა, მკერდზე დაასკუპდა და კეკლუცად ააფარფატა ფრთები. სწორედ ეს პეპელა იყო მისი ცოლი. ნაკამურა საოცრად დაიბნა, ხელად სახლმმართველთან გაიქცა და სთხოვა, ექიმი გამომიძახეთო. მაგრამ ისე გაუგებრად და ბორძიკ-ბორძიკით ლაპარაკობდა, რომ სახლმმართველმა ვერაფერი გაიგო და კლინიკის მაგიერ პოლიციაში დარეკა. რამდენიმე წუთში სახლის ფანჯრებთან პოლიციის მოტოციკლები აგრიალდნენ, მთელ შენობაში საშინელი აურზაური ატყდა. ბატონი მაძებრები ჩვენს ბინაშიც შემოვიდნენ. მე მოვუყევი ყველაფერი, რაც კი ვიცოდი. გუშინ საღამოს ქალბატონი ნაკამურა კიბეზე შემხვდა. არა, არაფერი უცნაური არ შემიმჩნევია. ჩვენ, მართალია, არ გვილაპარაკია, მაგრამ, მგონი, ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. საით მიდიოდა? ალბათ საყიდლებზე — ხელში ჩანთა ეჭირა. თორმეტი საათი ახალი დაწყებული იყო, როცა ბატონი ნაკამურა შინ ცოტა შექეიფიანებული დაბრუნდა — იგი ყოველთვის გვიან მოდის, მუდამ მხიარულ გუნებაზეა, დიდხანს ყურყუტებს საკუთარ კართან, არასოდეს არ აღებს კარს თავისი გასაღებით, მანამ რეკავს, ვინემ ცოლი არ გაუღებს: მეზობლებს ეს, რა თქმა უნდა, მაინცდამაინც არ სიამოვნებთ. თუ არ ვცდები, ქალბატონმა ნაკამურამ რაღაც უთხრა ქმარს. მერე რა მოხდა, ეს აღარ ვიცი.

მგონი, პოლიციელებს ეჭვი შეეპარათ, ცოლ-ქმარს ჩხუბი ხომ არ მოსვლია და ბატონ ნაკამურას ცოლი ხომ არ შემოაკვდაო. რა სისულელეა! იგი საოცრად თვინიერი ქალი იყო და არასოდეს წაჩხუბებია ქმარს. ბოლოს და ბოლოს კანონის წარმომადგენლებმა დაასკვნეს, აუტანელმა სიცხემ ბატონ ნაკამურას გონება დაუბინდა და იმიტომაც ამტკიცებს, ჩემი ცოლი პეპელად გადაიქცაო. სიცილ-სიცილით მიდიოდნენ, მაგრამ მე სულაც არ მეცინებოდა, რადგან თავიდანვე დავუჯერე ბატონ ნაკამურას. კაცმა რომ თქვას, რატომ არ შეიძლება მისი ცოლი პეპელად ქცეულიყო? რა არის აქ შეუძლებელი?.. უმალ ყვითელი პეპელა წარმოვიდგინე; რა თქმა უნდა, მართალი ვარ — ქალბატონ ნაკამურას ძალიან უყვარდა ყვითელი ფერი და შვენოდა კიდეც. ყველაფერი ყვითელი ჰქონდა — კაბები, კოფთები... ალბათ მოუნდა თავისუფლად გაენავარდა, სუფთა ჰაერი ესუნთქა, გასცლოდა საზიზღარ ვეებერთელა საცხოვრებელ სახლებს, მკვიდრად ნაგებ თეთრ კედლებს, სევდას რომ ჰგვრის ადამიანს. თვითეული ბინა — გამოკეტილი ყრუ გალიაა, ადამიანს მის მსგავსთა საზოგადოებისაგან რომ მიჯნავს და უღიმღამო მარტოობისაკენ უბიძგებს. საღამოობით, როცა შუქი ანთია და შინაურებიც შინ არიან, კიდევ შეიძლება გაძლოს კაცმა, მაგრამ დღისით, საკუთარ საცოდავ აზრებთან მარტო დარჩენილი, შეიძლება გაგიჟდე.

პოლიციელებს ბოლოს და ბოლოს იმედი გადაუწყდათ, რაიმეს გამოვარკვევთო, და თავის გზას დაადგნენ. დრო ვიხელთე და ბატონ ნაკამურასთან შევედი, ნეტავ რა ხდება-მეთქი მათთან,— ჩვენ საკმაოდ კარგი მეზობლობა გვქონდა.

ფრთხილად შევაღე კარი, რომ არ გაეჭრიალა. შევედი და ბატონ ნაკამურას ხმა გავიგონე:

— როგორც იქნა, მარტონი დავრჩით! ახლა ნულარაფრის გეშინია...

შევკრთი. ნაკამურა მარტოდმარტო იდგა შუაგულ სამზარეულოში და მაგიდაზე დახრილიყო. უცნაურად იდგა, ხმაც მეუცხოვა — რაღაც საზეიმო და გულში ჩამწვდომი. გეგონებოდა, მსახიობია და რაღაც მონოლოგს იზეპირებსო. რა დაემართა?.. მაგრამ სულ მალე ყველაფერს მივხვდი. ნაკამურას წინ მაგიდაზე ყვითელი პეპელა იჯდა. ოჰ, რა ლამაზი იყო, რა ნებიერი! ხან დაკეცავდა, ხანაც გაშლიდა მოცახცახე ფრთებს, თითქოს კეკლუცობსო. ნაკამურა ისე იყო გართული თავის ცოლთან საუბრით, მგონი, ვერც შეამჩნია.

— რაო, რაო? გევედრები, მითხარი! ჩემი ხომ არა გრცხვენია?..

სულაც არ მინდოდა სხვისი საუბრის მოსმენა, მაგრამ იმდენად გაოცებული ვიყავი, ხმის ამოღება ვერ მოვახერხე და ასე დაბნეული ვიდექი.

— ჰო, ჰო, ძვირფასო, მივხვდი, მივხვდი...

გახარებულმა ნაკამურამ თავი დაიქნია, ხელები გაიწოდა და პეპელა ზედ დაისვა, მერე ხელისგულები პირისახესთან ახლოს მიიტანა და ალერსით დაიჩურჩულა:

— ჩემო ძვირფასო... ჩემო საყვარელო... მშვენიერო... — ისმოდა კაცის ბოხი ხმა, მღელვარებისაგან ოდნავი ხრინწი რომ გარეოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები, ოხვრა და ჩურჩული, ჩურჩული... თითქოს სხვა სამყაროში მოვ-

ხვდი. უეცრად ნაკამურამ რაღაც უცნაური შმაგი მოძრაობით პირისახე ხელებში ჩარგო.

თავდაპირველად ვერ გავიგე, რა მოხდა, და დაბნეული ვუყურებდი, მაგრამ რომ მივხვდი, სირცხვილისაგან აფორაჯებული უკანმოუხედავად გამოვვარდი ოთახიდან.

შინ დიდხანს ვერ დავწყნარდი, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ხშირი სუნთქვა... ძლივს შეკავებული ვნება... პირისახეზე რაღაც უჩვეულო გამომეტყველება, თეთრი გართხმული სხეული, ყვითელი ფრთების თრთოლვა, გარინდება, თავდავიწყების წუთებში რომ სჩვევიათ ხოლმე... დიახ, ეს მხოლოდ ხელისგულზე დასკუპებული პატარა პეპელა იყო, სულ ერთი წამით რომ მოვკარი თვალი; მაგრამ მე დავინახე ქალი, მამაკაცის ალერსს მინდობილი, დავინახე ეს ყველაფერი თითქოსდა მიკროსკოპში და ამ სანახაობამ შემაძრწუნა. თან თითქმის ბედნიერიც ვიყავი. ასე მეგონა, ეს ყველაფერი საგანგებოდ ჩემთვის მოხდა. მე ხომ ამას წინათ მთხოვეს, რომ ტელევიზიისათვის დამეწერა რაიმე, სადაც კოოპერატიულ სახლში მცხოვრები დიასახლისის ამბავი იქნებოდა მოთხრობილი. დიდხანს ვიმტვრევდი თავს, ვერა და ვერ გადამეწყვიტა, საიდან დამეწყო. ახლა კი თემა თვითონ ჩამივარდა ხელში. პიესის სათაურიც უმალ მომაფიქრდა. რა თქმა უნდა, „ჟამი პეპლებისა“! მაშინვე დავურეკე რედაქტორს და ვუთხარი, სათაური უკვე მოფიქრებული მაქვს-მეთქი.

— ... როგორ, როგორ?.. პეპლები?.. ეს... ეს... რომ დაფრინავენ, ისინი?.. ჰმ.... კი მაგრამ რა უნდა დაწეროთ ამაზე?

— ეგ ნუ გაღელვებთ, გარწმუნებთ, მშვენიერი პიესა გამოვა! — თავდაჯერებით ვუთხარი და ყურმილი დავკიდე.

აქამდე კრიტიკოსები ალმაცერად უყურებდნენ ჩემს ნაწარმოებებს: „ზედმეტად სქემატურია“, „გრძნობათა ხლართი ბოლომდე არ არის გახსნილი“, „არ ჩანს ადამიანის ყოფა“ და ა. შ. მაგრამ ახლა დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი კარგად გამოვიდოდა. მე ხომ თავად ცხოვრება მთავაზობდა ნამდვილ ამბავს და არავითარი წვრილმანის მოგონება აღარ დამჭირდებოდა. „ჟამი პეპლებისა“... ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემს გულში ვატარებდი ამ თემას, და აი, ახლა საკმარისი გახდა ერთი პატარა ბიძგი, რომ სიტყვები მეძალებიან, ქაღალდზე გადაგვიტანეო, მთხოვენ.

ქმრის ლოდინში გული გადამელია,— დილაობით იგი სასეირნოდ დადის ხოლმე. მოვიდა თუ არა, ყველაფერი მოვუყევი, უფრო სწორად, ეს შემთხვევა თავიდან ბოლომდე ავუწერე, ოღონდ ეგ არის, სიტყვა არ დამცდენია იმ თავდავიწყების წუთებზე, რისი მოწმეც ჩემდაუნებურად შევიქენი, სამზარეულოში მომხდარი ამბის მოყოლისა შემრცხვა კიდეც. ეტყობა, ჩემმა ქმარმა იფიქრა, რომ ყველაფერი ეს ჩემი მოგონილი იყო.

— ვერ დავიჯერებ... როგორ შეიძლება, ადამიანი პეპელად იქცეს?

აბა რა გინდა, რომ ქნა! მეზობლებზე ფიქრით დიდად არ იწუხებს თავს. მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი ჭორები არ არის: მავანმა და მავანმა ახალი კაბა იყიდა, მავანი და მავანი კი ქუჩაში ვიღაც ახალგაზრდა ბიჭთან ნახესო... ეს ხომ ბევრად უფრო საგულისხმო ამბავი იყო. ბოლოს, როგორც იქნა, დაიჯე-

რა, რომ ეს ჩემი მოგონილი ჭორი არ იყო და არ ვხუმრობდი. ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე შემეკითხა:

— კი მაგრამ რატომ მოეპრიანა პეპელად გადაქცევა?

როგორ თუ რატომ? ნუთუ ჩემი ქმარი მართლა ვერ მიხვდა? მართალია, ხეირიანად ვერც მე ამიხსნია, ოღონდაც ვგრძნობ კია, რომ ქალბატონი ნაკამურა სწორად მოიქცა. ამ შემთხვევაში იმის კითხვა რატომო — იგივეა, კაცი თავს იკლავდეს და შეეკითხო, რატომ იკლავო თავს. როცა კაცი თავს იკლავს, ამის უამრავი მიზეზი აქვს, მაგრამ ცალ-ცალკე არც ერთი მიზეზი არ არის საიმისო, რომ სიცოცხლეს გამოეთხოვო. სხვები ხომ ცხოვრობენ უფრო უარეს პირობებშიც? მთავარი აქ რწმენაა — კაცი თავს როცა იკლავს, გრძნობს, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეუძლია და საკუთარი ნებით ეთხოვება სიცოცხლეს. ცხოვრებიდან წასვლა, რა თქმა უნდა, გამოსავალია, მაგრამ განა უფრო ადვილი არაა პეპელად გადაიქცე? მაშინ მთლიანად კი არ ქრები, არამედ სხვა სახით აგრძელებ ცხოვრებას, ხოლო სიკვდილი — ყველაფრის დასასრულია.

მახსოვს, ერთხელ გაზეთებში წერდნენ, ერთმა ქალმა ჯერ თავისი ბავშვები მოკლა და მერე თავიც მოიკლა. ბარათი დაუტოვებია: „მომბეზრდა შინ მარტო ჯდომა, ჩემი მეუღლე ბევრს მუშაობს და გვიან ბრუნდება. საოცრად მშურს იმ ოჯახებისა, სადაც ვახშამზე ყველანი ერთად იყრიან თავს — მამა, დედა და შვილები...“ აი, ამ ქალისა არ მესმის, ქალბატონ ნაკამურას საქციელი კი მესმის. ერთ ფრანგულ წიგნში ამოვიკითხე, ბოვაზარი ერქვა, მგონი, მწერალს: „დიასახლისი აბრეშუმის ჭიასა ჰგავს. თავის პარკში რომ შეყუჟულა. ქალს, დღემუდამ საჭმლის კეთებას, რეცხვასა და დალაგებას რომ არის გადაყოლილი, ოცნებად აქვს გადაქცეული, როგორმე თავი დააღწიოს ტყვეობას და ერთი თავისუფლად შეიფრთხიალოს თითქო მორთულ-მოკაზმული პეპელა იყოს“.

პეპელად გადაქცევა... ალბათ რა მშვენიერია! ერთხელ გაიღვიძებ დილით და დაინახავ, რომ ირგვლივ ყველაფერი შეცვლილია. უხვად იღვრება მზის შუქი და ქვეყნიერება, ასე უხალისო და უფერული რომ იყო გუშინ, ახლა ცისარტყელას ფერებით ციაგებს. ხეები და ველ-მინდვრები მწვანედ ხასხასებენ, გრილი სიო გესალბუნება ამოდ. შენს წინ კი თვალშეუდგამი სივრცეებია. ტყეები, მთები, მდინარეები — ყველაფერი შენ გეკუთვნის. და შენი სხეული, ასე მძიმე და ტლანქი რომ იყო, საოცრად მსუბუქი და ჰაეროვანია. დაფარფატებ, ლივლივებ ჰაერში ნაირფერი, საოცრად ლამაზი ფრთებით და გრძნობ, რომ ბოლოს და ბოლოს მართლა ცხოვრობ ამქვეყნად. პეპელა სულ მაღლა, ლაჟვარდოვანი ცისკენ მიიწევს და თანდათან ძლივს შესამჩნევ ნაპერწკალს ემგვანება. ეს სიცოცხლე გიზგიზებს აღტაცებისაგან.

ერთი ბავშობისდროინდელი ამბავი შემომრჩა მეხსიერებაში. ერთხელ მზის ჩასვლის წინ პეპლებს დავდევდი მინდორში, ერთნაირად რომ გადაეყვითლებინა ყვავილებს. ყვითელი პეპლები ყვითელი ყვავილების ზღვაში იკარგებოდნენ. კარგად უნდა დაკვირვებოდი, მათი მოფარფატე ფრთები რომ შეგემჩნია. მერე მზე დაეშვა თვალსაწიერზე, ოქროსფრად გაიელვეს ყვავილებმა და მაშინ დავინახე, რამდენი პეპელა ყოფილა ირგვლივ. თვალები ამერია, ყველაფერი ამოძრავდა, ყვავილები თითქოს მოსწყდნენო ბალახს და ჰაერში აფარფატდნენ. ყვავილები და პეპლები, პეპლები და ყვავილები.

თავბრუ დამეხვა, მიწაზე დავეშვი და ვიგრძენი, როგორ ამიჩქეფდა სისხლი ძარღვებში და გაუგონარი სისწრაფით სადღაც ზევით გაქანდა, ჩემმა სხეულმა წონა დაკარგა და ჰაერში ნავარდმა ენით უთქმელი აღტაცება განმაცდევინა. რა იყო ეს, არ ვიცი, მაგრამ ახლაც კი, ამ ამბავს რომ ვიგონებ, თავით ფეხამდე, ელვასავით დამივლის ხოლმე მწვავე, მაგრამ სასიამოვნო ტკივილის გრძნობა.

ჩავფიქრდი. კარზე დააკაკუნეს. ჩვენი მეზობელი, ნაკამურა იყო. მთხოვა, თუ შეიძლება თქვენგან ტელეფონით დავრეკავო.

— არ მინდა სახლმმართველის ტელეფონით ვისარგებლო, მეშინია, ისევ არ აურიოს რამე...

— კი ბატონო, მობრძანდით!— გულთბილად შემოვიპატიჟე ოთახში.

მეზობელი ალბათ უახლოეს სასადილოში დარეკავს, საუზმე რომ დროზე მოუტანონ. ეტყობა, მოშივდა საცოდავს, აქამდე არა უჭამია რა ამ უცნაური შემთხვევის გამო. არა უშავს, ჩვენი სასადილო შესაშური კეთილსინდისიერებით მუშაობს. ისე კი, რა უზრუნველიც არ უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, ადამიანს მაინც გაგიჩნდება თავსატეხი, თუ შენი ცოლი პეპელად გადაიქცა. ამ ფიქრმა ცოტა დამაწყნარა და ვიგრძენი, რომ ახლა ნაკამურასთან საუბრისას აღარ ვფიქრობ იმ ამბავზე, სულის სიღრმემდე რომ შემძრა.

— ბოდიში, ყვავილების მაღაზიის ტელეფონი ხომ არ იცით?

— ყვავილების მაღაზიის?— იმდენად მოულოდნელი იყო ეს შეკითხვა, რომ დავიბენი.

— დიახ... უახლოეს ხანებში ალბათ ჩემს მეუღლეს სოფელში წავიყვან, ჯერჯერობით კი მინდა ბინა ყვავილებით მოვრთო, მას ხომ ძალიან უყვარს ყვავილები...

ყვავილების მაღაზიაში დარეკა და აურაცხელი ყვავილი შეუკვეთა. დიახ, მის მეუღლეს ნამდვილად უყვარდა ყვავილები. ბაზრიდან რომ ბრუნდებოდა, მის ჩანთაში ყოველთვის მოიძებნებოდა ადგილი ყვავილებისათვის. მახსოვს, ერთხელ შემომჩივლა: „ჩემი ქმარი ბრაზობს, ყვავილებს რად ყიდულობო, რატომ უნდა ვხარჯოთ ფული ყოველგვარ სისულელეზეო! აი, სასმელზე კი არ ენანება ფული, ყოველ საღამოს შექეიფიანებული ბრუნდება...“ უცნაური კია ცოლ-ქმრული ცხოვრება. ცოლი და ქმარი გვერდიგვერდ ცხოვრობენ, ზოგჯერ ერთმანეთს ყურადღებასაც კი არ აქცევენ, მაგრამ საკმარისია ერთი იმათგანი ავად გახდეს, ან რაიმე უბედურება შეემთხვეს, მეორე ხელად ამჟღავნებს თავის გრძნობებს და თავს ევლება ავადმყოფს.

ნაკამურა ერთი წამითაც არ გაჩერდა, ჩაიზეც უარი თქვა და წავიდა. ეტყობოდა, არ შეეძლო მეუღლის დიდი ხნით მიტოვება.

— რომ ვუფიქრდები, ქორწინების მერე ეს პირველი შემთხვევაა, მე და ჩემი ცოლი ერთად რომ ვართ... ო, რა კარგია რომ იცოდეთ, რა მყუდროდ ვართ...— კარებში გასვლისას თქვა ნაკამურამ, შევამჩნიე, თვალები როგორ აუწყლიანდა.

მე რომ გადავქცეულიყავი პეპელად...

ჩემს ქმარს წინ დავუჯექი და სულის მოუთქმელად მივახალე, თუმცა განზრახ დამშვიდებული იერი მქონდა:

— შენ ალბათ გეწყინება, მეც რომ პეპელად ვიქცე. თუ პირიქით გაგეხარდება, იქნებ დამხატო კიდეც!

— რა... დაგხატო?

— დიახ! გეფიცები, ძალიან ლამაზ პეპელად გადავიქცევი!

იმ წუთს ძალიან მინდოდა პეპელად გადავქცეულიყავი. მხოლოდ ამგვარად დავაღწევდი თავს გამოუვალ მდგომარეობას, მარწუხებში რომ ვყავდი მომწყვდეული. მაგრამ შეუძლებელი იყო ჩემს ქმარს რაიმე ამის მსგავსი წარმოედგინა. მთელი არსებით უკმაყოფილებას გამოხატავდა, როცა მითხრა:

— რა აზრი აქვს პეპლების ხატვას?

ჩემი ქმარი მხატვარია. ყოველდღე სადილის მერე თავის სახელოსნოში მიდის და ხატავს. იგი არცთუ ისე ცნობილია ხალხში და აკადემიურ წრეებში. სამაგიეროდ ხელოვნების ჟურნალები დიდად აფასებენ კენკიტი საიმურას, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ორმოცდაათი წლისაა, მუდამ ახალს ეძიებს.

— სულ აღარ გიყვარვარ, ხომ? — არ ვიცი რატომ, მაგრამ თვალები ცრემლით ამევსო.

ქმარმა უხმოდ შემომხედა, დაბნეული ჩანდა. ორი წელია მისი ცოლი ვარ და ჯერ არ ენახა ჩემს თვალებზე ცრემლი. ყველა ამბობს, ბედნიერი წყვილიაო. მე კი ხანდახან ვფიქრობ — ნუთუ ასე იქნება ყოველთვის?

კენკიტი საიმურა, რა თქმა უნდა, მეორედ დაქორწინდა. სანამ ციმბირში იყო ტყვედ, პირველი ცოლი მოუკვდა. იაპონიაში დაბრუნებული, ამხანაგთან დასახლდა, მისი სახლის ფლიგელი იქირავა და იქ სახელოსნო მოაწყო.

იმხანად მე ოცდაათი წლისა ვიყავი. რადიოსა და ტელევიზიისათვის ვწერდი ათასგვარ სისულელეს და თუმცა მაინცდამაინც ნიჭიერ მწერლად არა მთვლიდნენ, იცოდნენ, რომ არასოდეს დავაღალატიანებდი. მართლაც უხეირო კალატოზისა არ იყოს, ყოველგვარ სამუშაოს ვეტანებოდი — გინდა პიესა ყოფილიყო, მოთხრობა თუ იუმორისტული გადაცემა — და ცოტაოდენი ჯახირის მერე როგორღაც დანიშნული დროისთვის ვაკოწიწებდი; რა თქმა უნდა, ისე ცოტას მიხდიდნენ, სიცილად არ ეყოფოდა კაცს, მაგრამ გულს არ ვიტეხდი, მე მომწონდა უდარდელი ცხოვრება, როგორც მსურდა, ისე ვიყენებდი თავისუფალ დროს. დღევანდელი დღით ვცხოვრობდი, თავიდან ვიშორებდი მომავალზე ფიქრს, არცთუ ისე იმედიანი რომ ჩანდა, და თავს იმით ვინუგეშებდი, ჯერ „დამწყები“ მწერალი ვარ-მეთქი. და მართლაც, ჩემი ასაკის მიუხედავად, ახალგაზრდა დამწყებ ავტორებს ვეკედლებოდი.

ამ ახალგაზრდა ავტორთა ჯგუფში იყო ტაძიმა. ისიც ჩემსავით გულჩათხრობილი ადამიანი გახლდათ და ძნელად უახლოვდებოდა ხალხს. მაგრამ თვით გულჩათხრობილი ადამიანისათვისაც აუცილებელია ვინმესთან ურთიერთობა. ჰოდა, ბოლოს და ბოლოს მე და ტაძიმა დავმეგობრდით. თითქმის ქალაქის შუაგულში ვცხოვრობდი და ტაძიმაც ხშირად შემოივლიდა ხოლმე ჩემთან. როცა საქმე დამშია, გინდა ვინმეს გაუზიარო შენი სიხარული, ხოლო თუ ყველაფერი თავდაყირა დგება, მაშინ მით უმეტეს აუცილებელია ვინმემ თანაგრძნობა გაგიწიოს; უფრო ხშირად მე ვუთანაგრძნობდი ხოლმე, მაგრამ ტაძიმას მოსვლა ყოველთვის მიხაროდა, მე ხომ მარტო ვცხოვრობდი. თითქმის ყოველ კვირა მოდიოდა, საათობით ვისხედით ერთმანეთის პირისპირ ჩემს ერთი ციდა ოთახში და ვმასლაათობდით. ტაძიმა გვიანობამდე რჩებოდა ხოლმე, ისე რომ ბოლო მატარებელზე მიესწრო. არა, ჩვენს შორის არაფერი ისეთი არ ყოფილა. ერთხელაც არ გვიკოცნია ერთმანეთისათვის. ზოგ-

ჯერ მიყვებოდა, კიდევ ერთი ქალი გავიცანიო — ნათესავები და ნაცნობები ყველა ლონეს ხმაროობდნენ, რომ მისთვის ცოლი შეერთოთ და ხან ვის ურიგებდნენ და ხან ვის. მეც ვალში არა ვრჩებოდი და ვურჩევდი, გამრჯე, კარგი მეოჯახე გოგონა შეირთე-მეთქი.

ერთხელაც მორიგი შეკვეთა მივიღე. ტელეპიესა უნდა დამეწერა ვინმე მხატვრის ცხოვრებაზე. რომელიღაც რომანზე მითხრეს, გადაამუშავეო, მაგრამ წარმოდგენაც არა მქონდა, რა უნდა დამეწერა მხატვარზე. მაშინ ტაძიმამ შემომთავაზა, ჩემს ბიძასთან, საიმურასთან წავიდეთო. იმედი ჰქონდა, რომ ეს ნაცნობობა რაიმეში დამეხმარებოდა. აქამდე ერთხელაც არ დასცდენია, ბიძა მყავსო.

საიმურა სასიამოვნო, მაგრამ ცოტა სიტყვაძუნწი კაცი გამოდგა. როგორც ჩემი ხელობის ხალხს სჩვევია, უბოდიშოდ დავაყარე ათასნაირი, უმეტესად სულელური შეკითხვები, ის კი მოთმინებით მპასუხობდა. პირისახეზე ხან უხერხულობა ეხატებოდა, ხან შემწყნარებლობა, ხან შეშფოთება და ხანაც აშკარა დაცინვა, თუმცა მიმზიდველი, კეთილი თვალები ჰქონდა. იფიქრებდით, ამ თვალებს მეტის მოყოლა შეუძლიათო, ვიდრე ძუნწ სიტყვებს. სწორედ ამ თვალებმა გამიცხოველეს წარმოსახვა და მეც დავწერე სცენარი შუახნის მხატვრის ცხოვრებაზე.

ჩემდა გასაკვირვად, კრიტიკა საკმაოდ გულთბილად შეხვდა ჩემს პიესას. გავიდა ერთი კვირა მას მერე, რაც პიესა ტელევიზიით აჩვენეს. მინდოდა რითიმე სამაგიერო პატივი მეცა საიმურასათვის. ვიყიდე ერთი ბოთლი ვისკი და სახელოსნოში ვეწვიე. ტაძიმას სასწრაფო საქმეები გამოუჩნდა და მარტო მომიხდა სტუმრობა.

საიმურას სიტყვაც არ დაუძრავს პიესაზე, ეგ იყო თქვა, ტელევიზორში ვნახეო. მაგრამ ვგრძნობდი, რომ მის არსებაში რაღაც შეიცვალა, უფრო მეტი ყურადღებით მეკიდებოდა — ეტყობა, ტელეგადაცემამ მაინც მოახდინა მასზე შთაბეჭდილება. წასვლა დავაპირე, მაგრამ მთხოვა, ვახშმად დარჩითო. მოსამსახურე ქალი მხოლოდ სახელოსნოს დასალაგებლად და სადილის გასაკეთებლად მოდიოდა. იმ საღამოს საიმურამ რატომღაც თვითონ მოინდომა ვახშმის მომზადება. მხოლოდ ისა სთხოვა მოსამსახურეს, ბაზარში გაიარე და სანოვაგე მოიტანეო. სამწუხაროდ, ვერაფერში დავეხმარებოდი; ცუდი მზარეული ვარ. წლების განმავლობაში მარტოხელა ცხოვრებას მიჩვეულს გადამავიწყდა კიდეც, რომ გემრიელმა საჭმელმა შეიძლება სიამოვნება მოგანიჭოს. ვიცოდი, რომ კვება აუცილებელი იყო და ვჭამდი, როცა შიმშილს ვგრძნობდი. როცა ძილი მომერეოდა — დავწვებოდი დასაძინებლად, როცა მუშაობა იყო საჭირო — ვმუშაობდი. მაგრამ არც ჭამა, არც ძილი, არც მუშაობა და არც გართობა, არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებდა. სულ იმას ვფიქრობდი, ყველაფერი ახლა დაიწყება, ნამდვილი ცხოვრება ჯერ წინა მაქვს-მეთქი, მაგრამ იმას ვერ მივმხვდარიყავ, რა ლონე უნდა მეხმარა, რომ ამ ნამდვილ ცხოვრებაში შემებიჯებინა.

— იცით რა, მე მგონი, თქვენი ცხოვრება უფრო ხალისიანი იქნება, თუ გათხოვდებით,— ისე, სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა საიმურამ ვახშმობის დროს.

იმ წუთას სწორედ ტაძიმაზე ვფიქრობდი. მისი თხელი, ნერვიული პირისახე გამახსენდა. მძიმე, მერყევი ხასიათი ჰქონდა, ზოგჯერ სულ უმნიშვნე-

ლო წვრილმანები აღიზიანებდა. მაგალითად, ვერ იტანდა ნეონის შუქს. ტელესტუდიაში უეცრად აუხირდებოდა ხოლმე რედაქტორს, თოფის წამალივით იფეთქებდა, მიუჯახუნებდა კარს და გაავებული გავარდებოდა გარეთ. გამოდიოდა კი, რომ სამუშაოს უშვებდა ხელიდან... ტაძიმაზე ვფიქრობდი... არა უშავს, ამას კიდევ მოევლება, თუ საფუძვლიანად მოვკიდებ ხელს...

— უნდა გათხოვდეთ და გულიანად მოჰკიდოთ ხელი შემოქმედებით მუშაობას,— განაგრძობდა საიმურა, — საწყენია, როცა კაცი შენს უნარს წვრილმანებზე ფლანგავ და ფულის გულისათვის მუშაობ...

ამ სიტყვებმა დამაბნია, ჭამა მივატოვე და საიმურას შევხედე, ის კი, ვითომც არაფერიაო, წყნარად შეექცეოდა ვახშამს.

— ვგონებ, რომ ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს... ეს არც ისე ძნელია, ჩვენ ხომ ბავშვები აღარა ვართ, ერთმანეთის შეხედულებებსაც ანგარიშს გავუწევთ... შეიძლება ეს ჩვენი საქმისათვისაც სასარგებლო იყოს.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, საიმურამ შემომთავაზა, ცოლად გამომყევიო. ეს იყო ორი წლის წინ.

ჩვენ ვიქორწინეთ. ბედმა გაგვიღიმა — ამ კოოპერატიულ სახლში მოგვცეს ბინა. და აქ, ახალ ბინაში, ახალი ცხოვრება დავიწყეთ ერთად. საიმურა სანაქებო ქმარი იყო. არ მახსოვს, რაიმეზე საყვედური ეთქვას. ერთს არ შეიჭმუხნიდა შუბლს, ისე ჭამდა ჩემს გაკეთებულ უგემურ სადილს. თავის თავს თვითონ უვლიდა. ყოველდღე, სადილობის მერე სახელოსნოში მიდიოდა სამუშაოდ.

— სულ გადამიყვარე, ხომ?

ერთთავად სიყვარულზე ვფიქრობდი და იმიტომაც ავტირდი. ჩემი ქმარი გაოცებული იყო, ის ხომ პირველად ხედავდა ჩემს ცრემლს. ნუთუ იმას, რაც ჩვენს შორის არის, სიყვარული ჰქვია? მშვიდი, წყნარი... მაგრამ რაც უფრო უდავიდარაბო იყო ჩვენი ცხოვრება, მით უფრო მატულობდა ჩემი დაძაბულობა და აი, ახლა, პირველად ამ ორი წლის მანძილზე, ცრემლებად გადმოიღვარა. ეტყობოდა, დიდხანს რომ ვცხოვრობდი მარტო, ერთობ ბევრს მოველოდი სიყვარულისაგან. მე მინდოდა, რომ იგი საოცრად ვნებიანი და ძლიერი ყოფილიყო, რათა ძირფესვიანად შეეცვალა არა მარტო ჩემი ცხოვრება, არამედ ჩემი არსებაც. მე მინდოდა, რომ სიყვარულის უხილავ ძალას პეპელად გადავექციე. მაგრამ მე ოდნავადაც არ შევცვლილვარ. ვზიგარ ჩემთვის ჩემს ნაჭუჭში, გულუბრყვილო ოცნებებში ჩაძირული და მგონია, რომ ნამდვილი ცხოვრება ჯერ კიდევ წინაა. ასე ხომ ადრეც ვფიქრობდი, საკმარისია გავთხოვდე და მაშინვე დაიწყება-მეთქი ნამდვილი ცხოვრება.

— ვინ იცის, ეგებ მეც გადავიქცე პეპელად...

შევეცადე მხიარული კილოთი მეთქვა ეს, გაღიმებაც ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თვალებიდან ისევ ცრემლი წამომცვივდა.

რა თქმა უნდა, ერთი ბეწვა იმედიც არა მქონდა, პეპელად გადავიქცევი-მეთქი, მაგრამ ვთქვი თუ არა ეს, მაშინვე საოცრად შემებრალა ჩემი თავი.

— მშვენივრად მესმის შენი მდგომარეობა,— თანაგრძნობით მითხრა საიმურამ,— სანამ მუშაობას დაიწყებდე, მუდამ ასე ხარ აფორიაქებული. მოითმინე, ცოტა, აი, მუშაობას შეუდგები და უგუნებობაც გაგივლის.

ვერაფერიც ვერ გაიგო. ვერც იმას მიხვდა, რატომ ვტიროდი.

საიმურა წავიდა. როგორც ყოველთვის სადილობის მერე, თავის სახელოს-

ნოს მიაშურა. თვალი გავაყოლე, მის ზურგს ვხედავდი — ხანშიშესული კაცის ზურგს. პირისახეზე არაფერი ეტყობოდა, აი, ზურგი კი მაშინვე გასცემდა მის ასაკს. ამან კიდევ უფრო დამაღონა.

ისე კი რა მისი ბრალია. განა მე კი ვადანაშაულებ რაიმეში? ცოლობაზე როცა დავთანხმდი, უკვე ვიცოდი, რომ ჩვენი ცხოვრება ასე წავიდოდა. ალბათ ჩემი ბრალია ყველაფერი. გათხოვებამდე, თითქმის მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში, სულ იმის ცდაში ვიყავი, ჩემს გარშემო შეუვალი ბადე მომექსოვა. საკუთარ თავს ვუფრთხილდებოდი, რადგან პატარა წყენაც კი გულს მიკლავდა. რა სულმოკლე ვიყავი! აბრეშუმის ჭია ვერ ინატრებდა, ისეთი პარკი მოვიქსოვე. ადამიანებს ეადვილებოდათ ჩემთან ურთიერთობა. ლაქლაქებდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, არც მე ვრჩებოდი ვალში. და ეჭვიც არავის ჰქონდა, რომ მე კი არ მელაპარაკებოდნენ, არამედ ჭიის პარკს. იმათ ფეხებზე ეკიდათ ეს პარკიცა და მეც. და სწორედ ამის წყალობა იყო ჩვენი ურთიერთობის სიმსუბუქე და სილაღე. დიახ, ადვილად ასატან ადამიანად მიცნობდნენ, სინამდვილეში კი პარკს შიგნით ყოველდღე, ყოველ წუთს შავი ცრემლი, რაღაც ველური ხმები და ბოღმიანი სიტყვები იბადებოდა. მაგრამ აი, გარეთ რომ გამოაღწევდნენ, ნაირფერ წყლის შხეფებად, ღიმილად და დამტკბარ სიტყვებად იქცეოდნენ. სული მეხუთებოდა ამ ჩემს პარკში სამად მოხრილ-მოკრუნჩხულს, მაგრამ ერთი კი მჯეროდა: სანამ ამ პარკში ვარ გახვეული, არავითარი საშიშროება არ მელის-მეთქი. ხომ მართალია, თუ ადამიანებს შენს ნამდვილ სახეს დაუმალავ, სულიერ ტკივილსაც ვერავინ მოგაყენებს. შეიძლება კი ასეთ არსებობას ცხოვრება ეწოდოს? არ ვიცი. ეს კი ვიცოდი, ამ პარკის დარღვევა ჩემს მეტს არავის შეეძლო. ამისათვის კი სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შევბრძოლებოდი საკუთარ თავს. აი, სწორედ მაშინ გამოჩნდა საიმურა. საოცრად გამიხარდა, რომ აღარავითარი ბრძოლა აღარ მომელოდა და მივაშურე მას, როგორც საგანგებოდ ჩემთვის აგებულ თავშესაფარს. ნეტა რას ვემალებოდი ასე გულდაგულ? მარტოობას და იმის შიშს, რომ სულ მარტო ვიყენებოდი? შესაძლებელია. იქნება ჩემს საცოდავ ყოფას, როცა უვარგის ნაჯღაბნებს სამადლოდ გადმოგდებულ გროშებში ვცვლიდი? შეიძლება, მაგრამ მთავარი მაინც, როგორც ახლა, მგონია, ტაძიმასთან ჩემი ურთიერთობა იყო.

იმხანად ძალიან მინდოდა ცოლად გავყოლოდი მას. სულ იმის მოლოდინში ვიყავი, აი, ახლა გამოიწვდის ხელს და შემომაცლის-მეთქი ამ ავბედით პარკს. მაგრამ თავად ტაძიმაც სქელ ნაჭუჭში შეიკეტა და არც აპირებდა იქიდან გამოსვლას. ჰოდა, ისევ მე უნდა მეღონა რაიმე. მე კი არაფერს ვაკეთებდი, მხოლოდ ვღელავდი. მინდოდა, მაგრამ არ შემეძლო ჩამეხედა მის სულში — გამბედაობა არ მყოფნიდა. ამას გარდა ობიექტური მიზეზებიც მქონდა, ჩემს გაუბედაობას რომ აძლიერებდა: ტაძიმას ასაკი — იგი ჩემზე ახალგაზრდა იყო; მისი მშობლები — ისინი არასოდეს მენახა და წარმოდგენაც არა მქონდა, რა ოჯახი იყო; მისი მძიმე ხასიათი, დაბოლოს ტაძიმასა და ჩემი ხელმოკლეობა. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, გადაულახავ დაბრკოლებად აღიმართა ჩემს წინაშე, თითქოს ცადაწვდილი მწვერვალებიაო, მათ შემყურეს,—მე ხომ მთელი ცხოვრება ჭიის პარკში გავატარე და გარე სამყაროსთან ურთიერთობა ერთობ მიჭირდა,—არავითარი იმედი არ მქონდა, ოდესმე ამ მწვერვალებს გადავლახავ-მეთქი. დიახ, მთამსვლელად არ დავბადებულ-

ვარ. ალბათ ადამიანი, ვინც მუდამ ვაკე ადგილზე სიარულს არის მიჩვეული, ვერც წარმოიდგენს, რომ საკმარისია ერთ მწვერვალზე ავიდეს და დანარჩენები უკვე პატარა ბორცვებად მოეჩვენება. მაგრამ მე ხომ არასოდეს მიცდია მწვერვალზე ასვლა და ამიტომ მთები ჩემთვის მუდამ გადაულახავი დაბრკოლება იყო. მაშასადამე, უარი უნდა მეთქვა ჩემს ოცნებაზე. და საერთოდ, არასოდეს გამოვსულვარ ჩემი ჭიის პარკიდან, რომ ესა თუ ის სურვილი შემესრულებინა. თქვენ წარმოიდგინეთ, იმისთვისაც კი არ გამოვდიოდი, რომ ჩემივე ხელით მოკლულ ოცნებათა გვამები გადამეყარა. ფულის წყურვილი, დიდების წყურვილი, სიყვარულის წყურვილი — ესენი დიდი ხანია გვამებიღა იყვნენ, დროთა განმავლობაში რომ გაიხრწნა და მყრალ, შავ წუნწუხად იქცა. ნეტა ვინმეს დაეღლია გარედან ეს პარკი, რა ბედნიერი ვიქნებოდი, რა წარმოუდგენლად ბედნიერი ვიქნებოდი! მაგრამ არავის უცდია ამის გაკეთება და ზოგჯერ განძრევისა მეშინოდა, ამ სიმყრალეში არ დავიხრჩო-მეთქი...

კიბეზე ვიღაც ამოვიდა და მეზობელი ბინის კარზე დარეკა. ეტყობა, ბატონ ნაკამურას მოუტანეს ყვავილები. თავს ძალა დავატანე, მაგიდას მივუჯექი და წინ ფურცელი დავიდე. „ჟამი პეპლებისა“... ეს ის დრო არის, ის დღეა, როცა ქალის ცხოვრება უცებ იფეთქებს, კაშკაშა ჩირაღდანივით აბრიალდება და ათასფერად აგიზგიზდება — ბედნიერებისგან, გრძნობების სიჭარბისგან; ეს ის ჟამია, არავითარი კავშირი რომ არა აქვს ნაღვლიან, მდორე ყოველდღიურ ცხოვრებასთან...

უცებ პოლიციელთა მოტოციკლების საყვირის ხმა შემომესმა. ნუთუ კიდევ ვინმეს ცოლი გადაიქცა პეპელად? ალბათ მალე ყველას ცოლი პეპელად იქცევა. პეპლების ჟამი დადგა! ჩემი ბავშობისდროინდელი ამბავი გამახსენდა. აურაცხელი ყვითელი ყვავილი და უთვალავი ყვითელი პეპელა...

*

* *

მალე ჩემი წინათგრძნობა გამართლდა. ერთ საღამოს, სანოვაგით დატვირთული შინ რომ ვბრუნდებოდი, ჩვენი სახლმმართველი შემხვდა. მოხუცმა შემაჩერა და მითხრა, უკვე ოცამდე ქალი იქცაო პეპელად. ახლა აღარავის ჰგონია, ჩუმად გაიპარნენო სახლიდან. მართლაცდა, განა შესაძლებელია ერთდროულად ოცი ცოლი გაექცეს ოც ქმარს!

— თქვენთან დიდი სათხოვარი მაქვს,— დაუმატა მან და დიდი ფუთა გამომიწოდა.—დამდეთ პატივი და ეს შეკვრა ქალბატონ ასაის გადაეცით, ორმოცდამეშვიდე ოთახიდან; იცით, მას შემდეგ, რაც ჩვენს სახლში პეპლები გაჩნდნენ, სათოფეზედაც ველარ ვეკარები. ფრთებზე რომ მტვერი აქვთ, იმას ვერ ვიტან! დავინახავ თუ არა, ასთმის საშინელი შეტევა მეწყება. მგონი, ამას ახლა ალერგიას უწოდებენ. საზიზღარი რამ არის ეს მტვერი. ზუსტად ისეთივე სუნი აქვს, როგორიც პუდრას, მსუმბუქი ყოფაქცევის ქალები რომ ხმარობენ. ეგრევე მწვავს, ეგრევე მახრჩობს!

მოხუცმა ბეცი თვალები ააბლატუნა და ეჭვიანად გაიხედა ჩვენი სახლისაკენ. ჩვენი სახლმმართველი უცოლო კაცია და ცოტა უცნაური

ხასიათი აქვს. ამბობენ, ახალგაზრდობაში კარგი დურგალი იყო. მერე ბედმა ერთ კახპას გადაჰყარა. იმდენად ბედუკულმართი ცხოვრება ჰქონდათ, რომ თავის მოკვლა გადაწყვიტეს. ქალი მოკვდა, ეს კი გადაარჩინეს. მას მერე ქალები ეჯავრებაო.

ფუთა გამოვართვი და სახლისაკენ წავედი. საღამო იყო და ყველა ფანჯარაში შუქი ენთო. ელექტრონის შუქი ყოველთვის მამშვიდებს, იგი გაცილებით უფრო თბილი და ნაზია, ვიდრე შუადღის კაშკაშა მზე. შევყურებდი განათებულ ფანჯრებს და შავი, პირქუში სასოწარკვეთა თანდათან მსუბუქი სევდით შემეცვალა. სევდა ერთგვარად სასიამოვნოც იყო. ვნაღვლობდი ჩემს ჭიის პარკში გამოკეტილი და მალულად ვადევნებდი თვალს სხვების ცხოვრებას. რა ხდება იქ, იმ ფანჯრებს მიღმა?..

შური დამეუფლა რატომღაც. იქ ხალხი ცხოვრობს და უყვართ ერთმანეთი. თვითონვე ქმნიან თავიანთ ცხოვრებასა და სიყვარულს. ნეტა ბედნიერები თუ არიან ის ცოლები, პეპლებად რომ გადაიქცნენ?

სადარბაზოში ბატონი ასაი შემხვდა, მეუღლე იმ ქალისა, ვისთვისაც ფუთა უნდა გადამეცა. მან ფუთა გამომართვა და შეწუხებული ხმით მითხრა:

— ეტყობა, ჩემმა მარიმ ისევ ახალი კაბა შეუკვეთა! ნუთუ ქალისათვის ასე მნიშვნელოვანია ჩაცმა-დახურვა?

ასაები სულ რაღაც ნახევარი წლის წინათ შეუღლდნენ და მაშინვე ჩვენს სახლში მიიღეს ბინა.

— ჯანდაბას, მოირთოს როგორც უნდა,— განაგრძო მან,— ოღონდ პეპელად ნუ გადაიქცევა. არაფერსაც არ ვეტყვი; ჩუმად ვიქნები. იცით, სულაც არ მინდა, რომ ჩემი ცოლი პეპელად გადაიქცეს. ჩვენ ხომ სულ ექვსი თვის ცოლ-ქმარი ვართ და ახლა ყველაზე ბედნიერი დრო გვაქვს. მარი ჯერ არ დაღლილა ცოლ-ქმრული ცხოვრებით, მე მგონი, მისთვის არავითარი აზრი არა აქვს პეპელად გადაქცევას. მაგრამ მე მაინც ფრთხილად ვიქნები, განსაკუთრებული ყურადღებით მოვექცევი — ქალს რას გაუგებ.

ბატონ ასაის გამოვეთხოვე და შინ შევედი. ქმარი ჯერაც არ დაბრუნებულიყო. დღესაც როგორც ყოველთვის, თავის სახელოსნოში შერჩა ალბათ და გვიან მოვა. შუქი ავანთე, მაგრამ უკეთესობისა ვერაფერი შევატყვე ჩემს თავს. ცარიელ ბინაში ყველაფერი — კედლებიცა და ავეჯიც — სევდას აფრქვევდა. ულონოდ ჩავიკეცე პირდაპირ იატაკზე, იმის თავიც არ მქონდა, ვახშამი მომემზადებინა ჩემთვის. რატომ არის სინათლე სხვის ფანჯრებში ასე მიმზიდველი, ჩვენს ბინაში კი, სადაც ყველა კუთხეს ანათებს და ჩემი სულის საიდუმლო კუნჭულებსაც წვდება, არავითარ სიმყუდროვეს არ ქმნის? რა ულიმლამო ოთახებია, რა მიმქრალი ფერებია — თითქოს ყველაფერი მოკვდაო. ჩემს სართულზე ორი ბედნიერი ქალი ცხოვრობს: ქალბატონი ნაკამურა პეპელად იქცა, ქალბატონი ასაი კი ახლა ალბათ თავის ახალ კაბას იზომებს. მისი ქმარი გულწრფელად აღრფთოვანებულია ამ კაბით. მე კი მარტო ვზივარ ცარიელ სახლში. ოთახის კედლები და ჩემი პარკის კედლები სხვა ხალხისაგან მაცალკევებენ. არც მაშინ შეიცვლება რაიმე, როცა საიმურა დაბრუნდება, — მე მაინც მარტო ვიქნები, ყველასაგან გარიყული; ახლა რომ დანა ავიღო და მკერდში ჩავიცე — რა თქმა უნდა, ამას არ გავაკეთებ, არ

გავისვრი ხელებს, ზოგიერთი მწერი ხომ თვითონ კვდება თავისსავე ბარკში, — ვერავინ გაიგებს ჩემი სიკვდილის ამბავს.

უეცრად ავღელდი. ქუჩაში გამოვედი და უაზროდ დავიწყე ხეტიალი ჩაბნელებულ ქალაქში. არა, არ მინდოდა ასე შეუმჩნევლად სიკვდილი.

* * *

ერთ მშვენიერ დღეს ტაძიმამ შემოიარა ჩვენთან. კარგა ხანი იყო, რაც აღარ ვენახეთ. ეტყობა, მასაც გაეგო პეპლების ამბავი. შემომხედა და გულდაწყვეტით მითხრა:

— მე კი მიხაროდა, ვიფიქრე, უკვე პეპელად გადაიქცა-მეთქი...

— პიესას წერს — „ჟამი პეპლებისა“,— ჩემს მაგიერ უპასუხა საიმურამ,— ასე რომ არაფრით არ შეიძლება თვითონაც პეპელად იქცეს.

— ვიცი, ვიცი! მაგრამ რა სამწუხაროა წერდე პეპლებზე და უფლება არა გქონდეს პეპელად იქცე!.. მე მგონი ყველა ქალი უნდა იქცეს პეპელად, მშვენიერ, ნაზ, თვალმახარა პეპელად.

აშკარად ჩემს ჯიბრზე ამბობდა ამას. მას შემდეგ რაც საიმურას გავყევი ცოლად, ტაძიმა დამცინავად მელაპარაკებოდა. ეს დაცინვა ყოველდღე უფრო და უფრო მწარე ხდებოდა, მისი გამოხედვა კი ზიზღსა და სიბრალულს გამოხატავდა. გავჩუმდი, სამზარეულოში გავედი ყავის მოსადუღებლად; რისთვის მოვიდა? ტაძიმა საიმურას ბიძაშვილია და რა თქმა უნდა ვერ ავუკრძალავ, ჩვენთან არ მოხვიდე-მეთქი, მაგრამ მე ეს ხელს არ მაძლევს.

— რას ხედავ კარგს პეპელაში?— შეეპასუხა ჩემი ქმარი, ჭირის დღესავით რომ ეზარებოდა პეპლები. ფუქსავატი, ცვალებადი არსებანი არიანო, ამბობდა,—უყვართ, როცა მათი ცქერით ტკბებიან და აღტაცებას ვერ ფარავენ მნახველნი. განა რა აქვთ გასაგიჟებელი? პეპელა ხომ ქალური პატივმოყვარეობისა და უზნეობის განსახიერებაა!

— კი მაგრამ, მამაკაცის თვალით თუ შევხედავთ, განა უზნეობა ქალურობის სიმბოლო არ არის? პატივმოყვარეობა და ცვალებადობა ხომ ქალის მთავარი იარაღია. ქალი ვერ დაეტოლება მამაკაცს ფიზიკური ღონით და ალბათ ჭკუა-გონებითაც. მაგრამ ქალი თუ ცვალებადია, იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოვა სასიყვარულო პაექრობაში. რამდენი გმირი, რამდენი დიდებული ადამიანი უმსხვერპლია ქალის მზაკვრულ ბუნებას. ეს ხომ დღესავით ნათელია, თანაც განა ისტორიაში ცოტა მაგალითები გვაქვს, ამასვე რომ მეტყველებენ? ასე იყო ყველა დროსა და ყველა ხალხში, დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში... ნეტა პეპლებზე ასე რამ გაგაგულისათ, ბიძაჩემო? იქნებ უბრალოდ გეშინიათ მათი? იუმი მეუბნებოდა, რომ სიამოვნებით შეაცდენდა თქვენისთანა ადამიანს. მე მგონი, არც თქვენ უნდა იყოთ მისდამი გულგრილი.

როცა ყავა შემოვიტანე, საიმურას უხმოდ ეღიმებოდა და თავის ჩიბუხს წმენდდა. ტაძიმამ ერთი კი გადმოხედა და ისევ ალაქლაქდა. სულ გავიდა თავს!

— აბა, რა მოგიხერხოთ, ბიძაჩემო! ხან ცოლი უნდა გამოგიძებნოთ და ხანაც მენატურე ქალი. ჩემზე ვიღა იფიქრებს?.. ისე კი ერთი მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გაითვალისწინოთ — ყველა ქალი როდია თქვენი ცოლივით თავდაჭერილი.

მე ვიცნობდი იუმის. იგი მენატურე ქალი იყო და ჩემს ქმართან სწორედ ტაძიმამ მოიყვანა. ჯერ მთლად ახალგაზრდა, ნორჩი გოგონა გაუთავებლად და ყოველგვარი მიზეზის გარეშე იცინოდა. შუბლზე და მხრებზე ჩამოყრილი თმა ძალიან შვენოდა მის გულუბრყვილო პირისახეს. მაგრამ ზოგჯერ უეცრად დადინჯდებოდა, ისე ჩაფიქრდებოდა, როგორც ხნიერი, ბევრისმნახველი ქალი. იუმი მიჩვეული იყო, ყველა რომ მას შეჰფოფინებდა და ჩვენთან ერთობ ლაღად გრძნობდა თავს — უფრო თავისუფლად, ვიდრე რომელიმე ჩვენი ნაცნობი. ხანდახან ისეთ რამეს ჩაიდენდა, გაოგნებულნი ვრჩებოდით. ერთხელ გაცხარებული კამათი გაიმართა ერთ-ერთი გამოფენის თაობაზე, ის კი უეცრად ადგა, საუბარი გაგვაწყვეტინა და უტიფრად გამოგვიცხადა, შინ მივდივარო. ძალიან მწარე ენა ჰქონდა. ერთთავად დასცინოდა თავის მეგობარ ვაჟებს. სიცილს ვერ ვიკავებდით, ისეთ გაუგონარ ამბებს ჰყვებოდა მათზე. სიმართლე რომ ვთქვა, ამ გოგონასი, ცოტა არ იყოს, მეშინოდა.

— მე მგონი, პირველ რიგში იუმი უნდა იქცეს პეპელად...

ჩემდა გასაოცრად, ხმამაღლა წამომცდა ჩემი ნაფიქრი.

— რაღა ეს საცოდავი გოგონა უნდა იქცეს პეპელად? ის ხომ ამ ცხოვრებაშიაც პეპელასავით დაფარფატებს, არავისთან არაფერი არ აკავშირებს,— ისეთი კილოთი მითხრა ტაძიმამ, რომ მე ველარ შევეპასუხე.

— ურიგო ტანი არ უნდა ჰქონდეს...

— ეჰ, ბიძაჩემო, ტანის სინარნარე განა დიდხანს გაჰყვება?

სულ არ რცხვენოდათ ჩემი, ისე გააბეს მუსაიფი იუმიზე. იუმის ტანის სინარნარეს რომ უქებდა, ტაძიმა უთუოდ მე მიგებდა ნიშნს; ბოლო ხანებში გასუქება დავიწყე. ტაძიმას არ შეეძლო ეს შემთხვევა ხელიდან გაეშვა და აკი გამკენწლა კიდეც. როცა ქალი გასუქებას იწყებს, მისთვის ერთგვარად კრიტიკული ასაკი დგება. თავისი წინანდელი სულიერი ცხოვრების საზღვარს გადააბიჯებს და ხორცის საუფლოში შედის. მარტო სხეული კი არა, სულიც ნელ-ნელა ქონით იფარება. ერთ მშვენიერ დღესაც აღმოაჩენ, რომ შენი სხეული გამარჯვებული გამოვიდა ერთ დროს თავისუფალი და ამაღლებული შენივე სულის წინააღმდეგ ბრძოლაში. რაღას იზამ, ამას უკვე ვერა მანქანები ველარ უშველის. წმინდა ზრახვანი და სულიერი მისწრაფებები უიმედოდ ყრიან ფარ-ხმალს.

ამიერიდან ხორცი, ჩლუნგი და გაუმაძღარი ხორცი იბატონებს, უქმად ყოფნასა და დატკბობას მოითხოვს.

ნეტა დიდი ხანია, რაც ტაძიმა იუმის იცნობს? ერთხელ მოგვიყვა, ჩემი ამხანაგების დებს შორის ერთი უცნაური გოგონა არისო. გავიდა ცოტა ხანი და მოიყვანა კიდევაც ჩვენთან. არა, სრულებითაც არ მაღიზიანებს, იუმი ჩვენთან რომ დადის, გულწრფელი მხიარულება და ახალგაზრდული სიხალისე მოაქვს თან. იუმი რაღაცით ქალბატონ ასაის ჩამოჰგავს. ალბათ როცა გათხოვდება, იუმიც ნაზი და მოსიყვარულე ცოლი იქნება. ქალბატონი ასაი უაღრესად სასიამოვნო ქალია. ალბათ არასოდეს მომბეზრდება ასაისთან მასლაათი. ადვილია მასთან ურთიერთობა, ქალბატონ ნაკამურას კი არ ჰგავს.

ამ ქალთანაც ხშირად მისაუბრია, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პეპელად გადაიქცეოდა. მაგრამ იყო მის არსებაში რაღაც, რაც მაშინვე გულს დაგიმძიმებდა. ელაპარაკები და ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს შენი სიტყვები სულ არ ეკარება ახლოს და სადღაც უძიროო ჭაში ინთქმება. რა გასაკვირია, რომ თავს უხერხულად გრძნობ. ქალბატონი ნაკამურა ალბათ მე მგავს.

ზარი დარეკეს და ოთახში ქალბატონი ასაი შემოვიდა. გზად შემოგვირბინა. მუდამ მოულოდნელად გამოჩნდება-ხოლმე, მაგრამ ეს არავის ხელს არ უშლის.

— შეიძლება? ო, სტუმრები გყავთ? ძია საიმურაც შინ ყოფილა, რა კარგია!

სულაც არ მსიამოვნებს, როცა ჩემს ქმარს ასე შინაურულად ძიას ეძახიან, მაგრამ მარის ვერ გაუბრაზდები. ეს ხომ ბავშვური გულუბრყვილობით ემართება. მაგრამ ახლა მის უზრუნველ პირისახეს რომ შევხედე,— სულ არ უფიქრია, თუ ამით ვინმეს აწყენინებდა, — რატომღაც არ მესიამოვნა მისი შემოსვლა. შემეშინდა, ვინმემ არ შემამჩნიოს-მეთქი ეს და ჩვეულებრივზე უფრო თბილად მივიღე.

ასაიმ, ცოლის ხმა რომ გაიგონა, თვითონაც შემოიხედა ჩვენთან.

— მარი, სად დაიკარგე! გელოდები, უკვე შემეშინდა კიდევაც.

— სიუნ, რანაირად ხარ გამოწყობილი! რა საშინელებაა!

მარიმ გადაიხარხარა. ასაი, ეტყობა, შეწუხდა. წინსაფარი აეფარებინა, ვახშამს ამზადებდა ალბათ. ტაფა უხერხულად ეკავა ხელში და არ იცოდა, სად წაეღო.

შუაგულ ოთახში გაჩერდა და მთლად დაბნეულმა წაილუღლუღა:

— წამოდი, მარი! ხალხს სტუმრები ჰყავს, ჩვენ კი ხელს ვუშლით...

მაგრამ მარიმ უპასუხა, რჩევის საკითხავად მოვედიო, და მეც ტაძიმას ცოლ-ქმარი გავაცანი.

— რაც უფრო მეტი მრჩეველი მეყოლება, მით უკეთესი. შენაც, სიუნ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე... — მარიმ ფრთხილად დადო მაგიდაზე შეკვრა, უნივერსალური მაღაზიის ქაღალდში რომ იყო გახვეული.

— ისევ რაღაც იყიდე? მე ხომ გითხარი, რომ პრემიალურიდან გროშიც აღარ დამრჩა-მეთქი?

მარიმ ყურიც არ შეიბერტყა ამ შენიშვნაზე და თავისი შენაძენის გახსნას შეუდგა.

— მეგობრებო, ყველასა გთხოვთ მირჩიოთ, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა შენ გეკუთვნის, სიუნ. ასე რომ დაფიქრდი და გულისყურით მოეკიდე ამას.

ასაი დაძაბული უყურებდა თხელ შესაფუთ ქაღალდს, სასიამოვნოდ რომ შრიალებდა მარის თითებში. ბოლოს უკანასკნელი ფურცელი ჩამოვარდა და დავინახეთ პეპლების კოლექცია. მინის ქვეშ ქინძისთავებით დამაგრებული თხუთმეტამდე პეპელა მოჩანდა.

— როგორ მოგწონთ? აი ეს განსაკუთრებით ლამაზია, არა? მარიმ პატარა პეპელაზე მიუთითა. მის ქვეშ ეწერა: „ასაგიმადარა“. ასაგიმადარას საუცხოო ფრთები ჰქონდა, შავი ლაქებით მოჩითული. მოდურად ჩაცმულ ქალსა ჰგავდა.

— მომისმინე, სიუნ... ასეთ პეპელად თუ გადავიქეცი, ხომ მართლა ბედნიერი იქნები?

— რა? შენ გინდა პეპელად გადაიქცე? შენ?!

— რატომაც არა? ჩვენს სახლში რამდენი გათხოვილი ქალი გადაიქცა უკვე პეპელად, მე რა, მათზე ნაკლები ვარ?

— ღმერთო ჩემო, მე ხომ თავს არ ვზოგავ! სადილსაც ვამზადებ, ბინასაც ვალაგებ, ვრეცხავ კიდეც! როგორ გგონია — რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ პეპელად არ გადაიქცე!

— სიუნ, ძვირფასო, რა გაეწყობა! ახლა ასეთი დროა.

— მარი, შემოგევლე, გინდა რაიმე ახალი ნივთი ვიყიდოთ? მითხარი, რა გინდა? ხარჯე ეს ფული, როგორც გაგიხარდება! ო-ო, მოვიფიქრე! ჩვენ მანქანას ვიყიდით და სამოგზაუროდ წავალთ!

მარიმ ჭირვეულად აიბზუა ტუჩები, ქმრის წინადადება ნაღდად არ აწყობდა. მისი არსება ახალ აზრს მოეცვა მთლიანად. ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული მისი ჟინი უფრო ინსტინქტებს ემორჩილებოდა.

— სიუნ, სისულელეს ნუ ლაპარაკობ! შენი მათხოვრული ხელფასით როგორ უნდა ვიყიდოთ მანქანა?

— მიმიფურთხებია ხელფასისათვის! შენი გულისათვის ყველაფერს გავაკეთებ. გინდა მანქანას მოვიპარავ, ანდა ბანკს გავძარცვავ?

— რა საშინელ რამეებს ამბობ! ამას კი ვერ ვიფიქრებდი, რომ შენ დანაშაულის ჩადენა შეგეძლო.

— აბა, რაღა დამრჩენია, შენ ხომ იმუქრები, პეპელად გადავიქცევიო?

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ნამდვილი ჩხუბი ატყდა. ასაი აყვირდა, ყველა ქალი თავკერძაა და საკუთარი თავის მეტი არაფერი აგონდებაო; ამის გაგონებაზე მარის ცრემლები წასკდა და უპასუხა, სულაც არ გესმისო ჩემი. ბოლოს და ბოლოს გაცოფებულმა ქმარმა იატაკზე დაანარცხა მინის ყუთი, ერთი ამოიგმინა, რაც გინდა ის ჰქენიო, და ოთახიდან გავარდა. აცრემლებული მარიც უკან მიჰყვა.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ კრინტიც არ დაგვიძრავს, დაბნეულები მივჩერებოდით მათ, როგორც მაყურებლები მსახიობს. მაგრამ როცა ასაებმა სცენა მიატოვეს, ტაძიმა მაშინვე ალაპარაკდა:

— როგორც ეტყობა, ცოლ-ქმრული ცხოვრება არც ისე მოსაწყენი ყოფილა, მე რომ მეგონა!

— დიახაც! აქედან დასკვნა — დრო ხომ არ არის ცოლი შეირთო? — უთხრა საიმურამ.

ტაძიმამ მხიარულად გაიცინა.

— მართალი ხართ, ბიძაჩემო, გავუყვები მეც ოკუტამასაკენ, იქნება ერთი ლამაზმანი ამოვირჩიო. ისე, თუკი ცოლი მაინც პეპელად გადაიქცევა, ხომ არ ჯობია პირდაპირ პეპელაზე ვიქორწინო? ყოველ შემთხვევაში, დავიდარაბას მაინც გადავრჩები. ვინ იცის, მერე როგორ პეპელად იქცევა, საშიშია მაინც...

უხმოდ ვკრეფდი იატაკიდან გამხმარ პეპლებს, ტაძიმა კი, ეტყობა, არ აპირებდა გაჩერებას.

— არა, მართლა, პეპელა ზედგამოჭრილია ჩემთვის, მე ხომ არ მინდა, რომ ცოლი მემსახურებოდეს — საჭმელს ამზადებდეს, ალაგებდეს, რეცხავდეს, მაინცდამაინც არც ბავშვები მინდა. ჩემთვის მისწრება იქნება პეპელასავით მშვენიერი და ნაზი ცოლი.

ყოველთვის ასეა, დაიწყებს რაღაც სისულელეების რატრატს და ველარ გააჩერებ. არადა, ტაძიმა სულაც არ არის ყბედი. ზოგჯერ უხეირო მონადირეს მაგონებს ხლომე. იმის შიშით, ცუდი მსროლელი არ ვეგონოო ვინმეს, გაუთავებლად ისვრის, სადაც მოუხვდება. იქნებ სიჩუმე უმძიმს? მაგრამ სიტყვებში რომ აიბურდება, მაშინ ვერაფერ რიგიანს ვერ გაიგონებ კაცი მისგან.

საიმურა აწრიალდა, სახელოსნოში არ დამჯგვიანდესო, და წასასვლელად მოემზადა.

— ნუ ღელავთ, ბიძაჩემო!— დარწმუნებით უთხრა ტაძიმამ,— იუმი არასოდეს არ მოდის თავის დროზე.

საიმურამ ჩაიცინა.

— რაც მართალია, მართალია! ამას წინათ მთელი ორი საათი დაიგვიანა. თან ვღელავდი და თანაც ვბრაზობდი, ხომ იცი, სინათლეს რამხელა მნიშვნელობა აქვს. მაგრამ იუმი ისეთი თვალგაბრწყინებული შემოვიდა, ენა არ მომიტრიალდა, რომ ერთი კარგად შემეხურებინა. იმას კი თავში აზრადაც არ მოსდის, რომ არ შეიძლება ადამიანი ამდენ ხანს ალოდინო.

— ჰო, ასეთია...

ტაძიმა ალბათ ფიქრობდა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. არც საიმურას ეტყობოდა ხმაში გაღიზიანება. მე კი არ მესმოდა, როგორ შეიძლება ასე წყნარად შეხვდე ამგვარ საქციელს. უბრალოდ, უსინდისობაა აცდევინო შენზე უფროს კაცს და ისიც ცნობილ მხატვარს. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ ევალება კიდეც იუმის. ასეთი ქალი კინწისკვრით უნდა გააგდო; მაგრამ ხმამაღლა ხომ ვერ ვიტყოდი ამას. ჩემი ქმარი და ტაძიმა ალბათ საშინლად გაოცდებოდნენ, ამგვარი რამე რომ წამომცდენოდა. ისე გაერთვნენ ერთმანეთთან საუბრით, ვერც კი მამჩნევდნენ, თითქოს არც კი ვყოფილიყავი იქ. თუმცა თავად ვგრძნობდი, რომ არ ვიყავი მათი თანამოსაუბრე, ისე, უბრალოდ ვიჯექი და ვუსმენდი, როგორც მაყურებელი მსახიობებს. ყოველთვის ასე მემართება, ხალხი მე კი არ მომმართავს, არამედ ჩემი პარკის ნათელ ზედაპირს. ვის მოუვა თავში აზრად, რომ ჭიის პარკს შეიძლება აზრი გააჩნდეს და მისი გამოთქმის სურვილი ჰქონდეს. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ შუაგულ წარმოდგენაში უეცრად სცენაზე გამოდის ვიღაცა მაყურებელი გასუსული დარბაზიდან. წარმოდგენა ჩაიშლება, მსახიობები აღშფოთდებიან არამკითხე მოამბეზე. არა, არასოდეს მქონია სურვილი სცენაზე შევმხტარიყავი. იუმის მსგავსად არასოდეს მიცდევინებია ვინმესთვის. როგორც წესი, დროზე ადრეც ვცხადდებოდი ხოლმე, მაგრამ არ კი მახსოვს, ვინმეს მადლობა ეთქვას ამისათვის. ნეტა რატომ ვიქცევი ასე? ან ეს სისხლში მაქვს, ანდა ჩემი თავის არ მჯერა.

მუდამ სხვისათვის ვირჯები, ანგარიშს ვუწევ სხვების აზრს და სხვებს ვეხმარები. გამხარებია კი ცხოვრებაში ისე, რომ ვინმესთან დანიშნული პაემანი გადამვიწყნოდა? მქონია ისეთი დაძაბული წუთები, რომ პირობა გამეტეხა? განმიცდია კი ოდესმე ისეთი აღმაფრენა, ისეთი წვა, როცა არად მიჩნევ ირგვლივ მყოფთა აზრს?

ჩემი ქმარი წავიდა. ტაძიმა დარჩა. მგონი, არც აპირებდა წასვლას. რა-ღაც უსიამოვნების მოლოდინი მქონდა. ჭურჭელი ავალაგე. ადგილს ვეღარ ვპოულობდი. სამზარეულოდან ოთახში გამოვდიოდი უაზროდ, ოთახიდან — სამზარეულოში.

— რას დარბიხარ ასე გაუთავებლად? ერთი წუთით მაინც ჩამოჯექი, სტუმრად ხომ არა ხარ?!

ტაძიმა უხეშად ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა მარტონი რომ დავრჩით, ხმაში ცოტაოდენი სითბო შეეპარა და ამან ცოტა დამამშვიდა.

— ატყობ, რა ოჯახის ქალი გავხდი?

— ოჯახის ქალი კი არა, ფუსფუსა გახდი. ეს კი იმის ნიშანია, რომ სულში სიცარიელე გაქვს!

— არაფერიც! საკმაოდ კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით. საიმურასთან თავს კარგად ვგრძნობ, მშვენიერი ქმარია... ასე რომ შეგიძლია ჩემზე არ ინალვლო.

— არ ვიცი, არ ვიცი... რაში მოგეპრიანა ამ პიესის დაწერა — „ჟამი პეპლებისა“. იქნებ იმიტომ, რომ თავად ყველაზე მეტად გინდა პეპელად გადაიქცე? ადექი და გადაიქეცი! ხომ არავინ გიშლის?

— არა, არ ღირს გადაქცევა... ვერაფერიშვილი საქმეა. საიმურას ჭირივით ეზიზღება პეპლები. უეცრად რომ გამაგდოს, სადღა წავიდე?

ძველებურად გავაბით საუბარი. მგონი, მხოლოდ ტაძიმასთან შემეძლო ასე თავისუფლად და უზრუნველად საუბარი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ერთმანეთს გული გადავუშალეთ. იქნებ პირიქითაც იყო. თვითეული ჩვენგანი მალავდა თავის ჭეშმარიტ აზრებს საკუთარი სამყაროს ფსკერზე და შეიძლება ამიტომაც ვმასლაათობდით ასე თავისუფლად. ორივენი თვალისმომჭრელ შუშხუნებს ვისროდით და როცა ეს ეფემერული ცეცხლი ჩაქრებოდა, კიდევ უფრო დიდი წყვიადი ჩამოწვებოდა ხოლმე ირგვლივ.

— მისმინე, ჩვენი სინამდვილე — ეს ხომ მარტო „ერთი ქალაქი“ არ არის და თუ გწყურია, მიირთვი, წყალი იმდენია, თავზე გადაგვდის. რატომ ცდილობ დაირწმუნო თავი, რომ წყალი არ არის?

„ერთი ქალაქი“-ო, რომ ახსენა, ეს ჩემი პიესის სათაურია. ამას წინათ ტელევიზიით გადმოსცეს. ამ ქალაქში ხალხი თავისუფალი იყო ქვეცნობიერების ფსიქოლოგიური აკრძალვისაგან, და რაც სურდა, იმას სჩადიოდა. ამ ქალაქში ჩამოდის კაცი სხვა სამყაროდან და ხვდება ქალს, ადრე რომ უყვარდა. რა წინააღმდეგობაც კი ცხოვრებაში შეხვედრიათ, ამ ქალაქში არ არსებობს. თითქოს კაცს არაფერი უნდა უშლიდეს ხელს, რომ ბედნიერი იყოს. ჰოდა, ისიც ბედნიერია ამ ქალთან. მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს წყურვილმა შეაწუხა. ყელი უშრება, წყლის დალევა უნდა, მაგრამ ვერ პოულობს წყალს. ან ამ ქალაქში წყალს სხვა სახელი ჰქვია, ანდა აქაურები საერთოდ არ სვამენ წყალს... ადამიანები თავისთვის ქირქილებენ, როცა ის წყალს ახსენებს. და რაც უფრო მეტად ცდილობს მათ აუხსნას, რომ წყალი სწყურია, მით უფრო უშრება ყელი. ადმიანები კი იცინიან. ნუთუ ასე სასაცილოა, როცა კაცს სწყურია? ბოლოს და ბოლოს ეს კაცი მიატოვებს ამ ქალაქს, მიატოვებს სატრფოს და თავის ძველ სამყაროში დაბრუნდება ერთადერთი სურვილით — ერთი ყლუპი წყალი მოსვას... მორჩა და გათავდა.

გადმოსცეს თუ არა პიესა ტელევიზიით, კრიტიკა ხელად თავს დამესხა-

მედავებოდნენ. არავითარი ლოგიკა ამ პიესაში არ არისო, და მთელი რიგი მეცნიერული ტერმინები გამოიყენეს ჩემს გასამათრახებლად. რომ სცოდნოდათ, რა უმნიშვნელო ამბავმა დამაწერინა ეს პიესა! სიზმარი ვნახე. მრცხვენია კიდეც მისი გახსენება! მე, მთლად შიშველი, მამაკაცს ვიყავი ჩაკონებული! ხალხი გვიყურებდა, მე კი აინუნშიაც არ ვაგდებდი მათ. ვერ გეტყვით, რამ დამასიზმრა ასეთი სიზმარი. სინამდვილეში ხომ ძალიან მორცხვი ვარ. სიზმარში კი არათუ მრცხვენოდა, არამედ ბედნიერიც ვიყავი. იქნებ ვოცნებობდი კიდეც, რომ ეს სიამოვნება დიდხანს გაგრძელებულიყო. გამომეღვიძა თუ არა, საშინელმა წყურვილმა შემაწუხა. ყელი მიშრებოდა. ყველაფერი გასაგებია; ვახშამი ზედმეტად მარილიანი მომივიდა. თვით ჩემმა ქმარმაც კი, არასოდეს შენიშვნა რომ არ მოუცია, ვახშამი მლაშე მოგსვლიაო, მითხრა. ნამძინარევი ბარბაცით გავედი სამზარეულოში და წყალი დავლიე. ოჰ, რა გემრიელი იყო. როცა საბოლოოდ გამოვფხიზლდი, მივხვდი, რომ ის კაცი რაღაცით ტაძიმას ჩამოჰგავდა. არა, ძილში მე არ ვიცოდი, ვინ იყო ის. მხოლოდ მერე, როცა გამოვიღვიძე, საბოლოოდ ჩავაგონე ჩემს თავს, რომ ის ნამდვილად ტაძიმა იყო.

— მთელი ცხოვრება თავს იტყუებ...

ნუთუ ტაძიმა რაიმეში მადანაშაულებს? თავის დროზე, როცა რჩევა ვკითხე, გავყვე-მეთქი თუ არა საიმურას ცოლად, ცივად მიპასუხა: „მე კი არ ვთხოვდები, არამედ შენ, ჰოდა, თავად გადაწყვიტე... თუმცა შემდგომში კი ხშირად უთქვამს: არ მეგონა, თუ ასე დაუფიქრებლად გათხოვდებოდიო. ამას სრულიად გულარხეინად ამბობდა, არც ხმაში და არც თვალებში წყენის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. იქნებ თავს იკატუნებდა, სინამდვილეში კი ძალიანაც სწუხდა? მინდოდა, რომ ასე მეფიქრა, მაგრამ არავითარი საბუთი არ გამაჩნდა. ალბათ ყველაფერი სულ ადვილად აიხსნება: უბრალოდ ტაძიმასათვის უცხოა ყოველგვარი ადამიანური გრძნობები. თუ ასეა, მხოლოდ სიბრალულის ღირსი ყოფილა. უცნაური კი ის არის, რომ მას მე ვებრალები. ამიტომაც ვიბღინძები რაც შემიძლია. აი, ახლაც ვარწმუნებ, რომ მე აღრფთოვანებული ვარ საიმურათი, როგორც მხატვრით და ადამიანით. საიმურა რბილი და კეთილი ადამიანია, მე კი მუდამ ასეთები მომწონდნენ. არასოდეს ხმას არ აუწევს, ყველაფრის ნებას მაძლევს, დიდი ყურადღებით ეპყრობა ჩემს სამუშაოს. გათხოვების მერე გაცილებით მეტს ვწერ, ვიდრე მანამდე. განა ეს ჩემი ოჯახური სიამტკბილობის დამადასტურებელი არ არის? მოკლედ, საიმურა, მე თუ მკითხავთ, სამაგალითო ქმარია...

მეგონა, დავარწმუნე ტაძიმა, დაიჯერა-მეთქი ჩემი ბედნიერება. მან კი მხოლოდ გაიცინა, ყურიც არ ათხოვა ჩემს ნათქვამს.

— შენ გეშინია, რომ უბედური არ იყო, ამიტომაც თამაშობ ბედნიერი ცოლის როლს, საკუთარ თავთანაც და სხვებთანაც... არ შეიძლება ასეთი ცხოვრება, ახლა რომ გაქვს, გაკმაყოფილებდეს.

ვგრძნობდი, რომ მართალი იყო, ყოველ შემთხვევაში სანახევროდ მაინც, მაგრამ უმალ შევეპასუხე. ტაძიმამ კი კიდევ ერთხელ მატკინა გული; სიგარეტის კოლოფი აათამაშა ხელში, თან ისე გულგრილად მითხრა, თითქო უცხო ადამიანზე ლაპარაკობსო:

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! მე ხომ კარგად ვიცნობ ბიძაჩემს, მისი ამბავი დაწვრილებით ვიცი, ვიცი ყველა საჩოთირო წვრილმანი... გაიგე?

ისე მკვახედ მომახალა, რომ იმ წუთას არც გაკვირვება მიგრძვნია, არც წყენა. ალბათ ისე გავშეშდი, გამოსახულებას რომ გააჩერებენ ტელეეკრანზე. და მაინც ტაძიმას სიტყვები ნემსებივით ჩაესო ჩემს ჭიის პარკს. ჩხვლეტისაგან თავი რომ დამეცვა, მოვიკუნტე ზღარბივით და ორივე ხელით ჩავაფრინდი სიმწრით შექმნილ მყუდროებას, ამ ნაჭუჭში რომ მქონდა მოქცეული და ახლა ლამის დამსხვრეულიყო.

მივხვდი, რაზედაც გადამიკრა სიტყვა ტაძიმამ. მაგრამ მთავარი ეს არ იყო. მე ხომ გათხოვებამდე ვიცოდი ყველაფერი. თვითონ საიმურაც არ მიმალავდა თავისი პირადი ცხოვრების ზოგიერთ მხარეს, ისიც მითხრა, არასოდეს შევზღუდავო შენს თავისუფლებას. მაგრამ მე სულიერი სიახლოვე მინდოდა მასთან, ისეთი სულიერი სიახლოვე, როცა უბრალოდ ვერ იფიქრებ ვიღაც ტაძიმაზე. ჩვენ ხომ ცოლი და ქმარი ვართ. არსებობს კი სულიერი სიახლოვე, თუნდაც უდიდესი ფიზიკური სიახლოვის დროს? თუ ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფია? ვცდილობ ჩავებღაუჭო იმედს, მაგრამ რაც უფრო დაჟინებით ვცდილობ, მით უფრო შორს მიდის ჩემგან...

იქნებ ყველაფერში მე ვარ დამნაშავე? უყურადღებოდ ვეკიდებოდი მეუღლის მოვალეობას და ამიტომაც დავკარგე უფლება ყოველგვარ სიახლოვეზე ქმართან. მაშ ერთი რამ მრჩება—მხოლოდ საკუთარი მე, და ისიც სასიკვდილოდ განწირული.

მგონი, ტაძიმა მიხვდა, რომ მოუკრეფავში გადავიდა. ჩუმად იჯდა, ცდილობდა თვალებში არ შეეხედა ჩემთვის.

— რატომ მოდიხართ ჩვენთან? იქნებ ერთობი ჩვენი შემხედვარე?

— არა, არა! ალბათ ვერ გაიგებ, რა მემართება, მაგრამ...

დაძაბული ველოდი, რას იტყოდა. მომეჩვენა, რომ ჩვენ შორის ბოლოს და ბოლოს ბილიკი გაიკვალა, ძაფივით წვრილი ბილიკი...

ამ დროს ვიღაცამ ბრახა-ბრუხი აუყენა კარებს, ასაის ხმა გავიგონე:

— საიმურა-სან! უბედურებაა! გევედრებით, გამიღეთ კარი!

შემოსასვლელში გავვარდით, გავაღეთ კარი. ასაის აღელვებისაგან ენა ებმოდა:

— მარი პეპელად გადაიქცა... წამით მივბრუნდი, ჰოდა, გადაიქცა...

არ ვიცოდი, რითი დამეწყნარებინა უბედური. ოთახში შევყევით. პეპელას ძებნა არ დაგვჭირებია, უმალ დავინახეთ.

— ასაგიმადარად გადაიქცა! ხედავთ, რა ლამაზია... — ასაის პირისახე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გაუნათა.

ასაგიმადარა, ზუსტად ისეთი, პეპლების კოლექციაში რომ ვნახეთ ცოტა ხნის წინ, მსუმბუქად დაფარფატებდა ჰაერში. მზის შუქზე მისი საუცხოო ფრთები ელვარებდნენ. ნამდვილად ლამაზი იყო. ერთხანს გაოცებული ვიდექით, გვატკბობდა მისი სილაღე და უზადოება.

ასაი თვალს არ აშორებდა.

— გადასარევია! რა მშვენიერია! ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მარი შეიძლებოდა ასეთი მიმზიდველი ყოფილიყო...— ბუტბუტებდა იგი.

— ამბობენ, ყველა ქალი კუდიანიაო, მაგრამ...— ჩემსკენ მობრუნდა ტაძიმა.

ყურადღება არ მივაქციე.

კიდევ ერთი ქალი, კიდევ ერთი ცოლი გადაიქცა პეპელად.

ჩამავალი მზით განათებული, აყვავებული მინდვრის შუაგულში ვდგევარ. ირგვლივ პეპლები დაფარფატებენ. ათასობით, ასი ათასობით. რაღაც ხმაურობს ჩემს არსებაში, თითქოს ზღვის მოქცევაა... გავიტრუნე, რათა ტაძიმას არ გაეგონა ეს ხმაური... აღფრთოვანება, ის შორეული, ბავშვობაში განცდილი აღფრთოვანება... არა, არა, ის არასოდეს განმეორდება... მაგრამ რაღაც იმის მსგავსი მეუფლებოდა.

ჩვენი იქ ყოფნა სულ გადაავიწყდა ასაის და ოთახში სირბილს მოჰყვა, პეპელას დასდევდა. ხმა რატომღაც ჩაეხრინწა, სიტყვა უწყდებოდა, თითქოს ვნებისაგან იხრჩობაო.

— მარი, მარი!..— იმეორებდა ასაი,— ჩემო ძვირფასო, ყველაფერი გავიგე, შენ მართალი ხარ, მართალი! ოღონდ არ მიმატოვო, არ გამიფრინდე, გევედრები! მე არ შემიძლია უშენოდ, ახლა აღარ შემიძლია!..

მე და ტაძიმა უხმოდ გამოვედით და კართან გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. ცოტა ხნის წინ მარტო დარჩენას ვნატრობდი, ახლა კი ჩემს გამოცარიელებულ ბინაში შევედი თუ არა, საშინელი ნაღველი შემომაწვა. გათხოვებამდე ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდი. მახსოვს, ერთხელ მარტო რომ დავრჩი, მაშინაც ასე მომეძალა ნაღველი. ტაძიმა გავაცილე თუ არა, შინ შევედი. მაგიდასთან დავეჯექი და თავი პირდაპირ ხილის ნარჩენებში ჩავრგე. მწარედ ავქვითინდი. იმის თავიც არ მქონდა ჭურჭელი ამელაგებინა. ერთი რამ მინდოდა მხოლოდ — ტირილი. ჩემი თავი მებრალებოდა და გამოსავალს რომ ვერ ვხედავდი, იმად ვტიროდი. ტაძიმა ახლაც ისე წავიდა, მოკარება ვერ გაბედა. რამდენჯერ მიფიქრია, პირველ ნაბიჯს, თვითონ გადავდგამ-მეთქი, მაგრამ ვერა და ვერ გადამეწყვიტა. ეტყობა, მხოლოდ ძილში ვარ გაბედული და თავისუფალი. რა მაკავებს ასე, რა მიბორკავს ხელებს ისე ძლიერად, რომ განძრევასაც ვერ ვახერხებ?

უცებ ტაძიმას ნათქვამი გამახსენდა: „იქნებ ვერ გაიგო, რა მემართება, მაგრამ...“ არასოდეს ულაპარაკია ასე დაფიქრებულს. ჯობდა კი, რომ სულაც გაჩუმებულიყო. ახლა რაღა დროსია, მე საიმურას ცოლი ვარ და მხოლოდ მას შეუძლია ჩემი შველა. ტაძიმა ლაჩარია. ოდესღაც ვოცნებობდი, ამ ჭიის პარკიდან გამომიყვანს-მეთქი, მაგრამ მან არ ჰქნა ეს. მხოლოდ იმის გამბედაობა ჰყოფნის, მწარედ მიჩხვლიტოს, სწორედ იქ ჩაასოს ნემსი, სადაც ყველაზე სუსტია პარკი. ძალიან ადვილია, გული ატკინო ადამიანს გართობის ან ცნობისმოყვარეობის მიზნით — მოდი, ვნახავ, რა იქნებაო, ანდა სულაც უსაქმურობისაგან. სიყვარული აქ არაფერ შუაშია... ვიგრძენი, რომ ისევ ჩემი ჭიის პარკით დავისაქმე. ვაახლებდი და ხელახლა ვამაგრებდი მას. მინდოდა, ახალი, უფრო მტკიცე გარსი შემექმნა, ახლად მიღებული ჭრილობა რომ დამემალა და საიმედოდ შემენიღბა. ნუთუ სხვანაირად ვერ ვპოვებ სულიერ სიმშვიდეს? ნუთუ ამ ჭრილობების გამო ეს ნაჭუჭი მუდამდღე უნდა განვაახლო? ნუთუ არ მიწერია თავისუფლად განავარდება? არ მიწერია პეპელად გადაქცევა და წმინდა, ნათელი სიხარულის შეგრძნობა? ამ სახიფათო ფიქრებისაგან რომ დამეღწია თავი, უფრო მეტი მონდომებით შევუდექი ჭიის პარკის გამაგრებას.

*
* *

აგვისტოს ბოლო იყო, სიცხე კი არ კლებულობდა, ყოველდღე ოცდაათ გრადუსზე მეტი იყო, წვიმას, ეტყობა, სულაც არ აპირებდა. ამბობენ, ასეთი სიცხე ოთხმოცი წელია არ ყოფილაო.

თითქმის არსად არ დავდიოდი. მთელი დღეები შინ ვიჯექი, მაგრამ ჩემამდე აღწევდა ხმები, რომ თითქმის ყველა ცოლი ჩვენს სახლში პეპელად იქცა. გარეთ არ გავდიოდი, რადგან ვშიშობდი, რომ ერთნი თანაგრძნობით შემხედავდნენ, მეორენი გამკიცხავდნენ. ხალხი დაიწყებდა ლაპარაკს: „შეხედეთ, აი ქალი, ვინც პეპელად არ გადაიქცა!“

— რატომ არ გადაიქეცით პეპელად? თქვენი პრინციპების გამო?..

— სამსახური გიშლით ხელს? შეუძლებელია წერდე და თანაც პეპელას ცხოვრებით ცხოვრობდე...

— არასოდეს გდომებიათ, რომ პეპელად ქცეულიყავით?..

გათხოვებამდეც საკმაოდ ხშირად მაძლევდნენ საჩოთირო შეკითხვებს:

— რატომ არ თხოვდებით?

— თქვენ გადაჭრით წინააღმდეგი ხართ ქორწინებისა?

— რა არის თქვენთვის უმთავრესი — მუშაობა თუ გათხოვება?..

— ნუთუ სულ არ გინდათ გათხოვება?

ახლა კი თვითონ ვეკითხები ჩემს თავს: მართლაცდა რატომ მე არ გადავიქეცი პეპელად?

ჩემს თავს მევე ვპასუხობ: იმიტომ, რომ მე ვარ მე! მე ქალი ვარ და არა პეპელა. თუმცა ვარ კი ნამდვილი ქალი? — აი ეს მაწუხებს ყველაზე მეტად. ყველა ხომ თავისუფლად და უბრალოდ ცხოვრობს, მხიარულობს, დაფრინავს. არა, მე ქალი არა ვარ! ამის ბრალია, ამდენი ბოლმა რომ დამიგროვდა, გამბედაობა რომ მაკლია და შებოჭილი ვარ. ჩემი ქმარი კი დამცინის, ნერვები გლალატობსო.

— რატომ უნდა გადაიქცე პეპელად?.. მე თუ მკითხავ, როგორიც ხარ, ისეთი მომწონხარ... შენ მოთმინებით და გულმოდგინედ აკეთებ შენს საქმეს, გონიერი ქალი ხარ... რა თქმა უნდა, მესმის, რაც გაწუხებს, მაგრამ ამაზე ხომ მოვილაპარაკეთ — შენ შეგიძლია თავისუფლად მოიქცე. მე ხომ ამისთვის არ შეგირთე ცოლად. უბრალოდ ვიფიქრე, ოჯახური ცხოვრება სულიერად დაგამშვიდებდა. თუ ჩემთან ცხოვრება არ გინდა, კი ბატონო, გაყევი ცოლად ვინმე სხვას, მე წინააღმდეგი არ ვიქნები. ხოლო თუ გინდა, იყავი ჩემი ცოლი, კიდევ ერთხელ გიმეორებ — შენს თავისუფლებას არ შევზღუდავ. ასე რომ რაღაც ილონე, მუდამ ასე ხომ არ იქნები!

ამის მერე ორმოცფეხას ამბავი მომიყვა, სულიერად რომ ყოფილა დაავადებული; რომელიღაც წიგნში წაუკითხავს.

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი ორმოცფეხა. დადიოდა, დახტოდა უზრუნველად. მაგრამ ერთხელ ჩაფიქრდა, რომელი ფეხი უნდა გადავდგაო პირველად, იწრიალა და იმდენი ჰქნა, რომ ზურგზე გადაყირავდა და მოჰყვა საცოდავად ფეხების ქნევას.. ახლა შენ ძალიან ჰგავხარ მას.

გაცინებას ვინ ჩივის, არც კი გამელიმა. საიმურა მართალია, ოღონდ ორმოცფეხა კი არა, მატლი ვარ, დაჟინებით რომ ცდილობს თავისი პარკიდან გამოძრომას. ალბათ პარკის მოქსოვის მეტი არაფერი მეხერხება. რატომდაც ძალიან ვცდილობ ნაიარევი უცხო თვალს მოვარიდო. ვერავინ ვერასოდეს დაინახავს, როგორ ვეწამები სქელი კედლების მიღმა. შემიძლია ვიყვირო, სამველად ვუხმო, მაგრამ სულ ერთია ვერავინ გაიგონებს.

ამ ბოლო ხანებში საიმურა გვიან ბრუნდება შინ. შემოქმედებით აღმაფრენას განვიცდიო, და გვიანობამდე სახელოსნოში რჩება. ძალების მოზღვავებას გრძნობს. ადრე ასეთი რამ არ მოსვლია. ალბათ ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა მთელი სულითა და გულით მუშაობს. მაგრამ... მარტო მუშაობაშია საქმე?

საღამოობით მარტო ვზივარ, ველოდები, როდის დაბრუნდება საიმურა. არც სურვილი მაქვს და ღონეც არ მყოფნის. ყურებში იმ გოგონას გულუბრყვილო, წკრიალა სიცილი მესმის. იუმი... თვალწინ პეპლები დაფარფატებენ. ასაგიმადარები... პეპლები... როგორ არ ვეცადე, ვერაფრით ვერ დავაღწიე თავი. ცოტა მაინც რომ დამევიწყებინა ყველაფერი, სმა დავიწყე და ნელ-ნელა მივეჩვიე კიდეც. ვისკი საზიზღრობაა, მაგრამ როცა ვსვამ, კარგ გუნებაზე ვდგები. პარკის ძაფები ნელ-ნელა იშლება, ვთავისუფლდები, ფიზიკურ და სულიერ სიმსუმბუქესა ვგრძნობ. საოცარი გრძნობაა თავისუფლება! ასე მგონია, ყველაფერს შევძლებ, რა ბედენაა პეპელად გადაქცევა... საკმარისია ხელი გავიწოდო და აბრიალებულ, ცისარტყელასავით აელვარებულ ბედნიერებას შევეხები...

არც შემიმჩნევია, როგორ დადგა და მიილია სექტემბერი. ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. პიესა ვერა და ვერ დავწერე. ხანდახან ავიღებდი რვეულს, ზედ ეწერა „ჟამი პეპლებისა“, ვატრიალებდი ხელში და ხმამაღლა ვიმეორებდი ამ ორ სიტყვას. ნეტა ვიცოდე, რის დაწერას ვაპირებდი მაშინ? როგორც მახსოვს, შეუდარებელი რაღაც უნდა გამოსულიყო.

ერთ დღეს, მზე რომ ჩავიდა, ჩვეულებრივზე მეტად აცივდა და საიმურა შინ ადრე დაბრუნდა. დაინახა, რომ ვისკის ვსვამდი და მოიღუშა.

— გეყოფა სმა, შენ უკვე მთვრალი ხარ!— ჭიქის გამორთმევა უნდოდა.

— თავი დამანებე!.. ჯობია წყალი მომიტანო.

პირველად გავუწიე წინააღმდეგობა, თითქმის ვუბრძანე. ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, მაგრამ ხმისამოუღებლად გავიდა სამზარეულოში წყლის გამოსატანად.

ცოტაც, სულ ცოტაც და მბრწყინავი, კამკამა ბედნიერება... აი ახლა, ახლა... უკანასკნელი ძაფიც გაწყდება და... არა. არ გამოდის. კიდევ არის საჭიროა... რა არის საჭიროა? აჰ, ჰო! კიდევ უნდა დავლიო... სულმოუთქმელად დავცალე ჭიქა. ცეცხლივით მოედო სითხე ძარღვებს, სისხლი ამიდუღა, ამიჩქროლა და გულმა მიგრძნო, ამ ღამეს რაღაც უნდა მომხდარიყო.

ტელეფონმა დარეკა. გაკვირვებულმა ყურმილი ავიღე და იუმის ხმა შემომესმა. ეტყობა, რესტორნიდან რეკავდა, მუსიკა უკრავდა და მხიარული ხმები ისმოდა. როგორ მიაგავს ათასობით პეპელას ფრთების შრიალს! ამ მსგავსებამ შემაცბუნა, გავშეშდი და ხმის ამოღება ვერ მოვახერხე.

— ვინ არის ამ შუაღამისას?

მაგრამ მე არაფრის თქმა არ შემეძლო, თავს ვაქნევდი მხოლოდ. ქმარმა ყურმილი გამომართვა.

— ალო! ვინ ლაპარაკობს!.. აჰ, ეს შენა ხარ, იუმი?.. რას სულელობ! რატომ არ დამიჯერე! მე ხომ გთხოვე, შინ ადრე წასულიყავი და დაგეძინა... თუ იცი მაინც, რომელი საათია?

ეტყობა, რაღაცას თხოულობდა, საიმურა უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს მაინც დაუთმო.

— კარგი, ახლავე მოვალ. დამელოდე, არსად წახვიდე.

ყურმილი დაკიდა და კარადიდან ლაბადა გამოიღო.

— ხათაბალა შეიქნა ეს გოგო!

— მიდიხარ?

— ასე გამომიცხადა, თავს მოვიკლავ, თუ ახლა არ მოხვალო.

— რა სისულელეა! ის ხომ უბრალოდ დაგცინის.

— არა, მას მართლა შეუძლია თავი მოიკლას.

— მაშინ ხელს რატომ უშლი, თუ ასე ძალიან უნდა!

საიმურამ გამკიცხავი თვალებით გადმომხედა:

— როგორ არა გრცხვენია?

— თუკი მე გთხოვ, რომ არ წახვიდე!

— რა დაგემართა ასე უეცრად? განა იუმისთან ჩემი ურთიერთობა ასე გაღელვებს? მშვიდად იყავი, მე მას შინ მივიყვან და მალე დავბრუნდები.

ლაბადა ჩაიცვა და წავიდა.

„რა დაგემართა ასე უეცრად...“ რა შესანიშნავი კითხვაა! და თუკი მართლა რაღაც დამემართა? იქნებ ახლა საიმურა მე უფრო მჭირდება, ვიდრე იუმის, ვიდრე ვინმე სულიერს ამ ქვეყანაზე?! ნეტავ რას იზამდა, თავს მოვიკლავ-მეთქი, რომ მეთქვა! უეჭველია, არც დამიჯერებდა, არც არავინ დამიჯერებდა. მე ხომ ისეთი ქალი ვარ, ვისაც ყველაფერი ესმის. ასეთი ქალი კი დაუფიქრებელ ნაბიჯს არ გადადგამს. ღირს კი მისი გულისათვის რომ იღელვოს ადამიანმა? ქალს ყველაფერი რომ ესმის, არც ეწყინება და არც გაჯავრდება, თუნდაც ძალიან ატკინონ გული. იგი ნავღელსაც მოერევა და ბოღმასაც. ქალს, ყველაფერი რომ ესმის, ადვილად მიატოვებ — ერთი საათით ან სამუდამოდ. არავითარი სინდისის ქენჯნა... ამიტომაც არის, ჩირადაც რომ არ მაგდებენ, არავინ ეკიდება ჩემს გრძნობებს გულისხმიერად. ჩემნაირი ქალი უნდა ინატროს ყველამ. და საერთოდ, რას ნიშნავს — ქალი, ყველაფერი რომ ესმის? მუხლუხოა და მეტი არაფერი, შეუმჩნეველი მუხლუხო. ზის თავისთვის კუთხეში და არავის აწუხებს. ერთადერთი მოვალეობა აკისრია — ჩუმად იყოს და ითმინოს. მას ხომ არ შეუძლია გარშემო მყოფთა აფორიაქება.

ხელში ვისკით სავსე ჭიქა მეჭირა. სავარძელში მოვიკალათე და ნელა, რამდენიმეჯერ წავიმღერე:

— თავს მოვიკლავ! თუ ნახევარ საათში არ დაბრუნდები...

— თავს მოვიკლავ!.. თუ შენ არ გეყვარები...

— თავს მოვიკლავ!.. აი ნახავ, აუცილებლად თავს მოვიკლავ...

რაღაც ყრუდ გაისმოდა ჩემი ხმა. მარტო ვიყავი ოთახში. მარტო ვიყავი მთელ სახლში და მთელ ქვეყანაზე. ვერც კი შევამჩნიე, როგორ ავტირდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

მოსაცდელში ზარმა რომ დარეკა, უკვე ლოგინში ვიწექი. ძლივს მივბარბაცდი კარებთან, გამოვაღე და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მეგონა, ქმარი დაბრუნდა-მეთქი, ზღურბლზე კი ტაძიმა იდგა.

მაგრამ, ეტყობა, ტაძიმა ჩემზე მეტად იყო გაკვირვებული. რატომღაც უკან დაიხია და ისეთი გაოცებული თვალებით ამათვალ-ჩამათვალიერა, თითქოს პირველად მხედავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო. მეგობართან ყოფილიყო, ბანქო ეთამაშა, პირწმინდად წაეგო, რაც გააჩნდა, და ახლა ჩვენთან ფულის სასესხებლად შემოიარა, რომ მანქანა მაინც ექირავა. გარეთ ციოდა. ტაძიმა, ეტყობა, გათოშილიყო და შინ შემოვიპატიჟე.

ცოტა შექეიფიანებული იყო, მაგრამ გახსნილი ვისკის ბოთლი რომ დაინახა, დაისხა თავისთვის და სულმოუთქმელად გადაკრა.

ბიძაჩემი არ არის?

— წავიდა. იუმიმ დაურეკა, თავს მოვიკლავო, და ისიც გაქანდა, თითქოს სასწრაფო დახმარების მანქანა იყოს.

— „სასწრაფო დახმარების მანქანა“! კარგია...

ტაძიმამ გაიცინა, მაგრამ რატომღაც შემაშინა ამ სიცილმა.

— იცი, ძალიან გამიკვირდა, კარი რომ გამიღე. ვიფიქრე, ეგ არის და პეპელად გადაიქცა-მეთქი! ალბათ შენმა ჩაცმულობამ მაფიქრებინა.

ახლაღა შევამჩნიე, რომ გამჭვირვალე ღამის პერანგის ამარა ვიყავი.

— მაპატიე, გეთაყვა. ახლავე ჩავიცვამ. ცოტა დავლიე, გესმის, და აი...

— შენ რა მთვრალი ხარ?! აი, ახალი ამბავი!

ნაღვლიანი ვნების ანარეკლით გაცისკროვნებულ ტაძიმას თვალებში ელვა გაკრთა. უდიერად მათვალიერებდა, თითქოს უნდა რაღაცაში დარწმუნდესო, მერე მითხრა:

— გახსოვს, ერთხელ გამოფენაზე ვიყავით, ერთი პეპელა იყო იქ, არ მახსოვს, რა ერქვა, აი, დიდი, ცისფერი პეპელა... მარტო სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობს...

ჩემს გათხოვებამდე იყო ეს. როგორღაც მე და ტაძიმა გამოფენაზე წავედით. გამოფენა „მსოფლიოს პეპლები“ ერთ უნივერსალურ მაღაზიაში იყო მოწყობილი. დარბაზის შუაგულში უზარმაზარი ცისფერი პეპელა ეკიდა. კაცი იფიქრებდა, აი ახლა გაფრინდებაო, ისე ჰგავდა ცოცხალს. ვერ დამეჯერებინა, რომ დედამიწის ზურგზე შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი პეპელა. დიდხანს ვიდექით მის წინ, ვტკბებოდით მისი ცქერით და ოცნებით ჩვენთვის უცნობ სამყაროში დავქროდით.

— სადმე ულრან ტყეში რომ ასეთი პეპელა შეხვდეს კაცს, თავბრუს დაახვევს,— იხუმრა ტაძიმამ მაშინ.

საძინებელ ოთახისაკენ გავემართე, რომ გადამეცვა ტანზე. საწოლს მივუახლოვდი, მაგრამ ამ დროს ტაძიმამ ხელები მომხვია მხრებზე. მივტრიალდი და სულ ახლოს დავინახე მისი სახე.

— ჩემო პეპელავ!..

ტაძიმამ მაგრად ჩამიკრა გულში და იატაკზე წამაქცია, თუმცა საწოლთან კი ვიდექით. წინააღმდეგობა არ გამიწევია. ჩემი საწოლი საერთოდ ძალიან დაბალია, მაგრამ ახლა, პირდაპირ იატაკზე რომ ვიწექი, ოთახი ისე შეცვლილი მომეჩვენა, რომ ძლივს ვიცანი. საღლაც გაქრა შეჩვეული, კუთხე-კუნჭულებიანად ნაცნობი ოთახი. მაგიდის ნათურის შუქი უცნაურ ჩრდილებად გაფენილიყო ჭერზე. საღლაც, დედამიწის წიაღში ჩავიძირე და იქ, იმ უძირო უფსკრულში იყო ტაძიმა. მოუთმენლად ვეძებდით და ვპოულობდით ერთმანეთს. მგონი, ოდესღაც უკვე გამოვცადე ეს, თან ერთხელ კი არა, ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ... ნუთუ სიზმარში?..

როცა ტაძიმას ხელები ჩემს ღამის პერანგს შეეხო, ოდნავ დავხუჭე თვალები და... ირგვლივ აბიბინებული მდელო დავინახე, ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინებული. ამ თვალისმომჭრელ ელვარებაში, დაისის ამ ხანძარში უთვალავ პეპელას ვხედავდი. აი, ახლა ყველა ერთად აფარფატებდა, აი, ახლა... შორიდან ხმაური გაისმა, თითქოს საღლაც დიდი ცეცხლი დაანთესო, მაგრამ მეორე წამს მისი ალი უკვე მე შემომეგზნო, მხურვალე, მწველი, ყოვლის შთანმთქმელი ალი... უნებურად წამოვიყვირე, თან ტაძიმას ვნებიან ალერსს ვეძალებოდი. და მაშინვე უკანასკნელი ძაფიც გაწყდა, ჩემს ჭიის პარკს რომ მაკავშირებდა. გაქრა ენით აუწერელი სიმძიმე, და მე გავთავისუფლდი. გავთავისუფლდი!.. ჩემი სხეული ახლა დამოუკიდელად არსებობდა, არც გონებას ემორჩილებოდა, არც ნებისყოფას და ტაძიმას სხეულის რიტმს აყოლილი მიცურავდა. თითქოს ხმაც შემეცვალა, სლუკუნს თუ კვნესას დაემგვანა. თავშეუკავებელი აღტყინების წუთებში ვგრძნობ, როგორ იცვლება ჩემს არსებაში ყველაფერი. მღელვარებისაგან გაქვავებული კუნთები მომიდუნდა, კანიც უფრო მოქნილი გახდა, სისხლი შადრევანივით ჩქეფდა ძარღვებში და როცა უკვე გრძნობას ვკარგავდი, ფრთები გამომესხა, მეგონა, ახლა მხოლოდ ფრთები ვარ-მეთქი. ფრთები კი თანდათან იზრდებოდა, ფართოდ გავშალე და ტაძიმა ჩავიკონე, ისინი თრთოდნენ, თრთოდნენ დაუსრულებლად. ბედნიერი ვიყავი.

როცა ყოველივე აღსრულდა და ტაძიმა ჩემს მკერდზე გაინაბა, მე მას ფრთები შემოვახვიე მჭიდროდ. მან ხომ ყველაფერი გააკეთა, რომ პეპელად გადავექციე. გაუბედაობის გრძნობა დამეუფლა, თითქოს ზამბარებიან იატაკზე ვადგამდი ფეხს, მინდოდა რაიმეს ჩავჭიდებოდი... და უცებ მივხვდი: მე ხომ მივფრინავ! ამიტომაც იყო, რომ ოთახი ასე არამყარი, მოძრავი მეჩვენებოდა. მთელი არსებით შევიგრძენი ფრენის სიამოვნება და ლაღად ავფარფატდი ჰაერში. თავისუფლება!... ალბათ გარკვეული დროა საჭირო, ჩემს ახალ მდგომარეობას რომ შევეგუო.

— შემომხედე! როგორც იქნა, პეპელად გადავიქეცი!.. ხომ მართლა ლამაზი ვარ?

ტაძიმა საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო და დაბნეული მიყურებდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ სულ ცოტა ხნის წინ ეს მამაკაცი თავშეუკავებელ ვნებას მისცემოდა. ჩემი განადგურება უნდოდა, მაგრამ მე გავიმარჯვე. ნახევრად გამჭვირვალე ცისფერი ფრთები ფართოდ გავშალე და ტაძიმას ზემოთ გავინავარდე, თითქოს სიხარულის დაულეველი წყარო იყო ჩემს არსებაში, ვიცინოდი, ვტიროდი და გაუთავებლად ვიმეორებდი:

— პეპელა ვარ!.. პეპელა ვარ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეულზე ისევ ალმური ამდიოდა.

— მომეხვიე!.. მაჩუქე სიხარული...

ტაძიმა წამოდგა. შეეცადა ლოგინში ჩავეწვინე.

— დაწყნარდი! შენ ხომ მთვრალი ხარ!

— არ მინდა! მე თავისუფალი ვარ! პეპლები არასოდეს წვანან წყნარად!— გადასაფარებელი გადავიძრე და საწოლიდან გამოვძვერი.

როცა ფრთები გავშალე და ტაძიმას მოხვევა დავუპირე, ისე შეეშინდა, რომ შემეცოდა კიდეც.

— მაპატიე, დამნაშავე ვარ... დე ჩვენში დარჩეს, რაც ახლა მოხდა... ნურავის მოუყვები, კარგი? ეს ხომ არაფერია, სრულიად არაფერი. ხვალ ყველაფერი დაგვავიწყდება...

ეს სულელური სიტყვები წაიბურტყუნა და წავიდა. არა, კი არ წავიდა, გაიქცა.

როგორც კი მარტო დავრჩი, ოთახი ყინულის უდაბნოდ იქცა. ნეტა სად გაქრა ოქროსფერი ნათება? ვიგრძენი, რომ შემამცივნა.

ცივა, საშინლად ცივა... კი მაგრამ რატომ ჰქონდა ტაძიმას ასე ნაღვლიანი სახე? იქნებ იფიქრა, პეპელად რომ გადაიქცა, ჩემგან გაფრინდებაო? ეჰ, სულელი, სულელი!.. მაგრამ არა, ასე არ არის. მან თქვა, რომ დამნაშავეა ჩემს წინაშე და რომ ხვალვე ყველაფერი დამავიწყდება. ეს უკვე მეტისმეტია! როგორ გაბედა მარტო დავეტოვებინე და წასულიყო!.. არა, მე არ შემიძლია, არ შემიძლია სიხარულის გარეშე!

დიახ, ახლა უკვე ვეღარ შევძლებ სიხარულის გარეშე, სითბოსა და სინათლის გარეშე სიცოცხლეს. მე ხომ აღარა მაქვს ჩემი ნაჭუჭი, დარდისა და სიცივისაგან რომ დამიფარავდა.

ძალა მოვიკრიფე, ფრთები ავიქნიე და ოთახში ავფარფატდი. არ შემეძლო ერთ ადგილზე გაძლება.

სინათლე მინდა! ცხელი, გამათბობელი სხივები! ოჰ, მაჩუქეთ სიხარული! ნუთუ არავინ მოიძებნება, სიხარულს რომ მაჩუქებდეს! ცივა, ცივა!..

ნეტავ რატომ მცივა? მე ხომ ახლახან ხელახლა დავიბადე ახალი ცხოვრებისათვის, სწორედ იმ ცხოვრებისათვის, რისთვისაც ამდენი წელი ვოცნებობდი. მე პეპელა ვარ, პეპელა! მაგრამ სადაა სიმსუბუქე, ნაზი ფერები?

სამყარო ისევ მოსაწყენია, და მეც ისევ მარტოდმარტო ვარ ამ პირქუშ სამყაროში. იქნებ იმიტომ, რომ ახლა ღამეა?

გათენდება და ყველაფერი კარგად იქნება. განთიადის ნაზი ციაგი, მზის თბილი სხივები ახალ ძალებს შემმატებენ, ღამე კი ყველას ძინავს. პეპელამაც უნდა დაიძინოს. ფრთები უნდა დაკეცოს და სადმე, ჩრდილში მოიკალათოს. ნეტავ რანაირ სიზმრებს ხედავენ პეპლები? ძილში თუ უთრთით ფრთები, ისე თითქოს რაიმეს ელოდნენ, რაიმეს მოითხოვდნენ?.. რა თქმა უნდა, უზრუნველი ძილის დროსაც კი პეპელას სიხარული სწყურია, კაშკაშა სინათლეზე და თვალისმომჭრელ ფერებზე ოცნებობს. უეჭველია, ცეცხლი დილით აგიზგიზდება და მეც ამაგზნებს. ხვალიდან ახალი ცხოვრება დაიწყება და მაშინ...

ეპილოგი

კონტინენტზე ჰაერის წნევამ საგრძნობლად აიწია და ცივი ჰაერის ნაკადი იაპონიაში შემოიჭრა. სუსხიანი დილა იყო. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ასეთი სიცივე სექტემბრის ბოლოს არასოდეს ყოფილა. კენკიტი საიმურას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ასე სკამზე მჯდომარეს შემოათენდა.

გუშინ, შუალამისას, სახლში რომ დაბრუნდა, მისი მეუღლე სატოკო იატაკზე იწვა, ღამის პერანგი ნახევრად გაეხადა.

ქმარი დაინახა თუ არა, წამოხტა და შეჰყვირა: „მომეხვიე, გეთაყვა, მაჩუქე სიხარული!“ საიმურამ იფიქრა, სატოკო მთვრალიაო, მაგრამ ცდებოდა. ქალის უაზრო თვალები სადღაც შორს იყურებოდნენ, სატოკო ერთსა და იმავეს იმეორებდა: „მე პეპელა ვარ!.. მე პეპელა ვარ!..“ ეჭვი აღარ იყო, რომ ჭკუაზე შესცდა.

საიმურამ ნაცნობ ექიმს დაურეკა, მოეთათბირა და გადაწყვიტეს საავადმყოფოში მოეთავსებინათ. მართალია გვიან იყო, მაგრამ ექიმი თავად მოვიდა სატოკოს წასაყვანად. თან მოწყალების და ახლდა. საიმურამ ცოლს სთხოვა, რამე გადაიცვიო ტანზე, მაგრამ იგი გაჯიუტდა, არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა. ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდნენ ღამის პერანგის ამარა წაეყვანათ. მერე საიმურა შინ დაბრუნდა.

ბოლო დროს საიმურა ამჩნევდა, რომ სატოკო აფორიაქებული იყო, მაგრამ დიდი ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის. ახლა მწარედ ნანობდა, რომ დროზე არ მიხედა. საიმურა ცოლის საწერ მაგიდას მიუახლოვდა და იქიდან სქელი რვეული აიღო.

ყდაზე ეწერა: „ჟამი პეპლებისა“. ფრიოდე თვის წინ სატოკომ უთხრა, პიესას ვწერო. ნეტავ რა გამოუვიდა? გადაშალა და გაოცდა, როცა პიესა ან თუნდაც მისი გეგმა ვერსად ნახა; გვერდები გაჭედილი იყო სატოკოს ფაქიზი ხელნაწერით. იქნებ პიესის ნაცვლად რომანს წერდა?

აქამდე საიმურა ფიქრობდა, ცოლის საქმიანობაში არ უნდა ჩავერიოო, მაგრამ ახლა გადაწყვიტა წაეკითხა მისი ნაწერი. იქნებ ხელნაწერმა აუხსნას ავადმყოფობის მიზეზი. ხელნაწერი დღიურს უფრო ჰგავდა, ვიდრე რომანს. რაღაც უცნაური ნაწერი იყო, ავადმყოფური, სადაც სინამდვილე და შმაგი წარმოსახვა ერთმანეთში გადახლართულიყო. საიმურა გაოცებული იყო, რა დაჟინებით უწერია სატოკოს ეს აბდაუბდა.

რაც უფრო მეტს კითხულობდა, მით უფრო ეუფლებოდა გაოცება. ტაძიმა გუშინ საღამოს ვერ იქნებოდა აქ. ტაძიმა ბარში იყო, სადაც საიმურა გაემართა მას შემდეგ, რაც იუმიმ დაურეკა. ტაძიმა ძალიან დაბნეული იყო და ამბობდა, იუმიმ იმდენი დალია, ვერაფრით დამიწყნარებიაო. როგორც იქნა, დაიყოლიეს და შინ წაიყვანეს. საიმურა აღარ დაყოვნებულა, მაშინვე შინ დაბრუნდა.

ეტყობა, ტაძიმას ამბავი მოგონილი იყო, ავადმყოფური წარმოსახვისა და ხორცშეუსხმელი ოცნების ნაყოფი. საიმურამ თითქმის არაფერი იცოდა სატოკოსა და ტაძიმას ურთიერთობაზე, მაგრამ მშვენივრად იცოდა თავისი ნათესავის ხასიათი — ტაძიმას არ შეეძლო თავდავიწყებული სიყვარული. თუკი ტაძიმას სატოკო ეყვარებოდა, საიმურას არ უნდა შეერთო იგი ცოლად. რა

ბრიყვულად, რა მწარედ დასრულდა ყველაფერი! მას გულწრფელად უნდოდა ეს ქალი ბედნიერი გაეხადა, ეს მარტოსული, გაუბედავი, მუშაობისაგან გატანჯული ქალი, ისეთ საქმეს რომ შესჭიდებოდა, რაც მის გულს არ ეკარებოდა, თავის უნარს უნიჭო პიესების წერაში ფლანგავდა და გაწამებული იყო არსებობისათვის ყოველდღიური ბრძოლით. უნდოდა უზრუნველი ცხოვრება შეექმნა მისთვის, სიმშვიდე, ჩუმი სიხარული მიეცა, ამხელა ტკივილი კი მიაყენა. გარეგნულად სატოკო მუდამ უზრუნველი და ცხოვრებით კმაყოფილი ჩანდა. მშვიდად ეძინა ღამღამობით მის მკერდზე. არასოდეს მეტი არ მოუთხოვია. ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ამ თვინიერ, მოკრძალებულ ქალს ასეთი დიდი ვნება ტანჯავდა; როგორც ეტყობა, წლების განმავლობაში მარტო ცხოვრებამ მიაჩვია თავისი დარდის გულში ჩახვევას, იყო თავისთვის, როგორც მუხლუხო, და ცდილობდა არავინ შეეწუხებინა.

აჰ, ნეტავ ცოტა ადრე გაეგო ეს ამბავი! მაშინ ეტყოდა: „სატოკო, შენ ბედნიერი ხარ, თუ შენი თავი მუხლუხო გგონია. კაცი იფიქრებს, თითქოს მუხლუხო ულიმლამოდ ცხოვრობს, სინამდვილეში კი მას შეუძლია სამყაროს ყველა ფერებითა და ხმებით დატკბეს, შეუძლია ჩუმად იტანჯოს და დაიწვას, შეუძლია მშვენიერი სიზმრები ნახოს. რაც მთავარია, იგი იმედით ცოცხლობს. რა არის მასთან შედარებით პეპელა! სიცოცხლის წამიერი აფეთქება, ნაპერწკალი, რომელიც ანთებას ვერ ასწრებს და უკვე ქრება. ეს არის და ეს, არც იმედები, არც ოცნება.

მაგრამ შენ ძალიან გინდოდა პეპელა ყოფილიყავი, იმიტომ რომ არც შემოქმედება, არც ცხოვრებისადმი შემოქმედებითი მიდგომა სიხარულს არ განიჭებდა. შენ იმისთვის გინდოდა ცხოვრება, რომ თუნდაც ერთი წუთით გეგრძნო სიცოცხლე. რას იზამ, ბოლოს და ბოლოს ხომ მიაღწიე შენსას— პეპელად იქეცი!“

საიმურას შეებრალა ცოლი. წარმოიდგინა, როგორ წრიალებდა სატოკო მასა და ტაძიმას შორის და ეძებდა იმას, რასაც ვერც ერთი მათგანი ვერ მისცემდა. საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი მხოლოდ მარტოობას გრძნობდა. მაგრამ ჩვენც ხომ მუდამ ამას განვიცდით. თვითეული ჩვენგანი საკუთარ სამყაროში ცხოვრობს და ვერ დასხლტომია მას. ვიღაცამ თქვა, რომ ყველა ადამიანი განწირულია მთელი ცხოვრება მარტომ გაატაროს დილეგში, რასაც საკუთარი ტყავი ჰქვიაო... სატოკო, ჩემო სულელო!.. მას არ ესმოდა, რომ არც ქმარს, არც ტაძიმას არ შეეძლო მისი ამ დილეგიდან გამოყვანა. იქნებ თავად მოახერხა ეს? შეიძლება. რა ჯიუტად ცდილობდა საკუთარი თავის მოტყუებას. აკი ბოლოს მოსწყდა კიდეც სინამდვილეს, და ვინ იცის, იქნებ ბედნიერება ჰპოვა.

უცბად საიმურა დაფიქრდა, ცოლი საავადმყოფოში არ უნდა დამეწვინაო. რა თქმა უნდა, მას კარგის გაკეთება უნდოდა, მაგრამ... სატოკოს ხომ მასთან სულიერი სიახლოვე და სიხარული ეწადა. საიმურას ეჭვი ეპარება, შეძლებს კი მთლიანად მიანიჭოს ერთიცა და მეორეც? ეს კია, მის გარდა არავის შესტკივა გული სატოკოსთვის. საიმურა მოუვლის მას, გვერდიდან არ მოშორდება. ისიც კი გაიფიქრა, იქნებ უკეთესიც იყოს ჭკუაზე გადასულ ცოლთან ერთად განმარტოებით ცხოვრებაო; მას ხომ სჯეროდა, რომ პეპელა იყო.

მთელ ოთახს ყვავილებით ავსებს, შექმნის ისეთ სამყაროს, მხოლოდ მათი კუთვნილება რომ იქნება და დაიწყება ახალი ცხოვრება.

მარიმ ქმარი გააცილა სამსახურში და ახლა შეფიქრიანებული ტანსაც-

მლის კარადასთან იდგა. დილას მოულოდნელად აცივდა, მარიმ ტანსაცმელს დაუწყო ძებნა, მაგრამ რიგიანი ვერაფერი გამონახა... ბოლოს ჯემპრი ამოაძვრინა.

ზაფხულმა ისე სწრაფად გაირბინა, ვერც კი შეამჩნია. ვერსად ვერ დაისვენეს, ზღვაზეც ვერ მოახერხეს წასვლა. არადა, როგორ პირდებოდა სიუნი; საერთოდ დიდი მატყუარა ვინმეა, ათას რამეს დაპირდა, მაგრამ რა... თუმცა მარტო ქმარს ვერ დაადანაშაულებს, თვითონაც ათასი რამე შეიძინა ნისიად. როცა ფული გადაიხადეს, პრემიიდან არაფერიც არ დარჩათ.

მარიმ ჯემპრი გადაიცვა და, როგორც ყოველთვის დილაობით, დერეფანში გამოვიდა, რომ მეზობელთან წაეჭორავა ცოტა.

დღეს ყველა საიმურას ცოლზე ლაპარაკობდა. წუხელ თურმე საავადმყოფოში წაუყვანიათ, ჩვეულებრივსა კი არა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მართლაც მარის მთელი ღამე რაღაც უცნაური ფუსფუსი ესმოდა მეზობელი ბინიდან, მერე მანქანის ხმა გაიგო, მალე ისიც წავიდა. როგორც შემდგომ გამოირკვა, სატოკო საავადმყოფოში წაეყვანათ.

მარიმ ამოიოხრა. მას ხომ საიმურა და სატოკო სამაგალითო ცოლ-ქმრად მიაჩნდა. ახლა კი ზოგიერთები ამბობენ, სატოკოს ავადმყოფობის მიზეზი ქმრის ღალატიაო, განა გაიგებ რამეს? ძნელია ადამიანებზე შორიდან ლაპარაკი.

— საცოდავი! იგი ახლა ქალისათვის ყველაზე სახიფათო ასაკში იმყოფება,— მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნა მეზობელთაგან ყველაზე ხნიერმა.

„შეიძლება ასეც იყოს,—გაიფიქრა მარიმ. — აი, ნაკამურას ცოლიც რა უცნაურად მოიქცა: ერთ მშვენიერ დილას ადგა და წავიდა სახლიდან, მას მერე აღარც დაბრუნებულა.“

დიახ, შორიდან ვერაფერს გაიგებ. ყველა ქალი, ვინც ახლა დერეფანში დგას, ბედნიერად გამოიყურება, ყოველ შემთხვევაში, პირისახეზე მხოლოდ ეს აწერიათ, სინამდვილეში კი ვინ იცის...

მარი რაღაცამ შეაშფოთა, მიმოიხედა და ბეტონის ფილაზე მკვდარი პეპელა დაინახა.

— შეხედეთ, პეპელა! ნეტა როგორ მოხვდა აქ? რა ᲨᲨვენიერია!

მარი დაიხარა და პეპელა აიღო, პატარა, კოხტა პეპელა, ფრთებზე შავი ხალები რომ ეყარა. ადრე არასოდეს ენახა ასეთი.

მხოლოდ ახლა შეამჩნია მარიმ, რომ ნაცრისფერი ბეტონის იატაკი სავსე იყო მკვდარი პეპლებით. ალბათ უცბად რომ აცივდა, იმიტომ დაიხოცნენ. მაგრამ აქ საიდან გაჩნდა ამდენი პეპელა?

ვიღაცამ კარი გამოაღო. დერეფანში შემოჭრილმა ქარმა პეპლები მაღლა აიტაცა, დაატრიალა, წამით გაიელვა ლამაზმა ფრთებმა, მაგრამ პეპლები წამსვე უხმაუროდ დაცვივდნენ იატაკზე და ჩაიფერფლნენ. ქალებსაც ჩაეფერფლათ წუთის წინ ბედნიერებით გაცისკროვნებული თვალები. იდგნენ და და პეპელებს დაჰყურებდნენ, მათ სულში კი რაღაც უცნაურ სევდასა და სიცარიელეს დაესადგურებინა.

ზაფხული მიიწურა... მიიწურა ჟამი მცხუნვარე მზისა და დაუოკებელი, თავაშვებული ცხოვრებისა.

პეპლების ჟამიც მიიწურა, და მხოლოდ ნაღვლიანი მოგონებებიღა შემორჩა ხსოვნას.

□

ალან პო

მესამემ კი პოლონეთის ნახოს მწირი მხარე,
ნუ იქნები მომლოდინე რამე დიდი დავლის.
მანდ თუ ნახავ მარტოოდენ კარგ ხმლებსა და ფარებს
და კარგს იზამ, რომ მანდედან მომიყვანო რძალი!

განთქმულია სილამაზე პოლონელი ქალის,
ისე ალერსიანია, როგორც ბუხრის კატა.
თეთრფეროვანს ჩრდილად ადგას წამწამები შავი,
გიშრის თვალთა ელვარება ანგელოსად ხატავს.

მეც მანდედან თავის დროზე მოვიყვანე ცოლი,
თქვენი ტოლი პოლონეთში ლაშქრად როცა ვიყავ.
ახლაც მახსოვს საცოდავი, სამარეში მწოლი,
და ეგ მხარე იმის ხათრით აქამომდე მიყვარს...“

შვილებს მისცა ბოლო რჩევა, ჯვარი გადასწერა,
აღიჭურვნენ, გადაევლენ გაფიცხებულ ცხენებს...
ჩამოთოვა... ვაჟები კი არა ჩანან ჯერაც,
მოხუც ბუდროსს მათზე ფიქრი ძილშიც არ ასვენებს.

და ჰა, ბოლოს თეთრ მინდორზე თეთრი რაში მოქრის,
მამას შავი ნაბდისაკენ გაექცევა თვალი.
— შვილო, რა გაქვს შეხვეული? მოიტანე ოქრო?
— არა, მამა, მოგიყვანე პოლონელი რძალი!

აი, გზაზე კვლავ გამოჩნდა ცხენი გაქაფული,
ბუდრისს აწი რა დაულევს მხნეობას და ხალისს.
— შვილო, რაა მაგ ნაბადში? ნუთუ ბევრი ფული?
— არა, მამა, მოვიტაცე პოლონელი ქალი!..

და როდესაც ბუდრისს ამცნეს ბოლო შვილის მოსვლა,
როს მოაგდო მესამემაც ცხენი ეზოს კართან,
ნაბდისკენ არც გაუხედავს — შვილებს გულში ლოცავს,
სახლში სტუმრებს დაუძახებს, სამთა ქორწილს მართავს.

სვიტეზელი ქალწული

ტბის პირას მიდის ვაჟკაცი ლაღად,
მისდევს ქალწული წყნარი.
ლივლივებს ლურჯი სვიტეზის ტალღა,
ადგას ნათელი მთვარის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟს ქალიშვილი სთავაზობს ჟოლოს,
ვაჟი მიაწვდის ყვავილს.
მათ ერთმანეთი ალაღებთ მხოლოდ,
ერთურთს უმზერენ კრძალვით.

ამ ტბის ნაპირას მოუხარიათ,
დაბურულ ხის ქვეშ სხედან.
ვაჟი ამ ტყეთა ბინადარია, —
ქალი ვინ არის ნეტავ?

არავინ იცის მისი სახელი,
სად, რომელ სახლში სახლობს...
ხან ქრება, როგორც ციცინათელა,
ხან ტბას ჩაუვლის ახლოს.

ცნობისწადილმა დალია ვაჟი —
ეს მერამდენედ კითხავს:
— მითხარ, ლამაზო, ვინა გყავს სახლში,
სახლი სადა გაქვს, მითხარ.

აი, ზაფხული თითქმის გავიდა,
ფერი ეცვალა ამინდს.
სანამ ველოდო ბნელ ულრანიდან
შენს გამოჩენას ღამით?

ლაღად დაჰყვები არე-მიდამოს,
ნაზო ასულო ტყეთა.
ნუთუ არ გინდა, რომ სამუდამოდ
ბინა დაიდო ჩემთან.

აქვე ქოხი მაქვს ჭალის ნაპირას,
ქოხს ბალი ადგას ჩრდილად,
არ მოგვაკლდება ნანადირევი,
წამო, ვიცხოვროთ ტკბილად.

წყნარად მიუგებს ნაზი ქალწული, —
„ასე მასწავლა მამამ:
ვაჟს ენა მუდამ აქვს დათაფლული,
გულში კი ღალატს მალავს.

ცვალებადია კაცის ბუნება
მარტის ცასავით სწრაფად;
დღეს ერთს, ხვალე სხვას ეკურკურება,
მაცდურ ბადეში აბამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მოგენდობი დაუფიქრებლად,
მიჯობს, ვიარო ცალად,
თორემ რა ვიცი, ხვალ რა იქნება,
როდის ისურვებ ღალატს“.

მყისვე მუხლებზე დაეცა ვაჟი,
ხვეწნა-მუდარად იქცა:
თუ გაგცვალოო, ლამაზო, სხვაში —
პირი მიყოსო მიწამ.

„ვაჟკაცო, სიტყვას შენახვა უნდა,
ძვალი არა აქვს ენას,
უნდა გახსოვდეს ეგ ფიცი მუდამ,
თორემ დაგწყევლის ზენა“.

თქვა ასულმა და აიღო თავი,
დასწვდა ყვავილთა გვირგვინს
და ფოთლოვანში, როგორც ნიავი,
გაუჩინარდა იგი.

ვაჟმა სირბილით ტყე შეაჯერა,
მოვლო ტევრები ხშირი.
მაგრამ ვერ ნახა გოგო ამჯერად,
თითქოს ტყემ უყო პირი.

სასომიხდილი, გულდათუთქული,
ღამეულ გზებით მოდის.
არსით ხმა — ოდენ ფოთლის ჩურჩული,
ხან ტყდომა ხმელი ტოტის...

მიჰყვება ვაჟი სვიტეზის ნაპირს,
გულგასენილი ჯავრით.
უცებ ტბას თეთრად ედება ქაფი,
უცებ დაჰქროლებს ქარი.

ღელავს უცნაურ ქინით ავსილი,
ტალღებს მოისვრის საშიშს...
ვით მოლანდება ალის, ასულის,
ქალი დაცურავს ტბაში.

დილით ვარდი რომ გადაიშლება,
გაბრწყინებული ნამით,
იმგვარად ელავს მისი შიშველი,
ნაქანდაკარი ტანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, მოცურდა ვაჟთან თამამად, —
„ბიჭო, ვის ეძებ, მარქვი,
რისთვის დაჰყვები მთვარიან ღამით
ჩემი სვიტეზის ნაპირს?!

რად ჩამოგტირის ასე ცხვირ-პირი,
რა სადარდელსა ნაღვლობ?
ნუთუ იმ მაცდურ გოგოს მისტირი,
ვინც შენი ტანჯვით ლაღობს?

მოეშვი ცრემლთა ამაო დენას,
სიტყვა ირწმუნე წრფელი,
ნუ გეშინია, მოცურდი ჩემთან,
აქ ნეტარება გელის.

გინდ მერცხალივით ცაში იქროლე,
ოდენ ფრთას გაჰკრავ ტალღას,
გინდა თევზივით ჩემს სიახლოვეს
იჭყუმპალავე ლაღად.

ლოგინს გაგიშლი წყლის შროშანების,
მთვარე დაგვხედავს ციდან
და გაბრუებულს ტკბილი ზმანებით,
ჩაგეძინება მშვიდად...“

ქათქათა მკერდი გამოკრთა ქალის,
ვაჟი თვალს დაბლა დახრის
და ისმენს რაღაც შიშით და კრძალვით
ტკბილ, დამათრობელ ძახილს.

ვერ გაუმართავს ქალისთვის მზერა,
დგას მონუსხული უხმოდ,
ჯადო-ქალწული ტალღებსა სერავს,
კვლავ მონადირეს უხმობს.

ვაჟს გრილი ტალღა ფეხქვეშ უწვება,
ელამუნება ამოდ —
გოშიასავით ელაქუცება,
თითქოს ეძახის — წამო!

ვაჟი ტბისაკენ წაბორიალდა,
მიჰყვა განგების ნებას,
გადაავიწყდა საფრფო პირველი,
ახალი ვნებით თვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოგნებული შევარდა ტბაში,
მძლავრად გაშალა მკლავი,
შეება მორევს ბნელსა და საშიშს,
რომ მოიხელთოს ქალი.

აი, თამამად ჩაკიდა ხელი,
თვალით შეჭამოს ლამის.
აშმაგებს ქალის ბაგენი ცხელი
და დულს და ღელავს წყალი...

უცებ ბურუსმა გადაიარა,
ელდამ დაზაფრა ვაჟი —
ხედავს: მაცდური ქალი კი არა,
სატრფო დაცურავს ტბაში.

გამეხებული, როგორც ღვთაება,
ვაჟს ეუბნება რისხვით:
„ფიცის გამტეხო, გელის ვაება,
აწ ვერაფერი გიხსნის!

შენ, უწმინდურო, ამ წმინდა წყალში
ყოფნის არა ხარ ღირსი,
ეს ბობოქარი ზვირთები დაგშლის,
მიისილები ქვიშით.

სული კი შენი, მოუსვენარი,
მწვანე ტყეების კარად —
სად წრფელი ტრფობის მომეც პირობა —
დე, ვალალებდეს მარად!“

გაოგნებული გაჰყურებს ვაჟი
არეს გიჟური ცქერით.
ადულებულა მღელვარე ტბაში
მძლავრი ტალღების ჩქერი.

განწირულია და დაღუპული,
შუქიც მკრთალდება ცაში.
აჰა, გაიპო ბნელი უფსკრული
და ჩაიხუტა ვაჟი...

ჩადგა გრიგალი. ღელვა მინელდა.
მთვარემ მოხატა ჩრდილით
წყნარი, ლივლივა ტბის ნაპირები,
ჩვენი ნაცნობი წყვილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი ქალწული ქანაობს ტბაში,
ვაჟი შეჰყურებს კრძალვით.
მონადირეა, ვიცი, ეს ვაჟი,
მაგრამ ვინ არის ქალი?

სვიტეზი

მიხეილ ვერეშჩაკს

პლუჟინის ტყეებში ჯერ თუ არ გივლიათ,
სადავე ამოსდეთ ქურანს.
დაბურულ ულრანში ტბა არის ლივლივა,
ზედ ხშირი ტოტები ხურავს.

ტბას სვიტეზს უხმობენ ოდითგან სახელად.
ციმციმებს ზურმუხტის ჭავლი...
იმისი მშვენება მარადის გაჰყვება
ამ ტყეში შემთხვევით ჩავლილს.

ხოლო თუ მთვარიან ღამით ინახულებ,
ტბა მოჰგავს ჯადოსნურ ნახატს. —
ფსკერიდან ვარსკვლავი თვალს დაგიფახულებს,
ორ მთვარეს დალანდავ ცხადად.

წაშლილა ზეცისა და მიწის სამანი,
მოსარკულ ბილიკებს ზვერავ,
გგონია, აქვეა ცის შორი თავანი,
და ხელით მისწვდები, გჯერა.

გახედავ გაღმა და — ნაპირი გამქრალა,
მხოლოდ ტბა ლივლივებს წყნარად.
უეცრად იფიქრებ, მკლავები გაშალო,
გაცურდე ფრინველის დარად.

ასეა სვიტეზი მთვარიან ამინდში,
ზღაპრული ელფერი ბინდავს.
და ღამით აქ მოსვლას თუკი არ დაიშლი,
დიდი ვაჟკაცობა გინდა.

სვიტეზი საშინელ ალქაჯთა ბუდეა,
ხტუნავენ, ბუქნავენ ჯარად.

რაც ჩემთვის სვიტეზზე ამბები უთქვიათ,
ახლა გახსენებაც მზარავს.

ტბაში ხან გიზგიზა კოცონი იალებს,
ავსულნი მართავენ ნადიმს.
ხან ბრძოლის ველური ყიჟინა ზრიალებს,
ხან კვნესა ზეცამდე ადის.

ხან კვამლი გადივლის, მიდამოს დაბინდავს
მშვიდად გაწოლილი ნისლი
და ტბის მოვერცხლილი, წყნარი წიაღიდან
ქალწულთა ვედრება ისმის.

ჰყვებიან ათასგვარ ნახულს და უხილავს,
ვრცელდება ჭორები ჭრელი.
მაგრამ ჯერ კაცთაგან არავის უხილავს
ტბის ფსკერი მოცული ბნელით.

და ერთხელ, სიმართლის გაგების სურვილით,
აღიძრა პლუჟინის პანი,
შემოვლო ულრანი ტევრით დაბურული
სვიტეზის სიგრძე და განი.

მოუხმო ოსტატებს, მთლად შეძრა ტყე-ველი,
გულუხვად გაიღო დავლა,
დაამზადებინა დიდი სათხეველი
და კიდევ ნავები მრავლად.

ამნაირ საქმეში, თუ არ ღვთის წყალობა,
კარგ ბოლოს ტყუილად ელი.
საყდარში ილოცეს მხურვალე გალობით,
ცირინით [1] მოიხმეს მღვდელი.

მღვდელმა მენავეებს იაზმა ასხურა,
ლოცვა აღავლინა ცამდე.
პანმა საზეიმოდ ანიშნა მსახურებს,
და... მძიმედ დაეშვა ბადე...

ვიდრე სათხეველი ფსკერამდე ჩავიდა,
დროც თითქოს ვიდოდა ძნელად...
მერმე ამოსწიეს თოკები ნავიდან
და სუნთქვა შეწყვიტა ყველამ.

---

[1] ცირინი — ადგილი ნოვოგრუდკის ახლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არვინ დაიჯერებს, არვინ მოესწრება,
სასწაულს, რომელსაც ვყვები.
ბადეს მოჰყოლოდა, ჰოი საოცრებავ!
ქალწული მზისფერი თმებით!

ფრთხილად მოიშორა ბადე დახლართული,
უმზერენ ნატიფად ნაგებს.
დამფრთხალი ხალხისკენ წავიდა ქალწული
და დასძრა ლამაზი ბაგე:

„თქვენამდე სვიტეზში ვინც კი მოინდომა
შემოსვლა გემით ან ნავებით —
ტბის ფსკერზე ისვენებს ახლა სამუდამოდ
მათი უშიშარი თავები.

ხოლო შენ, ვაჟკაცო, განგებამ დაგინდო,
მის ნებას გვერდს ვერვინ აუვლის,
შენ ჩვენი სისხლის ხარ და სწორედ ამიტომ
შეგინდო ეს დანაშაული.

რაკიღა ღვთაება ილოცეთ მხურვალედ,
გადარჩით ამ ერთი მიზეზით.
მაშ ღმერთის სახელით და ღმერთის სურვილით
ისმინეთ ამბავი სვიტეზის:

აი, აქ, სად ნავით დაცურავთ ადვილად,
სად ტალღა იშლება წრეებად,
ამ ლერწმოვანებში, სვიტეზის ადგილას
ყოფილა ქალაქი ვეება.

იმასაც სვიტეზი რქმევია სახელად,
მრავლობდა დავლით და ბარაქით.
აქ იყო ტუგანი ქალაქის მმართველად,
მის ხელში ჰყვაოდა ქალაქი.

სიუხვედ ღვიოდა აქ თვალი უფლისა,
მიწა მძიმდებოდა ბარაქით,
შორს ჩანდა კედლები დიდ ნოვოგრუდკისა —
ლიტვის ძველ საგახტო ქალაქის.

და ერთხელ უეცრად რუსთ მეფის ლაშქარი
გამოჩნდა საგახტოს კედლებთან.
ქვეყანას დაეცა შიშისგან თავზარი —
„მენდოვგი რუსთ მეფეს ნებდება“.

ტუგანს მოუვიდა მენდოვგის ბარათი,
შეწევნას ითხოვდა მპყრობელი:
შენს შველას უცდისო დღეს დედაქალაქი,
იჩქარეთ, სასწრაფოდ მოგელით.

ტუგანმა ასტეხა საბრძოლო განგაში —
მტერს უნდა მიეზღოს მტრობისთვის,
და ხუთი ათასი რჩეული ვაჟკაცი
ამხედრდა ფიცხელი ომისთვის.

ის იყო, დაიძრა ლაშქარი მწყობრი და
ტუგანი შეყოვნდა წამითა,
მოზიდა სადავეს, უკან შემობრუნდა
და მიხმო თავისთან:

— მითხარი, ასულო, სატახტოს დავიცავ,
მაგრამ ვინ დაიცავს ჩემს ქალაქს, —
რუსეთის ლაშქარი თუ აქეთ დაიძრა,
თუ თავის გეგმები შესცვალა?

შუა თუ გავყავი, თუ გავანახევრე
ლაშქარი ისედაც მცირედი,
ვინღა ანუგეშოს, ვინღა შეინახოს
ჩვენი ობლები და ქვრივები?

— მამილო, — ვუთხარი, — ტყუილად შეშინდი,
სჯობს ხმალი ბრძოლაში აელვო.
იჩქარე, შენია საბრძოლო დიდება,
წუხელი ვხედავდი ანგელოზს;

ღრუბლები მახვილით ერთურთში არია,
ჩვენს ზეცას ფრთით გადაეფარა,
თქვა: სანამ ვაჟები ბრძოლაში არიან,
მე დავიფარავო თქვენს ქალაქს...

ქალწულის თათბირი ირწმუნა ტუგანმა,
თუმც გული კვნესოდა კაეშანს,
მიუშვა სადავეს, ჯარს გაჰყვა უკანვე,
მტვრის კორიანტელში დაეშვა...

და როცა ქვეყანა სიბნელემ დაფარა —
ველური ყიჟინაც გაისმა,
ცხენების ჭიხვინი, ღავღავი მყეფარის —
წარღვნა მოიყოლა დაისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხივე ალაყაფს მყის გადაუარეს,
ხმაურით მოედნენ მთელ ქალაქს.
ჯოჯოხეთს ვერავინ იხილავს უარესს —
სიცოცხლე სიკვდილმა შეცვალა.

— გვიშველეთ! — ისმოდა ყოველი სახლიდან
ქვითინი ბავშვთა და დედათა.
ბეჩავნი, თავს სიმწრით კედელზე ვახლიდით,
ანდა მტრის მახვილი გვკვეთავდა.

შიში რომ მინელდა — ქალაქი გახელდა.
ნახავდით სახილველს ნალვლიანს —
როს ხალხმა (ამაზე თვით მტერიც გახევდა)
ქალაქი კოცონში გახვია.

— სირცხვილი, ვინც ცოცხლად მტრის ხელში ჩავარდეს! —
კვნესის ხმა აიჭრა ზეცამდე...
ალესილ ცულებით მცხოვრებნი ქალაქის
ერთმანეთს თავებსა ჰკვეთავდნენ.

ვხედავ, რომ მტარვალნი მოადგნენ გალავანს —
კარს შემოამტვრევენ სულ მალე,
ვხედავ, რომ ჩემს ქალაქს უწყალოდ სძალავენ,
და ღმერთს შევევედრე მხურვალედ:

„უფალო, უკეთუ არ არის საშველი,
თუ სხვა გზას ვერსაით გვანახებ,
მაშინ, გევედრებით, დაგვნაცრე, დაგვშალე,
ან ყველა ცოცხლებად დაგვმარხე!“

ეს ვთქვი და უეცრად ცა ელვამ გახაზა,
ვიდრე დაზაფრული ვღელავდი —
მიწას დავხედე და არ იყო აღარსად,
გრილ წყალში ვიდექით ყელამდე.

უფალმა მონობას ასე აგვაშორა,
ყველანი ლერწმებად ვიქეცით.
ამ ტბაზე გაშლილი ფოთლები მარაოდ —
ეს ჩვენ ვართ, ქალწულნი სვიტეზის.

ისე ვით ბეპლები, თეთრი ყვავილები,
ლურჯი ტბის სხეულზე ვციმციმებთ,
წლები რაოდენი უკვე გაილია —
ჩვენ ვუძლებთ დრო-ჟამის სიმძიმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით უბიწოების მარადი წყურვილი,
ეს ფერი არ გვტოვებს არასდროს.
თუ ვინმე შეგვეხო უწმინდურ სურვილით —
უფალი მიუზღავს სანაცვლოს.

ისე, ვით მიუზღო რუსთ მეფე-მხედრობას,
როს თმაში გვიწნავდნენ გვირგვინად.
მერე დამბადებელს შესთხოვდნენ შენდობას,
მაგრამ ცამ მათ თავზეც იგრგვინა...

როგორც კი ჩვენს მოთხრას მავანი ლამობდა —
ტბის ერთი შეხებაც ყოფნიდა —
მყის უკურნებელი იპყრობდა სალმობა
და მიიქცეოდა სოფლიდან...

თუმც არვის ვახსოვართ, რა დროა ჩავლილი!
მაგრამ დროც ვერ შველის ჩვენს სევდას,
ჩვენა ვართ ის ძველი „მეფეთა“ ყვავილი,
ხალხურსლა შემოვრჩით ლეგენდას!“

თქვა ეს და ტბისაკენ წავიდა ქალწული,
მყის გაქრა ნავებიც, ხალხიც...
ნაპირებს მოაწყდა სილრმიდან დაძრული,
ზვირთები მრისხანე ტალღის...

ქალწული ფსკერისკენ დაქანდა, დაცურდა,
ვერავინ შეასწრო თვალი.
ტბამ პირი შეიკრა... ამბავი დასრულდა...
ლივლივებს სვიტეზის წყალი.

რუდიარდ ჯიპლინგი

წყალდიდობის ჟამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

ამ ღამით მდინარეზე ვერ გადახვალ, საჰიბ. ასე თქვეს, ხარურემი წაუღია მდინარეს და პონიმაც თურმე, შენს მოსვლამდე ნახევარი საათით ადრე რომ შევიდა წყალში, ვერ მიაღწია გაღმითა ნაპირს. ჩქარობს საჰიბი? შევდენი წყალში მეფონე სპილოს, თუ საჰიბს ჩემი არა სჯერა. ოჰე, ოჰე, მაჰაუტი აგერ ფარდულშია. გამოიყვანეთ რამ პერშადი. თუ არ შეაქცევს ზურგს მდინარებას, ხომ კარგი. სპილოს გუმანი შეუმცდარია. საჰიბ, აგერ რამ პერშადი, აგერა კალა ნაგიც... დე იყოს ნება შენი. მაშ შებედე, ჩემო მეუფევ! შედი წელამდე და ნახე, რას იტყვის მდინარე. ყოჩაღ, რამ პერშად, სპილოთა მოდგმის მარგალიტო, აბა შენ იცი...

— თავში ჩაჰკარი, თავში, მაგ ბოთეს! ანკუსი მაგის ზურგის მოსაფხანი როდია. დასცხე! დასცხე! რიყის ქვა რა ბედენაა შენთვის, რამ პერშად, მთაო ძალოვანო! გასწი, რუსტამ ბეგო, გასწი!

არა, საჰიბ! ცდა ამაოა. გესმის, სპილო ბუკს აყვირებს. ის ატყობინებს კალა ნაგს, გაღმით ვერ გავაღწევო. ერთ ალაგს ტარაბუადასხმულივით ბრუნავს და თავს აქანებს. ბრიყვი როდია, ვინ, ვინ და მაგან კი იცის გაავებული ბარჰვის ძალა. აჰა! ჩანს, ჭკუა გეყო, შვილო ჩემო. სალამი შენდა, რამ პერშად, ბაჰადურო! ხეებქვეშ მიაყენებდეს მაჰაუტი, საჭმელი არ მოაკლოს. ბარაქალა, უდიადესო ეშვოსანთა შორის! სალამი სირკარს და ძილი ნებისა!

რაღა გავაწყო, საჰიბმა უნდა შეიცადოს, ვიდრე მდინარე დაცხრება. თუ ღმერთმა ინება, ის უკან დაიხევს ხვალ, ანდა ზეგ დილით მაინც უეჭველად. რად გაბრაზდა საჰიბი? მე ხომ მისი მსახური ვარ. ღვთის წინაშე, ამ წყალდიდობაში რა ბრალი მიდევს? საჰიბის სანაცვლო იყოს ჩემი ქოხი, მოიხმაროს, როგორც ენებოს. ვატყობ, იწვიმებს. გამოდი, ცის შვილო. სად გაგონილა დაცხრეს მდინარე, როცა ასე უგბილად ახსენებენ? სად ძველი დროის საჰიბე-

ბი და სად დღევანდელნი! წინათ, მდინარე თუ გზას გადუღობავდა ანდა — თუ ორთვალი ტალახში ჩაეფლობოდათ, ერთს არ დაიჩივლებდნენ. ღმერთმა ასე ინებაო, იტყოდნენ. ცეცხლის ეტლი კი არაფერს ეპუება. მიდის და მიდის, თუნდაც მთელმა საქაჯეთმა დაქაჩოს კუდით, არას დაგიდევს. ცეცხლის ეტლმა წაახდინა საჰიბები. ბოლოს და ბოლოს რა ბედენაა ერთი დღე, თუნდა ორი? საკუთარ ქორწილზე ხომ არ ეშურება საჰიბი, ასე რომ ჩქარობს და ბრაზობს თანაც? ჰოუ! ჰოუ! ჰოუ! მე ერთი ბებერი კაცი ვარ და საჰიბები ძვირად თუ მინახავს. მომიტევე, თუ ვერ ვისაზრე და ვერ მოგაგე კუთვნილი პატივი. ხომ არ მიწყრება საჰიბი?

მისი ქორწილი. ჰოუ! ჰოუ! ჰოუ! მოხუცი კაცის გონება მსგავსია ნუმაბის ხისა, ნაყოფი, კვირტი და წარსული წლების მკვდარი ფოთლები ერთად რომ ჰშვენის. ძველი, ახალი და დავიწყებული. ეს სამება ერთად იყრის თავს მოხუცი კაცის მახსოვრობაში. საწოლზე ჩამოჯექ, საჰიბ, და რძე მიირთვი, ანდა... იქნებ საჰიბმა ჩემი თუთუნის დალევა ინებოს? საუცხოო რამაა, ნუკლაოს თამბაქოა. ჩემმა ვაჟმა გამომიგზავნა, იქ რომ მსახურობს. დალიე, საჰიბ, თუკი იცი ყალიონის გაწყობა. დახე, საჰიბი მუსლიმანივით აწყობს ყალიონს. ბარაქალა მას. გასაკვირია, სად ისწავლა ეს ყოველივე?

მისი ქორწილი. ჰოუ! ჰოუ! ჰოუ! საჰიბმა თქვა, ქორწილი აქ არაფერ შუაშიაო. განა საჰიბი გულს გადაუხსნის შავ კაცს? ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ იგი ჩქარობს. ოცდაათი წელია, საჰიბ, ამ მდინარის პირას ვაღამებ და ვათენებ, მაგრამ არაოდეს მიხილავს ასე მოჩქარე საჰიბი. ოცდაათი წელი, საჰიბ, ხუმრობა როდია. ორი ათასი საპალნიანი ხარი მიხილავს, ფონს გადასული ერთ ღამეს. ახლა რკინიგზა მოვიდა. — ბაზ, ბაზ, ბაზ, გაიძახიან ცეცხლის ეტლები და ასობით ლაქჰი ღვთის წყალობაც გადადის ამ ხიდით. ეს მართლაც რომ გასაკვირია. ოღონდაც ფონი გაუკაცრიელდა და ხსენება გაქრა ქარავნების, ხეებს ქვეშ რომ დაიბანაკებდნენ ხოლმე.

არა, ტყუილად მისჩერებიხარ ზეცას. განთიადამდე იწვიმებს. ყური მიუგდე, ამ ღამით რიყის ქვა დაიძრა მდინარის კალაპოტში. თუკი არ დაიშლი და გადასვლას ეცდები, ეგ ღორღი შენს ძვლებს გაცრცნის ხორცისაგან. მოდი, კარს გადავკეტავ და წვიმა აღარ შემოასხამს. ვაჰი! აჰი! უჰ! ოცდაათი წელი ფონის ნაპირზე! ერთი საწყალი ბერიკაცი ვარ!.. სადაა ნეტავ ჭრაქი?...

რაო, საჰიბ? სიბერის გამო კატასავით ჩუმი მაქვს ძილი. შენ კი კართან მიჩოჩებულხარ. მიცქირე ახლა, საჰიბ, მიცქირე და მისმინე. ნახევარ მილზე დაშორიშორდა ნაპირი ნაპირს. ვარსკვლავთა შუქზე ალბათ ხედავ, წყლის სიღრმე ათ ფუტზე მეტი იქნება. მდინარე არ დაიწევს შენი შერისხვით, ვერც შენი წყევლა-კრულვა გაჭრის. რომელი უფრო მჭექარეა, საჰიბ, შენი ხმა თუ ხმა მდინარისა? შეუძახე აბა, იქნება დაირცხვინოს. მე მიწვნევია ბარჰვის რისხვა, როცა მთებში გაავდრებულა. ერთხელ გადავცურე ადიდებული მდინარე, ამაზე ათგზის უარეს ღამით და ღმერთმა თუ მიხსნა სიკვდილის კლანჭებისაგან.

გნებავს ამბავს მოგითხრობ, ძალზე კარგ ამბავს, ოღონდ ჯერ ყალიონს გავტენი ხელახლა.

ოცდაათი წლის წინ ყმაწვილკაცი ვიყავი, ჯან-ღონით სავსე. ყველა მტვირთავი მენდობოდა, თუ დასტურვყოფდი, ფონით გასვლა შეიძლება-მეთქი. მთელი ღამეები ჩქერალში ვიდექ, ყელამდე წყალში, შიშისაგან დაფეთებული

ასობით ხარი გადამყავდა, ისე რომ ჩლიქსაც არ წამოვატკენდი. მერე მივაკითხავდი აძაგძაგებულ პატრონებს და ისინი მჩუქნიდნენ ქედლიერ ბუღას, ასეთ პატივში ვყავდი ყველას. ახლა კი, როცა წვიმა დაასხამს და მდინარე ადიდდება, ჩემს ქოხში შევიძუძგები ხოლმე და ძალიანით ვწაწკანებ. ძალა დამელია, დავჩაჩანაკდი და ცეცხლის ეტლმაც ფონი გააუკაცრიელა. ოდესღაც კი ბარჰველ ყოჩაღს მეძახდნენ.

ხედავ ჩემს სახეს, საჰიბ? მაიმუნს მიგავს. ანდა ჩემს მკლავებს? დედაბრისა რომ გეგონება. ოღონდაც, გეფიცები, დიაცი თვალს ვერა სწყვეტდა ამ სახეს და ამ მკლავებშიაც იბუდრებდა ოცის წლის წინათ. მერწმუნე, საჰიბ, მართალს ვამბობ. ოცი წლის წინათ.

მოდექი კართან და გახედე. მკრთალ შუქს ხომ ხედავ დაბლა, მდინარის გაყოლებაზე? ესაა სოფელ პატეერაში აღმართულ ჰანუმანის ტაძარში დანთებული ცეცხლი. ეს სოფელი, რომელსაც დიდი ვარსკვლავი დაჰყურებს, ჩრდილოეთის მხარეზეა, მაგრამ იგი მიმალულა მდინარის განშტოებასთან. როგორია გადასაცურად, საჰიბ? გაიძრობ ტანზე და შეგეხვევ? ჰოდა, მე მიმიცურავს პატეერამდე და არაერთხელ. მის სიახლოვეს, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ნიანგებიც ულევია.

სიყვარულმა გარჩევა არ იცის და ამიტომაც მე, მაჰმადიანს, ძეს მაჰმადიანისა, გულში ჩამივარდა ქალი — ქვრივი ჰინდუსი, ღვიძლი დაი ლამბარდარისა, სოფლის თავკაცის. ეს არაფერი. ლამბარდარის მთელი ჯალაბი მუტრას იყო წასული სალოცავად, როცა ქალი ახალი პატარძალი გახლდათ. ვერცხლის საჭიდები ეკეთა ტახტრევანის ბოძებს და აბრეშუმის ფარდები მალვიდა ქალს. ალარ ვიჩქარე მისი გადაყვანა, საჰიბ, რადგან ქარმა ფარდები გადასწია და ვიხილე იგი. ის ბიჭი — მისი ქმარი — მალე მოკვდა და ერთხელაც მე კვლავ გადავეყარე ტახტრევანზე მჯდომ ქალს. ღმერთმანი, ბრიყვნი არიან ჰინდონი. რას ვაქნევდი, ქალი ჰინდუ იყო თუ ჯაინი — მოკვეთილი, კეთროვანი თუ სალსალამათი. ის ფიქრი მქონდა, ფონის ახლოს მომეწყო სახლი და შინ დამესვა ჩემი საბედო. ცხრა ბარიდან მეშვიდე ამბობს, რომ ადამიანმა არ უნდა ითხოვოს წარმართი. ჭეშმარიტებაა განა ეს? ორთავეს — შიიტებსა და სუნიტებს — ასე დაუდგენიათ: მაჰმადიანს არა აქვს უფლება დაქორწინდესო ურწმუნოზე. რაო? საჰიბი თავს რომ მიქნევს, ამდენიც იცის? ზოგ ისეთ რამესაც ვეტყვი, რაც საჰიბს ალბათ არა სმენია. შიიტებიც და სუნიტებიც, კანონიერნიც და მოკვეთილნიც, სულ მოგონილი ამბავია სიყვარულისთვის. და ეს შეგონებებიც ფიჩხის პატარა კონაა, მყის რომ შთანთქავს სიყვარულის ალი. რაც მართალია, მართალია — გულით მეწადა მისი შერთვა. მაგრამ რა უნდა მეღონა? ლამბარდარი მომისევდა იქაურებს და კეტებით გამიპობდნენ თავს. არ შევდრკებოდი თუნდ ხუთი კაცის წინაშეც, მაგრამ მთელ სოფელს ვინ იქნება, რომ წინ აღუდგეს?

ამიტომაც მოვითათბირეთ ჩვენ ორთა. ასე დავთქვით, გაღმით უნდა გადამეცურა ღამღამობით და ყანაში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. არავინ უწყოდა ჩვენი ასავალ-დასავალი. მიყურე ახლა. წესად მედო გზა გადმომეჭრა, გარს შემომევლო ჯუნგლისათვის მდინარის განშტოებამდე, სადაც მდინარის ხიდია, შვერილს გავცდენოდი და მიმეღწია პატეერამდე. ტაძრის სინათლე შუქურას მაგივრობას მიწევდა ბნელ ღამეებში. ჯუნგლი მდინარის ახლოს სავსეა გველებით, პატარა გველებით, სილაზე რომ თვლემენ. არც ქალის ძმები

გამიშვებდნენ ყანიდან ცოცხალს, იქ რომ ვენახეთ. მაგრამ არავინ არაფერი იცოდა, გარდა ჩვენ ორისა. თანაც მდინარის კალაპოტიდან ქარის მიერ მოტანილი სილა ფარავდა ჩემი ფეხის ნაკვალევს. ცხელ თვეებში ფონზე გადასვლა პატეერამდე არად მიჩნდა და წვიმების ალოობაზეც წყალდიდობას როდი ვეპუებოდი. თავს არ ვიზოგავდი, ბარჰვს აღმა ვჭრიდი, ჩემს ქოხში ვვახშმობდი და წყალს იქ ვაყოლებდი — პატეერაში. ქალი გამენდო, ერთმა თავზეხელაღებულმა, ჰირნამ სინგჰმა, მდინარის აყოლებაზე მეორე ნაპირს რომ სახლობდა, თვალი დაადგა თურმე მას. ეს სიქჰები ძაღლები არიან. მაგათ თავიანთი სიბრიყვის გამო უარი თქვეს ღვთით ნაბოძებ ისეთ სიკეთეზეც, თამბაქო რომაა. მე მზად ვიყავი დამეკლა ჰირნამ სინგჰი, რომ შებედა ქალს და ეს შეკადრა, საყვარელი გყოლიაო. ფიცით იჭაჭებოდა თურმე, დავუდარაჯებ, ლამბარდარს გავუმხელ მის სახელს, თუ არ გამომყვებიო. მართლაც რომ ძაღლები არიან სიქჰები.

წელში გარჭობილ პატარა, ბასრ დანას არ ვიცილებდი. აგრე მივცურავდი ხოლმე და მტერსაც კი არ ვუსურვებდი წინ გადამლობებოდა. არ დავინდობდი არც მას და არც სხვა ვინმეს, ვინც ჩემსა და ჩემს სატრფოს შუა ჩადგებოდა.

ერთ ღამეს, სწორედ წვიმების ალოობის წინ, პატეერას წასვლას დავეპირე, თუმცა მდინარე რისხვით ფრთონავდა. ბარჰვს ასე სჩვევია. ოც ამოსუნთქვაში ჩამორიალდება მთებიდან, სამი ფუტის სიმაღლის ტალღებს დაიდგამს და, ვიდრე ცეცხლს დაანთებდე და პურს გამოაცხობდე, ეს ღელესავით წყალი თავის დას, ჯამნას, აღარ დაუდებს ტოლს.

ნაპირს გავშორდი. ნახევარი მილით დაბლა ბეჩეჩი მეგულებოდა. უნდა მიმეღწია იქამდე და სული მომეთქვა; ვგრძნობდი, მდინარე მძიმედ ჩამჭიდებოდა ქუსლებში. რას არ ჩაიდენს ახალგაზრდა კაცი სიყვარულისთვის. ვარსკვლავები მკრთალად ანათებდნენ და, მეჩეჩისკენ მიმცურავს, დამპალი კედარის ხე მეტაკა ცხვირ-პირში. ეს იყო ნიშანი — მთის ძირში და მთის გადაღმაც დიდი წვიმა მოსულიყო. კედარის ხე ფესვმაგარია და იოლად როდი წყდება კლდეს. მე ვისწრაფოდი, მდინარეც მეშველებოდა, მაგრამ, ვიდრე მეჩეჩზე ფეხს შევდგამდი, ზვირთცემამ იძალა და დახეთ ბედსა, ტალღის ქედზე გავრჩი.

მოხვედრილა კი ოდესმე საჰიბი ისეთ წყალდიდობაში, როცა ტალღები გებრძვის და საძრაობა გაქვს წართმეული? თავაღერილს ასე მეგონა, წყალს მოეტბორა მთელი ქვეყანა, სამყაროს კიდეს გასწვდენოდა. ნაფოტივით მათამაშებდა ჭავლები წყლისა. მდინარის თბეში მოქცეული კაცი რას გახდება. ისე ბორგავდა მდინარე, ხალხს დღესაც კი სულ პირზე ადგას მაშინდელი ამბავი.

ლამის ნაღველი ჩამექცა, ზურგზე ვიყავი გაშოტილი, სიკვდილის შიშით ატანილი. ცოცხალი არსებებიც ბევრი ირეოდა წყალში — ტყის მხეცები, ნახირი. კაცის ხმაც მომესმა, საშველად მიხმობდა. მაგრამ მერეხი წამოვიდა, წყალმა თეთრი დუჟი მოიგდო. ჩემ ქვემოთ რიყის ქვებს გაუდიოდა რახარუხი, ზემოდან დამშხუოდა წვიმა. სხვა ხმა არაფერი ატანდა ყურთასმენამდე. მორევმა დამითრია და სული შემიხუთა. ძნელია სიკვდილი, როცა ახალგაზრდა ხარ. აქედან უმზერ რკინიგზის ხიდს? გახედე აბა. აგერა იქ შუქი ჩანს პეშავარში მიმავალი საფოსტო მატარებლისა. ხიდი ახლა ოცი ფუტის სიმაღლისაა. იმ ღამით კი მდინარე ცხაურს ეტოტებოდა. სწორედ იქ მივენარცხე პირველად, მაგრამ ბლომად მორები დაყორილიყო ცხაურსა და ხიდის ბურჯზე და

ძლიერ არ დავშავებულვარ. ოღონდ ეს იყო, მდინარემ ისე დამაძვალობილა, ღონიერი კაცი რომ დატორავს ჯანსუსტს. ცხაურს ჩავეჭიდე და რის ვაივაგლახით ავცოცდი ზედ. საჰიბ, მდინარე ფუტის სიმაღლეზე უწევდა მოაჯირს. თავად განსაჯე, რა წყალდიდობა უნდა ყოფილიყო. სმენაც დამეხშო და თვალისჩინიც წამერთვა. ღობურზე ვიყავ მიგდებული და ძლივსღა ვსუნთქავდი.

ცოტა ხნის შემდგომ, როცა წვიმა შეწყდა და ცაზე დაჩნდენ ახალპირდაბანილი ვარსკვლავები, თვალი ველარ გავაწვდინე მოტბორებულ მღვრიე წყალს. მდინარე მოაჯირამდე უწევდა. ხიდზე ბევრი დამრჩვალი ცხოველი გამოერიყა. ზოგი ცხაურში გაჩრილიყო კისრით, ზოგი, ჯერ კიდევ ცოცხალი, ცდილობდა ზედ აპოტინებულიყო. ვინ მოსთვლიდა კამეჩებს, ძროხებს, გველებს, ტურებს. ტახი და თითო-ოროლა ირემიც ერია შიგადაშიგ. მათი გვამები შავად ჩნდა ხიდის მარცხენა მხარეს. მომცრო ცხოველები კი ცხაურში გააძვრინა და დაბლა გააქანა მიმქროლავმა ღვარმა.

მერე ვარსკვლავები ჩაქრა, ხელახლა იხუვლა თქეშმა. მდინარე კვლავ მოდგანდგარებდა და მე ვიგრძენი, ხიდი ირწეოდა. სწორედ ისე, კაცი რომ იშმუშნება გალვიძებისას. მაგრამ არ მეშინოდა, საჰიბ, ვფიცავ, არ მეშინოდა, თუმცაღა ძალა გამომცლოდა სახსრებში. ვიცოდი, არ უნდა მოვმკვდარიყავ, ვიდრე ნანდაურს არ ვიხილავდი ერთხელ კიდევ. ოღონდ ის იყო, კბილს კბილზე მაცემინებდა, ამაბაბანა და ვგრძნობდი, საცაა ხიდი უნდა გამომცლოდა ფეხქვეშ. ისე თრთოდა წყალი, როგორც იცის ხოლმე, ვიდრე დიდი ტალღა მოგორდებოდეს, დაცდილი მქონდა და ეჰა, ზღვა წყალმა ხიდიც ააყირავა. მარჯვენა მხარე ცხაურისა წყალში ჩაინქრა, მარცხენა კი მაღლა აყანთრდა. წვერს გეფიცები, საჰიბ, მართალს ვამბობ: როგორც მირზაპორის ქვის საზიდი ნავი კოჩავს ქარისაგან, ისე აყირავდა ბარჰვის ხიდი. ჰო, სწორედ ასე.

მორევმა დამითრია და უკანიდან აიყალყა გოროზი ტალღა. ხიდის ჭრიალი მომესმა, როცა ის საბრჯენებს მოსწყდა და ჩაინთქა. აღარაფერი მახსოვს იქამდე, ვიდრე მდოვრში არ ამოვტივტივდი. მკლავი გავმართე საცურაოდ და — ჰოი, საოცრებავ, ხელში მომყვა მამაკაცის თმაშეკონილი თავი. დამხრჩვალი იყო. ბარჰველი ყოჩაღის გარდა აბა ვინ გაუძლებდა შმაგ მდინარესთან ჭიდილს. რუმბივით იყო გაბერილი. მთელი ორი დღის მკვდარი ჩანდა.

მაშველად მომევლინა. სიხარულმა ამიტაცა, მხოლოდ მაშინ ვირწმუნე, რომ უცილობლად ვნახავდი სატრფოს უვნებელი, საღსალამათი. თითები მაგრად ჩავჭიდე მის თმას, რადგან შორი გზა მედო წინ, ერთად გავყევით დალმით მდინარეს — ჩვენ ორთავე — იგი მკვდარი და მე ცოცხალი, ერთმანეთს გადასკვნილები. ეს რომ არა, ჩემი საქმე წასული იყო. თავით ფეხამდე გათოშილი ვიყავ, ხორცი ქვასავით მექცა და წყალმა ძვლებში შეატანა. ის კი უშიშრად მიცურავდა, უკვე განსაცდელგამოვლილი.

გვერდელა დინებამ ლიას მიგვარიყა. ფსკერი ფეხით მოვსინჯე. ცხედარი აღარ მომყვებოდა. შევშინდი, ასე ვიფიქრე, კორძებს ხომ არ წამოედო-მეთქი. **იალუნის წვეროები მეხლებოდა მუხლებზე, და მივხვდი, ჩემ ქვემოთ ყანა იყო.** მდინარის ძირს ახლა კი ვუწიე ფეხი. თავთავებს მოვედე. მკვდარი გორაკზე შერჩა ლელვის ხის ძირას, მე კი დელგმიდან რის ვაისყოფით გამოვაღწიე.

უცნაურია განგების ნება, საჰიბ! მდინარებამ პატეერას წინ აზიდულ ბორცვზე შემაგდო, არათუ სხვაგან. მკვდარი ბალახზე გამოვათრიე. პატივი დავდე გაწეული სამსახურისათვის, ისიც ვისაზრე, ვინძლო კიდევ გამომდგო-

მოდა. მერმე მივედი დანიშნულ ალაგს — ლამბარდარის ბეღელის ახლოს, და ტურასავით სამჯერ ვიკივლე. შეყვარებულს დაესწრო ჩემთვის. იქ დამხვდა. ტიროდა მუხლებზე დავარდნილი. — დაქცეული ეგონა თურმე ფონის პირს მდგარი ჩემი ქოხი. უხმაუროდ როცა გამოველ კოჭებამდე მომდგარი წყლიდან, მოჩვენებად მიმიღო და გაქცევა დააპირა. მკლავები მოვაჭდე. იმ ხანობას განა თუ აჩრდილს ვგავდი! დრომ მაინც თავისი გაიტანა, ახლა ერთი ჯანდაგი ვინმე ვარ. ჰოუ! ჰოუ! ჰოუ! ფშუტე თავთავი ვარ ახლა ხორბლისა და წვენდაშრეტილი მაიზი. ჰოუ! ჰოუ!

ბარჰვის ხიდის ამბავი ვუთხარ და მან უდიადესი მიწოდა მოკვდავთა შორის. არავის ძალუძს ბარჰვი გადალახოს დიდროას ჟამს და აქობამდეც ადამის შვილს ჯერ არ უხილავს ალბათ ისეთი ჯოჯოხეთი, მე რომ განვვლე. იმ ბორცვს მივუბრუნდით ერთად, სადაც გვამი დავტოვე, და ვაჩვენე, ვისი შემწეობითაც შემრჩა სიცოცხლე. კაშკაშა ღამე იყო. ქალი ვარსკვლავების შუქზე დააცქერდა გვამს, მერე ხელებში ჩამალა სახე. „ესაა ჰირნამ სინგჰის გვამი“, იყვირა. მე ვუთხარ: „მკვდარი ღორი გიჯობდეს ცოცხალს“. მომიგო ქალმა — „რალა თქმა უნდა, მაგან არ გადამირჩინა ამქვეყნად ჩემთვის უძვირფასესი! აქ მაინც ნუ დატოვებ, სახელს გამიტეხს. ტყვია რომ ჰქონდეს ნაკრავი ჩემიანების მიერ, კიდევ ჰო“.

მერმე გადავაგორე გვამი და ასე ვთქვი: „ღმერთი მოწამეა, ჰირნამ სინგჰ, შენს ცოდვაში ფეხი არ მიდგას. და მაინც, რაკი ასეთი საქმე დაგმართე, არ გაღირსე გჰატზე დაფერფლვა, ახლა ყვავებისთვის დამილოცნიხარ...“

თავი ვუკარი გვამს ტალღებში და იგი წაიღო გაშლილმა წყალმა. მიაქანებდა შავ წვერს ხუცესივით. ეს იყო და ეს, მას მერე აღარც მიხილავს ჰირნამ სინგჰი.

განთიადის ჟამს დავცილდით ერთმანეთს და მე ვაშურე ჯუნგლის იმ მხარეს, რომელიც ჯერ არ მოტბორილიყო. როცა მოდღევდა, მაშინლა ვნახე, რა ჩამედინა კუნაპეტში. ფერი მეცვალა: პატეერასა და გალმითა კორომებს შორის მიქანაობდა დუჟმორეული ღვაოთეაფი, ოხუცის ყბაში ამოჩრილი, ჩამტვრეული კბილივით ჩანდა შუა წყალში მოტივტივებული ბარჰავის ხიდი. მდინარის არემარეზე სიცოცხლე გამქრალიყო — არც ფრინველები, არც ნავები, მხოლოდღა ჯგრო ჩაძირული ხარების, ცხენების, ადამიანების. მდინარე სისხლისფრად შეეღება მთის ძირებიდან ჩამოშლილ აყალო მიწას. არასოდეს არ მოვსწრებივარ ამგვარ წარღვნას. მეორედ მოსვლა იყო სწორედ. ო, საჰიბ, მე მოვიმოქმედე ის, რასაც ვერა კაცი ვერ შესძლებდა.

იმ ღამეს რალას დავბრუნდებოდი უკან. ლამბარდარის სანახებისკენ პირს აღარ ვიზამ-მეთქი აღარასოდეს, თუ არა ღამით. მაშინ ხომ საფრთხეს ვეღარა ხედავს კაცის თვალი.

აღმა ავყევი მდინარეს და ერთი მჭედლის სახლში მივედი. ასე ვუთხარი, ჩემი ქოხი წყალმა წაიღო-მეთქი და იქ ლუკმა გამიყვეს. შვიდი დღე დავრჩი მჭედლის სახლში, ვიდრე ნავი არ გამოჩნდა და შინ დავბრუნდი მერე იმ ნავით. სადღა იყო ან კედლები ან სახურავი. აღარაფერი დამიხვდა, გარდა აზელილი ტალახისა. თავად განსაჯე, საჰიბ, რამოდენაზე უნდა ეწია წყალს.

ჩანდა, სიკვდილი არ მებედა არც ქოხში, არც ბარჰვის შუაგულში და არც ის მეწერა, ხიდს ჩავყოლოდი მდინარის ფსკერზე. გაჭირვებულს ღმერთმა მაწვია ორი დღის მკვდარი ჰირნამ სინგჰი. დღესაც არ ვიცი, მოკლეს იგი თუ

წყალმა დაახრჩო, ანდა რა მანქანებით გამიხდა შემწედ. მწამსა და მჯერა, ჯოჯოხეთი არ ასცდება და ჰირნამ სინგჰის ტანჯვის მდელოზე მწყაზარ ყვავილად დაიხატება იმღამეული მოგონება.

ყურობ, საჰიბ? მდინარემ იცვალა ხმა. ეპირება ჩათვლიმოს-განთიადის წინ. ინათებს თუ არა, კვლავ იხუვლებს ახალი ძალით. საიდან ვიცი? ამ-მდინარეს გავცქერი ოცდაათი წელი. წყლის ხმას ისე ვცნობ, მამა რომ არჩევს პირმშოს დაძახილს. ყოველი წამით უფრო და უფრო ყუჩდება ბარჰვი. მერწმუნე, ერთი ან ორი საათი საფრთხე არ გელის. დილისა კი რა მოგახსენო. იჩქარე, საჰიბ! ახლა მოვიხმობ რამ პერშადს. და ამჯერად იგი ზურგს აღარ შეაქცევს მდინარეს. შენი ტვირთი საიმედოდაა შეფუთული? ოჰე, პირდაუბანელო მაჰაუტო! აბა, სპილო საჰიბისათვის, გაუძეხი და შეატყობინე იქეთ ნაპირზე, რომ დილისათვის გზა შეიკვრება.

ფული? რა ბრძანებაა, საჰიბ. მაგ ყაიდის კაცი როდი ვარ. ნურც ტკბილეულს შემომთავაზებ ბავშვებისათვის. თავად ხედავ, ჩემი სახლი ცარიელია, მე კი მოვხუცდი.

არე, რამ პერშად! ჩამოიდაბლე! დატ! დატ! დატ! მოყარე მუხლი. ღმერთმა მშვიდობით გატაროს, საჰიბ!

***

□